


177  
1983

ISSN 0132-599 X



# ენციკლოპედია



8

---

1983



# გეორგიული

საქართველოს მწერთა კავშირი

საქართველოს მწერთა კავშირის გამომცემლობის  
გაზეთი "გეორგიული" № 8

ფილიფატი 59-0

№ 8

აგვისტო, 1983 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

მურმან ლიპანიძე — ლექსები	3
ოტია იოსელიანი — ავტობიოგრაფიული ნოველები	10
ვახე ხორაული — ლექსები	29
ნუგზარ კობახიძე — ლექსები	31
დავით მთაწარი — ლექსები	33
რევაზ დანელია — ლექსები	35
მურმან ჯგერაძე — ორი თვალნი, რომანი, დისპუტული	37
შალვა ფორტოხია — ლექსები	71
ირაკე ბაზანი — შუბნი, მოთხრობა თარგმანა გიორგი ეკიშვილიძე	82

### ჩვენი მივლინებით

მირონ ხარბიანი — ჟირობის ავლიზონი, ნარკვევი	83
1783 — ბიურგოიასის ტრაედიტი — 1983	
პალატიან დიონიზიძე — დანილის ხმოვა	98

### პუბლიკაცია

ნიკოლოზ (ლუაზა) ჯანაშია — „მუშავეთა წამების“ პერსონაჟები	104
--	-----

### კრიტიკა, პუბლიცისტისკა

გიორგი ბანიძე — და არა აქვს მას დანაწილნი	134
აკაკი გაჩეჩილაძე — მთავარი შემოქმედნი	137
აკაკი მინდიაშვილი — უხილავი კედელი	141
გიორგი ნატროშვილი — მუდამ ფიქსი, მუდამ კიბაზნი	149
ნაირა გელაშვილი — ერთი ლექსის სამყარო	154
სარგო თარნაპა — ქართული მწერლობის დიდი მემოზარი	163

ი. მერაბი ვაჩაძე.

შინაარსი (გაგრძელება)



მეცნიერება

ნათელა ჯავახიშვილი — ქართული ლექსიკოლოგიური მუშაობის ისტორიიდან 168

ნიშნების მიმოსილვა

გულივიკ იოგაშვილი, ღურგოზან ცინცაძე — საუბრადღებო ნაშრომი ბარსიკვან ჯავახიშვილზე . . . . . 174



შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (შთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზაშვილი, გ. დონანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრეღაშვილი, გ. ნატრო-შვილი, რ. პატარაძე, ო. კაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წულუკისძიანი, ო. ვილაძე, ზ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი.



თუმცა წიფელს უჭდა ღრუში და  
ცხოვრობდა  
ბაიყუში,

წიფელს რა ჰქონდა გულში და

წიფელს რა ჰქონდა სულში,  
არ იყო  
ბაიბურში!

1981

საქართველოს  
წიგნიერების  
სამსახური

### განიოსავის კითხვისას

ამას რას ვხედავ: ტიროდეს

უპრიანია, ზარალებს!

ბრუნვას

სოფლისას

ჰკვირობდეს.

ის ბალღებზე მღერის ჰარალეს...

არაფინ,

არაფინ,

არაფინ

შეუცდომელი არ არის!

1981

შენ დაღლილი ხარ, გაცვდა კურკელი,  
სულილა  
ბეუტავს,  
სულილა  
ხრჩოლავს;  
ზურგსუკან გრჩება განძთა კუნძული,  
მზეს —

სისხლისფერი  
ქონავს...

დღე — ფეხაკრეფით მიიპარება,  
კოტაც, კოტაც და — მიეფარება,  
თუ...

მიეფარა  
გორას.

1981

არც მოსვენება,  
არც დამშვიდება,  
არც გამშვირვალე  
დღეები ქარვის...  
შენი ტანჯვა და  
შენი კირთება  
არ დაბრალო,  
პოეტო, არვის!

და, თუ სიცილით  
პირაქეთ გკითხონ:  
რად, რისგან გულში  
ნატეხი ხანჯლის?! —  
უპასუხე, რომ  
შენშია თვითონ,  
შენშია თვითონ  
მიზეზი ტანჯვის.



თორემ გახედე,  
თავის გზით მიდის,  
მშვენიერად ბრუნავს  
ცხოვრების ჩარხი,  
აჰა, ბატონო,  
იცინის კიდევ,  
იცინის შენი  
მშობელი ხალხი!

შენ თავაშვებულ  
ოცნებას გაჰყევი,  
შენ გაიმეტე  
ცხოვრება ზღვისთვის,  
შენ რალაც შეტის  
სიზმრები ნახე, —  
შეტი გინდოდა  
შენთვის და სხვისთვის!

უპრიანია  
პირაქეთ გკითხონ: **ეროვნული  
ნიგელირთიქა**  
რად, ვისგან გულში  
ნატეხი ხანჯლის?!  
უპასუხე, რომ  
შენშია თვითონ,  
შენშია თვითონ  
მიზეზი ტანჯვის!

იყუჩე ესრეთ, —  
მზე პირს დაიბანს,  
გამოვლენ როსმე  
დღეები ქარვის...  
შენი ტანჯვა და  
შენი ვაება  
არ დაამაღლო  
პოეტო, არვის!

1982

### ნარწარა ნიგნა

ჩემს რევას,  
ჩემს იზოს —  
ჩემს ძვირფას  
დაიას:  
ეს ჩვენი წილხვედრი დღეები ჩაიარს...  
(გაგრძელდეს!  
გაპრელდეს!  
ვარ ამის  
მთხოველი,  
კი! მაგრამ ჩაირბენს, ჩაიფრენს ყოველი!), —  
ჩაქრება —  
სანთელი,  
მელანი —  
დაშრება  
და, რაკი სიკეთის გრძელია არსება,  
დარჩება  
ეს წიგნი  
და წიგნთან  
მარადეაშს  
ჩვენი მეგობრობის ყვაილი დარჩება!

1982



• • •  
 აივანს მივდექ პილპილის ჭამით, —  
 ცოტა შილიფად,  
 მეც ვგრძნობ,  
 მაცვია, —  
 ამ მახრჩობელა აგვისტოს ღამით,  
 ვხედავ,  
 ეზოში  
 ბოძი ასვია...

ასე მგონია, პირველად ვხედავ, —  
 წელიწადია აქ ვცხოვრობ ოცი, —  
 საიდან გაჩნდა ეზოში ნეტავ,  
 ვინ,  
 როდის დარგო  
 ასფალტზე  
 ბოძი?!

და შემეკუმშა ანაზღად გული:  
 ოცდათხუთმეტი წელია სრული...

ეგ ბომ ის ხეა —  
 ძველი დარაბის,  
 ჩვენი დარაბის  
 სარკმელთან რგული!..

გამომცემლობის მანდ გვედგა ტახტი, —  
 ჩვენი კისერი და მისი ლახტი, —  
 მაგ ხისქვეშ იჯდა გვეტაძე რაყდენ —  
 კაცური კაცი,  
 პოეტი ნაღდი!..

ჩვენს წიგნს ფურცლავდა  
 ლიმილის მალვით,  
 ჩვენ ჩვენს ჭაშნაგირს  
 შევეკებრდით კრძალვით...  
 ღმერთო!  
 აცხოვნე იმისი სული,  
 ახალგაზრდობას  
 ვინც შეხვდეს საღმით!

1982

### დიდაბთიკური

შენ შრომობ, იბრძვი,  
 გზას მიიკვლევ, ცხოვრებას წინ სწევ,  
 მოდის სახელი  
 და სახელით მოდის ჭონება...  
 დიდი წიგნების  
 ქვეყანაშიც ცხოვრებას გირჩევ  
 და ეს იქნება,  
 ეს იქნება ორი ცხოვრება...  
 კაცობრიობის,  
 უბედურის, შვილი ასიოდ  
 უზენაესის,  
 უმაღლესის მახლობლად სახლობს,  
 მათი ჩანგები  
 დროშეებით ცაში ავწიოთ —  
 ყოვლადძლიერის  
 ვიქნებით ახლოს...  
 განიღვიძებს და  
 ხორციან ერთად იცხოვრებს სული,  
 იცისარტყელებს  
 მშვენიერის წვდომით გონება...  
 და ეს იქნება,  
 ეს იქნება ცხოვრება სრული,  
 და ეს იქნება,  
 ერთის ნაცვლად ორი ცხოვრება!

1982



გამორბიან მინდვრები,  
გამორბიან ბინდები,  
ბონდები და ხიდები  
მატარებლის  
კივილში

და პირქუშ გორმახებზე  
ერთმანეთის დასწრებით  
ამორბიან ტაძრები  
ვარსკვლავთ  
ქივილ-ხივილში...

„დარჩი!“ — იხვეწებიან,  
„დარჩი!“ — იქვე რჩებიან,  
თვითონ იქვე რჩებიან  
მოსახვევში  
პირველში...

ოპ, მშვიდობით, მშვიდობით!  
ნუ დაგრჩებათ საწყენად —  
არ არსებობს დარჩენა  
ყოფნის  
სიმარტივეში...

არის ცეცხლისრტოება  
მწარე რამ სიტკბოება,  
უცხო რამ სიტკბოება  
განშორების  
ტკივილში...

გამორბიან მინდვრები,  
გამორბიან ბინდები,  
ბონდები და ხიდები  
მატარებლის  
კივილში.

1981

**ისევ ბასილა**

1  
ეს ის კუთხეა  
კაეკასის კარად,  
სად ზამთარ-ზაფხულ  
ნისლეები ბოლავს,  
სად ბალღიც თიბავს  
თავისთვის წყნარად,  
მისდევს ხარ-ძროხა  
ზოფხითოს გორას...  
ღილით მთიბელებს  
აღვიძებს მწყურალად,  
კარს სახრით ადგას,  
სთათხავს და სჯორავს —  
ბელაშვილია  
ბასილა გვარად,  
თავმჯდომარეა  
ბასილა გლოლას.

არც რაიკომის  
დანიშნულია,  
არც ღალას იხდის  
ასსა და ორასს,  
თოთხმეტ წელიწადს  
არ შეუცვლია,  
ასე უცვნია  
ბასილა გლოლას —  
ხალხს უბასილოდ  
არ შეუძლია,  
ამაყოფს გლოლა  
ბასილას ყოლას.

3  
ჭრელი აგვისტო  
სექტემბრის მიბმით  
გაჰყავს ბასილას  
თივების თიბვით;  
მთებს აბრეშუმის  
თივებით ჰკიბავს —  
ჯიბრით ლეზიკ და  
ჭიორაც თიბავს;

2  
მჭრელი ცელების  
შარიშურია,  
მოპჭრის ცხენ-კაცი,  
მზე კლდეში გორავს...

ამოჰყავს ყველი  
და კარაქს ალხობს,  
ასუქებს ლორს და  
ასუქებს საყოლს,  
მთელა არა აქვს  
მთისრაჰას წუთის —  
„გამზრდელას“ ანუ  
კარტოფილს ბუნდის...

4

ხოლო როდესაც  
უყურძნო რაჰას  
ყურძნის რაჰიდან  
მოზიდვენ მაჰარს,  
მაშასადამე  
ოქტომბრის ბოლოს,  
როცა მთისკაცი  
კი არ თიბს, — ცხოვრობს  
ან, უკეთ; როცა  
იწყებს ცხოვრებას —  
ცუცნის ნაჯაფარ  
თავის ქონებას,  
უხშირებს გლოლა  
როდესაც საკლავს,  
ცხოვრობს ბასილაც,  
აბა, სხვა რა ჰქნას!

5

მთას გადმოდგება  
დროშები ზამთრის,  
ლორის დაკვლის წინ  
კოტა დათბება,  
ვინაა გლოლას,  
რომ შამფურს არ თლის,  
შემოძახება  
სტუმრის გატკბება;  
აჰაშნიკებენ  
ერთურთის ღვინოს,  
გლოლაც, ლეზიც და  
ჰიორაც ცდილობს, —  
კაი აჰამოს  
და კაი ასვას —  
სუფრის ზელმწიფედ  
ბასილა დასვას...

6

და ბასილამაც  
რა ბნას და რა სხლას,  
ამ ყრუ ზამთარში  
აბა, სხვა რა ჰქნას!  
არმოშოვარი  
ჯაფის დროს ჯაფის,  
სმაში ხიმშურის  
დამლვეი ჩაფის,  
ჰირში თუ ლხინში  
წინმძლოლი ბრძნულად,  
რაკი მთისრაჰას  
ეკუთვნის სრულად, —  
ხალხისთვის ცოცხლობს,  
ხალხისთვის კვდება და  
რა მეტი გზაა,  
თამადად დგება...

7

ადგომა მისი —  
მთავარსარდლური!  
დალოცვა მისი —  
მაღალმხატვრული!  
ხუმრობა — როგორც  
სამართებელი!  
ზედ ზმა — ცხელების  
დამმართებელი!..  
რომ არ შეაწყვეს  
რუსთველს იოლად  
|გაქილიკებას  
და ფარ-შუბს უმტვრევს, —  
თავის ბასილას  
უსმენს ჰიორა,  
წარმოიდგინე,  
კიდევაც უთმენს...

8

აქ ჰიორაზე  
მეტს არას ვიტყვით  
და სამი ჰიჭის  
ერთურთზე მიდგმით  
ფეხზე ავდგებით  
მე და ბასილა,  
თავს არ შეგაწყენთ  
ლექსების კითხვით,



და ვაღღებრებლებთ  
 მთისრაქას მშობელს  
 (არც შორებლებად  
 მთისრაქის ვითქმით!),  
 სამ კაი სოფელს,  
 ზემოურ სოფელს —  
 ქვემორაქული  
 მშვენიერ სითხით...

• • •

ქედზე საძვალე შენი გაკრილა,  
 საგლოვლო  
 მოჩანს დაბლა...  
 ბასილავ ჩემო, ბევრის გაშლილა,  
 შენი —  
 დაშლილა ტაბლა...

ივად თუ კარგად კვლავ დიან დღენი  
 ლებს, ჭიორას და გლოლას,  
 კვლავ იხსენება სახელი შენი,  
 შენსას  
 ვამაყობთ ყოლას...  
 შენი ეშხი და მარილი ახლავს  
 სიტყვას,  
 რომელიც კვესავს —  
 რაქას თავისად იტყვიან ახლა  
 აზრის  
 ნათებას შენსას...  
 ჩემო ბასილა, მოვდივარ შენთან,  
 დოქით  
 ლეინუკა მომაქვს —  
 თავწისაქცევად მოვიწახულებ  
 შენსას  
 საძვალე გორმას.

1982



რთია იოსელიანი

## ავტობიოგრაფიული ნოველები

ტასის მინდორი და „არხანა მარაბღელი“

თავიდან, რაც საეკლესიო დღესასწაულები აიკრძალა, „ვახშმიანი საღამოები“ შემოიღეს. კომკავშირლები რაღაც წარმოდგენებსაც ვგამდნენ, ვინმე მოსახლის ოღის აივანზე, კოინდარში წამოწოლილი მაყურებლის წინაშე, მერე ამავე ეზოში, მეზობლებიდან ნანათხოვრებ მაგიდებს ერთმანეთზე აბამდნენ, ჯამ-ჭურჭელს კალათებით მოახრიგებდნენ და ვახშამს მართავდნენ. სვამდნენ მთავრობის სადღეგრძელოებს, ვითომ მღეროდნენ, ცეკვავდნენ და მზიარულობდნენ, მაგრამ ამას არც ტრადიცია ჰქონდა, არც რწმენა, არც რომელიმე დადგენილი დღე და საათი. დამოკიდებული იყო ახალგაზრდობის „ინიციატივაზე“ და სურვილზე. მერე და მერე ვაჭირდა ასე ურეგულად, უდრამატურად და ურეჟისორად, ასე ერთ ღამეს ვიღაცის აივანზე, უაზრო ჭყანვა და კრეჭა, მაგიდების და სკამების კარდაკარ თრევა, ქათმების, კვერცხების და ხაჭაბურების შეგროვება (სპექტაკლის შემოსავალი ღვინის ფულად არ კმაროდა), ნანათხოვრები გატეხილი ჯამ-ჭურჭლის ანაზღაურება, გათენებამდე უაზრო ყაყანი, ღიჯინი, აყალ-მყალი... და რამდენადაც ეს ნაუცბათევი და უურთი მოთრეული „ლონისძიება“ იყო, თითო-ორჯელა „ინიციატორის“ ინიციატივამ ვერ დაამკ-

ვიდრა და მალევე დაიწყებას მიეცა. არადა, სოფელი წლიდან წლამდე სახლში კარგამოკეტილი ვერ იქნება; მით უმეტეს, როცა დათბება და მიწა გამოშრება. გაზაფხული რომ სისხლს აგიჩქროლებს და აგიმღვრევს — ნაკვერჩხალზე დაგსვამს. ნამდვილად თუ ნაცხადურად ისევ შემოიპარა ძველი ჭარიანობა და ღამის თევები; ახალკვირის, ელიობის, ამაღლების, მარიაშობის, ღვთისმშობლობის თუ საერთოდ შაბათობების...

საბჭოსთან, კანტორასთან და ეკლესიის ახლოს ასეთი „ცრურწმენების“ გამოვლინება საზიფათო იყო. ვინ იცის, რა კუდი გამოებმეოდა ჭარიანობას და დროს ტარება კი არა, თავი დაგვიწყებოდა.

სოფლის „ცენტრიდან“ მოშორებით, გვქონდა ჩვენ ტასიეს მინდორი. ტასიე დიდი ხნის წინ უშთამომავლოდ და უმემკვიდრეოდ გადაგებულიყო, იმოდენა ვრცელ კარ-მიდამოს თან ხომ ვერ წაიღებდა, სოფლისთვის „დაეტრევიანა“ და ნაეზოვარი, ცხადია, მინდვრად ქცეულიყო.

ტასიეს ნაეზოვარი გზის პირას იყო, მაგრამ „ცენტრიდან“ იმდენზე მოშორებული, თუ საბჭოს კარებს მაგრად დაკეტავდი და ყურს მოიყრუებდი, შე-

გელო გეტქვა, დოლის ხმა არც გამო-  
გონიაო.

ძველად, უთუოდ, ეს საეკლესიო  
დღეობები ეკლესიის ეზოში იმართე-  
ბოდა, მაგრამ ახლა „თვალს მოფარე-  
ბულ“ ტასიეს მინდორზე მოსინჯეს.  
პირველად, უკომკავშირებოდ და  
უენტუზიანობით. ისე, „სხვათა შო-  
რის“ მოიყარეს თავი, მთვარიან, თბილ  
სალამოს სამუსიაფოდ და სალადო-  
ბოდ... გაიარ-გამოიარეს, ჩამოჯდნენ  
მოლზე, აქეთური-იქითური, ერთმანეთს  
თვალს ვერ უსწორებენ, მოგეხსენებათ  
მტყუანის ამბავი...

მიმოიხედეს, დამშლელი არავინ ჩანს.  
გაიხუმრეს, გაიღიმეს, მორცხვად ჩა-  
იციანეს კიდევაც. უფრო წინდახედულე-  
ბმა და საზრიანებმა პირზე ხელი დაა-  
ფარეს, მაგრამ ქვეს არავინ ესვრიო.  
წამოწვენს და პატარა, ხმადაბალი სიმ-  
ლერაც ჩაიღიღინეს, „ეუფუნა წვიმა მო-  
ვიდაო“... აჰ! წვიმა და უამინდობა სა-  
დალაა, არავინ გაგვიგონოსო და უფრო  
გაბედულად... „ახ ტრაქტორო, მე შენ  
გამჩენს, ვენაცვალე ყელშიაო! ღარი-  
ბები, გლეხ-კაცობა შენ გამართე წე-  
ლშიაო“.

წამოჯდნენ და გაუბედავი, თბილი  
ტაში დაჰკრეს. ვილაცამ, ასე ხელების  
გაფენა და ცერული ვერა, მაგრამ ერ-  
თი წრე დაუარა და საიდანაც წამოდგა,  
იქვე ჩაიკეცა. მერე, რაკი ნავსი გატყ-  
და, გოგობმა იმარჯვეს, ვაყების გა-  
მოთამაშებას და თავის დაკვრას აღარ  
დაელოდნენ და თვითონ გამოიწვიეს...  
აღამიანი, მართლა ასე თუ აუშვი,  
მეტს და მეტს მოანდომებს...

იქვე მცხოვრებმა, შვანგირადის თუ  
კირთაძის ბიჭმა, გატეხილი ძველი სპი-  
ლენძის ტაშტი გადმოიტანა, გადააბრუ-  
ნა და გაშლილი ხელები დასცხო. „ტა-  
შტი გატყდა, ხმა გავარდაო“, უთქ-  
ვამს ხალხს, მაგრამ ტაშტი გატეხილი  
იყო და იმისთანა ხმა რა უნდა გავარდ-  
ნილიყო.

არაფერი...

კაცმა არ იცის საიდან, როგორ, ვი-  
სი, ვისგან, დოლი არ აბრაზუნდა! გა-

დაუჭიმავე, რა თქმა უნდა, გაუფიცხე-  
ბელი, მაგრამ დოლი. დოლმა ტაშსაც  
ხმა აუწია და თანდათან თვითონაც გა-  
თბა და გაიბიძგა.

„შუალამისას დაიშალნენ! ისე... კოტა  
რალაცა... თორემ დილაშდე ცეკვა-თა-  
მაშს და ქვეყნის დაქვევას კი არ ვაპი-  
რებდითო.“

რა თქმა უნდა, თავიდან დამორცხვე-  
ბული, მოკრძალებული, დატუქსული და  
ერთობ ეუდმოკვეცილი, მაგრამ მაინც  
ღამის თევების და ჭარიანობის მაგვარი  
გაჩნდა.

ბოლოს და ბოლოს, ამ „თავხედობი-  
სთვის“, მაუზერი რომ არავის გაუსვ-  
რია, მეორე თუ არა, მესამე შაბათს  
კომკავშირებმააც კი „გადმოუხვიეს“  
გზიდან, შეღამებულში შინ ბრუნდებო-  
დნენ და საქმე აღარაფერი ჰქონდათ.  
ვითომ თავიდან ლიონსაც არ აპირებ-  
დნენ და ცეკვა-თამაშს, მით უმეტეს.  
მინდორში მოშორებითაც წამოწვენს,  
არც კი ვიცით აქ რა ხდებოა, მაგრამ  
დამტუქსავი და ყურის ამწევი მაინც  
რომ აღარავინ გამოჩნდა, კომკავშირე-  
ლი ახალგაზრდაც — ახალგაზრდაა და  
კაი ხმადაბალი კი არა, ომახიანი სიმ-  
ლერებიც ჩაახვიეს, დოლიც გაზეთის  
ცეცხლზე გაახურეს და ცეკვაში ბუქ-  
ნაც ჩაურთეს.

მეც, გავიგონებდი დოლის ბრაგუნს,  
ერთ ვიწრო, დაბრამულ, ბნელ ორლო-  
ბეს ჩავიბრუნებდი და თავს ტასიეს მინ-  
დორზე ამოვყოფდი. მივდგებ-მოვდგე-  
ბოდი, მივიარ-მოვიარდი, მინდორი  
ვრცელი იყო და ახალგაზრდობა, დიდი  
და პატარა, ბევრი. აქეთ ბავშვები უბ-  
რაახუნებდნენ გატეხილ ტაშტს და ასავ-  
საგებდნენ შიშველ ფეხებს, იქით უფ-  
რო ხმაშეწყობილები ისხდნენ და მლე-  
როდნენ, სხვა ჭგუფებში: შაირობდნენ  
და ენაკვიმატობდნენ. დოლთან უფრო  
შეღერებული ბიჭები შლიდნენ მკლა-  
ვებს, ასარსალებდნენ მწვანე ბალახზე  
ყურიან წულეებს, გოგობს ერთმანეთს  
„ჩაუჭრიდნენ“, „ტაცებდნენ“... იყო  
ერთი ტაშ-ფანდურა და, სიცილთან,  
ხითხითი და ტყარცალიც კი.

იყო კიდევ ერთი ჩვენი ორ-  
ლობის ჩამოსასვლელში, სამკედლოს  
უკან. იმ არიანებულ „გარს“ გამოცალ-  
კეკებული და გამონაპირებული. ესენი,  
მხარ-თემოზე წამოწოლილი, თავკევე  
ხელშემოდებულნი, მკიდრო წრედ იყ-  
ვნენ შეერთები და ლაპარაკობდნენ,  
ლაპარაკობდნენ და ჰყვებოდნენ, მაგ-  
რამ იმდენად ხმადაბლა და თავშეკავე-  
ბულად, მხოლოდ მათ — ამ ჩვეულებრივ  
გაეგონა და ყველა გამვლელს და ცნო-  
ბისმოყვარეს, ვაგლახად, არაფერი წაე-  
ლო. აქ მხოლოდ ბიჭები იყვნენ, რომ-  
ლებიც წიგნებს კითხულობდნენ და  
ერთმანეთს უყვებოდნენ, რაკი არც სა-  
კუთარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ, არც  
სოფლის კლუბი იყო ნაირ-ნაირი ლი-  
ტერატურით განებივრებული.

ვილაცას ჩაუვარდებოდა რალაცა რო-  
მანი, მოთბრობა თუ თავგადასავალი,  
ლექი ან პოემა, აკრძალული თუ ნება-  
დართული და იყო მოყოლა, განსჯა,  
კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.  
გადაღმა, კოდის წყაროს იქიდან, გაღ-  
მოდოდნენ: ყორა და რეზო შვანგირა-  
ძეები; სარეცხელას დელის გორიდან;  
შოთა ბობოხიძე და ოთარ ხაჭაპურიძე;  
ეკლესიასთან მცხოვრები ბიჭიკო ლექ-  
ვთაძე; „ცენტრიდან“ — ოთარ შვანგი-  
რაძე; ბუნდრუშა და ჭუქა შვანგირაძე-  
ები მეჭოშეების უბნიდან... ალბათ, სულ  
ათიოდე ყმაწვილი, უღვაში რომ უმწ-  
ვანდებოდათ, კაცობაში რომ ფეხის შე-  
დგმას ეპირებოდნენ.

მე რომ მკითხოს კაცმა, არც ცეკვა-  
თამაშისთვის გამოვრბივარ აქ, ამ ბნელ  
ორღობებში, არც სიმღერისა და შაი-  
რისთვის. ამათი — ამ მკითხველი ბი-  
ჭების მოსმენა მინდა, მაგრამ ახლოს  
თუ არ მიდი, რას გაიგონებ, ახლოს კი  
ვინ მიგიშვებს. ბავშვობაში ერთი წე-  
ლიც ბეგრს ნიშნავს და მე მათზე სამი.  
ოთხი და ზოგზე ხუთი წლითაც უმც-  
როსი ვარ. ამას გარდა, მაშიდაჩემთან,  
გუბისწყალზე ვსწავლობ და ჩემ სო-  
ფელში და სკოლაში ყოველდღე რომ  
ვერ მხედავენ, უცხოსავეთა ვარ. ხეი-  
რიანად არც კი მიცნობენ. ასე თავს

ვერ ავადერ, ვერ მივადგებოდა ვაჭრ-  
დით ვერ მიუწვევები, მათ...  
შინაური წრე აქვთ, ასე ვიგინდარებში  
და ბიჭ-ბუჭებში როდი ირევიან და ით-  
ქვიფებიან. აქვთ რალაც შეუვალობის  
კედელი, რომლის გადალახვა მათ ტო-  
ლებსაც არ ხელწიფებთ.

მე, გაკირვებულმა, არც ცეკვა ვიცი,  
არც სიმღერა. არც ტამბურ და დოლ-  
ზე ბრაზენი შემიძლია და ტამის დაკ-  
ვრაც არ მეხერხება. (თქვენ წარმიდ-  
გინეთ, ტამის დაკვრას აქამდე ვერ ვა-  
ხერხებ, თუმცა ერთი შეხედვით რა დი-  
დი ამბავი და რა განსაკუთრებული ნი-  
ჭი უნდა).

ამათთან მინდა, ამ ამბების მოსმენას  
არაფერი მიჩვენია, მაგრამ ეს „საი-  
დუმლო სერობა“ გაშლილ მინდორში  
იმართება, სამკედლოდან მოშორებით,  
რაკი სამკედლოს ირგვლივ ნახშირი,  
წიდა, ხარის ძველი ნალი და ლურსმან-  
ი ჰყარია... ასე მხარ-თემოზე წამოწო-  
ლას და ნება-ნება მუხსიაფს არ დაგანე-  
ბებს. ისინი კი, რაკი საერთო ერთადე-  
ლიდან და აყალ-მაყალიდან გამოცალ-  
კეკებას ცდილობდნენ, რაც შეიძლება  
აქვთ, ჩემი ჩამოსავლელი ორღობისკენ  
გამორიყულან და ამ ორღობეს საღვა-  
რე კვალის პირზე მოდებულნი წალიკა  
ბალახის ევერთან ახლოს წვანან.

წალიკა კინაღამ ჭინჭრის სიმალე  
იზრდება და ჭინჭარივით შეხებისთანა-  
ვე არ ისუსხება, წერილ წითელ ყვავი-  
ლებსაც ისხამს, მაგრამ მყარალი სარე-  
ველა და თუ გათელე და გასრიხე, მით  
უშეტეს; ბავშვის თოთო კანს ისიც გვა-  
რიანად აჭრელებს.

ორღობის გზას ვადგები, „საიდუმ-  
ლო სერობას“ რომ ჰგონია შინ მივდი-  
ვარ, გავიქცევი და მოფარებულში წა-  
ვიქცევი. ამ წალიკე ბალახის ევერში  
შევძვრები და საღვარე კვალის ძირზე  
გაწოლილი, ნელ-ნელა, უჩამიჩუმოდ,  
მტკაველ-მტკაველ, ამათვენ მივიწევ.

იქ მაქვს მოსმენილი ტრეციან ტაბი-  
ძის ლექსები, პაოლო იაშვილის ლექ-  
სები, ჭალის ფსევდონიმით რომ სწერ-  
და და ნიკოლო მიწიშვილის „პაჭი მუ-

რატის მოჭრილი თავი“ — „გაორბეული კაცის ბედი მთავრდება მარცხით“...

და მიხეილ ჭავჭავაძის: „ჯაყოს ხიზნები“ და „არსენა მარაბდელი“.

მახსოვს, როგორ უკვირდით, რომ ხალხური არსენა სხვაგვარად კვდება და ჭავჭავაძის არსენა სხვაგვარად, როგორ ვერ აეხსნათ ეს შეუსაბამობა, როცა ეს არსენები ერთნი იყვნენ და არსენა ჭორჭიაშვილი კიდევ სხვა.

### ნაპარცვი პალტო

გუმბისწყალი პატარა სოფელია. მაშინ, როცა მე და ჩემი ძმა იქ ვსწავლობდით, ასიოდე მოსახლე თუ იქნებოდა და თუ არა. მამიდაჩემი ამ სოფლის დიდი ხნის მასწავლებელია. ვინც კი წერა-კითხვა იცის, მისგან იცის. იკატურებს თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არაფერს ამოისვამს. იგი მარტოხელა ქალია. შინაბერა. ბავშვობიდან, თურმე შედაგოგობა იყო მისი ერთადერთი ოცნება და მიზანი. „ოღონდ ერთ წელიწადს მამყოფა მასწავლებლად და მერე სულიც გამსებიაო“ — ასე ევედრებოდა. თურმე, ღმერთს, როცა უაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიაში სწავლობდა და რაკი აუხდა, სამარადამოდ თავისი საქმის ერთგული დარჩა. ეტყობა მის ხასიათში იყო ასეთი თავგანწირული ერთგულება. ძმა — მამაჩემი რომ გარდაეცვალა და ძამა ჩაიკვა, ოცდაორი წელი არ გაუხდია. ძმისშვილები კი წაგვიყვანა და თავისთან გვზრდიდა.

გუმბისწყალი ჩემი სოფლის მეზობელი სოფელია. ერთი სათემო. მართალია, ბინა ერთ ოჯახში გვექონდა დაკირავებული, მაგრამ ყველა ოჯახის კარი ჩვენთვის ღია იყო. იკატურები შვილებში არ გვარჩევდნენ, ლუქმას გვიყოფდნენ. ბავშვებაც ასე იყვნენ. ძუძუ მოტოვებული ქონდათ, თორემ, დედის რძეს არ დაგვაშადლიდნენ. სანამ ოვითონაც დაობლებოდნენ და დაიმშეოდნენ, სტუმარი იყოდნენ.

როგორ მოხდა, რომ ვერ დამინახეს, როცა მფლობელს გაებედა და ეს უკრძალული წიგნი თან წამოეღო. თუმცა მთვარიან ღამეში მხოლოდ ავტორის გვარ-სახელისა და სათაურის წაკითხვა თუ მოხერხდებოდა, მაგრამ დაფლეთილი წიგნი მაინც ხელიდან ხელში გადადიოდა და ზედ აჩერდებოდნენ უხმო. უსიტყვოდ დუმლით.

მეც ევერიდან თავი წამოვყავი და ასეთი საშიში საიდუმლოების დანახვა მოვიინდომე...

პირველად რომ ჩავედით (ის ხუთი კილომეტრი ფეხით გავიარეთ), დაბალ ვახშობას რომ ეტყვიან, ის დრო იქნებოდა. ფურნეში შევუხვიეთ, ის-ის იყო ცეცხლის შენთებას იწყებდა გრიშა ჩიხლაძე და ბუჯა დანგაძე — ცხვირა. სანამ ფურნე გახურდებოდა (ფურნე თონე არაა) და პური გამოცხებოდა, კაი ძალი დრო უნდოდა; შეწუბდა გრიშა: „ღმერთო მომკალი, ეს რა დამეშართათ“. ახლაც ვერ გამიგია, რა დააშავა... მივედით მათე ნაჭყეპიას ოჯახში, სადაც მამიდა მაშინ მდგებურად იყო. მასპინძლებმა მიგვიპატიყეს შუა-ცეცხლთან, მაგრამ ჩვენ ჯერ უცხოვ ვიყავით და არ ვკენით. ავიანთეთ ოთახში ლაშვა. საწოლზე წამოვწექით და დადლილ ბავშვებს მალე ჩაგვეძინა, აღბათ. შუალამეს ბევრი არ უქლდა, რომ კიშკართან ბუჯა დანგაძე აყვირდა:

— მარო მასწავლებელოო!

მეფურნეს კეება ტფავზე თხელი ლავაში გაეკრა — ჩქარა გამოცხებდა, იქნებ სტუმარ ბავშვებს ვახშმად მოვუსწროო. ხელი პურის სუნით აივსო სახლი და არ ვიცი სუნმა გაგვადლო, არ ვიცი ასეთმა უურადლებამ. იმ პურის ნატეხთან ისევე ჩაგვეძინებოდა.

ჩვენ იქ ომამდე ჩავედით. ატყდა ეს განუკითხავი ზოცვა-თლტა და აღარც ფურნე იყო და აღარც მეფურნე. აღარც ბუჯაძე — ცხვირა. აღარც ჩვენი სახლის პატრონის — მათეს, ვაჟიშვილი — შიშა. არც მიშას მკვიდრი ბიძაშვილი გრი-

შა, აღარც პოლიკარპე და აღარც ნოვე. ჩვენ კიდევ რა გვიჭირდა, მასწავლებელს ორნი ვყავდით. მეფურნეს ექვსი დარჩა. ჩვენს მასპინძელს, მიშას — ოთხი, სამი გოგო და ერთი ვაჟი. მის ბიძაშვილს გრიშასაც ოთხი; სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. პოლიკარპესაც ოთხი, მაგრამ ნოვეს ხუთი და აკაკი ბენიძეს — შვიდი. ბუჭა, საწყალი, ახალგაზრდა იყო, რა თქმა უნდა; უცოლშვილო.

1942 წლის მიწურულია... ძალი პატრონს ვერ ცნობს, დედა — შვილს. ბავშვებს თავები უროგებივით გაუხდათ, მარტო მშვიერ თვალებად იქცნენ. სანამ ბალახი მწვანეა, თუ მარილი იშოვე, რა გიშავს; ეკალა, ჭინჭარი, მოლოჭე, ოდელიე... ხილიც დავიმახსოვრეთ იმ წლებში. სასალო მსხალი ყველაზე ადრე შემოდრიოდა, ძმასავით სულზე მოგვისწრებდა. კოლექტივში თუ კიდევ კვიცი ტარობივით რაიმე შეგროვდებოდა, სათესლეს და ღორების ფერმას რაც გადარჩებოდა, სახელმწიფოს პირწმინდად მიჰქონდა. ქუთაისის „ზაგზურნოებში“ სიმინდის ურმებით ჩაბრიგინება მოხუცებს და ფეხშიშველა ხარებს ისე უჭირდათ, სთველი ჭირის დღესავით სძულდათ.

სოფლის, ამდენი თავგასიებული და თვალეზაპარაფული ბავშვი, ერთმანეთს ღედამამიშვილივით დავემგვანეთ. ორი ხელი ტანსაცმელი, ბევრს, ომამდეც არ ჰქონდა და ახლა, ერთნაირად ჩამოკონკილ-ჩამოძონძილებს, დედა შვილებში ვერ გამოგვარჩევდა.

სოფელს დუქანი ჰქონდა, ფურნეზე მიდგმული, ერთი თვალი ძელური, თუ უფრო სწორად, ჭეტიკირის ფურნე იყო დუქანზე მიშენებული. დუქანი, ომამდეც ყოველდღიური მოთხოვნილების საჭონლით ვაჭრობდა და შუა ტანსაცმელი და თოფებად დაწყობილი ქსოვილები არც მანამდე მინახავს. ასეთი რამ უფრო ჩემს სოფელში, გვიშტიბში იყო — სათემო მალაზიაში. მახსოვს, მე რომ წითელა ბატონები დამიბრძანდა, წითელი მანდოლინა, მაშიდამ, იქ მიყიდა.

რაც ქვეყნის დაქცევა დაიწყო, რაღა თქმა უნდა, იქაც ყველაფერი გაქრა.

აგერ, მეორე წელიწადია ოშია, თითზე გადასახვევს ვერაფერს იშოვი. არ ვიცი რა მოხდა, მანამდე არ შემინიშნავს, ახლა ამისთვის ვინ მოიცილა! ამ ჩემი სოფლის მალაზიაში გაჩნდა ახალთახალი, გაუხუნარი და დაუმტყვერავი, ბიჭის შავი პალტო. ერთადერთი ცალი, რა თქმა უნდა.

შაბათ-კვირას, გუბისწყლიდან შინ, ბებიასთან დავდიოდით; ნოქარი — ბიკენტი, მამას მობიძაშვილვა და მამიდა გზად შეივლიდა, ქვეყანა იქცოდა და ამბავს მაინც იკითხავდა, ხბოს ტყავივით გაბრიგინებულ, მუყაოს გაზეთში მხოლოდ ის ეწერა, მტერი რომ იელიტებოდა. და მტრის საომარი ტექნიკა ნადგურდებოდა. სოფელში რომ წივილი-კივილი ატყდებოდა და ყველა ოჯახს ჯირისკაცს მოუელავდა, გაზეთი გიშველიდა?

— რაეა საქმე, ბიკენტი, რა გესმის? ბიკენტის ხელი ისედაც უკანალეზადა, მამიდაჩემის შეკითხვაზე კი თავიც აუკანალდებოდა.

თვეში ერთხელ, მოსამსახურეებს, პურის მაგივრად პურის ფქვილი ეძლევათ. მამიდაჩემს ცხრა კილო, ჩვენ, კმაყოფაზე მყოფთ — სამ-სამი. ესეც აქ უნდა ავიღოთ.

მამიდაჩემი რომ ბიკენტის, ან ვინმე თანასოფელს ელაპარაკება, მე ვხედავ აგერ, მალა, ცარიელა თაროებზე ჰკილია, ასე ჩემი ტოლა ბიჭის სარგო, შავი პალტო! მაშინ იმის ნატვრას როგორ ვაგებდავდი, ნეტავ ასეთი რამ მცდ მქონდეს-მეთქი. ასეთი სურვილი ომამდეც არ მქონია. უბრალოდ, ცნობისმოყვარეობისათვის, რომ ქვეყნად, თურმე, ასეთი რამ არსებობს... რასაც ოდესღაც, ვილაყვები, თითქოს ზღაპრული უფლისწულების მსგავსი ბავშვები იცვამდნენ.

ქსოვილი სქელი იყო, ფუმფული. ფართო ღილები ეკერა ოთხი ცალი, შავად, ხარის თვალეზივით რომ ბზინავდნენ. ორ ღილზე შებნეულია და გასა-

გებია, მაგრამ მეორე ორი რა საჭირო იყო, ვერაფრით მივხვდი. საყულო გადმოფენილი ჰქონდა და თავიდან ესეც მივირდა, რად უნდოდა ეს გადმოფენილი საყულო, რატომ გააორმაგეს და გაფლანგეს ასეთი ძვირფასი ქსოვილი. ჩემი ძმა დიდხანს არ უტკებოდა. იგი უმცროსი იყო, ხუთ კილომეტრს რომ წვიმაში და თოვლ-ქყაში გამოივლიდა, იღლებოდა და თავის მალა აღება უჭირდა; თუ — „ჩემი ურგები ქოთანის ქვას და ლობიო ძალსო“, არ ვიცი.

გინდა დაიჭრე, გინდა არა, ჰკილია ეს შავი, ცინცხალი პალტო მალაზიაში და დიდი და პატარა თვალს ახარებს. არც იყიდება, არც არაფერი. რა თქმა უნდა, მაშინდელ გაბონებულ ფულზე არაფერ მოგცემდა, არადა, ამოდენა თაროებზე, ობოლი შავი მარგალიტივით ერთადერთია.

ნაახალწლევს დათოვა, მუხლამდე დადო. რალაცა, ჩვენი მოსწავლეების მოკრილი შეშა აქვს სკოლას და ბუხარში ვაკიზინებთ, მაგრამ ბუხარი და ორი კაციო. — ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს. ჩვენ, ყოველ კლასში, თუ მეტი არა, ბარე თხუთმეტნი შაინცა ვართ. ზოგჯერ მასწავლებელი გადაითბობს ხელს და ჩვენ ეს თუ მოგვეთბობა, თორემ ვართ ამ ხის ფარალალა, ძველი ოდა-სახლის ოთახებში დაპუტული ბელურებივით აბუნძლულნი და მზრებში ჩამძვრალნი.

გუბისწყლიდან ჩვენს გარდა, ამ ომიანობისას, ზამთარში და მუხლამდე თოვლში კი არა, ზაფხულშიც არც ერთი ბავშვი წავა-წამოვა. ჩემ კლასში მარტო მე ვიცი, რომ არსებობს ქვეყნად საოცრება — ბავშვის პალტო:

შავი, ფუმფულა, ფართო ფოლაქებიანი, საყულო გადაფენილ-გადმოფენილი, უთუოდ იმიტომ, რომ შეიძლება ქარ-შიშხათში აიწიო და შიგ ყურები და ცხვირ-პირი ჩარგო. ზურგზე მოკლე ქამარი აქვს, ისიც ფოლაქებით მიმარგებული. ეს კი კაცმა არ იცის, ქამარი რაღად უნდა, ისიც ასე მოკლე, ერთი ციდა...

სკოლა: ოთხი ერთმანეთზე მიტუქული ოთახი იყო. აივანის ერთ მხარეს სამასწავლებლო ჰქონდა მრფივკურსი, მეორე მხარეს დირექტორის კაბინეტი, გასასვლელია იყო დარჩენილი. დერეფანი არ გააჩნდა და უკანა აივანი. თუ გარეთ უამინდობა იყო, კლასში უნდა მჯდარიყავი. ხტუნვა, ჭირითი და მერხებზე ხტომა საკლასო ოთახში თუ შეიძლებოდა, წარმოდგენა არ გვქონდა. გვიკერდა და გვიკერდა სიცივე.

შესვენების დროს, მივადგებოდი რომელიმე, მთლად გალურჯებულ, ბიჭს და სხვების გასაგონად, იღუმალი ხმით დავიწყებდი:

— ასე ა, ამის ზომა იქნება...

— პალტო არა!.. — იტყოდა ვინმე შურით, რომ მათთვის თვალით უხილავი საკვირველება ამჭერად ოთარ გურეშიძეს მივაზომე.

— ისე, შენც კე გარგებდა... — არ დავწყვიტე გული შოთა ბენიძეს, — ყორა კუხალაშვილს კი სრული ექნება. (ყორა ომამდეც სუსტი იყო).

— მაგი მთლად ჩემი სარგო ყოფილა, — ჩაიპუტუნა მიტუშა ნაყუბიამ, სიხარულს რომ ვერ შეატყობდა კაცი და ახლა თვალეები უბრწყინავს.

— კი, მოგივია... მაგრამ ბუღუ ჩიხლაძეს ვიწრო ექნება... — ბუღუ, ჩვენზე წლინახევრით უფროსია, ალუ ბზიკაძე ერთი წლით. ისინი ისედაც გაუძღებენ სიცივეს.

გოგოები ბუხარს ეტუქენებიათ, იქიდან აპარებენ დაღვრემილ მზერას და ერთმანეთში პუტუნებენ... ჩვენ რომ რალაც ბედნიერებას ვინაწილებთ, მათ ხელი არ მიუწვდებათ. ისე ბუხარს კი ვუთმობთ დიდსულოვნად, მაგრამ შესვენების დროს რომ ხელს გადაითბობენ, მერე გაკვეთილზე, ჩვენზე მეტად უჭირთ. ჩვენ, ბიჭებს „მორგებულო“ გვაქვს შავი პალტო. გვაკვია, ზოგს სრული და ზოგს ვიწრო, გვაკერია ზედ ბზიალა ფოლაქები ოხრად და ხშირ-ხშირად ვისინჯავთ ზურგზე მოკლე, კუდა ქამარს.

სათემო საბჭო და თუნდაც რაიონუ-

ლი კოპერაცია უთუოდ, ასეთ რთულ საკითხს ვერ გადაწყვეტდა, თორემ მე იმ პალტოს, იმდენხანს დღეებში გამოკიდებულს, არავინ მაყურებინებდა. ეტყობა, ვინც ჭერ არს, ბოლოს და ბოლოს, დაფიქრდა. ჩვენი თემი იყო ჩვენთვის ერთადერთი, თორემ რაიონს ხომ ასეთი ბევრი ჰქონდა. ალბათ, იქაც ეკიდა ასეთი, თითო-თითო ობოლი მარგალიტი და, რაკი პალტო ბავშვისა იყო, განათლების განყოფილებას გადაეცა გასანაწილებლად. განათლების განყოფილების გამგე ვილაც ქუთაისელი ებრაელი იყო, მამიდაჩემისაგან ბევრჯერ მსმენია მისი ქება. აიღო ამ კაცმა, რა თქმა უნდა, ჩვენი თემის კუთვნილი პალტო და ჩვენ „გაგვიანწილა“. ნამდვილად იმ მოსაზრებით, რომ ყველა ბავშვი შიშველი იყო, ყველა წითელარმიელის შვილი, აქ ვინმეს გამორჩევა არ შეეძლო. თემში მისწავლებელიც ბევრი იყო და შვილებიც ჰყავდათ, ერთადერთი მამიდაჩემი იყო, რომ არათავის უბიდან ნაშობ შვილებს ზრდიდა. აიღო და „ტალონი“ მის სახელზე გამოწერა. სხვა თემში რა რიგით და წესით გაანაწილა, ვერაფერს გეტყვით, რაკი ესეც მხოლოდ ჩემი ვარაუდია.

და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ერთადერთი საოცრების პატრონი გავხდი მე. ძმას ჩემი ერთადერთი, ჭიბუხიანი და რკინის ფოლაქებიანი, ნაცრისფერი ბლუზა გადავულოცე, იაშა ბიძიამ რომ ომის დაწყების წინ ჩემთვის შეაკერიდა და ეს მკლავგაუყრელი, ახალთახალი პალტო ჩითის პერანგზე მოვისხი.

ერთი სიტყვით, მამაც გამიცოცხლდა, დედაც ჩემთანაა, მამიდა ხომ მყავდა, მაგრამ თუ მყავს, ახლა მყავს. სასწორზე აქეთ რომ დამსვა და მთელი ქვეყნის ბედნიერება მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, მე გადავწონი.

ახლა როგორ გინდა ეს ხუთკილომეტრიანი გზა გაიარო?... ალბათ, მაგელანს დედამიწის შემოვლა ისე არ გაკირვებია და არ გავრძელებია, როგორც მე ჩემი სოფლიდან გუბისწყალზე ჩას-

ვლა. და არ გინდა ახლა ეს იანვრის დამე გაათენო?

თავის დღეში კარი რომ არ დაგვიკეტია, გავუყარეთ იმ დამეს ურდული, მაგრამ წამედება თვალი და თუ სადმე ქურდი და ყაჩაღი გამიგონია, ან წამიკითხავს, აწყდება კარებს. იქედან თუ არა, ფანჯრებში იღებენ მინებს და ბუხრის საკვამურიდან ჩამოდიან — რას უგავთ გამჰვარტლული ცხვირ-პირი!..

როგორღაც იყო მივალწიე სკოლამდე და ქვეყნის სიმდიდრის ბატონ-პატრონი რომ ვარ, თქვენს მტრისა ერთბაშად არ შემომმაქცია ზურგი მთელმა სკოლამ და ნამეტურ ჩემმა კლასმა? ვარ ამ გაფუშვულებულ, ჩაფოლაქებულ, ჩაქმარულ შავი მარგალიტითი პალტოში ნამდვილი უფლისწულივით და არავის ჩემი დანახვა არ უნდა. გუშინ რომ ერთმანეთის ფასი არავინ გყავდა, ერთმანეთს რომ სულში ვიძვრენდით, დღეს იმ მხარეს არ იხედებიან, საითაც მე მივიჭვივები. არადა, როგორ არ ვაიჭვივები? ამ მუხლამდე თოვლში და შიშველ-ტიტველ სოფელ-ქვეყანაში ასეთი სამოსი, კუზიანს გაასწორებს და ასე წლის მოკაულ ბერიკაცს წელში გამართავს.

მერხზეც კი მარტო აღმოჩნდი. მეორე წელიწადი რომ ერთად ვისხედით, ეს ვასო კიქნაძე თავის მეზობელ ვალოდია აზარაშვილთან გადამჯდარა, მისწავლებლებიც: პოლიკარპე ჰვაჭვანიძე, ალექსანდრე ეძგვერაძე, კონსტანტინე მოსაშვილი, ტატიანა ქაჯაია და ქეთო რატიანიც კი (გაკვეთილის დაწყებისას რომ მოსწავლეებს გადახედავდა და მეც შემათვლიერებდა) არც ერთი აღარაფერს ამბობდა და მერე თვალსაც კი მარიდებდნენ.

ტიტველი, დედიშობილა რომ ვინმეს მისწავლებლის შავიდაზე დავესვი, ასე უხერხული და უსინდისობა როგორ იქნებოდა. თეთრი ყვავივით, თუ შავი ყორანივით ვზივარ ამდენ გაპუტულ, გალურჯებულ ბედურებში და ჩემმა თბილმა პალტომ როგორ ჰქნა, რომ ასე შეამცივნა მარტო ბიჭები კი არა, გო-



და ასე ახალგაზრდად დაღუპულს ვინ გამოვილოვებდეს), ორმოცი მაინც უნდა გადაეხადო. ტირილზე თუ გადასახურავი სჭირდება კირისუფალს შესაწევად (აბა, მაშინ ამდენი მტერ-მოყვრის ქელები კი არა, ერთი კაცის გამასპინძლება კირდა). ორმოცზე გოკი თუ არა, კაი შწიფე დედალი, ხაქაპურები, დოქით ლენო და მისთანანი მაინც უნდა გაუგზავნო, რომ ალაპი გაიწყოს. თვითონ კირისუფალმა ცხვარი თუ იყიდა და დაუკლა, სანთელი და საქმეველი... მეტს რას შეძლებს...

ორმოცზე მე და ჩემ ძმას გვაგზავნიან. მამიდა არაა სოფელში, თორემ ლზინს კი და, კირის დღეს ის არაფრით არ დააკლდებოდა. სად იყო არ მახსოვს (არაფრის დამატებას და გამოგონებას არ ვაპირებ, თუნდაც ასეთი უმნიშვნელო რამესი, და მაშინ სად იყო, ნამდვილად არ მახსოვს).

რალაცა თალხი პურის ფქვილი გვაქვს (ასე კირის დღისთვის). ცოტაა, ცხრა ხაქაპურის სამყოფი ყველი და პურის ფქვილი სადღაა. მუქის ტოლა კვერები რა გასაგზავნია და ბებია აცხობს საკურთხის ტაბლა-პურებს. ტაბლა-პურისთვის ცოტა ცომიც კმარა. გააბრტყელებ მრგვალად. ასე ცილის სიფართოვზე, ოთხ ყურს ამოუკეცავ, შუაგულში და ამონაკეცებზე თხელ, ორი თითის სიფართოვ ყველის სიფრიფანა ნაკურს წაადებ. დაადებ ცხელ კეცზე, შეორეს დაამხოვ, წაუშრება პირი, ცილაში გათქვეფილ კვერცხის გულს ქათმის ბუნდლით გადაუსვამ. გამოაშუშებ კეცებში. თუ საფუფრიაინია ამოვა, ამოფუფმეულდება, თვალი დაედგმება და ამისთანა ცხრა ცალი, თუ ვერ გასახელებს, არც თავს მოგჭრის.

ეს ძლივს გამოვიყვანეთ და ჩვენი საქმელი სადღაა, მაგრამ ბებია მოითმენს და ჩვენ რომ იქ მივალთ, უპატივცემულოდ ვინ დაგვტოვებს.

ჩაიწყვეთ ეს ცხრა ტაბლა კალათაში, გადავაფარეთ გობზე გარეცხილი, გაკრეცილი სუფთა ტილო და გზას დავადეკით. ბებიას სოფელი, მეზობელი

სოფელია — გალმა წყალტუბო, წინდაწინ როგორ გაგვეგზავნა მივალთ და გამზადებულს მივიტანთ. პირდაპირ სუფრაზე შეუძლიათ გაიტანონ.

ბებიას თავისსახლი ჩვენგან სამვერსზე თუ იქნება, ასე მოკლეზე — ბობოხიძეების კარზე თუ გადახვალ, მაგრამ გზა არაა. გორებია, ლეღე, დახრამული და დაორწოხებული აღმართ-დაღმართები. მივიღივართ, მაგრამ ნამეტანი გაგვიკირდა. ზაფხულია, სიცხეცაა. დავილაღეთ, გვასხამს ოფლო, მაგრამ ცხელი კი არა, ცივი. უთუოდ კალათაში ჩაწყობილმა ტაბლებმა გვიქნა (ზედები ჭერ კიდევ თბილი იყო და მაშინდელმა უაზოტო პურმა გამაბრუნებელი სურნელი იყოდა). იმის ბრალი ეს ცივი ოფლი.

გლახადაა საქმე. მოგვესერა მუხლები. ჩაეჭყქით, მაგრამ ვერ ვლგებთ. რალა გინდა რომ ქნა.

ეგერ, სარეცხელას ლელისპირზე კინქიხას წყაროცაა. მივლასლასდით და ვითომ ცივი წყაროს წყალი გვისაშველებს გვეგონია. მეტი არაა შენი მტერი. რა მოგვაწყურებს, პირში ხუმსი არ ჩაგვსვლია. თითო-თითო ტაბლა სულს ჩავეიბრუნებს კი არა, დევებად გვაქცევს და კიჭიკო ავალიანს ერთი კი არა, ასი კაცი რომ ჰყავდეს მოკლული, ჩვენი მაღლით არ წაწყდება.

რას აპირებ! მკვდარს, ისიც ოშში დაღუპულ მკვდარს, როგორ გინდა მოპარო „ლუკმა“. ძლომაზე ხომ არაა საქმე, თითო-თითო გვინდა. ისე არც შეიძლება პურები ლუწი რომ იყოს, და სწორედ კენტად დარჩება — შვიდი.

არა, ამას რა სინდისით ვიზამთ, მიცვალებულს. ისიც კიჭიკო ბოძიას, რავა გაგჭურდავთ, მაგრამ იქამდე ჩვენ ვერ მივალწევთ და ის შვიდიც იღუპება და ჩვენი ვიღუპებით?!

არა, არა! როგორმე უნდა ვიაროთ. ამ აღმართზე თუ ავალწიეთ. მერე თავდაღმართია, მერე კიდევ აღმართი, ისიც თუ...

არაა თავს ზევით ძალა...

პაპანაქებაა, არც ეს პური ცივდება:



ეგებ გაიყვანა. მაგრამ ძალის უნოსვა გეპყეს.

დავეცივით მუხლებზე და შევევე-  
დრეთ. შევეხვეწეთ. ვემუდარეთ ჭიჭი-  
კო ბიძიას სულს, ეპატიებია ასეთი  
მკრეხელობა, რაკი თვითონაც ხედავდა  
რა დღეშიც ვიყავით. ცხრაჯერ გადავი-  
წერეთ პირწევარი და თითო-თითო ტაბ-  
ლა ამოვამტრინეთ კალათიდან...

ხელები გვიკანკალებს. ვკამთ, მაგ-  
რამ ზურგში მიგვეცივია. რას იტყვის  
მიცვალებული, თქვენგან მაგას მოვე-  
ლოდით?!

მიცვალებული მიცვალებულია, ახლა  
გზას მარჯვედ დავადექით, მაგრამ იქ,  
რომ დაითვალონ და რაიმე გვითხრან?

მივედით, დანა კბილს არ გვიხსნის.  
ცეცხლი და აღმური გვექამა, არ გვერ-  
ჩია?

შევეხვეწე ძმას, შენ მიიტანე და მე-  
რე, თუ რაიმეს ალაპიდან მოგვეცემენ,  
სუყველა შენი იყოს-მეთქი.

ან იმას რა გამოსაჩინი პირი აქვს.  
მაგრამ, ალბათ, ჩემი ხსნა რომ იტვი-  
რთა, ამან გამბედაობა შემატა და შეი-  
ტანა სამზადში, სადაც ქალები ასეთ  
„შემოწირულებს“ მაგიდაზე ახორავებ-  
დნენ. მერე რომ სუფრასე გაეტახათ.

მასხამს ისევ ცივ ოფლს, გავთავდი  
სანამ ძმა უკან გამობრუნდებოდა, კი-  
დევე ყარგი, მაშინვე გამოტრიალდა და

ყარებიდაცე ჩაელომა. მაგრამ რა ვა-  
მატინებს, თუ სიტყვითაც **საბრუნო-საგანგებო**  
თხრა.

„არაფის არ დოუთვლია, ისე შიაცა-  
რეს კეთებში“.

— ჰო... შენ ავაშენა ღმერთმა!..

გვტაცეს ხელი: საკურთხი ბავშვების,  
შშიერის და ვაჭირვებულისაო. კინა-  
ლამ სუფრის თევში დავგვევს. „უბედურ  
ჭიჭიკოს, ხანდამწვარი მამაშენი რა-  
ფერ უყვარდაო. ახსენე მისი სული და  
ერთი ჭიქა ქე დალიე, მერე თუ არაო“.

სასმელს რავე წავეყარებოდი. მაგრამ  
ასე პირშეად რომ ვიყავი, იქნება მკრე-  
ხელობა შემინდონ-მეთქი და ჩაის ჭიქა  
მეავე ღვინო დავცალე.

აგერ მადგას ჭიჭიკოს გადიდებული  
სურათი და გამარცხვლმა მკვდარმა,  
რომ თავი გადააქნია, დავყარგე მარა-  
დავყარგე არა მარტო მაშინ, მერეც,  
საერთოდ, სამუდამოდ...

დიღხანს, დიღხანს მაინც ცოდვასა-  
ვით მაწვა და სხვა დროსაც რომ ვყო-  
ფილვარ „ავალიანებში“ სტუმრად, კე-  
დელზე დაკიდებულ, ჭიჭიკოს გადიდე-  
ბულ სურათს თვალს ვერ ვუშართავდი  
და თუ იმ ოთახში არაფის იყო, ფეხს  
ვერ შემადგმევინებდი.

ალბათ, ნამეტანი უსაშველო გვჭირ-  
და, თორემ მკვდრისთვის კი არა, ცოც-  
ხლისთვის არაფერი მოგვიპარავს.

**მათე და პარმილა**

სოფელი გუბისწყალი.


ძლივს მახსოვს, ფოტინე დადუნაშ-  
ვილთან რომ მდგმურად ვიდექით. მე-  
რე ერისტო ხეჩიასას. მერე შოლად  
მაშიდასთან რომ გადავედი (მესამე  
კლასში). მათე ნაჭუქიას ოჯახში გვე-  
ლო ბინა და ბოლოს პოლიგარბე ჭო-  
ლოკავასას.

მდგმურს, ამ შემთხვევაში, ამ სიტ-  
ყვის პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გა-  
ვიგებთ. თითქოს მაშიდა, თუ სასოფლო  
საბჭო. რაღაც გროშებს უხდიდა სახ-  
ლის პატრონს, ჩვენ ჩვენ ოთახში ვი-  
ყავით გამოკეტილი და მასპინძელი კი-  
დევე თავისთვის, ჩვენ ყოველნაირად იმ

ოჯახის წევრები ვიყავით, სადაც ბინა  
გველო და იმ ცხოვრებით ვცხოვრობ-  
დით, რითაც ჩვენი მასპინძლები.

მართალია, სამთვლიანი ოდა-სახლში,  
ერთი ოთახი გვეჭირა. მაგრამ ტიხარს  
ჭერიდან ნახევარი მეტრის სიმაღლე  
შეუმინავი ჩარჩო ჰქონდა დატანებული  
და ამას გარდა, ფიქრის სამკედლავს  
რა საიდუმლოს შენახვა შეეძლო. ეზო  
ერთი იყო და საშხადი. გარდა ზაფხუ-  
ლისა და სხვა არდადეგებისა, უაძინ-  
ლობის დროს, შაბათ-კვირასაც იქ ვა-  
ტარებდით.

მათეს და ალათის ქალიშვილები გათ-  
ხოვილო ჰყავდათ. ერთადერთი ვაჟის



მიშას ოთხ შვილთაგან ბიჭი, რაკი სოფელში მანამდე მხოლოდ დაწყებითი სკოლა იყო (ჩემი მოწაფეობის დროს გადაკეთდა არასრულად. ჩვენ ვიყავით პირველი მეზუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასელები). მათეს ეს უფროსი შვილიშვილი, წყალტუბოში სწავლობდა (დედამისი, მამა, მაინცდამაინც ვერ ემადლიერებოდა მის განათლებას). გოგონებიდან, ლოლა ჩემთან სწავლობდა, საშუალო — ბუთუნა, პირველში და უმცროსს — ეუყუნას, კიდევ ორი წელიწადი უნდოდა, რომ სასკოლო გამზადარიყო. ეს პატარა, გალუული, თვლებად ქცეული გოგუცანა, მის დებსა და ჩვენ (ჩემი ძმაც მეორე წელიწადს ჩვენთან გადმოვიდა) ყველას ერთნაირად, გამოირჩეულად გვიყვარდა და ვმზრუნველობდით.

მათეს ორი ძმა ჰყავდა: ამბაკო და ერმილე. ამბაკო ცოტა მოშორებით, ერმილე კი იქვე, გვერდით სახლობდა — მესრის დაბალი ღობე ჰყოფდა მათ ეზოებს და ისეთი დაბალი ალაგე, ჩვენ — ბავშვებიც კი, ფეხის გადალაჭებით გადავდიოდ-გადმოვდიოდით.


ერმილესაც ოთხი შვილიშვილი ჰყავდა: სამი ბიჭი და ერთი გოგო. უფროსი — მიტუშა ჩემთან სწავლობდა და მომდევნო — საშა, ჩემ ძმასთან. ბიჭებს მაინც ბიჭებთან გვიწევდა გული, ერმილეს ოდაც უფრო მალაღზე იდგა და სახლს ქვევით ამოდენა ფართობი სრულიად გამოუყენებელი იყო. ასე რომ, წვიმაში და უამინდობაშიც გვექონდა თავშესაფარი და ერთად სათამაშო პირობები. ხშირად გოგონებიც იქით გადმოდიოდნენ და დღე არ იყო, დედამამიშვილებით ერთმანეთის გვერდით არ ვყოფილიყავით.

ბავშვობაშიც და ისიც ასე, სკოლაში და სახლში ერთად ყოფნით, რა არ ხდებოდა. მაგრამ არ მახსოვს, წავეყინკლავებულყავით და ერთმანეთისაგან უბრალო, უმნიშვნელო წყენა შეგვხვედროდეს. მოგუხსენებათ, ბავშვი ბავშვია და ისე, როგორც სხვებს, სიამოვნებაც შეგვეძლო ერთმანეთისთვის და უსიამოვნებაც.

ჩემს, ჩემს და შვილებს, მაგრამ არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ მომხდარა, რაში იყო საჭირო, ვისმე გვიკრძალავდა, შეგზობარს არ აწყენინო, ან გული არ ატკინოო? არ მახსოვს ვინმეს, თუნდაც პედაგოგ-მამადაჩემს, ამის შესავსი რამ ეთქვას. ალბათ, მეტყუოდა, საჭირო რომ ყოფილიყო.

საოცარი ოჯახები ჰქონდათ. ჩემი ხსოვნებიდან არ ამოვა მათესა და ალათის უწყინარი ურთიერთ ღრმა პატივისცემა და სათნოება; არაფერს ზედმეტს რომ არ იტყოდნენ; ერმილეს და ანეტას განსაკვირვებელი ხასიათები, მაგრამ ისეთი ურთიერთგამგები (ანეტასგან დამთბობი) და შემვრდობი; ახლა, აქედან რომ ვუყურებ, ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანებზე და მემჩანობაზე ზევიდან მაკერალი ქართველი გლუხაკების სიბრძნედ და კეთილშობილებად მესახება; არც ერთს წიგნი არ ჰქონდა წაითხული და წერაკითხვა თუ ძლივს იცოდნენ. ისიც ქართული ანბანის საოცარი სიმარტივის და უბრალოების გამო.

ოჯახი, უსიამოვნების გარეშე, რა ოჯახია. ადამიანების სიხალოვე და მეზობლობა, ცხოვრების სიმძიმე და სიღუბნეობა შშობელ დედასთანაც კი წაგკიდებს. აბა, ავსტრალიელ აბორიგენთან რა გესაქმება. მაგრამ ცხრა ხატზე შემძილა დავიფიცო, მათ ოჯახებში, წლების მანძილზე, ხმაბალი სიტყვა არ გამიგონია. არადა, კაცის ისედაც გაუსაძლის ყოფას, ომი, „ვოი“ და „ვუი“ ზედ დაემატა (წაიყვანეს მათეს შვილი და შვილიშვილი, ერმილეს ორი ვაჟიშვილი, უმცროსი უკოლშვილო. ომის შემდეგ მათეს შვილიშვილი დაბრუნდა, ერმილეს — უმცროსი შვილი). და თვით ამ ომის და ზოცვა-ყლუტის, შიმშილობის და დარდის უბედურებაშიც ვერ შეარყია მათი ურთიერთ ღრმა პატივისცემა და ბრძნული სიძარბაისლე. თეოლინე (ერმილეს ძმალი), ოთხი შვილის დედა, სოიის, ლობიოს, ან ცერცვის „დოფხოკებს“ რომ ერთმანეთზე შემზობილი თუჯის ტაფებიდან



გამოიღებდა, თავისი შვილებისგან არასოდეს გავეურჩევივართ და ლუკმას რომ გვიყოფდა, ხელი არ აქანკალებია. ალბათ, ამ ოჯახების იმდროინდელ ყოფაზე განზოგადება გაჭირდება. რაკი შიმშილი ისეთი დაუნდობელია, ნიკო ლორთქიფანიძის „უგმირო ტრაგედია“ უფრო ადამიანურია... მაგრამ ესაა. ალბათ, რომ ამ სტრიქონებს მაწერინებს და იმ, აწ გარდასულთა, სახეებს ჩემს ხსოვნაში შარავანდელით კმოსავს.

ისტორიას და ხელოვნებას უფრო დრამატული სიუჟეტები ხიბლავს და მათეების და ერმილეების სახეები ვერ შემოგვინახა. თორემ ქვეყნის ბედს არა ვინმე მოღალატეები, ძმის გაუტანელი და ლუკმის არგამყოფი, ან თითო-ორთა გამორჩეულად ერთგული და გმირი კი არ განაგებდა, არამედ უხმაურო, ოჯახშიაც კი ხმაშალალი სიტყვის უთქმელი, კირთა მთმენი და მოყვასის დაუყოვნებლად, დაუნანებლად ლუკმის გამყოფი ხალხი ჰქმნიდა. და ჰქმნიდა ისე, რომ მან ეს არ იცოდა, მათეს და ერმილეს არასოდეს უფიქრიათ თუ ისინი ესოდენ კეთილები და ღვთისმოსავნი იყვნენ. მათ ოჯახებში ხატიც კი არ ეკიდა, სოფლის ფიცრული ეკლესიაც დალბა და დაინგრა. პირჯვარს ძილის წინ თუ გადაიწერდნენ და ზეპირად „მამაო ჩვენოც“ კი არ იცოდნენ. და მაინც, როგორ ჰგაფდნენ ქრისტეს მოციქულებს (მათე გარეგნულადაც კი: მოკლე, შეჭალარავებული, სიღურჯე-წაერთული წვერით და სიკეთის მფარავი ბნდუ ნათელით თვალბდანისლუ-ლი). ალბათ, ოცდახუთი წლის მერე, მე რომ უბისის ფრესკებზე დამიანეს მოციქულები ვნახე და შემძრა იმის შიშმა, ამ წმინდანებს საიდან ვიკნობდი-მეთქი. ახლა ვხედავ, რომ ესენი ის მათე და ერმილე იყვნენ, რომელთაც არც ერთი სიტყვა არ დაუწერიათ, რაც მახსოვს, თავიანთი ეზოდანაც შორს არ წასულან და მაინც ბიბლიური, სიკეთით სავსე უბრალოებითა და ჰეშმარიტებით განვლეს თავიანთი წილი წუთისოფელი და როგორც ჩვენთვის ერ-

თი დამრიგებლური სიტყვა არ უთქვამთ მაგრამ ჩვენ ურთიერთობაში მარტო ზიარ კურკელში, უხმოდ დასუფიანდ-როდ, უთქმელად და დაუყვედრებლად გადმოდირდა მათი შეუცნობელი ცხოვრების სიბრძნე. ასევე უდრტვირველად, უანდერძოდ და შეგონებების გარეშე წავიდნენ ამქვეყნიდან. ისე მიი-ცვალნენ, აზრად არ მოსვლიათ, თუ მათი ცხოვრება გამორჩეული იყო და ვინმესთვის მისაბაძი. როგორც მათ ეზოებში ვეება ბებური მსხლები ყოველ წელიწადს ისხამდნენ (ერმილეს სასელო მსხალზე ბუღბული იკეთებდა ბუდეს) და მწიფე ნაყოფი ძირს ზამა-ზუბით ცვივრდა, ჩვენ, ბავშვები და ფუტკრები ვეხვიეთ და სარჩოდ და თაფლად ვიყოფდით. როგორც მათმა და-რგულმა ხეხილმა არ იცოდა თავისი ნაყოფის ფასი, ისე მათ არ შეუცნობთ თავიანთი შრომის და „მოძღვრების“ ღირებულება. ბუნებასავით უშუალონი იყვნენ, დაუყვედრებელნი და არმემც-ნობნი თავიანთი სიკეთისა და უშურვე-ლობისა.

ორი კვირის წინ, ერთმა არქეოლო-გმა მიპასუხა, როცა მე მადლობის თქმა მოვიდნომე მისი თოთხმეტწლიანი გათ-ხრებისა და ნამარხების მხილველმა: „მე მშურსო — არ მაცალა ბატონმა რა-მინმა — იმ არქიტექტორების და აღმა-შენებლებისა, ამოდენა ძეგლებზე რომ არსად თავიანთი გვარის და სახელის ინი-ციალებიც კი არ დატოვეს“.

ჩვენ კი...  
 დღეს მართლა რომ მოვიდნომოთ სადმე, უანგაროდ, ერთი მტკაველი ქვის დადება, თუ იქიდან გაკეთებას არ მოველით, ოთხივე გვერდზე სახელს, მამის სახელს და გვარს მაინც გამოვა-ჩუქურთმებთ (თუ ზედ მთელი ბოგრაფია არ მივაყოლეთ). შთამომავლობამ დაკვიფოსოს, აგერ, უსასილოდ, ქვე-ყნისთვის, ერთი მტკაველი ქვა გავიძე-ტეთო.

ორივე ძმას, ვეხახისა, ყახისა, ბოს-ტინისა და უამრავი ხეხილისა (რა-საც კი მათი საკარმიდამო, ციდა მიწა

არც იტყვდა) ჰყავდათ ფუტყარი. მათეს ყუთების სკებში, ერმილეს — კოდებში. ომამდეც კი (შვილებს თავ-თავიანთი საქმე ჰქონდათ) უჭდა ერმილე ცერზე დაყენებულ არშინის დიამეტრიან, მეტრი სიმაღლის ტყემლის, ან მსხლის მორს და თავიდან ბოლომდე ბირდაბირით მარტოდმარტო ხერხავდა. მარტო გაჰქონდა და გამოჰქონდა (ხერხი ძველებური იყო, ზარივით წკრიალა ფოლადი). რა მოთმინება და ნებისყოფა გინდა ადამიანს, ძვალევით ხე ნაზარდის კვლობაზე ჩახერხო. როცა გამწვიც არა გყავს და მერე ნაჯახით, სატოხით და ხელეჩოთი ამოკრა-ამოასუფთაო და ერთხელაც არ დაიჩვილო. ჩვენ — ეზოში მოსტრიალე ბავშვებს ეს დაგვინახია, მაგრამ თუ რაიმე სიძნელეს წარმოადგენდა, მაშინ წარმოდგენაც კი არ გვქონდა.

ან მათე...

მათე უფრო ხელგაწაფული ოსტატი იყო.

ჩვენ რომ ოთახი გვეკირა, სახლს იმ მხარზე ჰქონდა მოხურული... მოხურული კი არა, გადახურული. და მთელი გვიანი შემოდგომა (ამინდები რომ წახდებოდა). ზამთარში და წვიმიან გაზაფხულზეც, უთენია, მათეს ნაჯახის ცემა გვალვიძებდა და დაღამებამდე, სადილად და ხელის გადასათბობად... ხელის გადასათბობა მუშაკაცს რაში სჭირდებოდა, ყალიონზე ნაკვერცხლის დასადებად თუ შევიდოდა სამზადში, (ყალიონს ალათიც ეწეოდა), თორემ სამუსაიფოდაც ჩამომჯდარი არ მინახავს. თლიდა კავს და უღელს, ქუსლს და ერქვანს, ურმის ზელნას და ლერძს, ბორბლის მორგვს და ფერსოს, დათვას და ყვერას, ქვეშადადს, ფრჩხილას და ზეწარს... ოჯახისა და მეზობლებისათვის: ჩოგანს, სუთს, კოვზს, ბარამბას, სუფრას და ჭორკოს... და ძმები ისე ჩავიდნენ მათ ნაერთგულევი მიწაში, მე არც მათი ავადმყოფობა და არც გაჩერებული ხელი მინახავს...

ვენახიც ჰქონდათ, ზედ ელეოდნენ ისე უვლანდობა ტყემარიც იცოდნენ და

მასპინძლობაც, მაგრამ იმ ღვინისა და ზიარების მაღლი გამიწყურეს, თუ ისინი, ერთხელ, ერთხელ მაინც ფეხშეშლილი მთვრალი მენახოს.

...დავსდევ ფუტყარებს, ან მუხურიდან მომყავს, ხან ახალდაბიდან, ხან სურებიდან. დავეძებ ხელოვნურ ფიქსა და ორჩარჩოიანი ციბრუტიც მაქვს და სამჩარჩოიანიც. ხან ხეებზე დავპოტიწნობ ნაყარის ჩამოსაყვანად, ხან სახრჩოლებელ აბებს ვეძებ პარაზიტების გასაწყვეტად. თიანეთის ტყეებიდანაც კი ჩამოვიტანე, საბოლებლად, ხის სოკო. მის ღლეში ჩემი დაბადება არ მომგონებია და ოც სკაში, რა ხნის, რა დღეს და რა მთვარეზე დაბადებული დედა ფუტყარი მყავს, ზეპირად ვიცი.

და მეკითხებიან, შენ მეფუტყარე ხარ თუ?..

ვხერხავ, ვთლი, ვრანდავ, ვკვდავ. ოთხი წლის წინ, ბინის რემონტის დროს, ელექტროშალაშინში სალოკი თითი მომყვა და ფრჩხილის ძირამდე წამაწყვიტა.

უკვირთ: შენ ხურო ხარ, ღურგალი, თუ?..

ვაშენებ, ვკვდავ რკინას, ვბურღავ, ვტოხავ, ვკოდავ... ხან ტალავერზე ვკიდივარ მკლავით და ხან ხეებზე ვარ გადებული საფრთხობელასავით. ვრგავ, ვსხლავ, ვთხრი მუდოსავით მიწას და შიგ მივძვრები.

რაო, შენ მეურნე ხარ, მევენახე, მეღვინე, თუ?..

რა გვირსო, — კეთილისყოფელი კაცს არ დაეღევა, — კალატოზი ხარ, კვითხურო, მკედელი, მებუხრე, თუ?..

ჰო, მართლა, ამ გახსენებაზე! მანქანის ღვედი მაქვს გამოსაცვლელი. ძველი, უხარისხო, დაიწეა, ცურავს, დინამოს ველარ აბრუნებს და აკუმულატორს დამიჭენს. ზეთიც გამოსაცვლელი მაქვს...

და გაოცებისას მტერ-მოყვარე, ნაცნობ-მეგობრები: რა გვირს, შენს თავს რა ღვთისწყობაა, ქვეყანა განათლდა. გაკეთდა, აყვავდა. ათასი გართობაა. გულგასახარი და თვალსასერიო, საქეი-

ფო და საღრებოზო, სალაღობო და საა-  
შეკო. შენ რა ბრალი გადევს ასეთი, რა  
შესცოდე ამისთანა ღმერთს და კაცს,  
რომელი ციხე გაულე მტერს და რომე-  
ლი მონასტერი დაანგრე, რომელი  
წმინდანი შეურაცხყავ და რომელი ხატი  
ტეხე. რა ავაზაკი და მკრეხელი ხარ,  
რომ მთელი სიციცხლე, დღედაღამ მარ-  
ხვით და ჭაფით ვერ გამოისყიდე. არც  
ის გიჭირს, ახლა შენ ხმელა პურზე იჯ-  
დე... ვიცი, ოთხი წყვილი ყანწი გაქვს  
(მათ შორის ერთი, კაც ცხრა ჩაისჭიქი-  
ანიცაა). რად გინდა ის თაფლი და ღვი-  
ნო?... შენც მოიღხინე და ჩვენც მოგ-  
ვალხინე. შენთვის გუებნებით, თორემ  
არ იფიქრო, ჩვენ შენი ხშიადისა და  
ღვინის მშვიგრები და მწყურვალნი ვი-  
ყოთ. ჩვენი... ჩვენი იყოს პურიც და  
ხაჭაპურიც, ნუნუაც და ზედაშეც, მოე-  
შვი მაგ მჭირისა და განდევილის თა-  
მაშს, გამოდი მაგ სოროდან და ბუნაგი-  
დან, სად რას თხრი და რას ახუხულა-  
ვებ, კაცი რომ ვერ გაიგებს. მოდი,  
გადაგვხვიე ხელი. აგვიწყე ფეხი, ხმა,  
მაჩისცემა და ერთხმად შემოვძახოთ  
„წუთისოფლის სტუმრები ვართ“... ვი-  
თომ, შე ეშმაკო, ჩვენზე ნაკლებად იყო-  
დე, დღესა ვართ და ხვალ ვიქნებით თუ  
არა...

— რავე არ ვიცი... მაგი მე თუ არ  
ვიცი, ვინ იცის, თქვენ მაგაზე ჩემდენ  
როგორ იფიქრებდით, ან ჩემდენი  
გეცალათ.

— მერე, თუ იცი, ესაა?!

—რა ვიცი!.. რომ არ ვიცი, რა გით-  
ხრა ჩემო კეთილისყოფელო, ძმაო ჩე-  
მო და მოყვასო, რა მჭირს, რა ამბავია  
ჩემს თავს, რომ არაფერი გამეგება რა  
გქნა, რა წყალში გადავვარდე? ასე შე-  
რცხვენილმა, შეუსმენელმა და პირშაე-  
მა რა პასუხი გაგცეთ...

თუმცა...

თუმცა... მთლად რომ მე გამწიროთ  
და მარტო მე დამატეხოთ თავზე ამდენი  
ნი ცოდვა-ბრალი, ყველაფრისათვის მე  
რომ დავისაჯო და ვეგნო, არ იქნებით  
ცამდე მართალი, არ იქნებით მიუკერ-  
ძოებლები და პირუთენელნი.

კოტა რამ... ჩემი ამდენი მიუტყვებე-  
ლი ცოდვებისაგან, ღმერთო შე-  
მინდე. და, მათესაც უწილადეთ.  
კოტა... კოტა... მათეს და ერმილეს.  
სულ კოტა, ნათელი დაედგას, ალათი-  
საც და ანეტასაც, მაშოსაც, ღმერთმა  
აცოცხლოს, თეოლინესაც... რაღა თქმა  
უნდა, სულკურთხეულ ბებიაჩემს და  
მამიდაჩემს... და ასევე დეიდაჩემებსაც...

ალათი

— ბებიაშვილობას, შენ გაზრდას და  
გახარებას, რამეფრათ ჩემ თავისახლს  
გამეიარე ნაკლასებს და ი ბიჭის ამბავი  
გამიგე. — მეხვეწება დილაუთენია,  
სკოლის გზაზე დამდგარს, ბებია.

„ი ბიჭი“ — ილარიონია, ბებიას უფ-  
როსი ძმა. მაშინ ას წელს ბევრი არ  
უქლდა (ას ორი წელი იცხოვრა). იქვე  
სახლობს ბებიას უმცროსი ძმა — ლა-  
ვრენტე და შუათანა ძმის ქვრივი —  
ალათი.

ბებია თავის სახლზე უფროსი ძმის  
სახელით ლაპარაკობს და ყველა იქაუ-  
რი იგულისხმება. მაგრამ განსაკუთრე-  
ბით ომში დაკარგული ძმისშვილების  
ბედი აწვალებს: ჭიჭიკო მართლა დაი-  
ლუმა, თუ რაიმე ამბავია, ან ვაზტანგი

უგზო-უკვლოდ დაიკარგა და დაიკარ-  
გა?

ილარიონი, როგორც კი თვალს მომ-  
კრავს, მაშინვე, მიცნობს, მიხალოვებას  
არ მაცლის, შორიდანვე მკითხავს:

— ბაბუა, ი ძღამი რავეა? — (ი ძღა-  
მი — გოგო, ბებიაჩემია). — ვეჩელოეს  
არაფერი გაგიგიათ? — მე ვდუმვარ.

ილარიონისაგან ლავერენტის ეზოს გა-  
დავივლი. იქაურებს მოვიკითხავ. იქაც  
ის მეორდება: ბიძაჩემის ამბავი ზომ  
არაფერი ვიცი და ალათისას გავწევ.  
ალათი განაკიდეში სახლობს. იმის  
იქით აღარც მოსახლეა. არც გზა და  
არც კვალი. ცისმარე დღე ისე ჩამოა-  
ლამდება, კიშკართან არავინ ჩაივლის.  
ალათის ერთადერთი ვაფიშვილია ვახ-

ტანგი. ისიც, ჭიჭიკოსავით, სავალდებულო სამსახურში იყო, იმ წელს ამთავრებდა, დღეებს და ღამეებს, აკანკალებული ხელის თითებზე, ითვლიდა ალათი, რომ მეტი დაეცათ და მას მერე აღარაფერი ისმის, ჩაებნენ ომში დედა — აქ, შვილი — იქ.

ქვრივ დედას ისე ეჩქარებოდა და სული მისდიოდა ვაჟი მოსწრებოდა, პატარაობისას, თურმე, ბევრს აკმევდა, იქნებ ზორცი შეიბას და უცებ გაიზარდოსო. ბიჭიც ისეთი ხათრიანი იყო, უარს ვერ ამბობდა და მერე მონელება უჭირდა. ალათი შვილს ეზოში არბენინებდა და ახტუნავებდა, რომ ღამით მუცლის გვრემას არ შეეწუხებინა.

გაიზარდა, მაგრამ არც მალალი და არც ფერვანი. თვალბედაყვლებილი შავტუხა, ხმელი ყმაწვილი იყო, ხათრიან-ღიმილიანი.

დედამისს — ალათი ცინცაძის ქალს, ვაჟიშვილი შვიდ საათში ერთხელ მაინც რომ არ ენახა, დარღზე ჭკუა არ შერჩებოდა გვეგონა, და უკვე მეშვიდე წელიწადი მიდიოდა, ნახვას ვინ დაეძებს, რაც ომი დაიწყო, მისი ისავალ-დასავალიც არ ჩანდა: უგზო-უკვლოდ დაიკარგა, წადით და ეძიეთო.

ბებია ეძებდა — ალათისთან მგზავნიდა, ალათი დამინახავდა — იმედს გაიჩენდა — იქნება სასწაული მოხდა, ამათ იციან რაიმეო. მე — „ღამნაშავეს“ იქ — ალათისთან ჩამივარდებოდა ენა და უკან დაბრუნებულს — ბებიასთან.

ეზოს კუნძულში ნალია ედგათ და შუა ეზოში ძველისძველი, ერთი თვალი ჭობი პირდაპირ მიწაზე. სამზადიეც ის იყო, საწოლიც, მისაღებიც და სასტუმროც. ვახტანგის სურათიც იქ ეკიდა, მაგრამ უფანჯრო, ბურუღიან ჭობში, კარს თუ მიზურავდი, თვალში თითს ვერ მიიტანდი. უკანა აივანში საჭონლისთვის ჰქონდათ შემოფაცხული, შიგ ერთადერთ ძროხას მობრუნება უჭირდა.


ამისთვისაც მისდიოდა სული ალათის, იქნება ვაჟიშვილი ჩქარა წამოიზარდოს, სანამ ცოცხალი ვარ, ერთი თვალი ოდა

მაინც დავიდგათო... ახლა მეშვიდე წელიწადია, ნაკლული თვალია ჭიჭიკოსკენ ჰქონდა და შვილი კი არა, ფოსტალიონიც არ ჩანდა.

მწირი, თეთრმიწა ნიადგაიანი ეზო აქვთ, არც ხეხილს ამტვრევს ნაყოფი ტოტებს, მაგრამ ალათი ბებიას ღელვის, ბიის, უნაბის, ვაშლის, ქლიავის და რა ვიცი რისი ჩირით არა აქვს ჩვენთვის გამოტენილი ზანდუკი. ვახტანგი რომ ზამთარში ჩამოვიდეს, ან გაზაფხულის პირზე, იმდენ ხანს ჩვენში ხილი არ ინახება.

ჩირს მარტო ალათი ბებია არ ინახავდა, მაგრამ, ეს თვალნაკლული მოხუცი, საბაზროდ ან თავისთვის კი არ ახმობდა, რომ რაც ხელში მოხვდებოდა, ან ქარი ჩამოჰყრიდა ის დაეჩილა და ძაფზე აეცვა. შვილისთვის და სტუმრისთვის იმარაგებდა, კაკალ-კაკალა ნარჩევს, თავისთვის გაუმეტებელს, გადაუმწიფებელს და ამიტომ მის ნუგბარს იმისთანა სიტყვო და გემო ჰქონდა, არაფერში რომ არ გაერეთდა. წლიდან წლამდე ხილფაფის ტუბილიკვერს, ჭყურტა მსხალს, შაქარბროწყულს, თხილს, წვრილ შავ ხურმას, მოცვს და რა ვიცი, იმდენ რაღაც-რაღაცებს უყრიდა თავს და ჰქონდა ზანდუკში ჩაჭუჭკნული, შენი გამოჩენით რომ ლიბრწაყრული თვალები აეხილებოდა, კიდობანს გულივით გაგისხნიდა და როგორც სიყვარული და ალერსი, ისე სასუსნავი არ დაეღეოდა.

გვეფერებოდა, თავზე გვევლებოდა: თქვენი ჭირის სანაცვლოდ ვიყო, თქვენი ავი და სნება შემეყაროსო, თქვენი სატკივარი და საწუხარი მეო, თქვენი სიხარული და ბედნიერება არ მეყოფა, საკუთარი არ ვინდომოო?.. ეს ართვალი, კაფანდარა, აცახცახებული ქალი ყველა შენ სიმწარეს, უღიბლობას, დარდსა და ვარაშს, ჭობის კართან, მოსახამივით მოგხდიდა და თვითონ მოირგებდა (ვითომ თავისი არ ჰყოფნიდა) და, სანამ მასთან იყავი, ხომ ამოგასუნთქებდა, ამით თვითონაც ეშვლავათებოდა.



ბებიას სხვა რძლებს უჭირდათ თავის გასაჭირზე შენიც დამატებინათ და ამიტომ თუ იყთ, რომ გული მათთან დიდხანს არ მიდგებოდა. მიკითხ-მოკითხვისა და ვალის მოხდისთანავე ალათი ბებიას მივაშურებდი და ბინას მის ქოხში დავიდებდი.

გლახადია საქმე. დედამ შვილის შვიდი წლის ქაჯრს და ვარამს რა სასწაულოთ გაუძლო არ ვიცი, მაგრამ ძველისძველმა, დახავსებული ისლის ბურულანმა ქოხმა ვეღარ. მალეობზე სახლობდნენ, საქვენაოდ ქოხს წვიმა გამუდმებით ასხამდა. ბოლოს და ბოლოს, მუხაც ლებდა და საძირკველს ჩაქილუქებული თავი წატეხია და ლაფაროში გავარდნილა. საძირკველნალაატევე, ჩატობილში ჩარგებულ, ასევე თავწამბალ ბოყვს ძირი გაქცევიდა და ამოღარულში ჩაწყობილი, უკოტაო თხელი კედელი ჩანგრეულა. გამოგლეჯია გვერდი სახლს, უბერავს ქარი და შიშხათი, შუაეცხლს არ აყენებს და ისედაც თვალნაკლულ ალათი ბებიას კვამლი და ნაცარი თვალებს თხრის.

ზიხდი ამინდია. ვინკლავს, თქორავს, იწყუმბლებს. ჭყაბუნებს ლაფაროში მქვარტლიანი ისლის მოყვითალო ნაწრეტი...

ალათი, სახლს გვერდი გამოენგრაოდა, ამისთვის, ისიც ბავშვს, შეგაწუხებს კი არა, მაზღებისთვისაც არ გაუგებინებია. ქოხი თავზე რომ დაეცეს და ნანგრევებიდან გამოყვანა მოუენდომო, არ გაგრჯის. ვახტანგს, მეშვიდე წელიწადია, სად სძინავს არ იცის და თვითონ, ნიავმა რომ არ დაუბეროს, ისეთ დამისსათევს ინდომებს?

საძირკველგავარდნილი სახლი სანამდე გასძლებს, ერთი ღონიერი ზენა ქარი რომ ამოტყდეს, ალათი ბებიას და მის ქალიშვილს ბელურებივით გამოორეჯგავს.

ჯერ, საერთოდ, რისი შემძლებელი ვარ და მერე, რა იარაღი და მასალა გამაჩნია. ერთი ტარგატეხილი ნაჯახი აგდია აივნის სოხანეზე, ისიც გასალესი. კარგი, ამას წაელესავ და ტარს თუ

არ გამოვეცვლი, ბაწრით შევკრავ, აჩქიმედის ოჯახი ააშენა ღმერთმა საძირკველის წესი ხომ მასწავლა და ჩემს სუსტეს და უღონობას უშველა. ლაფაროდან აუუკეტებ გავარდნილ საძირკველს მწიფე აკაციის სარს და იქნებ დავებრუნო ადგილზე, მაგრამ თუ რალაცნაირად არ დამამგრე, სადაც მთელი საუკუნე იდო, არ გაჩერდა და რაკი აიწყვიტა, ახლა ალათის ლოცვა და გაჭირვება დააბამს? სადაა ამოდენა ლურსმანი, ხელს რომ ვერ შემოაწვდენ, იმისთანა საძირკველში გაუწიოს და ისიც მუხის ხეში გავიდეს.

ბოყვს ძირში ჩავთლი და ჩავუცვლი. ზევით სარტყელში კაი ძალზეა გაყრილი და დამოკლებას აიტანს. ბოლოს, იქნება კედლის ფიცრებიც გამოედგა, მაგრამ ეს საძირკველი თუ არ დავამაგრე, ისევე გაექცევა და ეს კი არა, შეიძლება სახლს სხვა ბოყვებმაც უმუხთლონ.

ვახტანგის ქარში წამყვანს და მერე ომში დამკარგავს მარტო ალათის და ჩემი ცოდვა არ გაახარებდა. რაც ჩვენ იმ ევაგში დღე დავგავდგა. აუუკეტე აკაციის გრძელი სარი საძირკველს და გოჯა-გოჯა ვაჩოჩე. საზიდავად ის სარიც მყოფნიდა და ზედ სახურავიანი, კედელდამენებული მუხის საძირკველის ადგილიდან დამერა არქიმედის თანადგომითაც როგორ შემეძლო, მაგრამ არ შეგვიძლია იცის დასანგრევად განწირულად სახლმა? ან, ალათი ბებია, რაც შეგვიძლია იმას განებებს? ჩვენი ავის და ქირის მზიდველი იყო და თავის დანგრეულ ქვეყანას შენ ავაშენებინებს?

მივართე საძირკველი, ვითომ თავის ადგილზე. ახლა ისე მჭიდროდ კი არ ეხუტება, თავიდან რომ იქნებოდა, მაგრამ ღრიქოს და ღიობს დაეძებ? კინკით და ფუჩეჩით ამოტენიან. შენ ეს მითხარი, რითი დავამაგრო. ძალუმ პალოს დავუსობ გარედან საძირკველს, მაგრამ ლაფაროა, წყალი დგება და ესეც რომ არა, პალო დააკავებს? რომ მიაწვება, წაიღებს, მოთხრის. რაიმე მსხვილი, გრძელი მავთული რომ მომცა, ამ საძირკვილიდან იმ გვერდის სა-

ძირკვლის თავში მოვდებ, მერე რკინის ძალაყინსაც არ დავეძებ, ხის პალთი გადავწრიახებ, მოიჭიმება და დაიჭერს, მაგრამ მავთული და ბაგირი ვინ მოგაშავა.

შეშა ყრია ბოსტნის ღობესთან, იქნება რაიმე გამოვძებნო უფრო საიმეოლო.

ორად გატოტვილი ვაშლის მომსხო ტოტი ავღია ტბის თავთან (ტბა — ორმოა, წვიმის წყალი გროვდება), თებერვალში რომ ზენა ქარს მიჰქონდა ქვეყანა, მაშინ ჩამოუხლებია შაქარავაშლაზე, ჯერ კიდევ ნედლია. ნედლი სჯობია, ლურსმანს უფრო გავიყვან.

განშტობებაში ცალი ტოტი ისე მივაჩეხე, მსხვილი, ღონიერი კაკვი გამომსვლოდა. ორი ნაჯახის ტარის სიგრძეზე გადავჭერი და ორივე გვერდი ჩავუთალე. მოვდე კაკვი ისევე ლაფაროში გასაქცევად შეწყობულ საძირკველს. ნაქედი, ძველი, ძანგიანი ლურსმანი გავასწორე, ნაჯახის ყუთით რიყის ქვაზე ბოლო წავებრტყევე, ვანერწყვე, ვუსველე წვერი და ნელ-ნელა, როგორღაც წინა კედლის საძირკველზე მივაჭედე.

ახლა ბოყვის ძირი მაქვს ჩასაცვლელი და მერე კედლის ფიცრები გამოსადგმელი. ალათი ბებიას მარტო საძირკვლის დამაგრება რას უშველის, თუ სახლს გვერდი გამონგრეული ექნება. რაღაცა, ისე უნდა შევამაგრო, ვახტანგის ჩამოსვლამდე როგორმე გაძლოს.

დალამდება აწი საცაა. ამინდიც ისე უქმურია, ნოტიო ხეში და ქვაში ატანს. გამჭვარტლული, გალუმპული მძიმე ფიცარი ხელიდან გიცდება, ტალახში გივარდება, ისევე ებლაუტები, წვალთბ, ბორძიკობ და რამდენს მეტს ცდილობ და ფაციფუცობ. იმდენს ავგიანებ.

ისე ჩამოლამდა, ვერაფერს ვაგზდი. კერაზე კი დაანთეს კარგი ცეცხლი, მაგრამ გარეთ როგორ გამინათებს. კრაქი მაინც გვქონდეს. არა, კრაქი როგორ არა ვვაქვს, მაგრამ ნავთი სადაა.

სადაა და ალათი ბებიას ჰქონია ერთი ჩაის ჰიკა ნავთი გადამაღული. ვახტანგი ღამით რომ დაბრუნდეს, ისედაც

თვალნაკლული ვარ, უსინათლოდ როგორ დაეინახო.

გაუყავით შუაზე, ნახევარი კედლის ამოშენებას მოვანზარეთ, ნახევარი ისევე ვახტანგის დაბრუნებისთვის გადავიანხეთ.

უკვე გვიანიც იყო, კუნაპეტი წვიმიანი ღამეც და, ამას გარდა, ლაფაროში ტალახით და სოველი. მჭვარტლიანი ფიცრებით ისე დავითხვარე და დავიზიზნე, სანამ ცეცხლის პირას ბლუზა-შარვალი ტანზე არ შემაშრა, მანამდე ტალახი ვერ გამოვფშვენიეთ და ვერ გავფერთხეთ.

კი ვწუხდით. ბებია იჯავრებს, რომ აღარ გამოვჩნდი, მაგრამ ჩვენც ვჯავრობდით. დარდი დარდს კი არ ამსუბუქებს, მაგრამ სინდისს აძლევს შელავათს.

ვასშად, ალათი ბებია, ხაქაპური გამოაყბო. კრაქის სინათლეზე ვხედავდი, თორემ ვერ დავიჭერებდი. ფქვილი თურმე, ვახტანგისთვის ჰქონდა შემონახული, ამოდენა გზიდან რომ დაბრუნდება, ხაქაპური უყვარს და სახელდახელოდ შევავებებო.

იმ ღამეს ვახტანგის ქვეშაგებში ვიწეკი. ორი დღის გამზუურებული იყო. უამინდობაში რომ დაბრუნდეს, ნესტიან ლეიბსა და საბანში რა დააძინებდეს.

ღილით, იმ სოფლიდან ჩემს სოფლამდე, რაღას წავიდოდი, პირდაპირ სკოლაში გავბრუნდი. რა თქმა უნდა. წიგნი და რვეული არ გამიხსნია.

ომმა კიდევ ერთ წელიწადზე მეტ ხანს გასტანა. ელოდა ალათი ვაფიშვილს ყოველ ცისმარე დღე. ყოველ წლის ოდენა ღამე. ყოველწუთს. წამს, ამინდში და უამინდობაში, ქარში, წვიმაში, ყინვაში, პაპანაქებაში...

ეშველა, დამათვრდა ომი და მერე თუ რაიმე ხელს შეუშლიდა და ვახტანგი თუ იმ დღესვე, ან იმ ღამესვე კიშკარს არ შემოაღებდა. რავა ეგონა. თეთრად გაეთენებია ათი მაისი. იქვე ჰქონია მიმარაგებული ის ნახევარი ჰიკა ნავთი და სახაქაპურე, ომამდელი, პურის

ფეკილი. დილით ლეიბი, საბანი და ბალიში გაემზადებინა. ჯიბეებიანი ბლუზა და გალიფე შარვალი ჩრდილში გაეკიდებინა, მაისის სიცხემ არ გაახუნოს. ალათი, ვახტანგის ქარში წასვლის დღიდან ომში იყო, მაგრამ ომი რომ დამთავრდა, იმ დღეს ალათის ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. და ამ კაფანდარა, ავადმყოფმა, ართვალმა და თვალნაკლულმა ქალმა, იმ შვიდი წლის გარდა, ოცდათექვსმეტი წელიწადი იბრძოლა. დღედაღამ კიშკარზე მიციებულ

თვალეები დაეშრიტა და ლიბრი გადაეკრა. ოთხმოცი წლისა. პირველად მოვიდა თბილისში და ოპერატორს მოეხილა. გადაიცილა თვალთავან ის ბინდი, რაც დაბრუნებული შვილის ხილვას დაუშლიდა. ოთხმოცდაათ წელს გადააცილა. დედამიწის გულზე არც ერთ ლეგენდარულ ქარისკაცს იმოდენა და ისე ხანგრძლივი, უსასრულო ომი არ გადაუხდია.

მაინც დამარცხდა.

ალათი სამი წლის წინ გარდაიცვალა.

### ბეზია გარდაიცვალა

ქირის დღე მძიმე-მძიმედ გადის, მიჯანბრობს, მიიზღაწუნება, თუ გათენდა დაღამება არ ეღირსება და თუ დაღამება — გათენებას არ დაადგება საშველი. მაგრამ ერთი კია — ცხოვრებას ასწრებ. ბედნიერი უკან მოხედვას ვერ ახერხებს, წუთისოფელი ხელიდან ისე გამოეცლება. ბეზიას რამდენჯერ უთქვამს: აღარ მინდა, შვილო, სიცოცხლე, მომბეზრდაო. ძილის წინ ღმერთს მუხლმოყრილი ევედრებოდა: ვეჩელიე დამბრუნე ომიდან, შვილი და შვილიშვილი მიმყოფე კარგად და ჩემი სული მიიბარეო.

ბევრი იცოცხლა ბეზიამ.

ცამეტი წლისა გაათხოვეს. რვა შვილის დედა იყო, ორი ქალიშვილი შემორჩა ბოლოს. ქმრისა და ექვსი შვილის დამტირებელს ძაძა არ გაუხდია. ამ უღიმოლო, სვეტუფრიაანმა ქალმა წლოვანებით საუკუნეს გადააცილა, მაგრამ რამდენი საუკუნე იცხოვრა, ვინ მოთვლის.

დილაუთენია კარმოლებულ სამზადში, სოხანზე, დაბალ ჭორკოზე იჯდა, ზაფხული იყო თუ ზამთარი, ცეცხლი უნდა დაენთო. ბურთლიანი სახლის საკვამურში და საფაფურებში კვამლი უნდა გამდგარიყო. ცისთვის და სოფელქვეყნისთვის, მისი კერია რომ ისევ და ისევ ჩაუქრობელი იყო, უნდა ეუწყებინა. მერე, თუ ამინდი იდგა, ზენა ქარისაგან დაცულ, ოდის უკანა აივანში იცოდა ჯდომა, იტაკზე ფეხმორთხმუ-

ლი. ითბობდა და ითბობდა ძველებს. ზამთრისთვის ინახავდა. ბოლო ზამთარს აღარ ეყო გაზაფხულამდე.

ოდის იმ მორჩილა, მესამე ოთახში იწვა, რომელიც მოგვიანებით იყო მიშენებული და სამზეურ, უკანა აივნის უმოაჯირო ნახევარს ზენა ქარისაგან იფარავდა.

გამთენიის ხანი იყო ჩემი ბიძაშვილი რომ მოვარდა (ისიც მისი გაზრდილი, უდედ-მამო).

ფეხშიშველა გავიქეცი. ჯერ კიდევ ედგა სული.

შუაგული ზამთარია. ორ ძველ ოთახს კი ჰქონდა ბუხრები, მაგრამ საბუხრე შეშა, რაც თავი მახსოვს, არ გვექონია. იქ, სადაც ახლა ბეზია იწვა, ცეცხლი არასოდეს დანთებულა. ავადმყოფობა არ იცოდა, ან თუ იცოდა, ჩვენ არ გავვივია. ცხრა მარტს (ძველი სტილით) წურბლებს დაიყრიდა.

ექიმი მაზლიშვილის ცოლი ჰყავდა და ამდენად ჰყავდა ნანახი.

არც იმ დღეებში შეგვიმჩნევია უქმიფობა. ცივი ზამთარი იდგა, გამოლეოდა სითბო და გაციებულყო. ლოგინიც დასველებოდა.

ავიტაცე და სანამ გამოუცვლიდნენ, ხელებში შემომაღანა.

შემომხედა, რა თქმა უნდა, როგორც კი მივვარდი. მერეც, ხელში რომ ბავშვივით მგებია. უკბილო პირში ჩავარდნილი ტუჩები ჩალურჯებული ჰქონდა, არაფრის თქმას აპირებდა.

ბებიამ სათქმელი თქვა. სიკაცხლე-ზე გული არ დასწყვეტია. ფანჯარაზე მომდგარი დღისათვის არ შეუხედავს, არც ამოუოხრია, არც დაუყენესია.

სიკვდილს, პირიქით, არ დაუცადა, გაასწრო. როცა გათავდა, გული მერეც მუშაობდა. შე უბედურს, რაკი მაჯა ფეთქავდა, მობრუნდებოდა — მეგონა. ალბათ, რომ ნდომებოდა, მობრუნდებოდა. მისი ნებისყოფისა და ჭირთა-მთრგუნავი ხასიათის პატრონს ვაგლახად სიკვდილიც ვერ დაიმორჩილებდა.

არაფერი უანდებოდა, რაც გააჩნდა, სიკაცხლეში გადმოგვცა. სულის ამარა იყო დარჩენილი, რომლის ალიკვალი ჩვენ სიკაცხლეშივე ჩავვიდგა.

ძველისძველი, ფესვღონიერი, მორცხული, ბებერი, მაგრამ გულიან ხედ მძლავრობდა ბებია. ქართველებმა, ელვამ და მეხმა რომ ურტყა, ურტყა და ხან ეს ტოტი ჩამოამტვრია, ხან ის, და მაინც თავისი ჰქნა, ნატოტვარზე ჩვენ ამოგვიყარა — შვილიშვილები და შვილთაშვილები. ას წელიწადს მაინც ფეხზე იდგა, ას წელიწადს არ დაუხრია კენწერო. ას წელიწადს იყო კერაის გადაფოფრილი. ას წელიწადს ბობოქრობდა, არ მოტყდა, არ დაფუტურავდა, არ გამოღრუვდა. ქურუხი სახე მუხის ქერქივით დაეღარა. ახლავა ჩამონაყოფდა, შეთხელდა, შეჭკნა, შებარბაცდა და თვითონვე ინება დასვენება, მენაყოფე ხილივით მეწლეობედ და ურგებად დგომა არ ინდომა, მოჭრილი ხესავით უდრტვინველად, უთქმელად, უცრემლოდ დაშვავდა და მისი საჩრდილობელის არე-მიდამოზე, თა-

ვისი ცხოვრებისეული სიბრძნე და „ჭირსა შიგან გამაგრება“... ქორცხლის მატებით ნაფოტებად მრფანტა. მას აქეთ, და ალბათ, ყოველთვის, როცა ამდენი გვიჭირს, გვათოვს, გვაწვიმს და ვითოშებით, ვინთებთ იმ ნაფოტების ცეცხლს და დამზრალ ხელებს ვითბობთ.

სიკაცხლეში ხომ არასოდეს არ ჰქონია სიკვდილის შიში, არც აღსასრულის წინ. მთელი ცხოვრების მანძილზე დასდევდა ბებიას სიკვდილი, შემოაცალა ირგვლივ თუ ვინმე გააჩნდა და მასზე ხელი ვერ აღმართა. ასე მგონია, აღსასრულის დროსაც, ვერ შებედა. სადღაც იქ კი იყო, მაგრამ სანამ ბებია არ წავიდა, ოთახში არ დამინახავს. ეშინოდა, ბებიას კი არა, თვით სიკვდილს ეშინოდა: ას ხუთი წელიწადია მაწამებს და ახლაც არ გამაწამილოსო. საუკუნეზე მეტია ვებრძვი, ვერ მოვერიე, ახლაც არ დამამარცხოსო. სანამ თვითონ იყო, სახლში მაინც არ შემოუშვა, მერე შემოიჭრა, როცა ბებია გაიგულა და ჩვენ დაგვიბრძოვა.

მთელი საუკუნის შემდეგ იმ დღეს არ დაუნთია ბებიას ცეცხლი და საკვამურიდან და საფაფურებიდან კვამლი ცაში არ აუშვია, მისი ჩაუჭრობელი კერიის მაუწყებელი. იმ დილით, სიკვდილთან შეუხვედრად, თვითონ წავიდა...

იმ დილით ცად კვამლი არ აუშვია, თვითონ ავიდა.

ამიტომ მგონია... კი არ მგონია მჯერა, ბებია კი არ მომკვდარა, გარდაიცვალა-მეთქი.

...  
მე დამესიზმრა:  
გაზაფხულის მზე  
ზღვის მინდობოდა და ნელ ტალღებზე  
წყლის სიცილივით მილივლივებდა...  
მე ცურვა-ცურვით მივყვებოდი.  
ვერ ვეწეოდი...  
და ასე დიდხანს, ზღვის სინათლეში,  
მივისწრაფოდით ნაპირისაკენ,  
მაგრამ ნაპირი შორი იყო  
და მე ვხარობდი  
ზღვისა და სივრცის უსასრულობით...

მერე კი უცებ გამომალვიძეს  
და, შემახსენეს, რომ ბაზარში უნდა  
წავიდე,  
მიჩიქ იქიდან აფთიაქში გამოვიარო

აფთიაქიდან (აფცილებლად!)  
ფოსტაში უნდა შევირბინო.  
მოკლე ბარათით  
სოფელში უნდა შევატყობინო,  
რომ შაბათ-კვირას  
ველარ ავალ მოხუც მშობლებთან  
თივის და შეშის ჩამოსათრევეად,  
თუ სახურავის შესაკეთებლად,  
რადგან ჩვენი პატარა ბიჭი  
წევს სიცხიანი და ლოგინიდან  
უკვე მესამე მულტფილმს უყურებს...

ო, ბავშვის გულისცემასავით  
ჩქარო დღეებო!  
ო, ნერვიულო, მაგრამ მაინც  
ტკბილო ცხოვრებავო!

...  
მაგრამ, ძვირფასო,  
რა აზრი აქვს  
ისეთ გაზაფხულს,  
თუ აღიდებულ მდინარეს ზღვისკენ  
არ მიაქვს ტოტი ყვავილოვანი,  
ან ნამსხვრევეები ძველი ზღვისა?  
ერთი მაღალი ქებირი მაინც  
თუ არ დაეცა და წაიშალა  
მწვერვალებიდან წამოსული  
ზეიმის გამო?  
ერთ აღმართს მაინც  
თუ არ დააჩნდა  
ტყვილიანი სიხარულის  
მბრწყინავი კვალი?...

## სამსახურის შექმნა.



შენ კი რა გიჭირს,  
 პატარა ბიჭო,  
 მყუდრო ოთახში, ღუმელის გვერდით,  
 ბალიშებში რომ ხარ ჩაძირული  
 და მწვანე ბურთზე ცხვირმიკვლეტილი  
 შესცქერი კედლის ოქროსფერ საათს,  
 რომელიც, ალბათ, ყვეაილს ვაგონებს,  
 ან — შუეს, დაიკომ რომ დაგიხატა...

შენ გვიან, გვიან უნდა გვხვო,  
 თუ რა მწარეა  
 მაგ საათის პასუხი ჩემთვის!  
 შენ გვიან, გვიან უნდა გვიგო,  
 რომ ქვეყანაზე ბევრი ბალიში  
 ხშირად ცრემლიან სახესაც ათბობს  
 და, უფრო მეტიც:  
 ხშირად არის შესაიდუმლო

ფარული ლოცვის,  
 ნალვლიანი ფიჭვის და სიზმრის!..

ჯერ კი არ გიჭირს,  
 თბილ ბალიშებში ხარ ჩაძირული,  
 კალთაში გიზის რეზინის ჩიტი,  
 რაღაც უხილავს და ღვთაებრივს  
 ეტიტინები

და თითქოს ვხედავ:  
 იატაკზე, ფანჯრის მინებზე  
 მიმოზნეულან და ბრწყინავენ შენი  
 ბგერები,

ვით ზღაპრის ველზე  
 უკვდავების წყაროს წვეთები...

შენ ჯერ ვერცერთი  
 ქარიშხალი ვერ შეგეხება  
 დედის ღიმილით განათებულ,  
 მყუდრო ოთახში!

## როცა წვიმებს მიაქვთ ქვეყანა

კარგა ხანია  
სახლში თუთუნს აღარ ვეწევი.  
ზის დედაკაცი  
გაუხუნარ მოგონებებს შეკედლებული  
და ძველ სურათს  
მეათასედ ათვალეიერებს...  
აი ეს ქალი,  
მინდობილი საყვარელ მკლავებს,  
— ჩემი ცოლია,  
ეს კი მე თვით ვარ,  
წვეროსანი,  
წინაპართა პოზაში მდგარი,  
ცოლის მხარზე  
ტორი მიდევს  
და ქვეყანას თვალს ვუბრიალებ...  
კარგა ხანია  
სახლში თუთუნს აღარ ვეწევი.  
ფანჯარასთან ჰადარი ცხოვრობს,  
როცა წვიმებს მიაქვთ ქვეყანა  
ვსაუბრობთ ხოლმე...

ჰადარმა იცის,  
კბილები რომ დამცვივდა უკვე,  
როცა მოყვასის სიკვდილს გავიგებ,  
თვალზე ერემლი აღარ მადგება  
თვალეებამდე  
ვერ აღწევს ერემლი,  
გზა გზა ეღვრება  
პირშეუკრავ  
სამარის ბორცვებს...  
ზის დედაკაცი,  
გაუხუნარ მოგონებებს შეკედლებული  
და ძველ სურათს  
მეათასედ ათვალეიერებს,  
ის კაცი უყვარს,  
მისი ტორი  
და მზერა მისი,  
იქნებ არც ჯერა,  
რომ სურათზე ნამდვილად მე ვარ...  
კარგა ხანია  
სახლში თუთუნს აღარ ვეწევი

\* \* \*

ვაჩხაკუნებ გიტარას,  
ქარს ქვეყანა მიაქვს...  
უნდა გავხდე მდიდარი,  
აბა ცუდი რით არი...  
სახელი და დიდება  
შორს არ გადაიდება —  
გავხარ აღამიანს!  
ვაჩხაკუნებ გიტარას,  
ქარს ქვეყანა მიაქვს...

ვერ გავხდები მდიდარი,  
კაცი ნამუსით არი,  
ჰაერივით მჭირდება  
ვგავდე აღამიანს...  
ვაჩხაკუნებ გიტარას,  
ვაჩხაკუნებ გიტარას,  
ვაჩხაკუნებ გიტარას,  
ქარს ქვეყანა მიაქვს.



\* \* \*

მე არასოდეს არ მიმღერია.  
 პატარობისას  
 როცა მუხლებგადაღლეტილი  
 ტყვიელს ვითმენდი,  
 ვუსტვენდი სიმწრით.  
 როცა დედა შემომწყურებოდა,  
 ძველ ფარდულში  
 ნახერხზე ვიწეე,  
 ვაფრთხობდი ვირთხებს  
 და შემკრთალი  
 სიმწრით ვუსტვენდი.  
 ენანებოდათ ბიძაშვილებს  
 წიგნები ჩემთვის,  
 მე ვადებდი ჩარაზულ ოთახს,  
 გადაუშლელ წიგნებით საესეს,  
 მერე გავრბოდი  
 და ბალახში თავჩარგული  
 ვუსტვენდი ისევ...  
 სიყვარული მესტუმრა ადრე  
 ბოშათა ბანაკს ჰგავდა იგი,  
 მიყრუებულ სოფლად მოვარდნილს.  
 მალე აიჭრა  
 გაზაფხულის თოვლი რძესავით,  
 უსტვენდა ჩიტი  
 გულნატკენი და მარტოსული,  
 დანა თოვლი და  
 გაზაფხული აღარ მოვიდა,  
 მე მენატრება ჩემი ვარსკვლავი,  
 სხვა ვარსკვლავთ შორის მოქცეული  
 და გასრესილი...  
 მე ვუსტვენ სიმწრით  
 და სიმწრით მახსოვს,  
 რომ აქამომდე  
 არასოდეს არ მიმღერია.

— • —

დავით გვახაძე

### დაბრუნების შემდეგ

ათასი ზღვა გაქვს  
რომანტიკის ლურჯი აფრით  
გადასერილი,  
მაგრამ სადაც ნაპირს მიაღწე  
იქ ვიღაც დაგხვდა,  
ხელი გკრა  
და ისევ უკან დაგაბრუნა.

უკან,  
უკან,  
მშობლიური ნაპირებისკენ.

### წითელი წიგნი

რად უფრო სწყალობთ ნეტავი ყარყატს,  
ეგი ხომ ჩვენს სამშობლოს მხოლოდ მაშინ მოაკითხავს,  
გაზაფხული როცა მოვა,  
როცა დათბება.

იმ ძერას კი რაღას ერჩით, ზამთარშიაც რომ სულ აქ არის,  
საქართველოს დამზრალ ცაში, გაყინული ტყეების თავზე  
დაფრენს,  
დაწივის,  
და ნიადაგ ვიღაცას თუ რაღაცას უხმობს.

• • •

ღამის ფარებიდან გამოცვენილი,  
ღამეული სიზმრით დამფრთხალი,  
ვინ საით წახვალთ,  
რომელ მზარეს,  
დილის თოვლი ყველაფერს იტყვის.



• • •

ღამეც კოგრიტია,  
რომელიც მხოლოდ  
პოეტის თვალს ერგება,  
და საიდანაც კარგად მოჩანს  
მოსაზღვრე გალაქტიკები,  
ბიბლიური დრო და... საგვარეულო  
სასაფლაო.

• • •

იყო დრო, ყველა გენდობოდა,  
ყველა გულში ჩახედვას გთხოვდა,  
არსად, არასდროს თოვლს  
იმდენი არ უტირია,  
როგორც იქ — შენი საგვარეულო  
მიწურის ბანზე.

### ფოთლები ქარდაქარ

ვხედავ — ხმელი ფოთლები მიფრინავენ ქარდაქარ,  
თქვენ კი დიდო ბატონო, სად ბრძანდებით, სადა ხართ?  
უსაზღვრობას შერთული სივრცეში მოთარეშე,  
მანდ ყველა სტუმარია, უცხოა თუ გარეშე.  
თქვენ ბრძანდებით მარტოდენ მბრძანებელი ყოველის,  
ჩვენ კი თქვენს სამყოფელში სტუმრადაც ვერ მოვედით,  
ვხედავ — ხმელი ფოთლები მიფრინავენ ქარდაქარ,  
რომელ მხარეს ბატონო, სად ბრძანდებით, სადა ხართ?!

— — —

## მოუქარგავს თოვლი სიზმარს

მოუქარგავს თოვლი სიზმარს,  
ვით ცა მამლის ყვირის...  
ფერადი ტყე. მთვრალი ქარი.  
სურნელი მკლავს თივის!

ოდას ვაზი შემოენთო —  
ლურჯი, როგორც გველი?.. —

მოუქარგავს თოვლი სიზმარს, —  
თვალეზი აქვს სველი!

მოუქარგავს... სურნელი მკლავს,  
სურნელი მკლავს თივის.  
ფერადი ტყე. ღამის თევა —  
გაზაფხული თბილი!

## ვიდრეა ჩემი საქართველო

იყო თოვლივით მშვიდი და თეთრი ღიმილი შენი.  
ქალები ჩუმაღ ბრუნდებოდნენ ოცნების ზღვიდან.  
მერცხლები ფრთებს, ფრთებს ისწორებდნენ.

ზღვა. ზღვა. თეთრი ღიმილი.

მერცხლებო, არა, არა მგონია, თქვენ ნახოთ სადმე  
უფრო, უფრო, უფრო, უფრო თბილი ქვეყანა,  
ვიდრეა ჩემი საქართველო.

იყო თოვლივით მშვიდი და თეთრი, თეთრი, თეთრი შენი  
ღიმილი

## ბელურა, ტოტი, ორივე გტკივა ერთნაირად

მზის, მზის, სიცილის ხარ, ხარ ქალაქი!... —  
ჩამოუტყდა ბელურას ტოტი?  
ბელურა, ტოტი, ორივე გტკივა ერთნაირად!

მზის, მზის, სიცილის... —  
 ლურჯ მონასტრის გუმბათს ჰგავს ნაძვი,  
 ნაძვი — მარადი გაზაფხული.  
 საესე გაქვს უბე, მარადღამს უბე  
 იისფერი ცით  
 და  
 თბილი იებით.

მზის, გაზაფხულის, სიყვარულის ხარ, ხარ ქალაქი!... —  
 ჩამოუტყდა ბედურას ტოტი?  
 ბედურა, ტოტი, ორივე გტყვივა ერთნაირად!

### ცის, ცის თბილი ნაფოტი

მოვყევ კრელ წვიმებს. კაცს—ბაბუაჩემს წალდივით ეჭირა ხელში  
 შაბათი... —  
 ცხვებოდა, როგორც თონეში ჰური, გიოიტას სული ნათელი!  
 მოვყევ კრელ წვიმებს მე მირკანისას... —  
 შაბათი. წალდი.  
 ცის, ცის, ცის, ცის თბილი ნაფოტი ეყარა მზის და კაცის გარშემო!  
 მე მოვყევ წვიმებს, წვიმებს მოვყევ მე მირკანისას.

### მარადისობის მკვიდრი

გაზაფხული — ჰიაკოკონა.

იფრინე, შვილო, მკვიდრო, მკვიდრო მარადისობის,  
 დაღვრემილო აწ საუკუნედი!.. —  
 ბალახის ჩრდილში ჰიანჭველას შემოუზიდავს  
 თოვლის ქვეყნის მთელი ამბები!

იფრინე, შვილო, სიზმრებისგან აყვავებულო,  
 იფრინე... —  
 თავთით გიდგას ჰადარი —  
 ელვის ცრემლით მილიონჯერ გათენებული!

იფრინე, შვილო, მკვიდრო, მკვიდრო მარადისობის!

## ორი თვალი

რომანი

დიდი არდადეგების დადგომიდან მე ისევ მოვიცილე ხელი აღრინდელ საქმეს. ჩონთო ბიძიას რა ჰქონდა თავისთვის, ჩემთვის რომ ჩაეცვა და დაეხურა, ან კიდევ საწყალ დედაჩემს, ან მამინაცვალს, ან ლუცა ბებიასა და სვიმო ბაბუას, — მათ თავიანთი თავის სარჩენი კი ჰქონდათ, მაგრამ ფული არასოდეს არ იბუღებდა სვიმო ბაბუას ოჯახში. მე ისევ გადავედი მცირე ხნით (როგორც მაშინ ვფიქრობდი) ჩემიანებთან და დავიწყე ჩვეულად პაპიროსით ვაჭრობა. თუკი გამომართლებდა და უქირის მალაზიებში პაპიროსი არ გაჩნდებოდა, ფულსაც მეტს ვიშოვნიდი, ვინემ ხილით ვაჭრობისას. მონაგები ფული მიმქონდა შინ. „პურის ფული მიხას შემოაქვს ოჯახში!“ — უთხრა ერთხელ მამინაცვალს დედაჩემმა. არ მსიამოვნებდა დედაჩემის კილო. მეცოდებოდა კელვა სანაია. ვიცოდი მისი მიზეზიანი და ჩვილი გულის ამბავი. მე რომ პურის ფული შემომქონდა, ამას ის აფასებდა, კაცობად მითვლიდა. ახლა კი, ცოლმარომ წამოაყვედრა, — სწყინდა და ვაბრაზებული იყო ბავშვივით; გულში კი რა ცეცხლი ენთო, ვინ იცის! ზომ არ დავჩაგრეო სხვისი შვილი, — ფიქრობდა ალბათ. ცუდს ის არ გაიფიქრებდა,

ცხადია. კელვა ცუდად გექცევო? — მკითხავდა ნინა დეიდა, — რანაირი ბავშვია ეს მიხა, — ეუბნებოდა ნინა დეიდა მეზობელ ქალს, — არაფრისდიდებით არ წამოსცდება მამინაცვლის ძვირი.

\* \* \*

შუალამე კარგახნის გადაწეულია. ჩაბნელებულია სახლები ყველგან. სიწყნარეა სასადანოში და მარტოდმარტო ანუცა სადანიასს ანთია ლამაზა. ანუცა სადანია ჩვენი მეზობელია. მე უცილობლად უნდა გავიარო მისი სახლი, იქ ლამაზა ანთია, — დაბალი, ოროთახიანი ფიცრული სახლი უდგას ანუცას და მარტოკა ცხოვრობს. ლამაზი და მოხდენილია ანუცა სადანია, ვარსკვლავივით თვალები აჭვს და გრძელი წამწამები. მცირე ოთახში ანთია ლამაზა. ღვიძავდა ანუცა სადანიას. სტუმარი თუ ჰყავდა ალბათ შინ და ლამაზაც იმიტომ ენთო, თორემ ისე რატომ დასწყავდა ნავთს, — სტუმარი კი ხშირი ჰყავდა ანუცა სადანიას. სტუმრობდნენ მას იჭირის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები კაცები, შუახნის კაცები, ახალგაზრდა ბიჭები, ათასი პროფესიისა და საქმის მიმდევარი ხალხი, ხანდახან კი რომელიმე სასადანოელი სტუმარიც კი ჰყავდა შინ. მეტწილად ახლადგადმოსახლებუ-

ლი ვინმე, მეტწილად უწვერული ყმაწვილი ვინმე, რომელსაც ეს-ესაა პირველად უნდა ეგებნა უცხო ხილი, და გამოდიოდნენ იმ ციციქნა სახლიდან შეთენებულზე თვალმზაცვენილი და ძლივს მოლასლავ კაცები, — „რა გინდა, ბიჭო, შენ“, „მომჩივრავდა თავს ხოლმე სადანიების ცირა, და მრცხვეწონდა უსაშველოდ იმ გაფიქრებისა, ანუცა რომ იგულისხმებოდა ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე, ყურები წამომიწითლდებოდა მაშინვე, ვგრძობდი, — დედაჩემს კი ეშინოდა, მახსოვს, ბავშვი არ გამიხვიოსო რაიმე შარში, და ერთი სული ედგა, გავფრთხილებინე, სადანიას ქალთან კავშირი არ დამეკირა, ის ყმაწვილები არ გამეცნო, იმას რომ სტუმრობდნენ. ასე ფიქრობდა დედაჩემი, ეს ვიცოდი, მაგრამ არაფერს კი არ მეუბნებოდა მაინც, ამისი თქმა არც იქნებოდა, ცხადია, თანაც ათასნაირ რაღაცეებს უგონებდნენ ანუცას, ასე და ასეო, ჭირსო რაღაც, ვითომდა; სადღაც შორეთში ყოფილა ერთხელ, იქიდან აბა რას ჩამოიტანდაო უკეთესს, — პირში კი ვერ ეუბნებოდნენ ვერაფერს, პირში ელაქუცებოდნენ, უღიმოდნენ, შესციკინებდნენ, თან რაიმე რომ ეთქვათ, — იმ კაცების ეშინოდათ, ალბათ, მასთან რომ იარებოდნენ სტუმრად, — ანუცას სახლის წინ ხან სატვირთო მანქანა იდგა, ხან მსუბუქი, იმ მანქანებსაც სცნობდნენ ყველანი, იმ მანქანის შოფრების სახელებსაც ამბობდნენ, მათაც სახელით იხსენიებდნენ, გვართაც, მამის სახელითაც, ადგილითაც და სამსახურიც, ქალების სახელებსაც ამბობდნენ, მათი ცოლების სახელებსაც და უხაროდან ეს ამბავი, ირთობდნენ თავს ათასგვარი რაღაცეებით, საღამო ხანს, რომელიმე მეზობლის სახლის წინ, ფანჩატურში და ღობის ძირებში ჩამწკრივდებოდნენ, ვინმე ჩაივლიდა ქუჩაში ამ დროს, და ის ვინმე ათას რაღაცას მოაგონებდათ, ათას რაღაცას გაახსენებდათ, და მოაბამდნენ საუბარს თავს. გახსნიდნენ ტომრებს, ჩაჩურთავდნენ სიტყვებს, ცარი-

ელა და ფუყე სიტყვებს, აივსებოდა ის ტომარა, ოღონდაც ირუტებოდნენ სიტყვები და კარგა ხანს მაინც არ გაივსებოდა, გაივსებოდა ბოლოს და ბოლოს და დადგებოდა კიდევაც ფეხზე, გაიმართებოდა, ახლა ის ტომარა სიმძიმისაგან იქცეოდა, თავს ვერ იკავებდა, ხოლო ის კაცი ჩაივლიდა კიდევაც ამასობაში, ჩაივლიდა, თვალს მიეფარებოდა, ტომარაც წაიქცეოდა, მერე სხვა ვინმე გამოჩნდებოდა შუკაში, ცარიელ ტომარას იღებდნენ ისევ, ჭერ იყო და იმ ძველ ტომარას დაფრთხავდნენ, ამოიფრთხავდნენ გულიდან ყველაფერს, გაასუფთავებდნენ ალაგს და იწყებდნენ ახალი ამბების მოგროვებას, ივსებოდა ახალი ტომარა და იქცეოდა, ამასობაში დრო გადიოდა, ღამე უფრო და უფრო ბნელი ხდებოდა, ხმას, იღამლებდნენ მოსაუბრენი, ერთი რომელიმე ადგებოდა სხვაზე ადრე, მე წავედიო, იტყოდა, ბაღის ტირილი მოესმებოდა და წავიდოდა, მერე მეორე მიჰყვებოდა მას, — მერე — მესამე, გაიკრიფებოდნენ თანდათან ყველანი, გრძელი ფანჩატური დაცარიელდებოდა, ორი-სამი ქალი შემორჩებოდა ფანჩატურს, მერე ერთიც გამოაკლდებოდა, აქ ისინი იმუშაიფებდნენ კიდევ, ყველაფერს თავიდან გაიხსენებდნენ, არაფერს არ დაივიწყებდნენ, მერე საუბარი სულ ბოლოს რომ წაივლიდა ფანჩატურიდან — იმას შეეხებოდა. ამრიგად თავიანთ თავსაც კი მიაღებოდნენ შემდეგ და საუბარიც დამთავრდებოდა, ამოიწურებოდა, ერთი ხომ თავის ჭიშკართან იდგებოდა, მეორე წავიდოდა, გამოეთხოვებოდა მასპინძელ ქალს და ნელი ფრატუნით შუკას გაჰყვებოდა, ძილს მიეცემოდა სასადანო. გამეფდებოდა სიჩუმე და დაბარებულივით შემოვიდოდა რომელიმე მანქანა უქირის მხრიდან, მიადგებოდა ანუცა სადანიას სახლს და დაამბინებდა. ამ დროს მე ლოგინში ვიყავი და გული მიფანცქალებდა, — ვნატრობდი, როდის მექნებოდა მე მანქანა, როდის გავიზრდებოდი იმხელა, რომ მეც მივსულიყავი ასე

ვინმე ლამაზმანთან, შუალამისას, ჩემი მანქანით, დამეპიპინებინა მის კართან იმ მოკორავე ქალების ჭინაზე, — ან სულაც ნიშანი ექნებოდათ რაიმე, ხმა რომ არ ისმოდა იმ ლამეებში, ასე ვფიქრობდი, ლამაზ ენთებოდა იქ და ეს იქნებოდა ნიშანი. ანუცა სადანი მარტო იყო. მარტო კი არ იქნებოდა არც ერთი ლამით. ასე მეგონა მაშინ, ან რა გააჩერებდა მარტოკა მთელი ლამე, ან სულაც შეეშინდებოდა მარტოობისა, ან სულაც მიუვარდებოდა ვინმე, უცნობთაგანი, მაგრამ ანუცა სადანი თავს არავის დააჩაგვრინებდა, ეს ყველამ იცოდა. სხვა მეძავი ქალებისაგან განსხვავებით ანუცას ზედიზედ უჩნდებოდა შვილები, მერე ბავშვებს ნათესავეებთან აბარებდა, ვიღაც-ვიღაცეებს ატანდა გასაზრდელად, ყველაზე პატარას კი თვითონ იტოვებდა, იმ ხანად კი არა ჰყავდა შვილი, მერე წაიწყო ერთმანეთს ასე და უკვირდათ მეზობლებს ეს ამბავი, შვილები რომ უჩნდებოდა ქალს. — „ვინაა, ანუცა, თუ ღმერთი გწამს, ამ ბალანას მამა“, — „რა უნდა გითხრა, აბა, ნანი, თვითონ რომ არ ვიცი, მე!“ — ეტყოდა დედაჩემს ანუცა სადანი. რალაცნაირად, გულლიად ეუბნებოდა, „შენ კი გვავს. ძალიან ეს გოგო“, — ეტყოდა დედა. ხოლო იმის ერთ ვაჟიშვილზე, ისიც კი ითქვა, ვისაც ჰყავდა, მაგრამ ხმამალა არ ამბობდნენ ამას, გულში აღარებდნენ ერთმანეთს იმ პაწია ბალს და მის შემქმნელს, ის კაცი ჩვენს მეზობლად ესახლა, დიდად წესიერ კაცად ითვლებოდა და როგორ აკადრებდნენ, შეეკითხათ, შენი ხომ არაა, ჭიბა, ეს ბიჭო. „ალიმენტი უნდა მომეთხოვა, ნანი, იმ კაცი-სათვის, ეს კი ნამდვილია, რასაც ვამბობ, მაგრამ რა ვქნა, მითხარი, ქვეყანა გაიგებს ამას და არ მინდა, მე თვითონ გავზრდი ჩემს შვილს“.

ანუცას სტუმარი ჰყოლია-მეთქი, გავიფიქრე და ნელა, ფეხაკრეფით ჩავიარე მისი სახლი, თითქოსდა რაიმეთი შემძლეობდა მათი სიმყუდროვის დარღვევა და ხელის შეშლა. მიხაროდა,

ანუცას რომ არ ეძინა ამ გვიანი ღამით, სტუმარი რომ ჰყავდა. ამ დროებში მივედი შინ. „მიხა, დედა, შენს ნაპრს ხმა არ გამოიღია, ისე ჩუმად გავიხადე და ჩაეწევი ლოგინში. მამინაცვალს ეძინა და ხვრინავდა გაბმით, რალაცნაირი უსიამოვნო გრძნობა მქონდა, მიკვირდა, რა უნდოდა ამ კაცს აქ, რატომ ეძინა ჩვენსას, რატომ მიატოვა ოჯახი და წვრილ-შვილი თავისი. უცხო იყო კელვა სანაია ჩვენი სახლისათვის, უცხო იყო და გრძნობდა ამას თვითონაც; ხოლო ახლა, როცა მე ლოგინში ვწევარ და მესმის ხვრინვა მისი, ეს კიდევ უფრო აუცხოვებს ყველაფერს, თითქოსდა ჩვენს სახლში აღარ ვიწვევ მე, ჩვენს კერქვეშ, არამედ საღლაც სხვაგან, საღლაც სტუმრად ვყოფილიყავი თითქოსდა, ამგვარი გუნება მაქვს, და დედაჩემი, საწყალი, თითქოსდა ხვდებოდეს ჩემულ ფიქრებს, დგება ლოგინიდან და კელვა სანაიას უცვლის მხარს. „კელვა, კელვა, — ბუტბუტებს ის, — მხარი შეიცვალე, მხარი! არ ეძინება შენს გამო ბავშვებს!“ ამას კი, გულში უმატებდა, ალბათ, ჩემს გასაგონად არ ამბობდა, მაგრამ ისე ახლო ვიყავით ერთმანეთთან დედა-შვილი, ისეთი მსგავსი იყო სისხლი ჩვენი, დედაჩემის გულისფეთქვასაც კი ვგრძნობდი. „არ ეძინება შენს გამო ბავშვს“, — ამბობდა გული მისი და მე დამფოფინებდა, — თვალები ღია მაქვს, ვწევარ ლოგინში და მესმის, თუ როგორ ხვრინავს კელვა სანაია. ამ ხვრინვა-ხვრინვაში გაიარა ათეულმა წელიწადებმა, დედაჩემი ჩავარდა ლოგინად, ექვსი წელი იწვალა საწყალმა და გადაჰყვა კიდევაც ავადმყოფობას. იმ ღამეს არ მახსოვს, ვინ სად იყო, მეზობლებისას იყვნენ ალბათ, ან კიდევ ნათესავეებისას, — დედა მიცვალებული გყავდა, შინ იმ ღამეს მარტო მე და მამინაცვალი ვიყავით, თავს იკლავდა კელვა სანაია მწუხარებისაგან. ერთთავად გაფუჭდა და დაჩიავდა საბრალო კაცი. ტიროდა გაბმით, ტიროდა განუწყვეტლივ და გულს უჩუყებდა სამოცდაათ წელს მიღწეული კაცის წუ-

ხილი ყველას. იმ ღამეს ჩვენ მარტო დავრჩით ღელაჩემის კუბოსთან, მთელი კვირა ძილი არ მიჰკარებია ჩვენს თვალებს და ვცდილობდით ოდნავ მაინც მოგვეტყუებინა თვალი. კელვა სანაია სდუმდა. არ ეძინებოდა. ვღუმდი მეც. რაზე უნდა გვესაუბრა, ხმა რომ გაგვეცა ერთმანეთისათვის. შუალამე გადაწეული იყო. სიმუდროვებსა და სიწყნარეს მოჰქონდა ათასნაირი ფიქრი, აუტანელი ხდებოდა თანდათან სიწყნარე, ერთ წამში გაიარა ჩემს წინ მთელმა ჩემმა ცხოვრებამ, ოქტემმა და ყუმმა, სათუთარიომ და სადარანდიომ, უქირმა და მისმა ქუჩებმა, საღანებმა და ჩვენმა სახლულმა, ერთ წამში ეტეოდა ეს ყველაფერი, მთელი ეს ქვეყანა, მთელი ჩვენი ცხოვრება, და უცებ, უცებ, ისე ძლიერ და ისე მკაფიოდ მომინდა კელვა სანაიას დაეხვრინა, რომ კინაღამ გული გამიჩერდა. ეხვრინა ჩვეულებრივად, ოღონდაც არ ყოფილიყო ეს აუტანელი სიჩუმე, ეს საყრუეთი, — ეხვრინა, როგორც უნდოდა ისე, ხმაშალდა, როგორც იცოდა. კელვა სანაიას ეძინა გასისმარებულად. იმ ღამიდან მოკიდებული, რაღაც შეიცვალა ჩემში. მას შემდეგ კელვა სანაიას ძვირი გულში არ გამოვიღია. მთავარი ის კი არაა, მოგვწონს თუ არა ჩვენ ესა თუ ის ჩვევა, ან საქციელი, ამა თუ იმ კაცისა, ყოველგვარი საქციელი მისაღებია და ბუნებრივი, თუკი ის ადამიანურია. — თუ რა დროს ხდება ეს, რა ეამს და რა წუთს, რანაირია იმ წუთის ბუნება ჩვენი, რა გუნებაზე ვართ; მაგალითად: ყველასათვის ცხადია და ნათელი, როცა ჩვენ თეთრებში გამოწყობილნი მივდივართ საღმე, გვეშინია, ერთი ნამცეცი მტვერიც კი არ მოგვეკაროს, ეს უცებ აჩნდება ტანისამოსს და გვიფუჭებს გუნებას, ხოლო იგივე მტვრის მწიკელი, უფერო ტანისამოსში გამოწყობილს, არაფრად არ მიგვაჩნია, ამას არც შევიმჩნევთ და არც გუნება არ შეგვეცვლება ამითი; — ამ შემთხვევაში ფერი მოქმედებს ჩვენზე, — ადამიანის ქცევას, მთელი მისეული გაცნობიერე-

ბული და გაუცნობიერებელი სანყარო აყალიბებს. ადამიანს ხშირად ნაჩვენებთარი ძალა არა აქვს დასჯაბნოს მისეული ჩვევა, — კელვა სანაიამ იცოდა, რა თქმა უნდა, რომ მისი ამგვარი ჩვევა არ იყო ღამაში, მაგრამ რა უნდა ექნა! მას შეეძლო ნერგისათვის ეტყირა კიი ხანი და ამითი მიელო სანაიამო ტკბობა ბუნებისაგან, ისე უყვარდა მას თავისი ხელით დარგული ესა თუ ის ხეხილი. ხშირ-ხშირად მივიდოდა იმ ხეხილთან; ხელს კი არ მოჰკიდებდა ოღონდ, არც მის შტოს, არც ფოთოლს, ამითი, მგონი, ასე ფიქრობდა, ზრდას შევეშლიო ხელს, არამედ — მივიდოდა, ესიყვარულეობდა შორიდან, რაღაცას ბუტბუტებდა, გულში ღიღინებდა, ხოლო თუკი ხე ძალზე გადაიხრებოდა, შტო დავლუნებოდა, ან სულაც განზე წაუვიდოდა მთავარი წელი, — კელვა სანაია ამართლებდა, დალუნულ შტოს საბჯენს შეუღდამადა, ნაჭკრილობებს უხვევდა, თან ამინდიც ისეთი იყო, წყნარი და მწყაზარი, არც ცხელოდა, არც ციოდა, ხეს არ ეწყინებოდა ამგვარ ამინდში დაყოლა, გუნება გაფუჭებული არ ექნებოდა და დაყვებოდა, ღიზლად და ღამაზად, გაძალიანების და მოწყენის გარეშე. რაღაცნაირი ნათელი შუბლი ჰქონდა მიწისკაცს, ღიმილი ედგა პირზე, დიდი მხატვრების ტილოებში რომ ადგათ, ისეთი, რაღაც ღვთიური და უზრუნველი, მიმტევებელი და მოწყალე ღიმილი, კმაყოფილი და გახსნილი, როგორც იყო ისეთი, დაუმალავი და გამხელილი, გადმოშლილი იყო ხელისგულზე ცხოვრება მისი, მთელი მისი წარსული და მომავალი, მთელი ეს ქვეყანა, მის გარშემო განფენილი, წამალს რომ შეურჩევს კაცს წყნარი მეაფთიაქე და მერე გაიგებს, იმ წამალს რომ მომაკვდავისთვის უშველია, იმგვარი, არაფერი რომ არ შეედრება, გარდა იმ წუთიერი მარადიულობისა, რაც აბუქდია ცხოვრებას მისას, — მე, შვილებო, იმიტომ მივატოვე ჩემი ოჯახი, რომ სხვანაირად არ შემიძლო“. ახსნა რომ არ დასჭირდება არაფერს, სიტყვა რომ ზედმეტი

იქნება, ყველაფერი რომ ბუნებრივი მოგეჩვენება, შენი და სხვა რომ ერთმანეთში აგერევა, ერთმანეთისაგან რომ ვერ გაარჩევ, როგორც ხანირ ხეხილსა და ახალს, ქორფას, ოღონდაც ცოტათი მეტ ყურადღებას მიაქცევ ამათ, ესენი ჭერ კიდევ უღონონი არიან, ჭერ კიდევ სკირდებათ ხელის შეშველება, — და ეგაა და ეგ! სვიმო დარანდიას თავისი-ანები უყვარდა გამორჩეულად, კელვა სანაია კი ბავშვს ბავშვისაგან ვერ ანსხვავებდა. რალაც ამგვარი ბუნებისა იყო ანუცა საღანაიც. მეძავ ჭალებს, როგორც პოეტებს, აქვთ პრეტენზია იმისა, რომ ყველას ეკუთვნიან, ამგვარი იყო ანუცა საღანაიც. ანუცას მე თვალეში შევციცინებდი. მაგრამ იმედი კი არა მქონდა იმისა, რასაც მეთხველი გაიფიქრებს და განა იმიტომ ვამბობ ამას, მე რომ ბავშვი ვიყავი და ის ჩემს გვერდით არ გაივილიდა, — მე იმხანად პატარა კი არ მეგონა ჩემი თავი. ის საქმე, რასაც მე ვეკიდებოდი, რალაციარ თავისთავადობას მმართვედა, თავმოსაწონარს მაძლევდა. მე შემომქონდა ოჯახში ფული და ეს ამბავი ჩემსავე თვალში მადიდებდა, მაამაყებდა და მიზუნთან ვხდებოდი დღითი-დღე, სულ პატარა რამე მომეკიდებოდა გულზე, ავდგებოდი და ზრდადარულეზული კაცივით გავბრაზდებოდი ხოლმე. საღამოს ბაზრიდან შინ კი არ დავბრუნდებოდი ჩვეულებრივ, არამედ ციხიდან ახლახან გამოსულ „ხოქოს“ ვავყვებოდი, ერთად ვიქნებოდი ორივენი და საღმე ერთად ვავთვევდი ღამეს, ვესტუმრებოდი ვინმეს, ვინმე ქალთაგანს, აქ, საღამოს ბაზარზე რომ იდგა დღენი-ადაგ და მთელი ღამე იქ ვიქნებოდი, იმ ქალთან კიდევ იქნებოდა ვინმე სტუმარი ქალი, მისივე მსგავსი და იმგვარივე საქმის მიმდევარი, იქ არაყსაც დავლევდი. იმ საღამოს ბაზარზე ნაყიდს. მახსოვს, პირველი ჭიქა არყის გემო, რა მოჩვენებითი სიამით დავლიე ის არაყი. „ხოქომ“ კი შეამჩნია ეს და მი-თხრა: „პირველად სვამ, ბიჭო?!“ მე კი ერთი სული მედგა, ნადიას არ შეემჩნია

ჩემთვის, რასაც ვმალავდი, მაგრამ მახსოვს, რა ნეტარებით აღესილმა: გადახედა ლიდას დედას, — ნადია გრძობდა, რომ მე მარტო არაყი კი არ დავლიე იმ ღამეს პირველად, არამედ პირველად ვიყავი ამგვარ ვითარებაშიც; მას, როგორაც, ძალზე სიამოვნებდა ეს და ისე მიყურებდა, როგორც გალიაში მოხვედრილ ჩიტს, თან რომ გსიამოვნებს ჩიტი რომ შენს ბადეში მოხვდა, თავისით რომ შემოფრინდა, და თან რომ არ იცი, რა ქნა ახლა, გაუშვა თუ არა ის ჩიტი ისევე, განა რა ბადე იყო, ან გალია, ეს შეუმჩნეველი იყო სხვისათვის, ამას ვერც დაინახავდა კაცი, ოღონდაც, არ შეიძლება არ გეგრძნო, გიცახცახებს მუხლები და ალბათ, ამის გამოა, რომ ხშირ-ხშირად დგები სკამიდან და ფეხზე მდგარი სვამ სადღეგრძელოს. მერე „ხოქო“ გაიხდის პერანგს და დიდის ამბით მოისერის ლოგინისაკენ, პერანგს აიღებს ლიდას დედა და საწოლის თავზე გადაჰკიდებს. ცხელა. აგვისტოს ღამეა უქირში, მწერები დაფრენენ ღამის გარშემო, ყარს თევზის სუნი, არაყთან შეზავებული, ყარს თავად ეს პაწია ოთახიც, ეს ერთი თვალი ოთახი, რომელიც დიდ ოთახს რომაა მიშენებული, ან მიწებებული. ოთახი — ლოკოკინა, ანათებს პაწია ღამა და მიდის ის ოთახი, მილოღავს, ფარფატებს, ბანცალებს, მოძრაობს, ერთი ორად გეჩვენება, გიბრუნს თავი, ფიქრს ფიქრი ცვლის, მერე სულ ერთი და იგივე ფიქრი მოგდის; მახსოვს, როგორ ამიყვანა ნადიამ და როგორ ჩამაწვინა ლოგინში. „ხოქო“ და პაშა უკვე იწვენენ, კარგა ხანია, — ნახვამდისო, დაგვიბარეს ჩვენ, ხელი დაგვიქნიეს და წავიდა მათი ხომალდი, გასცდა ნაპირს, ჩვენ კი მარტოკა ვართ აქ, მარტო ჩვენ ორნი; უცებ მომეჩვენა, რომ სვიმო ბაბუს ხელა ვარ თითქო და მე მოვითხოვე, ნადიას ჩემთვის მოეტანა ტაშტით წყალი და ფეხები დაებანა.

ნადია მანამდეც მყავდა ნანახი საღამოს ბაზარში, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, რომ როდესმე მასთან მომი-

წევდა ლამის გათევა. ამის გაფიქრებას არც ვაგებდავდი, ისეთი კაცები ესაუბრებოდნენ მას სალამოს ბაზარში; ნადიასთან რომ ღამე გავათიე, მეორე დღეს, დამიძახა ერთმა ბიძიამ. დამიძახა და მივედი მასთან; მან პაპიროსი გამომართვა, ფული მომცა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა, კი არ მითხრა თითქო, არამედ შემეხვეწა, მეტად არ მიხვიდო იქ, თუ ჩემი ხათრი გაქვსო, მე ხომ მიცნობო. როგორ არ გიცნობ-მეთქი, ბიძია. მეც იმიტომ გუუბნებო, შენ სხვაგვარად არ გამოიგო, ძალიან გთხოვო, აწი არ მიხვიდო იქ, „ხოკოს“ მე მოველაპარაკებო, მან ყველაფერი იცისო. ვხვდებოდი, რას გულისხმობდა ის ბიძია კაცი. და მე შევიგარქენი, — ამ სალამოს ბაზარზე ანგარიშს მიწევდნენ. სხვა მიხა ვიყავი თითქოსდა უკვე, უცებ წამოვიზარდე თითქოს, მე შეკითხებოდნენ და მთხოვდნენ კიდევაც, თუ არ გეწყინება, ამა და ამ ალაგას ნუ მიხვალო. ამას ისიც ამბავდა ალბათ, მე რომ „ხოკოს“ ვიცნობდი და მასთან ერთად ვიყავი იქ, „ხოკო“ ახალი გამოსული იყო ციხიდან, მას მოწიწებით ექცეოდა მთელი სალამოს ბაზარი, „ხოკო“ თუ ვინმეს გაქურდავდა, ყველამ იცოდა, ის კაცი უცხო იქნებოდა, სოფელი იქნებოდა ვინმე, უჭირში ჩამოსული; ამ სალამოს ბაზრის ხალხს კი „ხოკო“ ხელს არ ახლებდა, პირიქით, დაიცავდა სხვათაგან, ეს იცოდა ყველამ და უყვარდათ „ხოკო“. მსგავსი იყო ამ ხალხის ცხოვრება, მსგავსი იყო საქმე მათი. „ხოკო“ ჯიბის ქურდი იყო. ლიდას დედა. — ვადამყიდველი, მაგრამ რა განსხვავება იყო მათ შორის? მათი ნათესავი ვიყავი მეც. მეც იმგვარივე გზით ვშოულობდი ფულს. როგორც ისინი, ეგაა ოღონდაც: იმ დღის მერე, ის ბიძია რომ მელაპარაკა და მე თავი კაცად ვიგარქენი, მეტად არ გამოიყიდა პაპიროსი. შევეუამხანავდი „ხოკოს“ და ერთხელ და სამუდამოდ შევეშვი პაპიროსით ვაჭრობას. „ხოკოსთან“ დარბისო, ამბობდნენ ჩემზე, და მართლაც რომ სირბი-

ლი იყო ეს. ქურდბაცაცა ვერცხლისწყალივითაა, ის ერთ წამსაც არ გაჩერდება ერთ ალაგას უსაქმოდ, ხომ სწრაფია თითები მისი, ეს სისწრაფე გადადის თითქოსდა მის სხეულზეც; დაუდევარი ხდება ის, დურთავს თავს შეჩქეფიფულ ხალხში და გაძვრება ნემსივით, ამწუთას აქაა, იმწუთას — იქ, ხოლო ხულოვანი ბიჭები ერთსა და იმავე „ბირგაზე“ იყვნენ დაკოსებული; უჭირელები ხედავდნენ მათ ყოველთვის ერთსა და იმავე ალაგას, ერთსა და იმავე მდგომარეობაში, ხანდახან კი ჩამოვივლიდა კაჟა დარჯანია, ჩაპბერავდა სასტენს და გაითანტებოდნენ ისინი, მაგრამ ჩაივლიდა დარჯანია და გროვდებოდნენ ისევ. ადამიანთა ამგვარ კასტას, ხელის განძრევა ეზარება ჭირის დღესავით, არაფერს არ მოეკიდება მთელი ცხოვრება და დაბერდება კიდევაც აქ დგომით. ყველა იმათგანს, გამორჩეულად ეცვა ყოველთვის, მათ ჰყავდათ შემძლე და ქონებიერი შობილები და უზრუნველი იყვნენ კიდევაც არ მიყვარდა ეს კასტა. ზოგი ხომ ჩემთან ერთად სწავლობდა ოდესღაც სკოლაში, მაგრამ არც მათდამი არა მჭონდა კეთილი გული, „ისინი კინოებში ხედავენ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ!“ — ამბობდა „ხოკო“.

ერთ წელიწადს საოცარი რამ მოხდა. საღდაც შორეული რუსეთის ციხიდან დაბრუნდა ერთი უჭირელი ბიჭი, გვარად შარაშია, ვისი სახელიც პირზე ეკერა ყველას, დიდსა და პატარას; შარაშიას ისეთი რამე ჰქონდა ჩადენილი, რასაც თავად სახელმწიფო მალავდა და ეს ამბავი ანკვიფრებდა ყველას. და თუმცა ქურდი არ ერჩის არავის, — დაფრთხნენ მამინ უჭირელი ხულოვანები.

შარაშიას გამოჩენამ მოსვენება დაგვიკარგა. ნელი, ოღნავი რწევით დაუყვებოდა იგი უჭირის მთავარ ქუჩას, აღტაცებით შეეციცინებდით მას, და განა მარტო შორიდან. — ჩვენხელა ბიჭებიდან, — მე, „ხოკოს“ და რამდენიმე ბიჭს, ახლოსაც შეგვეძლო მასთან

გმდგარიყავით. რაღაც ფარულ ბედნიერებას ჰგავდა ეს. შარაშიას ჩეჩქივით ჰქონდა ფული, მაგრამ უბრალოდ და საღად იცვამდა მუდამ. იაფფასიანი კოსტუმი ეცვა, შეენოდა მინც, სუფთა იყო კოხტა იყო, ლაზათიანი სიარული ეცოდა, სხვებს ხომ ძვირფასი კოსტილისაგან შევერილი კოსტუმი ეცვათ, მაგრამ ყოველნაირი ტანისამოსი ჰკარგავდა მასთან ფერს. ახლა ვიცი, მისი ტანისამოსი კი არ იყო განსაკუთრებული, არამედ თავად პიროვნება, მას რაც არ უნდა ჩაეცვა, ის იქნებოდა ყველაზე ლამაზი და შესანიშნავი; აქ კაცი, მისი სახელი და ზნე-ჩვეულება აკანონებდა გემოვნებას. ქმნიდა აზრს ამა თუ იმ ქსოვილზე და ასე განსაკეთ, ფერზედაც კი. დაჯდებოდა შარაშია დადიანის ბაღში, შემოგხვეოდნენ ბიჭები ირგვლივ, ის შუაში კი არ მოხვდებოდა, სკამის კიდეზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, მაშინ იმ სკამის მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებული ბიჭები ადგებოდნენ თავიანთი ადგილებიდან და ფეხზე შემოეხვეოდნენ მას, ახლა ის სკამის კიდე იყო სკამის შუაგული, მერე წამოდგებოდა შარაშია, — მაგნოლიის სუნი მწყენსო, იტყოდა და ყველანი მიჰყვებოდნენ მას. მაგნოლიას თეთრი, ქათქათა ყვავილი ესხა, ყვავილს სურნელი ასდიოდა და მართლაცდა რაღაცნაირი უსიამოვნო ხდებოდა მისი სიტყვების მერე მაგნოლიის ყვავილის სურნელი. დადიანის ბაღში რომ ჰაწაწინა ტბაა, იქ მივიდოდა, ნაპირზე გაჩერდებოდა და უცქერდა ტბაში მოცურავე გედებს. გედი მარტოკა სიკვდილის წინ მღერისო, იტყოდა; ბიჭი ვინმე დაჭირდა ბიჭს, მუცელში დანას გაუყრიდა, გადაჩებოდა ის ბიჭი მერე, მოგროვდებოდნენ ყველანი და გააჩვენდნენ საქმეს. ყველა თავისას იტყოდა, ბოლოს დაკეცავდა ჟურნალს შარაშია, მაშინ რომ კითხულობდა, და მოკლედ გადაწყვეტდა, თუ ვინ იყო მართალი. ერთი სიამოვნება იყო კინოში მის გვერდით მოხვედრა, თუკი რაიმეს ვერ გამოიტანდი იმ სურათიდან, — აგისხნიდა,

ამბავს თავს მოგებამდა და გარკვეული იყავი მას მერე ყველაფერში. ყველაზე ლამაზ ქალებთან დადიოდა, და უქირში საიდანმე ჩამოსულ კალთამაღლიანს პირველად მაინცდამაინც მასთან უნდა გაეარა. ნასწავლი არ იყო, მაგრამ თითქოსდა ყველაფერი იცოდა. თვითონ კი ამბობდა, — „ისეთი ნახატი ეკიდა თურმე იმ ქალთან, (ვისთანაც ყოფილა) ნახევარი მილიონი ღირებულაო, რა ვიცოდით, ოღონდაც მაშინ. „უქირის ცენტრში რომ ჰაწია სამხატვრო იყო, იქ შედიოდა, ახალგაზრდა მხატვარს ესაუბრებოდა ხოლმე, ქართული ასოების გამოყვანა ძალზე ძნელიაო, — ეუბნებოდა, — სიმეტრია არა გაქვსო დაცული. იმ სამხატვროში სამგლოვიარო გვირგვინებისათვის მისაბნევი ლენტები ეკიდა გასაშრობად, ლენტებზე წარწერები იყო სხვადასხვა შინაარსისა და ზომისა: „დაუფიწყარ კირილეს მეგობრებისაგან“, — ეწერა იმ ლენტზე, შარაშია რომ მიანიშნებდა, სიმეტრია არააო დაცული. უსმენდა ის ყმაწვილი მხატვარი შარაშიას, როგორც ოსტატს და რაღაცას იმიზეზებდა, საღებავსა თუ ქსოვილს, რაღაცა არ მივარგაო, ჩიოდა, მართალს ამბობო, ეუბნებოდა შარაშიას, — მაგრამ პასუხად კი არა შენიშვნისა, გვერდს უქცევდა იმ სიტყვებს მხატვარი და სხვა ამბავზე გადაჰქონდა ყურადღება. წყინდა შარაშიას ეს ამბავი, ბიჭი რომ შენიშვნას არ ღებულობდა, ოღონდაც ვერ გაიგებდი, დანამდვილებით სწყინდა თუ უხაროდა სულაც, ისე გაიღიმა მის სიტყვებზე, ეს არ მივარგაო, რომ თქვა, ისე გაიარა და გამოვიდა სამხატვროდან მაშინ; რაღაცა კიდე დაიბარა თითქო, როცა გამოვიდა, — „ქართული ასოები უძველესია ღედამიწაზე, ქართულ ასოებს შორის მთელი სამყარო ეტევია, ა—მაგალითად, აგერ, რაც არის, იმას ნიშნავს, მიწააო ა, ხოლო ჰაე, მაგალითად, ჰაერიო, თან ისე იწერება, სულ სიმალღეში მიდისო“. დაბალი იყო ტანით, მაგრამ დაბალი არ ეთქმობა, ისეთი ყელმოღერილი სიარული იცოდა,

ოდნავ ამალღებული და ამასთანავე წინ წამოწეული მხრები ჰქონდა, ორბსა ჰგავდა, ან ორბის მართვეს, — ძალზე ღონიერი იყო, მაგრამ ჩხუბი არ უყვარდა, — მახსოვს, როგორ შეენარცხნენ ერთმანეთს შარაშია და ერთი უქირელი კაცი, რომელიც ყველაზე ღონიერად ითვლებოდა მაშინ, „ხომ იცი შენ, რას გიზამო, — თქვა მან და მარჯვენა ხელისგული სჭიდა მკერდზე, ზედ, გულისპირზე სჭიდა ხელი და ასწია კიდევაც ეს ვეებერთელ კაცი; მოსწყვიტა მიწას, — მიკვირდა, ან პერანგმა როგორ გაუძლო იმ სიმძიმეს, ან ხელი ისე როგორ მოარგო შარაშიამ, — მერე კი, მახსოვს, როგორ წავიდა ის კაცი შერცხვენილი, ხმისამოუღებლად. შარაშია თამაშობდა და იგებდა ფულს. ან უქირელს ეთამაშებოდა „ბაიბუთს“, ან კიდევ სხვა ქალაქიდან ჩამოსულს, ვინმეს, ჭერ იყო და, წააგებდა და წააგებდა კარგა ძალ ფულს. თავსაც იწყევლიდა, მახსოვს, იგინებოდა, გასწყვედა იმ ხელს, რომლითაც წასაგები კამათელი გააგორა და სთხლიშავდა მოწყვეტით ქვას, იჭამდა ხელებს, წყევლიდა ღმერთსა და გამჩენს თავისას და აგებდა და აგებდა თან. მოსალამოვდებოდა ამასობაში, დილით დაჯდებოდნენ სათამაშოდ და საღამო მოაწევდა, დაიღებოდა მეწყვილე მისი, თვითონ კი ფხიზელი იყო ერთთავად, თამაშის იმტაზე ახლა მოდიოდა, მოუბრუნდებოდა მოპირდაპირეს და გაფცქვნიდა ერთიანად, სულ სიმღერ-სიმღერით აგორებდა კამათლებს, ათასნაირ ლექსებს ამბობდა, ხან ქართულად, ხან რუსულად, როგორც მერე გავიგე, მთელი ესენინი იცოდა ზებირად. რაიმეს დაუსტვენდა სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებიდან, ქართული ოპერებიდან, ჩაიკოვსკიდან, ის კაცი კი გულზე სკდებოდა, მაგრამ უკვე წაგებას იყო და თამაშს თავს ხომ ვერ გაანებებდა და მიჰყავდა შარაშიას ბაწრით ფინიასავით, — თვითონ წინ მიდიოდა, ის უკან, და რა თანხასაც დაუსახელებდა, იმაზე თანხმდებოდა, იქით მიჰყვებოდა, საითაც ის მიდიო-

და, როგორც გემის რწევას აყვება ხოლმე ტანი, იმგვარად. იჭდებოდა ცხენზე და არც ჩამოხვალ, ხანამ არ მოგწყინდება, ლაგამი მიშვებულები გაქვს, ცხენი არ იბრძვის, ლაგამს არ კვენტს, ყალყზე არ დგება, გემორჩილება შენ, იცის რომ აჯობე, გრძნობს იმას, შენ ხარ მისი ბატონ-პატრონი და ის მსახურია შენი, მონაა შენი, ამასობაში მზის შუქი აკლდება ხეივანს, მუქდება ცა, ძლივს დგება წაგებული ფეხზე, აიყრებიან ზღაზენით მოყურადეები, მარტოკა გაუდგება წაგებული გზას, მოგებულს კი ხალხი ეხვევა გარშემო, მიაცილებენ მას, ეუბნებიან სასიამოვნო სიტყვებს და დაიშლებიან თანდათან კიდევ, დაუყვებიან უქირის მოზინდულ ქუჩებს.

შარაშია ქურდი იყო, როგორც ვიცოდით, მაგრამ მას რომ რაიმე მოეპაროს, არ მახსოვს, მაგრამ „ბაიბუთს“ რომ თამაშობდა, ამას ყველა ხზედავდით. მე დლითი-დღე უფრო და უფრო მიზიდავდა ამგვარი ხელობა. ეუბნებდი ჩემს კბილა ბიჭებს მცირეოდენ ფულს, მერე ერთად მოვავგროვებდი მონაგებს, მოვქებნიდი ვინმეს, ჩემზე ჰკვიანსა და უკეთეს მოთამაშეს და მასთან წავაგებდი ყველაფერს. ასე იყო მუდამ. შინ ხომ არც დავდიოდი ღამ-ღამობით, გავაჯაგრებდი საწყალ დედაჩემს, რაიმეს მოვიმიზეზებდი და გავვარდებოდი შინიდან, კი არ დავიბარებდი, საით მივდიოდი, სად გავათევდი ღამეს, ერთი სული ედგა გამზრდელს, როგორმე თვრამეტი წლის შევქმნილიყავი, რათა სამხედრო სამსახურში გავეწვიეთ, იქ დაჰკვიანდებო, ეუბნებოდნენ დედას, ანუგეშებდნენ ამითი და მასაც დიდი იმედი ჰქონდა, რომ იქიდან დაბრუნებული, კაცი დავდგებოდი. ჩონთო ბრძია დავინახე ერთხელ, საღამოს ბაზარზე, მაგრამ მხარი ავუქციე, — ან რა პირი მქონდა, გამარჯვება შეთქვა. ჩონთო ბიძია, ბაგი თუთარიასი არ იყოს, აწი მე თავის სახლში არ გამაჩერებდა, არ მაპატებდა ამგვარ საქციელს, ვიცოდი და მიტომაც ავუქციე მხარი; ეგე-

ბის დამინახა კიდევაც ჩონთო ბიძიამ და არ დამიძახა, ასეც გავიფიქრე, მაგრამ რა ჰქონდა დასამალი, თავს როგორ მოიტყუებდა, მიხა არ დამინახავსო, ან მიხა არ იქნებოა ეს ბიჭი; ამას რომ ვფიქრობდი, ტირილი მინდებოდა, მასწენდებოდა იქ გატარებული დღეები. სპირლო ჭანაშია და ჩონთო ბიძია რომ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს ნარდს, მეტრ ამ სურათისაც მოეხმებოდა პატარა პატარა ამბები, მაგრამ არა საგულისხმო, ძლივს რომ სუნთქავდნენ სადღაც, ბნელში თუ ჩრდილში, სადღაც უფსკურულში იძირებოდნენ, ჩემული გონების თვალი არ ცდილობდა იქ შეღწევის, ბნელი იყო ის ალაგი, მე რომ დავინახე ჭიხაშვარში, მიწაში გათხრილი გვირაბი, როსმე იმ გვირაბით მიდიოდა თურმე კაცი კაცთან, თურქობის ეამს, გვირაბი სოფლიდან სოფელს უერთდებოდა. მიჰქონდათ ერთმანეთთან წყალი და სიტყვა. ეხმარებოდა ერთმანეთს ხალხი, მაგრამ დრომ გაიარა და ის გვირაბიც გაუქმდა. ხავსი მოეკიდა მის კედლებს, ტენიანი და სველი გახდა, თან ბალახიც ხარობდა იქ, ნაწვიმარზე რომ იცის, ისეთი; ცხელოდა გარეთ, იქ კი სიცივე იდგა და ბნელოდა თან, საშინლად, უსინათლოდ ორ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდი, ქრქოლა გიტანდა და მაშინვე გამოდიოდა გარეთ და უფრთხოდა სოფელი იმ ქვაბს, შიგ არ იხედებოდა, გვერდით ჩაუვლიდა და თავის გზას გააგრძელებდა. ნინა დეიდამ თქვა: „მიხა სამ კბილ შაქარს ყრის ჩაიში“. ეს სიტყვებიც იმ გვირაბში იყო ჩაქედილი, როგორც იმ გვირაბის გავლისას რომელიმე გლეხკაცის მიერ ნათქვამი სიტყვა, ან კიდევ გაფიქრებული, იმ წარსულ დროს, როცა თურქების ძნელი ეამი იდგა სამეგრელოში, — გვირაბში არ შევდიოდი, ოდის წინ კი სამოთხე იყო სწორედ გადაშლილი. წყლიანი მსხალი მომავონდებოდა უცებ, ან კოწო თუთარია, მაგრამ იმწამსვე მიმავიწყდებოდა ისევ, გულში არ მიჩერდებოდა არაფერი. შარაშია კი ყოველთვის თვალწინ მდგა.


მინდოდა მას დაემგვანებოდი; მასწოეს, როგორ დავებოდით სასადნობო ჯოხის ცხენებით და როგორ გავინახავდით, მე ხუტა ვარ, მე ონიკო, და ასე შემდეგ. ხუტა და ონიკო მარულის ცხენებზე იჯდნენ, უქირის სტადიონზე დოლი და მარულა იმართებოდა კვირაობით და მუდამ ისინი გამოდიოდნენ გამარჯვებულნი. ბალები მათ სახელებს ვირქმევდით და დავაჰენებდით ჯოხის ცხენებს. ასევე იცვამენ ბავშვები ცნობილი ფეხბურთელების მაისურებს, ზედ კირით, ან მელნით იწერენ იმ ნომრებს, ისინი რომ ატარებენ მაისურებზე და დასდევენ ველური მანდარინის ბურთს. ერთი სული მდგა, ისე მოვეცეულიყავი, როგორც შარაშია მოიქცეოდა ამა თუ იმ დროს. მისებურად გადმოვიდოდი მანქანიდან, კარს ისე მივხურავდი, თვალს კი არ მივატანდი, კარგად დაიხურა თუ არა, — არამედ გადმოვიდოდი მანქანიდან და უკან მოუხედავად ვკრავდი ხელს მანქანის კარს, ისე, როგორც შარაშია. მისი გავლენის ქვეშ იყვნენ მთელი უქირელი ახალგაზრდები, ყველა ცდილობდა, მისებურად გაეგორებინა კამათელი, მისებურად დამქდარიყო ქვაზე მოწინააღმდეგის მოპირდაპირედ, — არ კი გამოუდიოდათ ოღონდაც, — იმდენად არაჩვეულებრივი იყო მისი ყოველი საქციელი. დღეს რომ მშვიდი და წყნარი იყო, ხვალ ავი ბრაზი გადაელვებოდა თვალეზე და უკვე ცისფერი თვალეები კი არა ჰქონდა. ჩვეულად, არამედ ჩაშავებული და მშვიერი მზერა ჰქონდა, მსხვერპლს რომ დალანდავს მტაცებელი, იმგვარი, და ვერ უხსნიდა გულს ვერაფერი, ვერანაირი სიტყვა და ოხუნჯობა. ვერანაირი ამბების მოყოლა და კინო, — რაღაცას შეეპყროთ თითქოსდა სული მისი, — ცუდად ვარო, — იტყოდა მოკლედ, მგონი სიცხე მაქვსო, მაციებსო, და მაინცდამაინც იმ დღეს გამოჩნდებოდა საიდანმე მოთამაშე კაცი, შარაშიას თამაშს შესთავაზებდა. აქ სიახლოვეს ეყოლებოდა ვინმე, ამბავს რომ მიუტანდა, იგრძ-

ნობდა ამას შარაშია და ყველას გასაოცრად, იმ საღამოსაც მოგებული მიდიოდა შინ, განზრახ თუ მოაჩვენებდა ვინმეს თავს უქეიფოდ. იმდენს მოუგებდა ციხიდან გამოსულ რომელიმე ბიჭს, ქურდიო, რომ ამბობდნენ, რასაც ვერ გადაუხდიდა დათქმული დროისათვის და ამრიგად ააღებინებდა ქურდობაზე ხელს. შარაშია წაგებას ვერ იტანდა, ყველაფერზე მიდიოდა, რათა მოგებული გამოსულიყო, ის თავისი ბავშვობიდან გაპყურებდა და სწონიდა ყველაფერს, თავისი დაკარგული ბავშვობიდან: შარაშია ციხეში მოკვდაო, ამბობდნენ მაშინ უქირაში, ხოლო როცა ის დაბრუნდა, უქირალებს ძილი გაუტყდათ. ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა რაღაცნაირი შიში, არავის კი არ უნახავს იგი, თუნდაც სამეზობლოში გადასული, იქ დამჭდარიყოს და ესაუბროს ვინმესთან, ასე და ასეო, ესა და ეს ვნახეო იქ; მას თითქოსდა მეზობლებიც არა ჰყავდა, არც მეგობარი, არც ამხანაგი. დღემუდამ მის გარშემო დაწოწილებდნენ ბიჭები, მაგრამ მაინც მარტო-კაცი იყო, მარტო თამაშობდა მიტომაც და კაცს არ შეიამხანაგებდა, მოქეიფე არ იყო და მხიარული. თავისთვის კი ლიღინებდა თამაშის დროს, ან უსტვენდა და ისე აგორებდა კამათლებს. მისი ცხოვრების მეტი წილი დრო და ხანი თამაშს მიჰქონდა, თამაშს ეწირებოდა. მისი ხასიათი რომ იცოდა და გაეგონა, კელვა სანაია ამბობდა, მე რომ ვიყო, შარაშიას ბიჭს — მილიციის უფროსად გავუშვებდიო, აი, მაშინ იქნებოდაო უქირაში წესრიგი; თვალეზში ვერ შეხედავო იმ ბიჭს, ისეთი თვალეზი აქვსო. ცისფერი, მწყაზარი თვალეზი ჰქონდა, — ამგვარი თვალეზი აქვს მეტწილად მეოცნებე და შეყვარებულ ადამიანებს, პოეტებსა და ხელოვნების მსახურთ, ოღონდაც დიდხანს ვერ ცხოვრობენ ისინი თითქო, სულ არაქაუთრი ფიქრები აქვთ, სულ სხვათათვის გაუგებარი და უცხო მისწრაფებანი და როგორც წესი, უღონონი და უსუსურნი არიან თანაც, მაგრამ შარაშია ტყვიასა-

ვით სწრაფი და ღონიერი იყო. იმდენად ცოცხალი იყო იგი, იმდენად შემართული და გამზადებული ყოველი წამისათვის, — მისი ნაადრევი სიკვდილი ვერც წარმოედგინა ვერავის.

\* \* \*

ჩონთო ბიძიასთან ვერ მივიდოდი. ოქტომბრი ვერ დავბრუნდებოდი. სვიმო ბაბუა? საკვირველია, მაგრამ იქით სულ არ მიმიწევდა გული, თუმცა-ღა ყუმში მიმავალი გზა მაგონდებოდა ქამი-ქამი. გავიხედავდი ფიქრით იქითგენ და დავინახავდი ვეებერთელა კედარს, უქირსა და ყუმს შუა ამართულს. დაახლოებით ერთნაირი მანძილი იყო იმ კედარის ხიდან უქირამდე და ყუმამდე. კედარი კარგა შორი მანძილიდან ჩანს. ყუმის გახსენებას ყოველთვის გამოჰყავს კედარი ჩემეული ხსოვნის ეკრანზე. ის მუდამ ერთსა და იმავე ალაგას დგას, იოლად აღიქვამს ხსოვნა და იმწამსვე გამოებმება ხოლმე ფიქრს, როცა კი ყუმში გამახსენდება. კედარი მტკიცეა, მყარია მისი მდგომარეობა, ხოლო ჩემს მიერ ჩახატული სვიმო ბაბუას პორტრეტი არაა სრული, ეს უფრო ხატის გამოზრწყინებაა ხანდისხანი, რასაც ქმნის შუქის მოძრაობა, რასაც ჩემეული გონება აღიქვამს, სხვისი თვალით კი სხვაა კიდევ სვიმო ბაბუა; ლუცა ბებიას რომ თავისი ქმრის გამო რაიმე დაეწერა, — ერთი დიდი და უშველებელი ეკვიანი რომანი გამოუვიდოდა, ალე ბიძიას კი სულ სხვაგვარი რამ მოეჩვენებოდა მისი აღწერისას და სვიმო ბაბუას არასოდეს არ მოჰკლავდა თავის რომანში, რადგანაც ის იყო მისი მარჩენალი; კედარი კი დაახლოებით ერთსა და იმავე ფიქრებს აღუძრავდა მნახველს, მგზავრს, უქირიდან ყუმში მიმავალს, ან ყუმიდან უქირაში, ის გახედავდა კედარს და გაიფიქრებდა რაღაცას, „ახლა ორი კილომეტრიღა რჩება უქირამდე“, ან კიდევ, — „სანამ იმ კედარს მივაღწევდეთ, კიდევაც დაღამდება“. კედარი იყო მანძილისა და დროის მოსანიშნი. გაიმართება კედარი



ხსოვნაში და ყუმიც გამახსენდება. არაფერი ისე არ იბეჭდება კაცის ხსოვნაში, როგორც ბუნების სურათები, ესა თუ ის ადგილი, ჩატეხილი ღობე იქნება ეს თუ კედარი, სადმე შეხვნიარავი ხე თუ უღრანი, მწუხრმა რომ მოგისწრო, ოდის უკან მდგარი ბნელი თუ პაწია მოლი, სადაფივით რომ გდია ტყის კორომში, მდინარის ხვეული ადგილი, ნაფოტებიდა და ღორღით ამოვსებული, უბრალო ჭევა, შენ რომ ოდესღაც შენს ბავშვობაში ამოაბრუნე და გალურსული ღორჯო დაინახე.—მაგრამ ის ხალხი, შენ რომ ბაზრობა დღეს დაინახე უქირში, სად წავიდა? სად გაიფანტა? რატომ არ მოეკიდა ხსოვნას? თუკი მოინდობა, ალბათ მაინც აღადგენს კაცი იმ დღიდან გამოყოლილ ხმეზსა და სახეებს, მაგრამ ამას ძალის დატანება უნდა, ბუნებრივად კი არ გაგახსენდება არაფერი იმ დღიდან, — კედარი კი ჩანს. მაშინაც კი ჩანს, როცა არა ხედავ, — თვალი ხომ ათასნაირია, თვალის ჩინია, გულის თვალია, გონების თვალია, ერთხელ რომ გაივლი ტყეში და მეორედ გავლისას რომ იმავე ალაგას დაადგამ ფეხს, კი არ იყურები ძირს, წინ იყურები, მაგრამ ფეხისგული გრძობს თვად, სად დააბიჯა მაშინ და არ მოხვდა ეკალი და იმავე ალაგას აბიჯებს ახლა. ხსოვნა? კედარს თუ ახსრავს ნეტა, ზანზალაკებიანმა ეტლმა რომ ჩაუარა, ქორწილი რომ ჰქონდა ალე ბიძიას და ფუხიდან მოგვეყავდა ნუნუ ბიცოლა? „შენი მოსვლა ჰერმაც გაიგოო, შვილო“, მეტყვის მე დედაჩემი კარგა ხნის მერე, თბილისიდან შინ დაბრუნებულს. ბევრ რამეს, რამაც ასე თუ ისე იმოქმედა ჩემზე, ბუნების სურათებსაც მივაწერ ახლა. სალამოს ბაზარი კი, გავა ეამი და არც კი გამახსენდება. — მიმავიწყდება.

იმ კედარს ისევ და ისევ ყუმში მივყავარ, საიდანაც ჩემივე ფეხით წამოვედი. ყველაზე მეტად ლუცა ბებოასთან საუბარი არ მსიამოვნებდა, „ამოწყდით თუთარიები, გააწამეთ საწყალი ქალი, მაგას თავისი სარჩენი არა აქვს მანდ“.

— იტყოდა ლუცა ბებოა; მეც ავდგე და ჩემად წამოვედი.

\* \* \*

ალე ბიძიას ღორი მიჰყვება უკან; „ლრუტ-ლრუტ“, გაისმის ვენახის განაბირალში, იქ, ბილიკზე დგას ალე ბიძია და იქით მიდის ახლა, საითაც ჩვენი ბამბუკის ტყეა. ალე ბიძია ვენახში შევიდა, კარი არ მიიხურა, ღია დატოვა და ღორმაც მაშინვე იპოვა გზა, თან გაეფენვა ალე ბიძიას. ღორმა იცოდა თითქოს, საითაც მიდიოდა ალე ბიძია და რატომ მიდიოდა, რა საქმე ჰქონდა ალე ბიძია მაქირე მსხალს დაფერთხავდა, ალბათ, ბამბუკის ტყეში და ღორი მსხლის ხათრით მიჰყვებოდა კაცს. მაგრამ, ღორმა ჩემზე კარგად იცოდა იმ რატომ მიდიოდა, რა საქმე ჰქონდა. ალე ბიძიას. ვენახსა და ბამბუკნარს კი დაბალი, თხმელის ღობე ჰყოფდა. ალე ბიძია ღობეზე გადაძვრა, ღორი ღობის აქეთ დარჩა და გამალებით ქშინავდა და წიკინებდა უკვე, ღობის ძირებში რგავდა ცხვირ-პირს, ალე ბიძიას ეძახდა და ყნოსავდა ჰაერს. მაგრამ ალე ბიძიამ ეს არ შეიმჩნია და იქიდან რომ გამოვიდა, მხოლოდ მაშინ დაინახა აჰყვილებული ღორი, ჯოხის მოძებნა დაეზარა, ღორი ვენახში ჩატოვა და ვითომც არც ენახოს, ისე გამოვიდა ვენახიდან, ოღონდაც, ამჯერად, ვენახის კარი მოიხურა, ღორი ვენახში ჩაეკეტა და მხოლოდ მეორე დღეს, სვიმო ბაბუა რომ ყანიდან მობრუნდა და ვენახში შეიარა, მხოლოდ მაშინ გამოჩნდა ის, რაც ადრე მოხდა. „კარი ვინ დატოვაო“, იკითხა სვიმო ბაბუამ და ლუცა ბებოა მაშინვე მიხვდა, რომ კარი მე დამრჩა ღიად და პირისახეზე ფითრმა გადაუარა. ალე ბიძიამ კი ვენახის კარი იმიტომ ჩაეკეტა, რომ ღორის გადმორეკვა დაეზარა; რაკილა ვენახის კარი ჩაეკეტილი იქნებოდა, ხომ ძნელად გაირკვეოდა, როგორ შევიდა ვენახში ღორი, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა, ამიღო ბიძიამ თქვა, — ვინ დატოვებდა, მამა, ვენახის კარს, რომ გვეკითხები. შენ თვითონ არ

უნდა მიხედო? — ასე თქვა ამიღო ბიძიამ, ხოლო აღე ბიძია თვითონ შეეკითხა მამამისს: „ღორი ვენახს რას დააკლებსო!“ სვიმო ბაბუა იმ შეკითხვის მერე მიხვდა, თუ ვინ, დატოვა ვენახის კარი ღიად და მეტი სიტყვა არავის უთქვამს. მაგრამ გვიანობისას, როცა ვივასშემო, ფეხები დავიბანეთ, და სველი ფეხები ცეცხლს მივაფიცხეთ, დაძინების წინ, ჭარველიდან რომ ოდაში უნდა ავსულიყავით, აი, მაშინ თქვა სვიმო ბაბუამ: „არაფრის შემოტანა თქვენ არ შეგიძლიათ ოჯახში და, ისიც კი შორს მიგაქვთ და უალავო ალავას ყრით, რაც თქვენ არ მოგიმკითათ“. რა თქვა სვიმო ბაბუამ? მე იმ სიტყვების მნიშვნელობა მაშინ ვერ გავიგე, და ვერც გავიგებდი, მაგრამ ხანმა რომ გაიარა, სიტყვებს ნათელი მოეფინა და ყველაფერი ცხადი შეიქნა. ლუცა ბებია გაიბადრა. ღორი სვიმო ბაბუამ გამოირეკა ვენახიდან, კეტი წყლიანი მსხლის ძირში მოისროლა, აიღო მოპირული თოხი და პატარა, შინა ორღობეებით, ყანასა და ეზოს შუა რომ იდგა, თვალს მიეფარა.

იმ დღესაც, სვიმო ბაბუა შინ არ იყო. ყანაში იყო და, რატომღაც აგვიანებდა შინ მობრუნებას. ხოლო თუ სად იყო სვიმო ბაბუა, ყანაში თუ ტყეში, სადმე ტირილში თუ ლხინში, სამეზობლოში თუ კრებაზე, — ამას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის დანარჩენი წევრებისათვის. ამიღო ბიძია დილით უფრო მკაცრი მეჩვენებოდა, ვიდრე საღამოს. დილით სვიმო ბაბუა შინიდან მიდიოდა, საღამომობით კი ოჯახში იყო. ასე მაღლდებოდა და დაბლდებოდა ჩვენი ურთიერთობის ის დრო-ყამი, რაც სვიმო ბაბუას ადგილსამყოფელზე იყო დამოკიდებული. პირი და გული გაყოფილი ჰქონდა თითქოს ამიღო ბიძიას. პირი და გული გაყოფილი ჰქონდა თითქოს დედაჩემსაც, მაგრამ, ნათქვამია, დედის პირი რომ იწყველება, გული ილოცებაო, ან კიდევ, დედის პირი რომ იწყველება, ძუძუები გლოცავენო. — ქალო, ეს როგორ არ გესმისო, — ბრა-

ზდებოდა კელვა სანაია, — ასე უღვთოდ როგორ იწყველებით! დედაჩემი: მაგალითი მოკყავდა ხოლმე ურთხმე! გამზრდელმა დასწყველა თურმე თავისი შვილი: აი, შენ კი გაგაქრო მამაშეციერმა, დედას რომ არ უჭერებო. და გამოიხედა თურმე მაშინ მამაშეციერმა და იკითხა: ნამდვილად იწყველებიო, — არაო, — უთქვამს დედას, ეგერ, მინდორზე რომ გოკი დგას, იმას ვწყველიო და გადაბრუნდა თურმე გოკი მაშინვე და დალია სული. დედაჩემი კი მაინც მწყველიდა; პირით მწყველიდა, როგორც ვთქვი, გულით — არა. გულის ხმა უსწრებდა პირის ნათქვამს და წინ მოდიოდა, ჭერ ლოცვა მომდიოდა და მერე — წყევლა, ან წყევლა სულაც ვერ პოულობდა თავის ადგილს; საცა მივიდოდა, იქ აშენებული საყდარი დახვდებოდა, სანთელი იწვოდა და ლოცვით იყო საყდარი საყვ.

სვიმო ბაბუამ რომ ყანიდან მოსვლა დაავიანა, იმ დღეს, ლუცა ბებია სადღისს გაკეთებას ახანებდა. აი, სწორედ ახლა გამორეცხა ქვაბი ქასთან და მიღის ახლა ჭარველში, ცალი ხელით ღომის წყალი მიაქვს, მეორე ხელი კი თავზე აფარია, როგორც პალმის ფურცელი, ჭარველის კარი ღიად და ჩანს შუაცეცხლი, ლუცა ბებია ლარქაზე ჰკიდებს ქვაბს და პუტუნებს რაღაცას, თავის ფიჭებშია წასული. „მოგიკვდეს, ნა, დედა“, და მერე იმ სიშორიდან, საცა მისი გულისფიჭი იყო ახლა და წამით ომში წასული ვაჭიშვილი დაინახა, ბრუნდება უცებ და ამჭერად აქაობას ეპოტინება: „სადაა ეს კაცი“, — და მერე ისევ შორსაა საღდაც, და მერე ისევ აქაა, „ამოგივარდა ფოსო!“ — იწყველება ლუცა ბებია, მაგრამ ხანი გადის და ის წყლიანი მსხალი კვლავ წრეში შემოვა. ცხონებაა ახლა იმისი ჩერო, ანუ გრილი სული, — გრილმა სულმა მოაწია, ეს კიდევ იმას ნიშნავს რომ ახლოა საღამო, მე ოდის ოთახში ვზივარ, იმ ოთახში, სადაც მეტი სიგრილეა და წინ მიდევს წიგნი. თვალით ვკითხულობ ასო-ნიშნებს, მაგრამ გული

არ იმასხოვრებს. „გულით წაიკითხე ის წიგნი ბებია“, — არ შედის თავში ეს ოხერი და რა უნდა ვქნა, ადრე რომ გულით წამეკითხა, ახლა მეცოდინებოდა, — აღმოვაჩინე. ჭეშმარიტება და მიგზვდი, ის წიგნი რამდენიც არ უნდა წამეკითხა, ვერაფერს მე იქიდან ვერ გამოვიტანდი, თავის მოტყუება იქნებოდა მხოლოდ წიგნში რომ კიდევ და კიდევ ჩამერგო თავი, „ვიცი გაკვეთილები, ბებია“, — და მე ჩამოვდივარ ოდის კიბეებზე; „აბა ბიცოლას შეეშველე ახლა, ბებია“. — ნუნუ ბიცოლა ასუფთავებდა აგვარას, ანუ ბოსელს, კაცივით ტრიალებდა ბოსელში ნუნუ ბიცოლა. „აბა, ახლა ეს გადავყაროთ, გოლუაფირი“, — მითხრა ნუნუ ბიცოლამ და დიდი ვარკლი დამანახა. მივედი, ავწიე ვარკლი ცალი ყურით, მეორე ყურით ნუნუ ბიცოლამ ასწია და გავიტანეთ თივა-ფუჩეჩში აზელილი საქონლის ფუნა აგვარიდან. მე, რა თქმა უნდა, იქით გავიწიე. საითაც მოკლე გზა მეგულეობდა ეზოდან გასასვლელი: „თავს ნუ ისულელებ მისა გოლუაფირი“, — მითხრა ნუნუ ბიცოლამ, — ვენახში უნდა შევზლოთ ნაკელი“. გაჭირვებით გავიარეთ ვიწრო ორღობე და ვენახში შევედით, მე ზედ ვენახის კართან დავაბირე ვარკლის გადმოპირქვევაება. მაგრამ არც ეს გამოვიდა, — სხვა მეტი რა გზა იყო, — გავყევით ვენახის მწკრივს.

— აქაც ხომ საჭიროა ნაკელი? — ვიკითხე მე.

— მიდი, კირიშია, მიდი!  
— აქ არაა საჭირო ნაკელი?  
ნუნუ ბიცოლამ არაფერი მიპასუხა. ესე იგი, კარგად გიღვეს თავიო, მანიშნა და გავწიეთ ვენახის ბოლოში. იქ ჩამოვდგით ვარკლი და ნუნუ ბიცოლა დამელოდა, ვიდრე მე ავიღებდი და ვარკლს გადმოვაპირქვევებდი. ჩიტი მიუყუფელიყო ვენახის ფოთლებსა და გრილოვანში და როცა ვარკლი გადმოვაბრუნე, ჩიტი ელდანაცემივით გამოფრთხილდა ფოთლებიდან და მახლობელ ბამბუკის ტყეში გაუჩინარდა. „ჩიტებსაც კი სცხელათ“. — გავიფიქ-

რე მე. ნუნუ ბიცოლა მიდიოდა ვენახის მწკრივში, მე უკან მივხედე და ნუნუ ბიცოლას შიშველ ფეხებს, დაფხრეწილ კაბას, ძაფები რომ ჩამოვდიოდა. ნუნუ ბიცოლას ღონიერი ფეხები ჰქონდა, ძვალმსხვილი და დაკუნთული. მისი ფართო ტერფები ნელა, მშვიდად მიაბიჯებდნენ ვენახის მწკრივში და მე ამჯერად ვარჩევ რალაცნაირ რიტმს, ზომას, მიახლოებულს ჩვენს დიდებულ ხალხურ პოეზიასთან, რა ზომითაც იქმნებოდა ჩვენი კარმიდამოს პოემა. პოემის ყველა სტრიქონი ერთნაირი რაოდენობის მარცვლებისაგან შედგება; მიედინება პოემა მდორედ, ღინჯად, გარკვეული მიზნით და ჩერდება ხოლმე სადმე, ალაგესთან, სადმე კიბესთან, სადმე მდინარესთან და გადადის ალაგეზე. აღის კიბეზე, გავა მდინარეზე, ან კიდევ, ისვენებს სადმე, ხის ჩრდილში. ჭარს იღებს, სულს ითქვამს, ცეცხლს ეფიციება და ასეა მთელი მისი დღე და მოსწრება, მთელი ცხოვრება, ვიდრე საბოლოოდ არ დადგება, არ დაწვება და არ გაიარინდება. ნაბიჯების რიტმი ეხამება გულის რიტმს, სუნთქვას, მკლავების მოძრაობას; ეს იყო ნამდვილი ეპოსი. ეპიური პოემა და არა ლირიული; ნუნუ ბიცოლას არასოდეს სცმოია მალაქქესლიანი ფეხსაცმელები. — ან კალოშები ეცვა გამუდმებით, ან კიდევ ყაყაბი, — ხისგან გამოთლილი ქოშები. და თუკი სადმე სატირალში ან ქორწილში არ მიდიოდა, ნუნუ ბიცოლა წინდებსაც არ ჩაიცვამდა, წელიწადის რა დროც არ უნდა ყოფილიყო; ერთხელ ჩვენთან სტუმრად იყვნენ სვედ კონჯარია და მისი ნაზი მუეღლე; მაშინაც იმ წყლიანი მსხლის ძირში ვისხედით ყველანი და მეც ხომ მაშინ დავინახე, როგორ ჩამოიფარა გრძელი ჩითის კაბა ფეხებზე ნუნუ ბიცოლამ, როცა სალომე დეიდას ხორცისფერი წინდებით შემოსილ ფეხებს შეასწრო თვალი. კაბა გასწვდა შიშველ ფეხებს და სულ დაფარა, მაგრამ კალოშები ჩანდა. ნუნუ ბიცოლას სიმინდით სავსე კალთი აქ-

ქონდა ნალიაში. „მე, მამა, მე“, — ეუბნება სვიმო ბაბუას ნუნუ ბიცოლა და ზურგს უშვევს სიმინდით სავსე კალათს. თხელი კაბა აცვია მას, მაგრამ იმ მარცხენა მხარზე, საცა სავსე კალათი უნდა შემოიდგას, ან შემოადგამენ სავსე კალათას, იმ მხარზე ნუნუ ბიცოლას ჩამოფარებული აქვს ძველი სატინის ან შალის ნაჭერი, ან უფრო სქელი რამ ქსოვილი, ოღონდაც უკვე უვაჩრგისი, რათა მხარი არ ჩამოიტყავოს. „მოკალით ბარემ ეს სხვისი შვილი და ეგ არის“, — გვიბრაზდება ლუცა ბებია. ალე ბიძია შინ არაა ამ დროს, საქმე ექნება რამე უქირის ბაზარში, ან ონარიისი იქნება წასული; ალე ბიძიას უქირის ბაზრიდან მოაქვს საჭირო სურსათი და ნივთი: მარილი, სახნისი, ნაჯახი, ფითილი, ქსოვილი რაიმე, ან წითელი სატინი, ან კიდევ ფერადი ჩითი და როგორი სიამოვნებით ვათვალიერებდით: ხოლმე საღამო ხანს ალე ბიძიას მოტანილ ქსოვილს. ნუნუ ბიცოლა გულის პირზე მიიკარებდა ნარმას. მიხდებაო, ვითომ კითხულობდა, მაგრამ სინამდვილეში არ იკითხავდა, ეგების ის ქსოვილი სხვას მოსწონებოდა უფრო. მერე ლუცა ბებია აიღებდა იმ ნარმის ნაღერს, ერთი წამით მიიკარებდა გულის პირზე. — არ ვარგაო ეს ნარმა, იტყოდა განზრახ, თუკი თვალეში შეატყობდა თავის რძალს, ნარმა რომ მოსწონდა, მაგრამ არც ნუნუ ბიცოლა დაირჩენდა იმ ნაჭერს, „რას ამბობ. დედა, ეს ნარმა შენთვის არის ზედგამოჭრილიო“. ეტყოდა ოჯახის დედაქალს, ან კიდევ: „მე ხომ მაქვს, ჭერ ეს არ გამიკვეთიო“, და შესაძლოა. ის ნარმა თუ ჩითი, არავისაც არ რგებოდა. სადმე კიდობანში იღებოდა კარგა ხანს, არავინ მეტად არ მოიკითხავდა ერთმანეთის ხათრით, ერთმანეთის სიყვარულითა და მოწიწებით და კიდობანშიც გახუნდებოდა, ან კიდევ ახალი სულის შემომატებას დაელოდებოდა. და თუკი ცირა გაჩნდებოდა ოჯახში, იმ ცირას შეუტყვარავდნენ მერმისში კაბას.

რატომ შრომობდა ასე თავაუღებლად ნუნუ ბიცოლა? რატომ სწევდა შამაკაციის ასაწევ მძიმე კალათს, რატომ დაეცისრა მას ასეთი საქმიანობა? აი ის კითხვები, რაც იმხანებში ეამიდან ეამზე გულში გამოირბენდა. მაგრამ პასუხს მე ვერ ვპოულობდი. ახლა კი მგონია: ორი ვეციდან, ან ცოლ-ქმრიდან ორივემ თუ ერთნაირად დაუდო ამ ცხოვრებას თავი, საქმე წინ ვერ წავა; როცა კაცი არ ვარგა, ქალი ვარგა და ეს კანონივითაა, არ ინგრევა ოჯახი და მიდის წინ, ღონეს იკრებს, ჯანმრთელობასა და ქონებას იკრებს, თვითონ ქმნის თავის ხვალეს და დიდსა თუ წვრილმან საქმეს ერთნაირი გულით ეკიდება. სვიმო ბაბუა თესავს სიმინდს; მოხდება ხოლმე და ერთი-ორი ცალი სიმინდის თესილი კვალს გარეთ მოხვდება, მაშინ სვიმო ბაბუა მოიქნევს თოხს და იმ მარცვალს კვალში შემოიტანს, მიწას მიაციროს და განაგრძობს თოხნას, მარცვლის ამბავი რომ გაიშალოს. ქვეყანას დაიტევს, ჭერ ხომ ერთი კაკალი მარცვლია, მერე ერთი ძირი სიმინდი, მერე ოთხი თუ ხუთი ტარო და იმ ტაროებიდან კიდევ რამდენი ძირი სიმინდი. მერე ყანაა და ერთი ყანის მოსავალი ხომ მთელ ოჯახს ჰყოფნის მთელი წელიწადი. თუკი ერთი ვერ გამოდგება, მეორე გამოდგება-მეთქი. ნუნუ ბიცოლა თუთას სხებს და ფეხებით ეყრდნობა მიწას, იწევა მალა ნუნუ ბიცოლა და იქნევს ალესილ კვალს და ამ შემთხვევაში მას ცერებზე უწევს შედგომა, მაგრამ ასე მაინც უხერხულად დგას. ის გავა ლობეზე და უფრო მარჯვედ მოიქნევს კვალს. „არ ჩამოვარდეს ეს პატიოსანი ქალი, — ამბობს ლუცა ბებია. — შეიკალით ბარემ ხელში ეს სხვისი შვილი და ეგ არის“. — თავისთავს ესაუბრება ლუცა ბებია, გამგონი კი არავინ ჰყავს ამჯერად ოჯახში. — არც სვიმო ბაბუაა შინ, არც ალე ბიძია, არც ამიღო ბიძია. „ჩამოდი, ნა. ჩამოდი დაბლა. სარზე არ წამოეცვა ეს ოხერი“. — და მე იმ სიტყვების გაგონებისას უცნაური რაღაც გავიფიქრე.

რაც ალბათ, არ უნდა გამეფიჭრებინა და მიინც ვაგიფიჭრე... წიგნის წერა, ამბის თხრობა მუდამყამს დაკავშირებულია რადიკალიზაციის წყვეტილ, ოღონდ გასმენილ ამბებთან, რაც ჭერ კიდევ შემორჩა გონებას, თუმცაღა თითქმის დავიწყებული პქონდა, მაგრამ ესა თუ ის მომენტი კვლავ გახსენებს მივიწყებულს ჩქამსა თუ ფერს, ათას რამეს, რაზეღაც არასოდეს არ ვიფიჭრია, რომ ოღესმე კიდევ ვაგახსენდებოღა; „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, დაილოცოს შენი სახელი, მომჩვენე, ცაზე მიდიოღა ის ბოში“, — ასე თქვა ლუცა ბებიაღმ კვაზი დარანდიას გამო, — გახუ დარანდიას უმცროსი ბიჭი თხებებს მიდენის ყუმის ზეგანზე, რის მერეღც ცაა და დაბლიღან, ჩვენი ეზო-კარიღან ჩანს პატარა კვაზი დარანღია და მისი თხები ცაზე რომ მიდიან. ლუცა ბებიაღმ პირჯვარი გადაიწერა. ლუცა ბებიაღს შეიძლება ისიკ კი მოეჩვენოს ათასში ერთხელ, თუ საღამოს ხანს როგორ ბრუნდება ციღან კვაზი დარანღია და მიიღენის წინ ზანზალაკებიაღ თხებს. და ისეღვ გადაიწერს განცვიფრებული პირჯვარს. „რამ ვაციღთა ასე ეს ჩექმებო?“ — „ღრომ ვაციღთა, თოღი, ღრომ!“ მაგრამ ღრო ვერ ცვიღთავს იმ პირველ საწყისს, გულში რომ ჩავგვრჩა, იმ ახალ ჩექმებს, პირვეღად რომ ჩაიციღა და გახსოღვს, როგორღც ახალი, ისეღთი, როგორიღც იყო მაშინ. ნუნუ ბიციღლას გამზრდელს ახსოღვს თავისი ასუღის ნაზი ფეხები, როცა კოცნიღა, როცა ცირა არტახებიღან გამოიღთანა პაწია ფეხებს და გამზრდელი ღამეში, ჭრატის შუქზე აკვანს გადახეღავღა, ან იგრძნობღა, რომ ფეხები ეწენებოღა ცირას გარეთ გამოყოფიღი და ფეხებს რომ დახეღავღა, გული ვერ მოუთმენღა და აკოცებღა და ისეღვ დაუმაღავღა საზნის ქვეში... მაგრამ ჩემი თვალისათვის ნუნუ ბიციღლას ფეხები ის იყო, რაც იყო, რაც ჩანღა ახღა, ანუ მაშინ, არა — ხსოღვნაში, არა გუღის თვალში, არამედ თვალის ჩინში და მე ვხეღავღი როგორ მოძრაობღენ ისინი, ხოლო სიარული მათი

მე არ მინახავს, სასიარულოღ იმაღ არ ეცაღათ, იმღენი საქმე ელოღათ მუღდამ... აღღე ბიძიას კი სიარული უყვარღა.

სეიღმო ბაბუა კარგა ვაღაშუაღღებულზე ამოვიღა ყანიღან. ლოში უკვე ჩასაზღელად თუხთუხებღა. და სწორედ ამ ღროს მოაღღა ჩვენს ღიდ ჭიშკარს შავი „ემაღინი“. მე დავინახე, როგორ ვაღმოვიღა მანქანიღან ჩონთო ბიძია, როგორ გამოიღთანა თავი, გრძელი და წარბენიღი ყელი, „კოზიროკიანი“ ქუღი კი ხელში ეჭირა. დაბალი, დაგვაჭული შოფერი ჭიშკართან მოვიღა და რიკული გასწია, ჩონთო ბიძიას ფართოღ ვაუღო კარი და ამასობაში, ჩვენც ავიყარენიღ სტუმრის შესახვეღრად. წინ სეიღმო ბაბუა მიღის (მე ბაბუას მივეყუები გვერღით), მერე ლუცა ბებია მიღის, მერე ნუნუ ბიციღლა და სულ ბოღოს, ჩვენი ეზოს ძაღლი მოგვეყუება (ძაღლს კი ვერ ვხეღავღ, მაგრამ ვიცი, რომ მოგვეყუება), უცხო კაცი რომ ყოფიღიყო ვინმე, ჭერ ჩვენი ძაღლი მიეგებებოღა მას. მაგრამ ჩონთო ბიძია ამ ეზო-კარისათვის არ იყო უცხო კაცი.

ვიღრე ჭიშკართან მივიღოღით. „ემაღენის“ შოფერი უკვე მანქანაში იჭღა; როგორღც ჩანღა, ის არ აპირებღა ჩვენთან დარჩენას. სტუმარ კაცს სეიღმო ბაბუა შეეზმიანა: „ნუ მიზამ მაგას, ქრისტიანო“, და ჩონთო ბიძიას მოუხაღა ქუღი, ახლო მივიღა, თვალღებში შეხეღა და მკლავები ვაშაღა ფართოღ, — მასპინძელმა სტუმარი გულში ჩაიკრა, შოფერი მანქანიღან ვაღმოვიღა.

— ძალიან მეჩჭარება, პატენი, — თქვა მან.

სეიღმო ბაბუამ ცას ახეღა.

— აგერ, ქრისტიანო, ეს დალოცვიღლიე ჩჭარობს, მაგრამ ხვალ ისეღვ აქ უნდა მოვიღდეს.

ვაღაშუაღღებული იყო.

იმ უცხო კაცს მეტი თავპატიეი არ გამოუღღვია, ისე შემოგვიერთღა. სეიღმო ბაბუამ ის ცოტათი დაიწინაუღრა და ასე მივეღით წყლიანი მსხლის ძირამღღ. ლუცა ბებიაღმ და ჩონთო ბიძიაღმ ერთმაღნეთი მოიკითხეს. ნუნუ ბიციღლას სკა-

მები გამოჰკონდა ოღა-სახლიდან, ქვის კიბეზე ჩამოდიოდა, შოფერი მსხლას ძირას ჩამოჭდა ფიცრის გრძელ სკამზე, სვიმო ბაბუა კი. ჭერჭერობით, ფეხზე იდგა, იცდიდა, ვიდრე ჩონთო ბიძია ჩამოჭდებოდა. ნუნუ ბიცოლამ სკამები ბალახებში ჩაღვა; ერთი სკამი სქელ ჩრდილში მოახვედრა და იმ სკამზე ჩამოსვა ჩონთო ბიძია, მერე კი შოფერს უთხრა:

— აი, აგერ, სკამზე დაბრძანდით, პატენი.

შოფერმა არა ქნა, აქ მიჩვენილი და დარჩა, საცა იჭდა, ოღონდაც. ვიდრე სვიმო ბაბუას ელაპარაკებოდა, ფეხზე იდგა; ნუნუ ბიცოლამ ხის გრძელი ტაბაკი გამოიტანა და მსხლის ჩრდილში დადგა. ძალი ბოკონებს შორის, თავის საყვარელ ალაგას დაყუნცდა და იქიდან შეგვექეროდა.

— ოღაში! — თქვა სვიმო ბაბუამ, მაგრამ ჩონთო ბიძიამ აქ გვიჩვენილი, სვიმო პატენი, — და ტაბაკი მსხლის ძირში დარჩა. მერე ვიდრე ღომს ამოაგებდნენ, სვიმო ბაბუა წამოდგა, ერთი აქეთ გამომყევითო, თქვა და მარნისკენ აიღო გეზი. მწკრივი კი ასე დალაგდა: სვიმო ბაბუა, ჩონთო ბიძია, ის უცხო კაცი და მე. მარანში რომ შევედით, სვიმო ბაბუამ მიწაში ჩაფლულ ქვევრს თავი მოხადა, ხელში ხრიკე დაიჭირა და ქვევრს წაადგა, ერთი ჩახედა ღვინით საესე ლაგვინს და ჩონთო ბიძიას ანიშნა აქეთ მოიწიეო:

— ჩახედე, იმ ანგელოზებს გაფიცებ, — თქვა მან.

ჩონთო ბიძიამ ქვევრში ჩაიხედა.

მერე უცხო კაცმა ჩაიხედა ქვევრში. და სვიმო ბაბუამ დაიცადა, ქვევრში მეც ჩამახედა.

მარნის ღრიკოებიდან შემოსული ოქროსფერი შუქი ქვევრის პირს ეცემოდა, ქვევრში ჩადიოდა და ქვევრზე გადადიოდა. რა ფერი იყო იმ ლაგვინში მდგარი სალხინო? თუკი იმ ფერს ფერი ეთქმის, რაც მე მაშინ დავინახე, რაღაც მსგავსი ფერის სალამო მაქვს ოდესღაც ნანახი ჩვენი შავი ზღვის სანაპიროზე,

მზე რომ ჩასულია და არაა ჩასული, დღეც რომ ითქმის და ღამეც არაა ღამე, არამედ სალამო, წყნარი, როგორც ოღა-სახლის სასტუმრო ოთახის მაგიდაზე მდგარი გრაფინი, წყალი რომ ასლია შუამდე, ან ცოტა მეტი, ან ცოტა ნაკლები. და წყალი არ შეირხვევა, მაგრამ ქვევრში ფერი ირხეოდა, ფერი ფერში გადადიოდა, ღვინის წვენი კი უძრავად იდგა. მაგრამ ცოცხლობდა, სუნთქავდა. სვიმო ბაბუამ ხრიკე ჩაყო ლაგვინში და ღვინო წურწურით ამოიტანა. ხრიკე მან უცხო კაცს მიაწოდა, კაშნიკი აიღო. უცხო კაცმა ჩონთო ბიძიას დაუთმო საჭაშნიკე წვენი, მერე სვიმო ბაბუამ აქ მარჯვენა ხელი ისე დაიჭირა, რომ ხრიკე უცხო კაცს შერჩა. სტუმარმა ხრიკე მოიყუდა და მოსვა ღვინო. ჩონთო ბიძიამაც რომ მოსვა ის ღვინო, მე ძლიერ ვინანე, რომ კაცი არ მეთქმოდა. სვიმო ბაბუამაც გასინჯა ღვინო და ახლა ცარიელი ხრიკე კვლავ სტუმარს მიაწოდა.


— აბა, ერთი ეს ლაგვინიკ მოვიწინებულეთ. — თქვა მან. მაგრამ სტუმარმა თავი მოიკლა, ამ ღვინის დაწუნება ქრისტიანისაგან როგორ იქნებაო და კიდევ გადაწყდა. — იმ პირველი ლაგვინიდან დალევდნენ კაცები სადილზე ღვინოს. მსხლის ძირში რომ მოვბრუნდით, ტაბაკი გაწყობილი დაგვხვდა.

— აქ ჭლომა მართლა ცხონებაა. — თქვა სტუმარმა და ჩვენი წყლიანი მსხალი მოათვალიერა ხარბად.

— აი, ესეც შენი ცხონება, — თქვა ჩონთო ბიძიამ. — ცხონება მე ასე წარმომიდგენია.

რაც დრო და ხანი გადიოდა, ჩვენს წყლიან მსხალს ფასი ემატებოდა. ჩრდილი უგრძელდებოდა, ნიავი ფაჩუნებდა რტოებში. კაცები ღვინოს სვამდნენ, ჭათმის ბარკალსა და კურტუმს წიწკნიდნენ, ღომის ლუქმას ავლებდნენ კოწახურში და წიწმატსა და ქორფა წიწკას ატანდნენ.

— არც ევკალიპტის ფოთლებმა უშველა ხომ? — იკითხა უცებ ჩონთო ბიძიამ.



— არა, ნანა, ექიმო უნდა მაგას, ექი-  
მი, — გამოეხმაურა ლუცა ბებია.

ლუცა ბებია ჯარგვლიდან გვიგდებდა  
ყურს, გულისხმაში იყო, რაზე საუბ-  
რობდნენ კაცები და საქმე საქმეზე რომ  
მიდგა, მაშინ ჩაერია საუბარში.

— ძარღვების გაგანიერებას ეძახიან  
მაგას, — თქვა ჩონთო ბიძიამ, — უსა-  
შველო აქ არაფერია, ოღონდაც მოვლა  
და მკურნალობა სჭირდება.

— მერედა, ვინ მოუვლის მაგას, —  
თქვა სვიმო ბაბუამ, — თავისი თავის  
მიხედვა. ვაგიხარია, კარგი რამ არის,  
მაგრამ სადა აქვს საწყალს მოცალეობა.

— საავადმყოფოში უნდა დაწვეს,  
სვიმო პატენი, — სხვა გზა არაა.

— დღესვე წაიყვანე, ნანა, შემოგვე-  
ლე, დღესვე!

— მიტომაყ მოვედი აქ, ლუცა გო-  
ლუფირი!

— ძნელად ეშველება რამე, — თქვა  
სვიმო ბაბუამ, — სიცხე მაგან არ იცის  
და სიცივე, ფეხშიშველა გაივლის მუხ-  
ლამდე თოვლში და ვითომ არაფერი.

— ჯანმრთელი ქალია და იმიტომ, —  
თქვა ჩონთო ბიძიამ.

გაიშალა ჩვენი წყლიანი მსხლის  
ჩრდილი, ოდა-სახლამდე მიაწია. მე ვა-  
სხამდი ჭიქებში ღვინოს და კაცები  
სცილიდნენ, სვამდა „ემადენის“ შოფე-  
რიც, სვამდა, როგორც სწევბი. წვეთს  
არ იკლებდა; ლუცა ბებია გამოდიოდა  
ხოლმე ჯარგვლიდან, ან სუფრაზე მოპ-  
ქონდა რამე, ან ისე გამოივლიდა და და-  
ხედავდა შეინახებებს, ხომ არაფერი მო-  
აკლდათო, ალბათ. მაგრამ, როგორც მე-  
რე გამოირკვა, ლუცა ბებია შეტწი-  
ლად იმის გასაგებად გამოივლიდა თუ-  
რმე, რათა კარგად დარწმუნებულიყო,  
სვამდა თუ არა „ემადენის“ შოფერი.

ნუნუ ბიცოლა იმ საღამოს შინ დარ-  
ჩა. და დარჩა სამუდამოდ. არც ჩონთო  
ბიძია მოსულა მერე იმ მიზნით, რომ  
ნუნუ ბიცოლა ექიმთან წაეყვანა. ნაწ-  
ყენი თუ იყო, ალბათ, იმ საღამოს რომ  
ნათესავი არ გაატანეს. არ გაატანა ლუ-  
ცა ბებიამ, თავი მოიკლა. არცერთს არ  
ვაგიშვებთო. მერე დათანხმდა, როგორც

იქნა, კაი პატენი. შოფერი წაივლიდა.  
შენ დარჩიო, მაგრამ ჩონთო ბიძიამ  
ყვა „ემადენის“ შოფერს, მანამდე  
პინით გასცდა გახუ დარანდის ვი-  
კარს, შეუკა ვაიარა და მალე თვალს მი-  
ეფარა. საღამო ხანი იდგა, მზე ჩადიო-  
და პონტოში წითლად, გრილოდა სასი-  
ამოვნოდ, სვიმო ბაბუას გულმკერდი  
მოღელილი ქქონდა, ნაღვინვეი იყა და  
სიგრილე სიამოვნებდა.

— კუტუ თუ ვაქვს ბოში, შენ! —  
მკითხა მან ჭიშკარში რომ შემოვედიო,  
ბევრგზის მომცა იმ საღამოს სვიმო ბა-  
ბუამ ერთი და იგივე კითხვა, სხვა სიტ-  
ყები თითქო დავიწყებული ქქონდა,  
რალაც ძალზე გახარებული იყო, ისეთ  
გუნებაზე იყო, მანამდე რომ არასოდეს  
მენახა, ბედნიერი იყო სვიმო ბაბუა და  
ძალზე დიღხანს მიდიოდა თითქო ჭიშ-  
კრიდან ჯარგვლამდე, სადაც უკვე ცე-  
ცხლი ციმციმებდა და ლანდივით იჭდა  
შუაეცხლთან წელმოკაეული და ფიქ-  
რიანი ლუცა ბებია. ნუნუ ბიცოლა ვიზო-  
ში ტრიალებდა, სადღაც, აკვარიდან  
მოდიოდა მისი ხმა და პუტუნი; კამეჩს  
რომ ესაუბრებოდა, მე შორიდან ვარ-  
ჩევდი, რომელ კამეჩს, რომელ ძროხას,  
რომელ თხას ესაუბრებოდა იმ ბნელში  
ნუნუ ბიცოლა. კოტოში დაიძირეო, —  
კამეჩს ეუბნებოდა, მამალმა მგელმა  
შეგჭამოსო, — ძროხას ეუბნებოდა,  
ტურამ წაგილოსო, — ქათმებზე ამბობ-  
და და ასე შემდეგ. ვისაც რა ვკუთვნო-  
და, იმას მიუზღავდა, ხან ეფერებოდა  
საქონელს და ისმოდა მისი გულშიჩამ-  
წვდომი ხმა და ლოცვა. შუაეცხლთან  
ჩამომჭდარმა სვიმო ბაბუამ უცებ ალე  
ბიძია მოიკითხა, ერთბაშად გუნება გა-  
უფუჭდა, წამოდგა და ბანცალ-ბანცა-  
ლით გაემართა ოდა-სახლში დასაძინებ-  
ლად. მთვარე ამოვიდა ურთის ქედლიდან.

„ეო, თეთა, ჩელოთა,  
მე მონომარხიალე...“

მეაფიოდ დაიმღერა დარანდიებს  
უმცროსმა ასულმა. გაჭრა დღის ქვეყა-  
ნა, მალე ჩვენც გავუგდეთ ჯარგვლის  
კარს ურდული და ოდაში ავედით.  
როცა გამეღვიძა და თვალები მოე-

ფშეატი, ჩიტების ქიქვი გავიგონე. ავდექი, ოდის უკანა კარი გამოვადე. ეცხები კალოშებში ჩავეყვი, აივანზე რომ ვტოვებდი ღამლამობით და კიბეზე ჩავედი. იქიდან ხელმარცხნივ გავეხვიე და ვენახის კარი შევალე, როცა გამოვბრუნდო, აგვარის ბილიკზე ნუნუ ბიცოლა დაეინახე. ნუნუ ბიცოლას საჭონელი გამოეშვა. ეზოდან გადაერკვა, აგვარა გაესუფთავებინა და ახლა ცარიელი ტამტით ხელში მოდიოდა.

— შევევარებული ხომ არა ხარ, ბოზი, შენ, ადრე რომ გეღვიძებდა? — მომეალერსა ნუნუ ბიცოლა. — ბაბუა წავიდა უანაში.

შე ქვის კიბეები ავირბინე და ისევ ოდაში ავედი, ჩაწეჭი ჭერაც თბილ ლოგინში და საბანი მარჯვედ მოვიხვიე, მაგრამ შინც ვერ მოვიცადე ლოგინში, ცოტა ხანი ვიტრიალე, შერე ავდექი, ჩავიციე და გარეთ გამოვედი; ჩიტები სტვენდნენ განუწყვეტლივ. ეზო-ეზო, ხიდან ხეზე დაფრინავდნენ ნაირფერი ჩიტები. — სკვინჩები, ბელურები, წიწკანები. შაშვი კახკახებდა ღობის ძირებში დაფენილ მოლზე, ვაგოგმანდებოდა მწვანეზე, უცებ შედგებოდა, თავს წამოსწევდა, წითელ ნისკარტს გაუსვ-გამოუსვამდა ბალახის ყლორტს და კვლავ წაგოგმანდებოდა მცირეზე, კვლავ შედგებოდა და როცა აფრინდებოდა, მკაფიოდ დაიკახკახებდა. ჩხართვი იქდა ეზოს ვალმა მდგარი მალალი აკაციის ტოტზე მოწყენილი და მარტოსული; ნისლი იცრებოდა, ბოლქვა-ბოლქვა იდგა აქა-იქ ბამბასავით თეთრი და მჩატე ნისლი, შრებოდა ეზო-კარი. ბოლავდა და ბოლი მალლა მიდიოდა სვენებ-სვენებით, ბრწყინავდა ცვარნაში. ჩვენი მამალი მარჯვედ ატრიალებდა თავს აქეთ-იქით, მარცხნივ და მარჯვნივ, მარჯვნივ და მარცხნივ, ყელს მალლა სწევდა და სარდალივით ზეერავდა შემოგარენს, მამლის ზურგს უკან ქათმები ნელა კრიახებდნენ, წიფწივებდნენ ოქროსფერი წიწილები და იდგა მშვიდობა მამლის ქალაბში. ლუცა ბებია ქარგვლის მოღებულ კარში ჩან-

და, ეზოს მიღმა სოფლის ნახირი მიზნაზნებოდა, ჩხართვი იმ კვლავ იმ ტოტზე იყო დასკუბული, სადაც პირველად დაეინახე. ჩხართვი ათვალეირებდა შემოგარენს, თავს წამოსწევდა, კვლავ ჩაიყუებოდა, კისერს დაიგრძელებდა, დაიმოკლებდა, მაგრამ ადგილს არ იცვლიდა. ჩხართვი იმ წელიწადს პირველად დაეინახე ასე ახლოს მოფრენილი. აგვისტო იწყებოდა და კანკრობებიდან მოფრინავდა და დღე-დღე სულ უფრო ახლოს მოდიოდა კაცთა სადგომებთან. ხშირდებოდა შაშვი და ღობემძვარა გულწითელა ჩიტი. ბელურებსა და სკვინჩებს ხომ ტევა არა კქონდათ. და განა თუ ფრინველი მარტო, იმ დღეებში ითქვა, რომ მგელმა გადასერა ჭუმის ქალა, სიგრძეზე გადაქრა ყუმის ვრცელი მინდორი და სადღაც გაუჩინარდა. თოფის ხმა არ გასმენილა. თორემ გავიგონებდით. თოფის ამინდიც ხომ ისევე დგება ხოლმე, როგორც ათასი სხვა რამის, მცენარე იქნება ეს თუ ფრინველი. სექტემბერში კი მწყერი წაიღებდა ყურს. აი, მაშინ გაიხარებენ თოფებიც. ალე ბიძიამ უხვად მოიტანა უჭირის ბაზრიდან თოფის წამალი, საფანტი და ქალაღდის გილზები, ცალბირა თოფი ქარგვალში გვეკიდა. ფრინველი უახლოვდებოდა სოფელს. დილ-დილობით უკვე ციოდა ნუნუ ბიცოლას კი ჭერაც არ ეცვა კალოშები.

— ჩაიციე, ნანა, კალოშები, რა კირად გინდა, ასე თუ შეინახე!

ნუნუ ბიცოლას კი თითქოს არც ვაგონოს დედამთილის ნათქვამი.

ხამთარი რომ მოვა, ჩიტები აივანის რიკულებზე შემოსხდებიან; მუქია აივანის ფერი, ნაცრისფერია თავად აივანი, მისი ძველი და გაცვეთილი რიკულები და ჩიტი ეხამება აივანს, როგორც მისი ნაწილი, როგორც ჩუქურთმა; ასეთი ხის ჩიტები ამშვენებენ ხოლმე ეზო-კიშკარს, ოდა-სახლის მანდალიონს. სადაც ბუდეს იყუთებენ თეთრგულა მერცხლები, ოდის კარ-ფანჯარა თუ ღია დაგრაჩა, ჩიტი ოთახშიც შეფრთხილდება. ქარგ-

ელის წინ მოტყეხნილ მიწაზე გაგომამან-  
 დება და ჭარვეალში შეიხედავს, მახ-  
 ლობელ ხეებზე ჩამოსხდებიან ფრინ-  
 ველები და მოწყენით მოიდრეკენ ყულს.  
 იყურებიან აქეთ, სადაც ადამიანები და-  
 ეუსუსესებენ, გზისპირებში დაეყრებიან  
 და გზისპირებში ამოსულ ხეებზე ჩა-  
 მოსკუბდებიან უშტნი და უშპარნი, ზა-  
 მთარი აახლოებს კაცსა და ფრინველს;  
 მაგრამ სულ რომ ითოვოს და სხვა ფე-  
 რი გაქრეს, გარდა იმ თოვლისფერისა,  
 ჩიტი უბემოც კი ჩაუძვრება ადამიანს.

ზამთარი აახლოებს კაცსა და ფრინველს.  
 მე ვუშვებ ჩხართვს, შალა, აკაციის  
 შტოზე რო დასკუბებულა. ჩხართვი მი-  
 შურს მე. მე მივდივარ ღობის გასწე-  
 რივ, ხელში თოფი არ მიკავია და ჩხარ-  
 თვი მაკვირდება. იცის, რომ ამ სიშო-  
 რიდან ვერ დავემუქრები, ვერაფერს  
 დავაკლებ. მე მივდივარ უფრო ახლო,  
 ჩხართვი იწყებს ერთ ალაგას ტრიალს,  
 წრიალებს, შფოთავს, გულში რაღაცას  
 ექტრობს, მაგრამ ჭერხნობით მაინც არ  
 იცვლის ადგილს. ჩხართვი მაკვირდება  
 და მსწავრობს მე, ორფეხა სულიერს,  
 მიწაზე რომ დგას და ძალიან ნელა მი-  
 დის ერთი ადგილიდან მეორემდე. მას  
 შეუძლია ამჯერად გაფრინდეს, და ამ  
 აკაციის იქით რომ აკაცია დგას, იმაზე  
 გადაფრინდეს, მაგრამ იცდის, თითქოს  
 მეუბნება: მე არა ვარ მტერი შენი, მე  
 რომც მინდოდეს, შენ ვერ მოგერევი  
 და შენც ნუ იქნები მტერი ჩემი... სას-  
 როლ მანძილზე რომ მიგუხალოვდი,  
 ჩხართვი სხვა ადგილზე გადაფრინდა;  
 ასეა, ვიდრე ძალიან დაზამთრდება. ძა-  
 ლიან რომ დაზამთრდება, მაშინ ჩხარ-  
 თვი მიმიშვებს თოფის მანძილზე და  
 ვესვრი კიდევ. ვესვრი იმიტომ, რომ მე  
 ჩხართვი არა ვარ. მე ვარ კაცი და დრო-  
 დადრო იმაშიც უნდა დავრწმუნდე,  
 რომ თვალი მიჭრის და გული მერჩის.

კოჩო დარანდიამ კიშკრიდან დაიძა-  
 ხა, ალე თუ არიო სახლში, იკითხა.

— არ გახლავთ ალე შინ, პატენი, —  
 გაეხშიანა ნუნუ ბიცოლა.

— ყუმის ტაფობში რომ ჭაგნარია,  
 იმას ვიღებთ დღეს, ძალიან გვეკირდება

ალე, ნუნუ, გენაცვალე. სვიმო პატენი  
 თუ არი შინ?  
 ზიზულირთუქა

— ბაბას ამ დროს შინ რა უნდა, კო-  
 ჩო პატენი, არ გახლავთ შინ ოჯახის თა-  
 ვი.

— ხოდა, რა ვქნა ახლა მე, ალე რომ  
 ძალიან გვეკირდება, კველნარია გადა-  
 საწმენდი. მაღია თუ გყავთ შინ, ნუნუ  
 გენაცვალე.

— მაღია ეგერ, კალაშია გაშვებული,  
 კოჩო პატენი.

— ხოდა მაღიას მაინც წავეყვან მე,  
 თუკი დავიპირე.

— არა ქნა მაგი, კოჩო პატენი, ბაბას  
 ეწყინება.

— სხვა გზა მე არა მაქვს, ნუნუ, გე-  
 ნაცვალე, ან კაცი უნდა მივეყვანო იქ  
 დღეს, ან — პირუტყვი.

— მომიყვდა ახლა თავი, ბაბა მაინც  
 იყოს შინ. აგერ, დედას მაინც ვეტყვი  
 ამ ამბავს, კოჩო პატენი.

მაგრამ დარანდიამ არ მოიკადა. და-  
 ადო თავი და, როგორც მე დავინახე,  
 კალაში მიმავალ ბილიკს დაადგა. მერე,  
 როგორც საღამოს გამოირკვა, ბრიგა-  
 დირს მაღია დაეპირა კალაში, თოკი  
 ამოედო და კველნარის გასაწმენდად  
 წაეყვანა. ალე ბიძია იმ საღამოს მთვრა-  
 ლი დაბრუნდა შინ. სვიმო ბაბუა ჭარ-  
 გელის წინ იჭდა, ალე ბიძიას თოკით  
 ეკავა მაღია და თხილის შოლტს ამტ-  
 ვრევდა ზურგზე. ტორებს ყრიდა ბე-  
 ჩავი მაღია, პირს ამჩენდა, კიხვინებ-  
 და, თავის გამოხსნას ღამობდა, მაგრამ  
 ალე ბიძია უმოწყალოდ უშენდა  
 შოლტს.

— უთხარი, კაცო, რამე, — ამბობდა  
 ლუცა ბეზია, — ხომ ხედავ, მოკლა პი-  
 რუტყვი მაგ გადარეულმა.

ჭარგვლის წინ იჭდა ოჯახის უფრო-  
 სი და მძიმედ სდუმდა.

— აბა, გაგაქვავოთ ჩემმა გამჩენმა.  
 — თქვა ლუცა ბეზიამ, — რა შეუსმე-  
 ნელი გახდით ყველანი, მოკლა კაცმა  
 პირუტყვი.

ალე ბიძიას საგანგებოდ დაეყარა მა-  
 ხლობლად თხილის შოლტები და ახა-  
 ლი და ახალი შოლტით სცემდა მაღიას.

ლამდებოდა. დღის სინათლე იწურებოდა. და მე მომინდა უცებ დაღამებულიყო, ეგების მაშინ მაინც შეშვებოდა ალე ბიძია საწყალ მალიას.

— აჰა, შენ! — იძახდა ალე ბიძია და შოლტეს აზუზუნებდა. — აჰა! აჰა! აჰა! ესეც შენ! ესეც! ესეც! ესეც!, — ბურსალებდა კაცი და პირუტყვი. ნუნუ ბიცილამ ხელები მომხვია და გულზე მივიკრა.

ბოლო შოლტიც რომ გადაამტვრია და გული იჭერა, ალე ბიძიამ წიხლი ჰკრა ცხენს და მინდორში გაავლო.

— წამოდი, დაიძინე. — თქვა ნუნუ ბიცილამ და ქმარი ოღამი აიყვანა, საიღანაც მალე გამობრუნდა და მითხრა:

— მიხა, ერთი შენს გაზრდას, შეილო, ფეხის წყალი გაუცხელე ბაბას.

მე ავდექი და პატარა, წყლით სავეს ქვაბი ლარქაზე ჩამოვიკიდე.

ლუცა ბებიაც ავიდა ოღამში დასაძინებლად.

სვიმო ბაბუას ტაშტში წყალი ჩავესხი, ახლოს მივეუჩოჩდი და ფეხები რომ უნდა დამეზანა, — არ მიმიშეა, მე თვითონ დაღებანო, ესე იგი და ჯარგვლიდან გამოვედი. მერე მე დავინახე, როგორ ავიდა სვიმო ბაბუა ოღის აივანზე, როგორ ჩამოჭდა იქ და იწყო ღამის ყურება.

მე და ნუნუ ბიცილამ მალია დავიჭირეთ. ნუნუ ბიცილამ ხელები უსვა ზურგზე და გავაზე, ფეხებზე ჩამოკყეა პუტუნ-პუტუნით, მიეფერა და მიელაპარაკა, რა არ უთხრა გულის გასაკეთებელი და გულის მოსაბრუნებელი, ძველი ტომარა გამოიტანა ჯარგვლიდან და მალიას გაოფლილ ზურგზე გადააფარა.

— გაატარ-გამოატარე, მიხა გოლუ-აფირი, ცოდოა მალია.

მე წინ და უკან დავატარებდი ეზოში მალიას, მერე ნუნუ ბიცილამ ცხენი გამომართვა და დააბინავა. „მოდით ახლა, ფეხები დაგებანო“, — მითხრა და ჯარგვალში შემიყვანა. ტაშტში ჩაასხა ნარჩენი წყალი და ფეხები დამზანა.

ნეკა იმ ღამეს მე თვითონ დამეზანა

დაღლილი ფეხები ნუნუ ბიცილასათვის, თუმცა ამას ნუნუ ბიცილამ როგორ დამანებებდა; მას შემდეგ, ლოგინი რომ გამიშალა და დამაწვინა, მე გავიგონე, როგორ გავიდა ოღის უკანა აივანიდან ნუნუ ბიცილა, როგორ მიწყა და მისი ყრუ ნაბიჯების ჩქამი, — ნუნუ ბიცილა ახლა თავად ჩამოაკიდებდა ლარქაზე ფეხის წყალს, ვიდრე წყალი გაცხელდებოდა, ჯარგვალში რაიმე საქმეს გააკეთებდა, საქმეს რომ მოათავებდა, თავად ჩადგამდა ტაშტში ფეხებს. მდულარე წყალში ჩადგამდა შველ ფეხებს, ჩემსავით კი არ დაიცილიდა, ვიდრე წყალი განელდებოდა, არამედ მდულარე წყალში ჩადგამდა ფეხებს და წყლის მდულარებას ვერ იგრძნობდა, ფეხები არ მოეწვებოდა, ესე-ამოვნებოდა ცხელი წყალი, მუხლებზე დაიყრდნობდა იდაყვებს, ხელებში ჩარგავდა თავს ჩაფიქრებული, კარგა ხანს იჯდებოდა ასე, ბოლოს კი წამოღგებოდა კველადან, ფეხებს კალშებში ჩაყოფდა, წყალს ჯარგვლის ლაფაროში გადაღვრიდა და ოღამი ამოვიდოდა; ამ დროისათვის მე, ალბათ, ორი-სამი მტკაველი ძილი მედებოდა, როგორც აქ იტყვიან, სვიმო ბაბუა კი ჯერსნობით კვლავ ოღის აივანზე იჯდებოდა გაქვავებული და ურთის მთავარი ქედნიდან თუთარჩელას ამოფოთვლას დაინახავდა, ვარსკვლავები დასდებოდნენ ცაზე, წვრილი და ხშირი, შორი და სინათლიანი ვარსკვლავები. მოიქედებოდა ოღიშური ცა...

— ლოგინი დაგებულია, მამა, — იტყოდა სვიმო ბაბუას გასაგონად ნუნუ ბიცილა და თავისი საძილე ოთახის კარს შეაღებდა, ალე ბიძიას წაახურავდა გადმოცურებულ სახანს, ბალიშს დაუდაბლებდა ღვინით გამომთვრალ კაცს და ძილად მისდებდა ფიქრებით სავეს თავს. მაგრამ ვიდრე ჩაეძინებოდა, ერთხელ კიდევ ჩაფიქრდებოდა და ახალი საფიქრალი ძველ საფიქრალზე არ დაახანებდა, სხვა ფიქრი ესტუმრებოდა ნუნუ ბიცილას, სახვლილო და აუცილებელი, როგორც პაერი, როგორც

სუნთქვა, — აუცილებელი და საჭირო, როგორც ამდამინდელი ძილი და მოსვენება...

ლისგულზე. მათხოვარი ილოცება და მიდი-მოდის ქუჩაში ხალხი. **ეროვნული გიგლიოთისა**

\*\*\*


ამასობაში ნელ-ნელა ქრება კედარი თვალსაწიერიდან, კარგავს მისეულ ჯადოს, მექედება შემოგარენი, სალაპარაკო არაფერი მრჩება ყუმის გამო, მცირდება ჩემეული ფიქრების სივრცე, ათასგზის ამოვავლებ წყალში გასამქლავებლად სურათს, მაგრამ სურათი არ გამოდის, კადრი გაფუჭებულია, ამოიღებ წყლიდან, დახედავ, და არაფერი ჩანს, ბნელია სურათი, აქ შენ კიდევაც გაიფიქრებ, რომ ხელშეორედ მოგიწევს იმ ადგილის გადაღება, მაგრამ გამოიხედავ პაწია სარკმილიდან გარეთ და იგრძნობ რომ დღეს ვერაფერსაც ვერ გადაიღებ, ცუდი ამინდია, მოღრუბლულია ცა. „ხვალ გადავიღებ, — ამბობ გულში, — ან სულაც ზეგ, რა ბედენაა“. მერე კი შეიძლება სულაც მიგაფიწყდეს ეს ამბავი, მერე კი შეიძლება დაეჭვდე სულაც, ღირდა თუ არა მისი გადაღება; მოგეჩვენება კიდევაც, რომ არაფერი დაგიკარგავს, იმის გამო, სურათი რომ არ გამოვიდა; შეიძლება ისეთი რაიმე გადაიღო სულაც, არავისაც რომ არ დასიზმრებია და ამის გაფიქრებაზე გაგონდება ასეთი რამ: უქირის ქუჩაში, ავტოსადგურის მახლობლად, ქვაფენილზე ზის ორი კაცი, ერთი მათგანი — ტუხა სადანიია, მას წაბლით საცხე ტომარა უდევს წინ; ხოლო მის გვერდით, ერთი გლახა ჩაცუქქული, თმა-აბურძნული და საცოდავი იერის მქონე, და ხელგამწერილი იხვეწება ხურდას: „Ради Христа, ради Христа!“ ტუხა სადანიი ფულს ართმევს მყიდველს და ჭიბეში უყრის წაბლს. ერთმანეთის გვერდი-გვერდ სხედან ორივენი, თითქმის მისწებებიან ერთმანეთს, ათასში ერთხელ აიღებს ვინმე და თეთრ ფულს ჩაუდებს ხელში იმ კაცს, კი არ ჩაუდებს ოლონდაც, — მიუახლოვდება მას, და წელში რომ არ მოიხრება ისე, აბაზიანს დააგდებს მის ხე-

თანდათან ჩამოვშორდი სალამოს ბაზარს, ჩამოვშორდი ჩემს კბილა სადანიებს, არც ხილით ვეპკრობდი, არც პაპიროსით, შევეშვი თამაშსაც, ყველაზე მეტად „ხოკოს“ სწყინდა ეს ამბავი. მეზობელმა კაცმა — კოლია ჩაგინავამ იყიდა „პობედა“. მის გვერდით ვიყავი გამუღმებით, ვებმარებოდი მას, გაფაციცებით ვაკვირდებოდი, როგორ დაჰყავდა მანქანა კოლიას და ვისწავლე კიდევაც მანქანის ტარება. კოლია ჩაგინავა რომ დაიღლებოდა და საკესთან ჭდომა მოსწყინდებოდა, მე მსვამდა საკესთან, თვითონ მანქანის უკანა კუთხეში ჭდებოდა, ყვინთავდა, ეძინებოდა, ამოქნარებდა ჩაგინავა და მე გადამყავდა უქირელი ღამის მგზავრები აქეთ-იქით; ერთი სიტყვით, მე ვიყავი მისი თანაშემწე, ანუ „პომოშნიკი“, როგორც ეძახდნენ შოფრის დამხმარე ბიჭს მაშინ; ჩაგინავა მპირდებოდა, თუკი ასე ჰქვიანურად მოიქცევი, წიგნაკს ავალებინებო, და თავად შენ გახდებიო შოფერი. ეს მიხაროდა, მაგრამ დიდი ხანი არ ვასტანა მანკე ჩემმა გატაცებამ. ერთხელაც, საღამოთი, კოლია ჩაგინავა რომ მომადგა მანქანით შინ, რათა ღამის საშოვარზე წავსულიყავით უქირის სადგურზე, არ გავყევი, — „მიხა სხვაგან მიდის“, — უთხრა დედაჩემმა, სიამაყით უთხრა, კი არ ებოდიშებოდა ჩაგინავას, არამედ წელგამართული ეუბნებოდა: მიხა სხვაგან მიდისო. ერთი შორეული ნათესავი აღმოგვანდა, კელვა სანაიას მხრიდან, რომელიც აკარმარაში მუშაობდა შახტის უფროსად. იმ კაცს უთქვამს დედაჩემისთვის, მიხა ჩამომიყვანეო და კაცს ვავხლო. გადავწყვიტეთ, არ გადავვედო ეს ამბავი და ხვალვე, დილით გავმგზავრებულიყავით აკარმარაში, საღაც აფხაზეთში, ტყვარჩელის მახლობლად, მთიან სოფელში. გუგუ მიჭიაი სამთო ინჟინერი იყო, როგორც ამბობდნენ,

ჯერ იყო და, თავად ყოფილა ოდეს-  
ღაც იმ აკარმარაში უბრალო მუშა, გვი-  
რამბამყვანი, იქ დაუმთავრებია სალა-  
მოს სკოლა, მერე თბილისში ჩასულა  
მარტოდმარტო ობოლი ბავშვი, უმალ-  
ღესში ჩაუბარებია გამოცდები, დაო-  
ჯახებულა იქ, და ამჟამად ისევ ჩამო-  
სულა აკარმარაში ცოლ-შვილით. მერე  
დღედაღემს უნახავს შემთხვევით გუგუ  
მიქაია, ასე და ასეო, ბატონო, მთელი  
ჩემი ამბავი ჩაუკაჟავს, ეგების მეშვე-  
ლოს რამეო, და უთქვამს მაშინ გუგუ  
ბიძიას, „მიხა მე ჩამომიყვანე აკარმა-  
რაში, მისგან კაცს ვამოვიყვანო“. ნიჭი-  
რიაო, ბატონო, უთქვამს დედაჩემს,  
ეგა ოღონდაც, ვერანაირ საქმეს გულს  
ვერ უღებსო, ისე მანქანის ტარება იცი-  
სო, ეგების რაიმეთი დასაქმოო შენი ჭი-  
რიმე. ავდექით და გავემგზავრეთ მე და  
საწყალი დედაჩემი აკარმარაში.

ლამაზია ის მხარე, ტყით დაბურულ  
მთებს შორის მიიკლაკნება სამანქანო  
გზა, თან სულ ზევით და ზევით მიდის,  
ავტობუსში მსხდარი მგზავრები ჩიოდ-  
ნენ, მახსოვს, ავარიები იცისო ამ მხა-  
რეს ხშირი, უბედური გზა არიო ეს გზა,  
მოსახვევს მოსახვევი ცვლის, ხან კიდევ  
ბავშვების სათამაშო ავტოსტრადას  
ჰგავს აკარმარისაკენ მიმავალი გზა, აქ  
გზა წრიულია, ბრუნავ იმ წრეში და წინ  
კი არ მიდიხარ თითქო, არამედ ადგი-  
ლზე ბრუნავ, მაგრამ გზა მაინც მალ-  
ღებდა ნელა და ამრიგად ცოტათი მაინც  
მიიწევს წინ; ხანდახან, ტყის ზოლს  
ამოფარებული რომელიმე მანქანა გა-  
მოცოცხლდება შენს წინ აგერ, ხელის  
გაწვდაზეა ის მანქანა, მაგრამ კარგა  
ხუთიოდე კილომეტრით მაინც იქნება  
შენგან დაშორებული, მოძრაობს წრი-  
ულად გზა, ქმენით მიჰყვება აღმართს,  
დედაჩემი ზის ჩემს გვერდით და იც-  
ქირება სარკელიდან, — წყნარი, მშვი-  
დი პირისახე ჰქონდა დედას, თავის ფი-  
ქრებში იყო წასული, რალაცას ემუღა-  
რებოდა თითქო გარემოს, შენ იციო,  
როგორ დამიბრუნებო ჩემს შვილს, რო-  
გორ მოუვლიო, და მე ვამჩნევდი, კაც-  
ზე მეტი იმედი ჰქონდა გამზრდელს იმ

ტყიანი და კორობი ადგილებისა. „მა-  
რტო არ წამოხვიდე, შენოო! უკან, გუ-  
გუ ბიძია წამოვა უქირში და იმას ჩა-  
მოჰყვები შენც, როცა ჩვენი ნახვა მოგ-  
წყურდება“, — ამბობდა დედა; დღი-  
ანად ჩავედით აკარმარაში. გუგუ ბი-  
ძიას ცოლი ღიმილით შეგვხვდა, გვე-  
ლოდა, როგორც ჩანს, გუგუს გაფრთხი-  
ლებული ჰყავდა ცოლი, უქირიდან ჩა-  
მოვლენო ალბათ, დღეისათვის, და კი-  
დევაც ძალზე შინაურულად მიგვიღეს  
ჩვენ. მახსოვს, გუგუ ბიძიას ცოლმა,  
კითხვა-მოკითხვის შემდეგ, თხილით  
სავსე ფართო ლამბაქი დადგა მაგიდა-  
ზე და ყველას ჩვენ-ჩვენი საინი ჩამო-  
გვირიგა. კარკალია თხილი იყო, ზუს-  
ტად ასეთი თხილი მოდიოდა სვიმო ბა-  
ბუასას. ყუმში. გემრიელად შევქაჯეოდი  
თხილს. დახვავდა ნაქუქი ჩემს პაწია  
საინზე, — მაშინ აიღო დედაჩემმა და  
ის ნაქუქი თავის საინზე გადაიტანა მა-  
ლულად, თვითონ დაიყარა წინ და მე  
ისევ სუფთა საინი დამიბრუნა, — ამ  
დროს ყველას საინს მოავლო თვალი  
გუგუ ბიძიას ცოლმა და თქვა: „მიხა  
რა ცოტას ჰვამს, ნანი!“ — დედაჩემმა  
მოუბოდიშა ნათესავს. „ასეა მიხა, არა-  
ფერს კი არა ჰვამს სხვისას, ასე მყავს  
მიჩვეული მე“, — რა ეგონა დედაჩემს  
ნეტა, რა გაიფიქრა, ჩემი საინიდან რომ  
გადაჰქონდა თხილის ნაქუქი, — მე რომ  
აქ მტოვებდა, ალბათ, დედაჩემი ამაზე  
ამახვილებდა გულისყურს, — ასე იქ-  
ცევა მიხა სხვისას, ცოტას ჰვამს, ხარბი  
არ არიო... დედაჩემი მეორე დღეს გა-  
ბრუნდა უქირში, მე კი გუგუ ბიძიამ სა-  
ერთო საცხოვრებელში მომაწყო, იქ  
მომცეს პატარა ოთახი, სადაც ერთი  
ლოგინი, მცირე მაგიდა (მაგიდაზე პა-  
ტარა სარკე) და ერთი სკამი იდგა. სარ-  
კელიდან ჩანდა აკარმარის მთავარი ქუ-  
ჩა, იმ ქუჩაზე იყო კინო-თეატრი, სასა-  
დლო; აქეთ, მარჯვენა მხარეს, საცუ-  
ვაო მოედანი იყო. მერე გზა უხვევდა,  
ჩრდილოეთის მხარეს — გვირაბში მი-  
დიოდა, სამხრეთით — ტყვარჩელში.  
ჩამაცვეს ბრუნენტის კომბინეზონი, თა-  
ვზე დამახურეს რკინის „კასკა“, ხელში



— ნიჩაბი მომცეს და იმ ალაგას დამა-  
უენეს, საცა გვირაბიდან გამოტანილ  
ნახშირს ცლიდნენ. ნახევარი წელი ვი-  
მუშავე აქ, — გუგუ ბიძია გამოუცდელ  
კაცს გვირაბში ხომ არ შემისვებდა, მე  
კი ერთი სული მედგა, იჭაურობა მენა-  
ხა; თან იქ მომუშავეთ მეტი ხელფასი  
ქმონდათ, აქ კი ქალებთან ერთად ვმუ-  
შაობდი; — კაცი ჩემს გარდა აქ არა-  
ეინ იღვა და ვისთან უნდა გამეცვალა  
სიტყვა, ან რაზე უნდა მელაპარაკა, გუ-  
ლი გვირაბისაკენ მიმიწევდა; ხანდახან  
ვესტუმრებოდი გუგუ ბიძიას შინ, ან  
კიდევ კაბინეტში, სამუშაო საათების  
მერე, — ის დაღამებამდე იჯდა იქ, —  
დამისვამდა გვერდით, როგორა ხარო,  
მკითხავდა, გვირაბში ხომ არ მიგიწევსო  
გული, სკოლაში თუ დადიხარო, — შა-  
რთალი რომ ვთქვა, მე მუშაობას უფ-  
რო ვიყავი დანატრებული, ვიდრე სწავ-  
ლას; იმ საღამოს სკოლაში, თუკი გაქ-  
ვეთილებს არ ვეცადენდი, სამოწყალო  
სამიანს მაინც მიიღებდი, არაფერიც რომ  
არა გეოდნოდა, და მეტი რაღა მინდო-  
და, მუშაობას კი იმიტომაც ვიყავი და-  
ხარბებული, რათა ბევრი ფული გამე-  
კეთებინა, — შეეწყოდი ოჯახს, ხანდა-  
ხან შინაც ვესტუმრებოდი გუგუ ბიძიას,  
კვირა დღე იქნებოდა, გუგუ ბიძია შინ  
დამხვდებოდა, დრაიზერი, დიკენსი,  
სეიფტი, სერვანტესი, — მომქონდა და  
მომქონდა გუგუ ბიძიას ბიბლიოთეკი-  
დან საკითხავი წიგნები. გუგუ ბიძია  
მამოწმებდა, მართლა მქონდა თუ არა  
წაკითხული ესა თუ ის წიგნი, მე კი  
ყველაფერი მახსოვდა წაკითხულიდან,  
მაგრამ ერთი წლის მერე რომ მოეცა  
შეკითხვა ჩემთვის, ვერაფერსაც ვერ  
გუპასუხებდი, მავიწყდებოდა იმ წიგნე-  
ბში აღწერილი ამბები, ვის ვინ უყვარ-  
და, მოსწონდა, ვინ ვინ მოჰკლა, ან ვინ  
ვის ესროლა, მავიწყდებოდა, ერთი შე-  
ხედვით, უმთავრესი რამ, რისთვისაც  
იწერებოდა მთელი ის წიგნი. პატარ-  
პატარა ამბები კი მუდამ მახსოვდა. მა-  
ხსოვდა, მაგალითად, როგორი დღე იყო,  
წვიმდა თუ ცხელოდა წიგნის ამა თუ იმ  
ადგილას. ერთი იმხანად წაკითხული

უმველებელი წიგნიდან მხოლოდ ასე  
მახსოვს, ახლა რომ არავისაც ვხსენებ  
ბა ჩემს გარდა, და არც ღიბა მსმენი  
ლად, იმდენად უმნიშვნელო ამბავია იქ  
აღწერილი. მას მერე ხანმა გაიარა და  
ერთხელაც, ის ადგილი რომ გამახსენ-  
და, მე ავხედე ცას და დავინახე, რო-  
გორ მიდიოდა ცა, — თეთრი დრუბლე-  
ბი (წიგნიდან შემორჩენილი) მიდიოდ-  
ნენ ნელა, ხოლო თუკი ძალიან დააკვი-  
რდებოდა, დაინახავდი, როგორ მიდი-  
ოდა ცაც მაგრამ ეს ამბავი მწერალს  
არ ქმონდა აღწერილი, ამას მე ვკმნიდი  
ჩემეული ფიქრით, ოდონდაც იმ წიგნი-  
დან მოდიოდა ეს, წიგნში აღწერილი  
სურათი იყო ბიძგის მომცემი, ჯანი ხან-  
თურია კი სამი წლის მერეც გაიხსენე-  
ბდა დაწვრილებით წაკითხული წიგნის  
შინაარს და ეს ყველას ანკვიფრებდა,  
რა მახსოვრობა აქვსო, ამბობდნენ —  
ერთხელ კი ჩემმა ქართულის მასწავ-  
ლებელმა თქვა, სხვა საგნებში არ ვიცი  
და თუთარია სჯობია ყველას, ბატონე-  
ბო, მაგრამ რად გინდაო, — და მეც,  
იმაზე ვფიქრობდი მაშინ, რომ ჩემი ნი-  
ჭიერება არაფერსაც არ ნიშნავდა. ან  
შეიძლება დამრიგებელი მაქვებდა სუ-  
ლაც, რათა მეტი მოხდომებით მოვიკი-  
ლებოდი სწავლას. ისე კი, დანამდვი-  
ლებით ვამბობ, მთელი ის ხუთი წელი-  
წადი, რაც მე ჯანი ხანთურიასთან ერ-  
თად ვსწავლობდი, მთელი ის ხანა მო-  
წაფეობისა, ხანთურიასა და მასწავლებ-  
ლების ურთიერთობაში დაიხარჯა, თუ-  
მცალა ოცდაათამდე ვიყავით ერთ კლას-  
ში, მაინც ერთი მოწაფე იყო მხოლოდ,  
და იმ ერთი მოწაფის გულისთვის იღ-  
ევწოდნენ მასწავლებლები, ისინი ჩვენ  
კი არ გეასწავლიდნენ რაიმეს, არამედ  
მარტოკა ჯანი ხანთურიას, ის ითხოვდა  
კიდევაც თავისას, ეს არ მესმისო, ეს  
ვერ გავიგეო, მასწავლებელო, და ახლა  
რომ ამას ვუფიქრებდი, ვხვდები, ერთი  
კაცი, დიდად გამოჩინებული მასწავლე-  
ბელიც რომ იყოს, ვერასდროს შეასწავ-  
ლის ვერაფერს ერთ გამორჩეულ მო-  
წაფეზე მეტს. აკარმარაშიც, ცხადია,  
ჩემთვის არ ეცალა არავის. გუგუ ბი-

ძიამ გვირახში გადამიყვანა. მბურღა-  
ვები წინ მიიწვედნენ, მერე ქვანახშირს  
გამოაცლიდნენ იმ ალაგს, ვაამაგრებდ-  
ნენ ბოძებით და ჩვენ კიდევ ქვანახში-  
რს გარეთ გამოგვქონდა. სახალისო იყო  
მემანქანის თანაშემწეობა. ასე მეგონა  
პირველ ხანებში, მაგრამ მერე, ვაჩენის  
დღესაც ვიწყვედი. მოდის და მოხ-  
რიგინებს ბნელში ვაგონების წყება.  
უცებ გადავარდება ლიანდაგიდან ვა-  
გონი, მივდივართ ქვანახშირით სავსე  
ვაგონთან და ვეჭავტურებით ხელებით,  
ზურგით, მორებით, რათა ისევ დავა-  
ყენოთ ლიანდაგზე. ღვარად ჩამოგვდის  
ოფლი. რის ვაი-ვაგლაბით, რის ვაი-ვა-  
გლაბით, ისევე გაიპართება ვაგონების  
მწკრივი და უცებ, ასე რომ ხარ მოთა-  
ვებული, კვლავ გადავარდება ვაგონი  
ლიანდაგიდან, — ბოლოს და ბოლოს შე-  
ნი ცვლაც მთავრდება, გამოხვალ გა-  
რეთ, შეხვალ აბანოში, დადლილი ხარ  
სისტეკად, დაიბან ტანს, ტანსაცმელს  
ვამოიცვლი და მიხვალ შინ, დღეს ვაკ-  
ვითილები გაქვს, მაგრამ გეზარება,  
ვეძინება თითქო, მოდუნებული ხარ,  
დავგდები ლოგინზე და იძინებ გემრი-  
ელად „ვილაკის ოთახი გაუქურდავთ“,  
— ვესმის ბურანში, ავაკუნებენ, შენ  
თავს იმიწარებ, გეზარება ადგომა და  
ხელის ვანძრევა, მაგრამ ამასობაში გა-  
მოფხიზლდები კიდევ, უკვე ფეხზე  
ხარ, ვაიხედავ სარკმლიდან, სასადი-  
ლოსაკენ. იცვამ, ვადიხარ ბინიდან,  
ასმის მუსიკა და საცეკვაო მოედანზე  
ირველიან ვოგო-ბიჭები. ვოგო და ბიჭი.  
ვოგო და ბიჭი. და კვლავ — ორი ვო-  
გო. ორი რუსის ვოგონა. ორივე ლა-  
მანი. ვანუყრელად რომ ცეკვავენ აქ,  
მუდამ. ყოველ საღამოს. ერთი ქერა.  
ერთი შავ-შავი. მამა თუ ჰყავს, ალბათ,  
ქართული. ფიქრობ. შენ ის ქერა ვო-  
გონა მოგწონს. მას აკვირდები, უმ-  
ზერ მალულად, — ვამჩნევს ისიც. და  
თქვენს შორის უკვე რალაციონირი კავ-  
შირია. ორივენი ვრძნობთ ამას, მაგრამ  
სახელითაც კი არ იცნობთ ერთმანეთს  
ქერ. მერე იმ ვოგონასთან ვილაცა ბი-  
ჭი მოდის. ბიჭს პერანგის ღილები აქვს

ბოლომდე ჩახსნილი და თამამად ვსაუ-  
ბრება მას.

როგორ მეშინოდა, ჩემთვის არა დაბე-  
ბრალებინათ იმ ოთახის ვაქურდვა.  
კომენდანტი კი მოვიდა ჩემთან: „შენ  
უქირელი ხარ, არა?“ მკითხა მან. კი-  
მეთქი, — ვუპასუხე. მეტი არაფერი  
უკითხავს. იცოდა, ალბათ, ვუგუ მიქა-  
იას ნათესადად რომ მოუვლიოდი. ისე  
კი, რას დაიჭერებდა ჩვენი კომენდან-  
ტი ჩვენს ნათესაობას, „ეს ბიჭი მისი  
ახლობელი რომ იყოს საერთო საცხოვ-  
რებელში ხომ არ გააჩერებდა“, ასე  
ფიქრობდა ალბათ კომენდანტი, მაგრამ  
ბოლომდე არ სჯეროდა თავისი ვაფიქ-  
რებისა, მოწიწება ჰქონდა გვირახის  
უფროსისადმი, ვაითუ მართლა ნათე-  
სავიყო, იფიქრებდა მაშინ, ჩემთან რომ  
შემოვივდა ოთახში, თან ამას ისიც ერ-  
თვოდა, ვილაცა რომ მესტუმრა უქირი-  
დან, ვილაცა კომენდანტისათვის იყო,  
ცხადია, და არა ჩემთვის, „ხოკო“ მე  
მეგობრულად შევხვდი, აქ ვაათიემეთ-  
ქი ღამე, ვუთხარი და კიდევაც დარჩა  
„ხოკო“ მაშინ, მაგრამ მთელმა აქარმა-  
რამ ვაიგო ეს. ვაიგო ვუგუ ბიძამაც;  
არ კი ვიცოდი, ოღონდაც, ვინ მოუტანა  
ეს ამბავი: ახლა ვიცი, კომენდანტი მი-  
უტანდა, ცხადია; „ხოკო“, მე და კიდევ  
ორი აქაური ბიჭი ერთად ვიჭყით სა-  
სადილოში და ვსვამდით რვა ნომერს,  
— არც ჩხუბი ავციტებია, არც ხმაური,  
ისე დავგეთხოვა „ხოკო“ მეორე დღეს,  
და ვაემგზავრა უქირში. ის ოთახი კი,  
„ხოკოს“ ვაუტეხავს იმ ღამით, — არ  
ვიცი, მიხა მუშა კაცია, ვინ იყის, ეგე-  
ბის ეს ამბავი კიდევაც ვამოამზურთო-  
სო, თუ რა იფიქრა, მაგრამ ჩემთვის  
არაფერი ვაუტეხადებია. ამან მთლად  
მომიბოძა ხელი, გული მეწოდა. ცალკე  
„ხოკოს“ საქციელის ვამო. და ცალკე  
კიდევ — მე რომ არ ვამანდო ის ამ-  
ბავი. შემზარდა და შემზიზლდა ყველა-  
ფერი, რაც იყო ჩემს ვარშემო, სასწრა-  
ფოდ ვადაწყვიტე, წავსულიყავი აქე-  
დან. ჩავალავე კიდევაც ჩემი ჩემოდანი,  
და ვავიხედე ჩვეულად სარკმლიდან, სა-  
ღამო ხანი იღვა, ფირფიტა უკვე უქრავ-



და, იწვევდა მოცეკვავეებს შინიდან, ის რუსის გოგონა გამახსენდა და უცებ, თითქოსდა კიდევაც დავინახე იმ ხალხში, ჩავვეტე ოთახი და გამოვედი გარეთ, თითქმის ათი-თხუთმეტი კილომეტრი ვიარე მარტო; დამდებოდა, უქირი — სამხრეთით იყო, მე ჩრდილოეთით მივიდიოდი აკარმარიდან, სულ უფრო და უფრო მალდა. ზევით და ზევით. გაუვალი და უდაბური ტყისაყენ, სადაც პაწია წყარო იღებდა სათავეს.

შუალამე იქნებოდა, ბინაში რომ დავბრუნდი; სიწყნარე იდგა აკარმარაში, ცარიელი იყო საცეკვაო მოედანი, სარკმლიდან ჩანდა ნათურების სუსტი შუქით განათებული დაბა, მისი ყრუ შენობები, გაუხდელად წამოვწევი საწოლზე, ავდექი ისევ, მოვწიე ერთი პაპიროსი, ორი, ვერ მოვისვენე მაინც, რაღაცა მეძახდა გარეთ, ქუჩაში; გამოვიხურე კარი და მთელი ღამე ვიწვრიალე იმ სახლის მახლობლად, ის რუსის გოგონა რომ ცხოვრობდა. არც სამუშაოზე წავსულვარ მეორე დღეს, არ ვიცი, მერამდენედ არ გავდიოდი სამუშაოზე, გუგუ ბიძიამ დამიბარა. მახსოვს, რჩევას მაძლევდა, მანამუსებდა, ასე და ასეო, დედაშენს შენი იმედი აქვსო, იქნებ იმ სტუმრის ბრალიაო ყველაფერი, არ დამიმალოო, — „ხოქოს“ სტუმრობას გულისხმობდა გუგუ ბიძია. არა-მეთქი, ეს არაფერ შუაშია-მეთქი, საერთოდ არ გამოდის არაფერი და არ ვიცი, რა ვაკეთო-მეთქი. ლექსებს ხომ არ წერო, მიხა, შენ! — რაღაც დაფიქრებულად მკითხა მაშინ გუგუ ბიძიამ. რამე აფიქრებინა, ნეტა. გუგუ მიქიას ამგვარი რამე. რაღაცნაირად დაბნეული ვიყავი ის დღეები და ეს თუ აძლევდა რაიმე საბაბს. „წავალ უქირში, გუგუ ბიძია, — ვუთხარი მე, — იქ ცოტა ხანი გაივლის და მერე მაინც ქარში მომიწევს წასვლა“. — აქ თუ კარგად იმუშავებ და დღეებს არ გააცდენ, სამხედრო სამსახურიდანაც განთავისუფლებული იქნებიო, მეუბნებოდა

გუგუ ბიძია, მაგრამ მე მაინც უქირში წავიდი.

\*\*\*

გაუხარდათ სადანიებს აკარმარიდან ჩემი ჩამოსვლა. ისინი ხომ რაღაცას იფიქრებდნენ ჩემზე, უქირში რომ არ ვიყავი ისე, ეამი-ემამ მაინც იფიქრებდნენ, სადაა ის ბიჭი ახლა, რას აკეთებსო. ნეტავი თუ სწავლობსო იქ. თუ მუშაობსო. მოკლედ, რა კაცი უნდა დამდგარიყო ჩემგან, ეს აფიქრებდა სასადანიოს და აკი კიდევაც სიხარულით შემხვდნენ ყველანი. უხაროდათ სადანიებს, იქაც რომ ვერ მოვიკიდე ფეხი. „გამოიქეცი, მიხა-ბაბაია, თუ დროებით ჩამოხვედი აკარმარიდან“, — მეკითხება ჯოკო სადანიო. ფუხუ სადანიო გადმოვიდა სადამო ხანს ჩვენთან. დაჯდა და გააბა საუბარი დედაჩემთან. „ასეა, ნანი, ზოგჯერ ადგილის გამოცვლაც კი არ შევლის საქმეს (თუმცაღა კარგად მახსოვს, კელვა სანაია რომ ნერგს გადარგავდა, ხარობდა ის ნერგი ახალ ნიადაგზე და ახალი ხალისითა და სიცოცხლით ივსებოდა), ხინტუ მთლად დაქვიანდა, ქალო, „ხინტუ ხომ მიხაზე უფროსიც არის“, — თავს ინუგეშებდა დედაჩემი. — „ხინტუმ გული დაუღო ვაქრობას, — ჰყვებოდა ფუხუ. — ამ გამოზაფხულზე სახლის შენებას იწყებს, მაგრამ სერო გაეონიასთან შეილი ჩემზე კარგის მთქმელს ჰყოლოდეს, ის ყველას სჯობნის“. სერო გაეონია ერთი ნახტომით გვასწრებდა ყველას. მე ვაქრობა არ მქონდა დაწყებული, — სერო უკვე ხილს ჰყიდდა უქირის ქუჩებში, მე რომ პაპიროსს ვყიდდი — სეროს უკვე სხვა და სხვა ქალაქიდან ჩამოაქონდა საქონელი. ის მუდამ ჩვენზე აღრე ზედბოდა. რისაგან რა გამოვიდოდა, რას უფრო ჰქონდა გასაყალი ამა თუ იმ დროისათვის უქირში. გაეონიას ბიჭმა პირველმა იყიდა ველოსიპედი სასადანიოში და იმ დიდ მინდორზე, საცა ჩვენ ბურთს ვთამაშობდით, ველოსიპედს აქირავებდა. გვართმევდა ხურდა ფულს და სათითა-

ოდ, ჩვენი რიგის მიხედვით გვსვამდა იმ ველოსიპედზე თავის კბილა ბიჭებს. მაშინ დიდი არდადეგები იდგა, თავისუფალი ვიყავი და ლუცა ბებიას ბუზ-ღუნის მიუხედავად, უჭირში ვცხოვრობდი, დედაჩემთან, — ომი მიწურულს იყო, და ის რიგი, სერო გაკონიას ველოსიპედზე რომ იდგა, ახლა მახსენებს ერთ დაუვიწყარ დღეს...

მე მაშინ რვა წლისა ვიქნებოდი, და დედას რომ არ წავეყვანე, რა თქმა უნდა, მე იქ არ წავიდოდი. ან საიდან ვიცნობდი იმ კაცს, ვისთანაც უნდა მივსულიყავი, გაგონებით კი გამეგონა მაშინ, იმ კაცს რომ ჰქვის ეძახდნენ. მას ახსენებდნენ, ჟამიდან-ჟამზე ახსენებდნენ, ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა — მისი სახელის უხსენებლად საუბარი არ გამოვიდოდა, სიტყვა სიტყვას ვერ წაებმებოდა და მიტომაც ახსენებდნენ ჰქვის. ცნობილია, ლამაზი ლანდ-შაფტი გულს ახალისებს, და გარკვეული ვაგლენაც აქვს ალბათ ჩვენს მეტყველებზე, მაგრამ ეს ბუნებრივი ურთიერთობა სათქმელსა და გარემოს შორის, ომის წლებში, ომიანობის ეამს, ცოტათი შეიცვალა; დაირღვა სიტყვათა რიგი, რომელიმე სიტყვა ამოტივტივდება უცებ სიტყვათა ჯგუფიდან, ამოტივტივდება და მკაფიოდ დაგიდგება წინ, — ასეთი სიტყვა იყო მაშინ, — პური. გამოვა სიტყვათა კრებიდან ეს ოთხად-ოთხი ასოსაგან შემდგარი სიტყვა და მთელი თავისი მნიშვნელობით დაგიდგება წინ, შორდება ის გარკვეული აბსტრაქტულობა, რაც ყოველგვარ სიტყვას ახლავს, დაწერილისა თუ ნათქვამს, გამოგეცხადება და თითქოს რალაცნაირი ხილული სუნიც ასდის; მკაფიო და ხელშესახები, ხოლო აქედან გამომდინარე, ცოცხალივით ეპყრობი მას, სულიერით. არ იტყვი — „პური შევჭამეო, ჩვენ გუშინ გვჭონდა პური და შევჭამეთ“, ამას არ იტყვის გამზრდელი შენი, — პური არა გვაქვსო. — შენ იკითხავ პურს და დედა გეტყვის: „პური გავგითავდა“, ან ასე იტყვის: „პური არ არის!“ იყო და არ

არის და არა — „გვჭონდა“ და „არა გვაქვს“. და ეს ყველაფერი მსლა-მახსენდება, ისევე ნათლად მდგება თავაწინ, როგორც მაშინ, იმ ომის წლებში, იმ ომიანობის ეამს, იმ გაუთავებელი ომიანობისა, მე რომ რვა წლისა ვიყავი და დედამ პურზე გამაგზავნა. მარტო კი არ გამაგზავნა, დედამ წამიყვანა-მეთქი. მერე დედაჩემი ქუჩის თავში გაჩერდა, მოფარებულში იდგა დედაჩემი და იქიდან მანიშნებდა ხელით. — წადი, წადიო, — პურის წერტისაგან მანიშნებდა, აი, იმ წერტს ხომ ხედავ, იქითკენ წადიო, იქ მოგცემენო პურს. უნდა მივსულიყავი იქ და მეთქვა იმ კაცისთვის, ვინაც, როგორც მერე გავიგე, დედაჩემს ბიძაშვილად მოუდიოდა ბიძია, მე ნანის ბავშვი ვარ, დედამ გამომგზავნა-მეთქი; ის ტალონი კი, რასაც ამ სიტყვებზე მეტი ძალა ჰქონდა, როგორც მერე გავიგე, ხელში არ მეკავა, ტალონი ჩვენ არ გავგაჩნდა. სომი დღე იყო, რაც დაგვეხარჯა და ახლა სწორედ იმ სიტყვებს უნდა გაეკეთებინა ის, რასაც ტალონი აკეთებდა, რაც გამოლუული გვჭონდა და იმ სიტყვების მნიშვნელობას უახლოვდებოდა, დედამ რომ დამაბარა; კი მიყურებდა საწყალი დედაჩემი იქიდან, იმ ქუჩის მოფარებულიდან, ეს ვიცოდი და ერთი სული მედგა, იმ კაცთან მიმეტანა: ნანის შვილი ვარ-მეთქი, ამას რა ჯანდაბა დამავიწყებდა, თან იმ კაცს სახელსაც ვეტყვოდი, როგორც დედამ დამაროგა, ჰქვი ბიძია, მე ნანის შვილი ვარ-მეთქი, დედაჩემი კი მისი ბიძაშვილი იყო და თუკი იქ მივიდოდი, პურსაც კი წამოვიღებდი, რა თქმა უნდა; ჯერ ვიფიქრე, პირდაპირ მივალ-მეთქი ჰქვი ბიძიასთან, მაგრამ იქ რომ როგი დამხვდა და გაწამაწია იყო, ეს სურვილიც უმალ დამეკარგა, თან ერთი ჩია ტანის კაცი დამამახსოვრდა, რომელიც დიდის ამბით დადიოდა რიგის თავიდან რიგის ბოლომდე და, როგორც იტყვიან, წესრიგს იცავდა; ურიგოდ კაცს არ უშვებდა, არც რიგს დაუკარგავდა ვინმეს, აბა, შენი რიგიაო, უთხრა ერთ ყმაწ-

ვილს, დასაძინებლად ხომ არ მოხვედით აქ. აღრე გათენებული იყო, მაგრამ, ხალხს, როგორც ჩანდა, ჭერ კიდევ ბნელში დაეკავებინა თავისი რიგი. იმ ყმაწვილმა რომ პური აიღო, გეგონებოდა, აი, მართლაცდა, ახლა გამოიღვიძაო, თვალები უბრწყინავდა, უკან არკი მოუხედია, ისე მოკეურცხლა იმ პურიანა, დიდი ბიჭი იყო, ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნებოდა, — მირბოდა და მიუხაროდა. მერე ბავშვიანი ქალი იდგა, იმ ქალმაც აიღო პური, მე ვხედავდი იმას, ვინც რიგის თავში ხედებოდა და პურს იღებდა, რიგი ოდნავად გაზნექილი იყო, მე რიგის ბოლოში ვიდექი და მიტომაყ ვხედავდი მათ, ჭიჭი ბიძია კი ჭერჭერობით არა ჩანდა. კი იყო იქ, რა თქმა უნდა, წერტილში იდგა და პურს არიგებდა, მაგრამ მისი პირისახე არა ჩანდა-მეთქი. რიგი ცოტ-ცოტა მიიწევეს წინ, მე გულში ვიმეორებ სათქმელს, და ვდგავარ ჩემთვის, კიდევაც დამავიწყდა, დედაჩემი ქუჩის მოფარებულში რომ მიცდის. ერთი ფარაჯიანი კაცი მიდგას წინ, ძველი, გახუნებული ფარაჯა აცვია, არ გამოვარდეთ, ბიძიო, მეუბნება ის კაცი მოუბრუნებლად. — აი, აქ ჩამჭიდეთ ხელი, — ფართო სარტყელი აქვს შემოვლებული ფარაჯაზე და იმაზე მიმანიშნებს, ჩაფრენილი ვარ იმ ფართო სარტყელზე, გამოვარდნით რიგიდან არ გამოვვარდები, მაგრამ, არც წინ რომ მიდის საქმე! იქ, რიგის თავში მდგარმა ქალმა ერთი წვილ-კივილი მორთო, მე მეტი მეკუთვნის, შენ კი მაკლებო; ყვიროდა და წიოკობდა; აი სწორედ მაშინ დავინახე პირველად ჭიჭი ბიძია, — მას გრძელი დანა ჰქონდა წერტილდან გამოშვრილი და ერთი ამბით უწყყრებოდა ქალს, — „ვერა ხედავ, რა რიგი დგასო, ჭკეყანა შენზე კი არ თავდებაო, აბაო“, ამბობდა ჭიჭი ბიძია და იმუჭრებოდა. საოცარი ის იყო, რომ ყველანი რატომღაც ჭიჭი ბიძიას მხარეზე იყვნენ, იმ ქალს კი არ ესარჩლებოდნენ მართალი არიო, არამედ ჭიჭი ბიძიას ემხრობოდნენ. „ნოჭარი არიო, ბატონო, მართა-

ლი“, — ამბობდნენ პირდაპირ. რას ფიქრობდნენ გულში და რას ამბობდნენ, არ ვამბობ, ეს არ ვიცოდი. ახლა თუ ვიცი, ამჟამინდელი ცოდნა რა ბედენაა, ისეთ რიგში მე აწი ვერ დავდგები, მაშინ რომ ვიდექი და რომც ყველაფერი გამეორდეს და იგივე მდგომარეობა შეიქმნას, რაც მაშინ იყო, — როგორ მოვიქცეოდი, განა რომელ მათგანს დავუჭერდი მხარს, რომელზე ვიტყვოდი მართალია-მეთქი და რომელზე — არა, ამას ვამბობ; მაგრამ განა იმათ არ იცოდნენ, თუ ვისთვის უნდა დაეჭირათ მხარი, იმ დღეს რომ იქ იდგნენ და ელოდნენ რიგს! ყველაფერი ისე იყო, ცხადია, როგორც უნდა ყოფილიყო და მე თუ ის ქალი მეცოდებოდა უფრო, ვინემ ჭიჭი ბიძია, განა მაშინ ვიცოდი, რომ ჭიჭი ბიძია იმ დღეს პურს არ მომცემდა, არ მომცემდა კი არა და, არც მიცნობდა და არც გამომელაპარაკებოდა სულაც, არც დედაჩემს გაიხსენებდა და დაივიწყებდა კიდევაც, დედაჩემი რომ მისი ბიძაშვილი იყო, რომ მისი გამოგზავნილი ვიყავი და ნამდვილად ნანი იყო დედაჩემი. მაგრამ, სანამ მე რიგის თავში მოვექცეოდი, ამას როგორ ვიფიქრებდი. ჭიჭი ბიძია, მე ნანის შვილი ვარ-მეთქი. — ეუთხარი მას, — ვისი რიგიაო, იკითხა ჭიჭი ბიძიამ. ის ფარაჯიანი კაცი უკვე წასული იყო, რომლის ქამარზეც მე ვიყავი ჩაფრენილი და უკან რომ ქალი მედგა იმან თქვა, ჩემი რიგიაო. მას მერე რომ იდგა, იმანაც ის გაიმეორა, რა თქმა უნდა, მერე კიდევაც მიჰყვა ერთმანეთს ქალი თუ კაცი, კაცი თუ ქალი, და ამრიგად იღებდნენ თავიანთ წილ პურს, მაგრამ ვიდრე პურს აიღებდა, ვისი წილიც უკვე აწონილი იყო, მცირეოდენი დროც ხომ რჩებოდა, — ჭიჭი ბიძია თავისუფალი იყო მცირე ხნით, სანამ კიდევ აუწონიდა პურს ვინმეს, და სწორედ მაშინ ჩაეურთავდი მეც იმ სიტყვებს, ჭიჭი ბიძია, მე ნანიმ გამოგზავნა, ნანის შვილი ვარ-მეთქი. ჭიჭი ბიძიამ ვერ მიცნო. მე რომ ვერ მიცნობდა, ეს რა გასაკვირია, ასეც უნდა ყო-

ფილიყო, ჭიჭი ბიძია, როგორც დედა ამბობდა, ომის დაწყებიდან არ ყოფილა ჩვენსას, მაგრამ ვერც დედაჩემი იცნო იმ დღეს ჭიჭი ბიძიამ, ან შეიძლება სულაც განზრახ წამიყრუა და არ გაიგონა ის სიტყვები, რაც უნდა გავგონა და არ გამეცა პასუხი, თუმცა ყოველი ახალი პურის აწონვის მერე ვიმეორებდი იმ სიტყვებს ხმამაღლა, ესა და ეს ვარ-მეთქი; და ჭიჭი ბიძიამ რომ არა და არ მომაქცია ყურადღება არაფრისდიდებით (შეხედვით კი შემომხედა, ეს კარგად მახსოვს), მე ძალიან მომეწევა გული და მგონი, ასეც კი გავიფიქრე მაშინ, ეს კაცი, ალბათ, ჭიჭი ბიძია არაა-მეთქი და რივიდან გავვდი. ჭიჭი ბიძია კი იყო ნამდვილად.

ხოლო ის რივი, ქვაფათის მინდორზე რომ იდგა, მხიარული რივი იყო. სერო გაეონიას ჩავედებდით ხელში თეთრ აბაზიანს და ვჯდებოდით ველოსიპედზე. გაეონია გვიყურებდა. ჭერ იყო და საათს ინიშნავდა, ხუთი წუთით გვსვამდა ველოსიპედზე, მაგრამ მერე რაკილა ხინტუ სადანიამ მოითხოვა, ჭერ ხუთი კი არა, ორი წუთიც არ იქნებოო გასული, — სერო გაეონიამ გადაწყვიტა, იმ საბურთაო მოედნის წრეზე გავეშვით, ორგზის შემოვუვლიდით იმ წრეს და ჩამოვდიოდით ველოსიპედიდან. რა ჩქარა გავდიოდით იმ ორადორ წრეს, როგორ არ გვიწოდდა ჩამოსვლა ველოსიპედიდან! ერთხელაც, მიტუ ანდია, მახსოვს კუს ნაბიჯებით დაადგა იმ წრეს, სიამოვნებას გავიხანგრძლივებო, ალბათ, მაგრამ მეტად არც ერთ ჩვენგანს არ მოსვლია აზრად ამგვარი რამ გაემეორებინა! ხალისი სწორედ რომ ჩქარ სრბოლას მოჰქონდა, დაეცემოდა რომელიმე ჩვენგანი კიდევაც მიწაზე, მაგრამ ასფალტი ხომ არ იყო მოგებული, რაიმე რომ გეტკენოდა და ტირილი მოგვერთო: — ის ატყავებულნი მუხლი, მაშინ არც მაწუხებდა, მარტოოდენ საღამო ხანს, შინ ყოფნისას თუ ვიგრძნობდი ტკივილს.

\* \* \*

რა საქმისათვის უნდა მომეცნოდა ხელი? აკარმარიდან არავითარნი საშუალო არ წამომილია, ისე წამოვედი. დავრჩი სკოლის გარეთ. კედლა სანაია აგებდა სახლს სასადანიოში, მას ხელის მუშა არ ჰყავდა და იმხანად მე ვედექი დამხმარედ, ვაწვდიდი აგურს, ამრიგად სანახევროდ ამოვიყვანეთ იმ სახლის კედელი, მერე სამუშაო უფრო და უფრო გაძნელდა, კედელი რაც ზევით იწეგდა, მით უფრო ძნელი იყო საშენი მასალის მიწოდება, წელში ვწყდებოდი, მახსოვს, დამხმარე კი არაფერ გვყავდა. ასე ვაჭირავებით, ძლივს-ძლივობით ამოვიყვანეთ შენობის მეორე სართულიც და მეც გავუტეე ჩვეულად, — მეტად არ ვეხმარებოდი მამინაცვალს, მომწყინდა ამგვარი სამუშაო, სადმე წარმოებაში უნდა დავიწყო-მეთქი სამსახური და ამრიგად ავიცილე კედლას შეგირდობა. „კარგი, ბაბა, როგორც ვინდოდეს, მე გზას კი არ დავიკავებ“; საღამოობით, საქმისაგან მოცილილი კედლა ესაუბრება დედაჩემს ნაწყვეტ-ნაწყვეტ: „ხალხში გაერევა ბავშვი, ასე სჯობია, სად წარმოება და სად კიდევ ხუროს შეგირდობა“, — აიმედებდა დედაჩემს, ნუ გეშინია, აწი მაინც მოეკიდებოო მიხა საქმეს; კოლია ჩაგინავამ უქირის საავტომობილო გარაჟში მიმიყვანა, იქ ჩემი თავი გააცნო გარაჟის გამგეს, რაიმეთი დაასაქმეო ეს ბიჭი, ცოცხალი ბიჭიაო, ამბობდა კოლია. ვმუშაობდი იქ. ჭერ იყო და გამაფორმეს წესისამებრ, განცხადება დანაწერიანეს, მერე იმ ქალაქზე ხელი მოაწერეს, და ჩააქრეს საქმეში, ხელფასი კი ძალიან ცოტა მქონდა, მაგრამ ხანდახან შოფრები გვჩუქნიდნენ ორსამ მანეთს, შევაკეთებდით მანქანას და გვჩუქნიდნენ ფულს. არ მიზიდავდა აქ მუშაობა. უცხო იყო ეს ხალხი ჩემთვის. თანდათანობით მიხვდა მთელი გარაჟი ჩემს გულისთქმას, და საქმესაც ნაკლებად მავალბდნენ. მივდიოდი გარაჟში, დავჯდებოდი შემოსასვლელ კართან, ჩამოვიკოსებდი თვალებზე

გრძელ, „კოზიროკიან“ ქუდს და გვე-  
ყურებდი იქ მოფუსფუსე ხალხს, რო-  
გორც თანამედროვე ამერიკულ კინო-  
ებში ღვანან ბოძს მიყულებული, ან სა-  
დმე რომელიმე რეკლამით აბრკვეია-  
ლებული ვიტრინების წინ-ფეხმომსვებუ-  
ლი და მოთენთილი, უზრუნველი ახა-  
ლგაზრდა კაცები, და ახედ-დახედავენ  
ხოლმე გამვლელ-გამომვლელს, — იმ-  
გვარად. საშოფრო სკოლა კი დავამთავ-  
რე მაინც, მოვგაროვე ასი მანეთი, მე-  
რე ის ფული მივეცი ერთ ლიბიან ლე-  
იტენანტს და შოფრის წიგნაკი ავიღე.  
რაში უნდა გამომდგომოდა ოღონდაც.  
შოფრად მოწყობას მაშინ კაი ძალი  
ფული უნდოდა, „ჯარში რომ გაგიწვე-  
ვენ, იქ გამოგადგება, ბიძია, ეს წიგნა-  
კი“, — მეუბნებოდა ჯოკი სადანი. ახა-  
ლი წლის გამოზაფხულზე დავეწერე გან-  
ცხადება და გამანთავისუფლეს სამუშა-  
ოდან. რამდენი განცხადება მაქვს ჩემი  
ცხოვრების მანძილზე დაწერილი.  
„გთხოვთ, გამანთავისუფლოთ, გთხოვთ  
გამანთავისუფლოთ, გთხოვთ, გამანთა-  
ვისუფლოთ. „გთხოვთ, მომცეთ ჩემი  
კუთვნილი შვებულება“, — „აი, ხომ  
ხედავ, ბიძია, კი გეკუთვნის შვებულე-  
ბა, მაგრამ მაინც უნდა ითხოვო, ასეა,  
ბიძია, ასე! — მითხრა ერთხელ სამშე-  
ნებლო უბნის უფროსმა, — არაა საქმე  
მასე, შენ რომ გგონია, თორემ რაღა სა-  
თხოვარი გექნებოდა, ადგიკი და წადი,  
საითაც გინდა, შენი ნება არაა მაგი?“

ახლა მე არსად არ ვმსახურობ, თავი-  
სუფალი ვარ, ვზივარ მე და გუჩი სა-  
დანი, გერა სადანიას უმცროსი ვაჟი,  
და გავცქერით დობორის ბაღში ბეჭ-  
დის თვალისთვის ჩასმულ ტბას. გვიანი ზა-  
ფხულის დღეებია. ხანდახან ჩამოვარ-  
დება შევევითლებული ფოთოლი მალაღი  
ჭადრის ხიდან და ცვივა ტბის ზედაპი-  
რზე, ტბა გამდინარეა, პაწია ღელის  
წყალი შემოდის ტბაში, ოდნავ ირხვეა  
ტბის წყნარი სარკეც, ირხვეიან ფოთ-  
ლებიც, ქანაობენ ნელა, მიცურავენ  
ძლივს შესამჩნევად, და რაკილა არაფე-  
რი საქმე არა გვაქვს მეტი — გავცქე-  
რით ჩვენც, — ზოგი ფოთოლი მოყვი-

თალოა, ზოგი მწვანეა ჭერაც, ზოგიც  
— ღია ფერისაა, ზოგი კიდევ უმეხ-  
მარია ოდნავ, და ჰგვანან ეს ფოთლები  
ნაირფერ გემებს სხვადასხვა სახელმ-  
წიფოებიდან შემოსულს ამ ტბაში, ან  
სულაც უზარმაზარ ზღვის უბეში. —  
რაკილა ფოთლები ხომალდებს ჰგვანან,  
ამ პაწია ტბაში ხომ შეიძლება ზღვა  
ვიგულისხმოთ, ჩვენ კიდევ ვითომ სა-  
დმე უცხო ქვეყანაში ვართ, ის შემხმა-  
რი ფოთოლი კი — ხისაგან გამოთლილ  
ხომალდს გვაგონებს, სხვა ფოთლები-  
საგან განსხვავებით, აქ არიან უზარმა-  
ზარი, მზეზე მოლაპლაპე ფოლადის გე-  
მები, — ყველაფერი ეს მე მეჩვენება,  
ცხადია, და არა გუჩი სადანიას, — გუ-  
ჩი ახლა იმ მხარეს იცქირება გაფაცი-  
ცებით, იმ ხის სკამისაკენ, ტბის მეო-  
რე მხარეს. ქალი და კაცი რომ ჩამომ-  
ჯდარა; რაღაცაზე მუსაიფობენ ისინი,  
აიღებს კაცი ხელს და წაებოტინება  
ქალს მხარზე, ქალი შემკრთალი იყურე-  
ბა იქით-აქით, ხომ არავინ გვხედავსო  
ნეტა, და ჩამოაღებინებს მკლავს იმ  
კაცს, — ჩვენს მხარეს ჩრდილია და  
იმათ მხარეს მზიანეთი, რაღა ეს ადგი-  
ლი აირჩია მაინცდამაინც ამ წყვილმა,  
ჩვენ მესურათესავეთ გვაქვს თავი გა-  
ყოფილი ფოთლებით მობინდულ ჩრდი-  
ლში და გავცქერით ნათელ ადგილზე  
მსხდარ წყვილს, ასეა თითქმის მთელი  
საათი, მიემოტინება კაცი ქალს, ქალი  
იუარებს, დიარცხვენს, მერე ის კაცი  
საქმიან გამომეტყველებას იღებს, თით-  
ქოსდა უნებურად მოსვლოდეს ამგვარი  
რამ, და არა ნებისად, და მუსაიფობენ  
ისინი კვლავ. „წაეიდეთ აქედან“, —  
ვუთხარი მე სადანიას და ისიც უეცრად  
დამეთანხმა, ამის თქმას ელოდაო, თი-  
თქო. გუჩი სადანი კაი ათიოდე წლით  
მაინც იქნებოდა ჩემზე უფროსი, მაგ-  
რამ ჩემთან ჯდომას და ლაპარაკს არ  
თავილობდა. კინოშიც ვყოფილვართ ერ-  
თად, ერთ სუფრაზეც ვმჯდარვართ და  
დაგვიღევია ღვინო, ერთად გვითამაშია  
ბურთი ქაფათის მინდორზე, ერთად გა-  
გვიტეხია ღამე, რომელიმე მიცვალე-  
ბულისათვის, ერთად გვითამაშია კარტი

და წილშიც კი გავსულვართ ერთმანეთთან, მაგრამ არ მახსოვს, გუჩი სადანიას რაიმე ეთქვას ჩემთვის თავის საყვარელ ქალზე, რომელიც უყვარდა თავზე მეტად და იცოდა ეს ამბავი მთელმა სასადანიომ, დიდმა და პატარამ, მოხუცებულმა და ახალგაზრდამ, — გუჩი სადანიამ ამხანად ცოლთან გაყრილი იყო, მაგრამ სასადანიოში ამბობდნენ, ისევე შეურაცღებოა გერას ბიჭი იმ ბოზანდარას, იმ მეძავსა და კალთამადლიან ქალს, ვისაც აბრალებდნენ პატროსანი ოჯახის დანგრევას, გუჩი სადანიას ქალ-ვაჟი ჰყავდა იმ ქალთან, სასამართლომ, როგორც ვიცოდით, დედას მიჰყუთვნა ორივე შვილი და იმასაც ამბობდნენ სასადანიოში, ის ქალი ბავშვებს მამას არ ანახებსო.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ჩვენს მეზობლად ჩამოსახლებული კაცი, ერასტო ჭყონია ასაფლავებდა მოხუცებულ დედას. შაბათი დღე იყო. ჩამოდიოდა მომტირებული ხალხი. ზუსტუნებდა საქელეხო სუფრა, ლოცავდნენ მიცვალეულსა და აქ დარჩენილთ, უკან არ მოგვხედდნენ ავი თვალთ, კირავდნენ და შანთავდნენ მიმავალს, ლოცავდნენ დარჩენილთ, ესე იგი, ვისაც კიდევ წინ ჰქონდა ცხოვრება, და იყო რაღაც ძალზე ბრძნული იმ სადღეგრძელოებში, იმ ერთადერთ სიტყვაში, რითაც ცოცხლებს — აქ დარჩენილებს ეძახდნენ იმ დღეს, და არა გულჩვილობით მოსდიოდათ ეს, არამედ საოცარი გულმარობითაც. მკვდრის შემხედვარე კაცი გულმართალი და გულგახსნილი ხდება საოცრად, და განათუ სიკვდილი, საკმარისია, ჩვენ ავად გავვიხდეს რომელიმე ჩვენი ახლობელთაგანი, რომ აინუნშიაც კი არ ჩავგადოთ შიში. კაცს, რომელსაც მშობელი დედა მომაკვდავი ჰყავს, მეტად არაფრის აღარ ეშინია. ილოცებოდნენ ფანჩატურში მსხდარი კაცები, ქალები უთქმელად სწევდნენ მომცრო კიბებს; ტუჩთან მიიტანდნენ, მოწურუპავდნენ ოდნავ და ისევე დგამდნენ მაგიდაზე. ზანი შანავა კი, ოდასახლს რომ ღობე ჰქონდა შემოვლებუ-

ლი, იმ ღობის ძირში იდგა მისიანებთან ერთად. გუჩი სადანიას ანახეს შანავა ბის ცირა (სამეგრელოში წყნადაა; ქალი და კაცი გააცნონ ერთმანეთს ტირილის ქამს) და უცებ გაიშალა ხმა ხალხში, ასე და ასეო, აი, იქა დგასო, — რომელიაო, ნანა, — აი, შე ქალო, რომელი იქნებოა. რა კითხვა უნდაო; გუჩი სადანიამ, ხელში პაპიროსით იდგა ჭყონიებისას. მათ შორიდან ნახეს ერთმანეთი და მორჩა ამით ცერემონიალიც. მას მერე სადანიამ კაცები გაუგზავნა შანავებს; ქალის მშობლებმა ჯერ იყო და ფეხი განზე გადგეს, თურმე, მერე კი, ჯოჯო სადანიას შეუხსენებია, სადაც ესახლა გუჩი, ამას იქით ქალის პატრონიც არ გაჩიუტებულა და ამითვე მორჩენილა საქმეც. ქორწილის მესამე დღეს, სეფა-ფანჩატურის დაშლაში ვეხმარებოდით მეზობლები გერა სადანიას ოჯახს, კვირამალიც კი არ იქნებოდა მიწურული ქორწილიდან, ზანი შანავა რომ ჩვენსას იჭდა და მუსაიფობდა მხიარულად. მე თითქმის ზანის ხელა ვიყავი, ეს თუ ნიშნავდა რაიმეს მაშინ, შემოვიდოდა შინ კელვა სანაია, დახედავდა ბუხარს, ხელებს მოითობდა, ხან კიდევ შემას წაემატებდა ცეცხლს და გარეთ გავიდოდა, წვიმიანი, გულის გამაწვრილებელი დღეები იდგა. ორი-სამი დღის მერე, კელვად გადმოვიდა ჩვენთან სადანიას ცოლი. „გუჩი დღეს ექიმთან წავიდაო“, თქვა მან. „რა დაემართა გუჩის“, იკითხა დედამ. „არ ვიციო მე“, — ამბობდა ზანი. კელვა სანაიამ თქვა იმ ღამის შეთენებულზე (მამინაცვალი მზის ამოსვლამდე დგებოდა მუდამ), ადრე ეღვიძებოდა გამზრდელსაც და მესმოდა დილაობით მათი საუბარი, წვიმას გადაუღიაო, — თქვა ერთხელ კელვამ, იქნებ დღეს მაინც გავითავისუფლოო ხელი, მუსაიფობდნენ ისინი ხმადაბლა, ჩვენ რომ არ გავეღვიძებინეთ, მუსაიფობდნენ მევალებსა და პურზე, ჩემზე და ჩემს პაწია და-ძმებზე, ხოლო იმ დილით კელვა სანაიამ თქვა, ვერ გამოდგებიანო ისინი ერთად, „რაზე ამბობენ ნეტა“, ეს გავიფიქრე, გავიხსენე გარ-

დასული დღე. გავიხსენე დაწერილებით, ვინ იყო ჩვენსას გუშინ, ვინ შემოვიდა, და მივხვდი, ზანისა და გუჩის ეხებოდა ის სიტყვები, მახსოვს, სადანიებისას რომ ვიყავი ერთხელ, მათ სტუმრები ჰყავდათ. ზანი შანავა, შემთხვევით, ერთი ყმაწვილი კაცის გვერდით მოხვდა იმ ღამეს, — გუჩი სადანიას არ სიამოვნებდა ეს, ეჭვიანობდა, ასე მეჩვენებოდა მე, ასე ეჩვენებოდა ყველას. და ალბათ, მიტომაც თქვა კელვა სანაიამ, ვერ გამოდგებიათ ისინი ერთად. ახალგაზრდა სტუმარი მღეროდა:

„იმგვარი ფერი აქვს ამაღამ მთვარეს, ვაი, მე საბრალოს, ალბათ შემოძულეხს საყვარელი, ვაი, მე საბრალოს, საყვარელი!“ სტუმრები რომ გვააცილეთ, ჯოკო სადანი და მე შევებრუნდით გუჩისთან იმ ღამით და კაი ძალი ღვინო ვსვით კიდევ. ზანი შანავამ დაიძინა. სწუინდა ეს ამბავი ჯოკო სადანიას, და ეუბნებოდა კიდევაც გუჩის, სახარებას უკითხავდა, სირცხვილ-ნამუსში აგდებდა, ჯოკო სადანი ქადაგებდა. ცეცხლი ენთო ბუხარში, ხან მაღლა აიწვევდა ალი, ხან დაბლა დაიწვევდა, კარგი სიტყვა ცეცხლსაც კი გაუხარდებოდა, ნახშირს რომ ესაუბრებოდა — თანდათან ღვივდებოდა, ზანი ახალგაზრდა და იძინოსო, მაღე მოთოვსო, ალბათ, ამბობდა ჯოკო, — სხეული მიგრძობსო, ჩემი გზა კი ქაფათში მიდისო, ამ ბეჩავი სასადანიოს გავლით, სამოთხეში მიდისო, იცინოდა სადანი, შენ კაი ბიჭი ხარ, მიხა, კელვა რომ გიყვარსო. რაღაცა ირად, უსაშველოდ მემშობლიურა ჯოკო იმ ღამეს, ღირდა ცხოვრება ქვეყანაზე; უქირში ამბობდნენ, დღე-დღეზე ერთი უზარმაზარი მშენებლობა უნდა დაიწყოსო, იქ მოვეწყობი-მეთქი, ვეუბნებოდი დედას, სადამოს სკოლაში ვივლი, ვინ იცის, ეგების უმაღლესიც კი დავამთავრო-მეთქი ოდესმე. ვნახოთო, — ამბობდა დედა. კელვა სანაია კი, როცა რაიმეზე წამოვიწყებდი ლაპარაკს, მოიტანდა სკამს და დიდის ამბით მომიჯდებოდა გვერდით, თვალეში შემ-

ციცინებდა, აბა, რას იტყვისო; სჯეროდა ჩემი, მისმენდა გულით, მიხამ ასე თქვაო, — ეუბნებოდა დიდისხანს ეზოს მომდგარ კოლია ჩავინავას, მაგრამ ცდებოდა. ერთს ვამბობდი და მეორეს ვაკეთებდი. არ გამომდიოდა არაფერი, არ ამიხდებოდა ნათქვამი და შეპირებული, მაშინაცვალი კი მაინც მისმენდა, მაინც სჯეროდა ჩემი და მაინც იმიედებდა თავს.

გუჩი სადანი ჩაქამებული დადიოდა; რა შეუჩნდაო ასეთი გერას ვაქს, ჰკვირობდა სასადანიო, მერე კი დრომაც გაიარა და ზანი შანავა ვილაცის „მოსკვიჩშიც“ კი დაინახეს, წავიდა მიტქმა-მოტქმა, ამ ამბავმა ანუცა სადანიაც კი გადაავიწყა ყველას, ანუცა მავასთან მონაგონიაო, ასე ამბობდნენ, ანუცას ქმარი არა ჰყავდა კანონიერი და რასაც მოისურვებდა იმას გააკეთებდა, ზანი შანავა კი ოჯახის ქალი იყო, მას უკვე ბავშვებიც ჰყავდა; მახსოვს, ზანი შანავა მცირე ხნით ტყაიბო წავიდა, თავისიანებთან, გუჩი ამბობდა, ერთმანეთს გავშორდითო, მაგრამ არ გასულა ორიოდ კვირა და ისევ ერთად იყვნენ. ბოლოს და ბოლოს კი მართლა გაცილდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს. შანავას ქალმა, იქვე, ჩვენს ქუჩაზე, სასადანიოში დიჭირავა ბინა, და ყველას თვალწინ აკეთებდა იმას, რაც არ უნდა გაეკეთებინა. ერთთავად ფერნაცვალი და მკვდარი დადიოდა გუჩი სადანი. ზოლო იმ დღეს, ჩვენ რომ დობორეს ბაღში ვიჯექით, სადანიას, ალბათ, თავისი ცოლი ეგონა ის ქალი, კაცი რომ ელაცებოდა.

საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, გუჩი სადანი სამ-ოთხ ვაქაკს მოერეოდა, მაგრამ თავის ტანმორჩილ ცოლთან საცოდავად გამოიყურებოდა. და მიუხედავად ყველაფრისა, ის ყოველწამს მზად იყო, ცოლს შერიგებოდა, თუკი ამას ზანი ისურვებდა. ზანიმ იცოდა ეს და კიდევაც იმ ადგილიდან ჰვრეტდა ყველაფერს, საიდანაც ყველაფერი კარგად ჩანდა. ის ყოველთვის მაღლა იდგა, გუჩი — დაბლა, ქაფათის მიწოდორზე,

ზანი შანავე ქაფათის გორაკიდან დას-  
ცქეროდა სასადანიოს. სადანიები ვაჭ-  
რობდნენ. სვამდნენ, მიწას ამუშავებ-  
დნენ, ჯოკო სადანიი ღობეს უქირავებ-  
და, ზანი შანავე პირს ილაშაზებდა,  
თითქოსდა მთელ სასადანიოზე ყოფი-  
ლიყო ნაწყენი გუჩის გამო შანავების  
ქალი, მათ აბრალებდა ყველაფერს,  
თქვენ რომ არა, აქეთ არ გამოვთხოვ-  
დებოდით, სხვა ბედი მეწეოდაო, ვინ  
დააძალა ოღონდაც რამე. ქმარზე უმ-  
ცროსი იყო შანავების ცირა, მაგრამ  
ესეც ხომ თავიდანვე იცოდა. კელვა სა-  
ნაიამ შეამჩნია ქორწილის შესამე თუ  
მეოთხე დღეს, ვერ გამოდგებიანო ისი-  
ნი ერთად, მაგრამ კელვამ რა იგულისხმა,  
ვინ იცის. გუჩი სადანიას შემხედვარეს,  
არავითარი სურვილი არა მქონდა, ოდეს-  
მე ცოლი მომეყვანა, ისე უბედური  
იყო გუჩი. ახლა უკვე არა მწყინდა კო-  
ნარიების გორაზე მოსახლე მშებს რომ  
ცოლი არ მოჰყავდათ. ოთხი ძმა ცხოვ-  
რობდა ვეებერთელა ოდა-სახლში,  
ვრცელი ადგილ-მამული ჰქონდათ, ასი  
ცხენოსანი რომ სტუმრებოდათ, რო-  
გორც ამბობდნენ, ვარეთაც არ გამო-  
ვიდოდნენ, ისე გაუმასპინძლებოდნენ  
მათ, და უკვირდა ყველას, რატომ არ  
ირთავდნენ ცოლს ეს ლამაზი ვაჟკაცე-  
ბი. მათი ეზოდან ჩანდა გამუდმებით  
კონარიების ვრცელი სასაფლაო, მაგ-  
რამ ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქო-  
ნოდა მათ ბედ-ილბალთან. ათასნაირი  
ფიქრი მომდიოდა. რატომ არ ირთავ-  
დნენ კონარიები ცოლს, რატომ არ  
მყავდა მამა მე, რატომ არ მიწყობოდა  
მამინაცვალი არასოდეს, რატომ ვცხოვ-  
რობდით ჩვენ ყველაზე ღარიბად, რო-  
ცა მამინაცვალს დასაჯდომიდაც კი არ  
ეცალა. რატომ ხდებოდა ასე, — ზოგი  
კაცი არც თავს გამოიდებს მაინცდამა-  
ინც, მუშაობს, როგორც შეუძლია, შრო-  
მაც იცის და მოსვენებაც, ქონება კი  
მაინც ეკიდება და შეძლებულ კაცე-  
დაც ითვლება სასადანიოში, კელვა სა-  
ნაიი დღე-ღამეს ასწორებდა, წელში არ  
იმართებოდა, დოვლათი კი მაინც არ  
ეკიდებოდა. აი, მაგალითად, იყო ფა-

ნია, ჩვენი მეზობელი კაცი, ხელის გან-  
ძრევა რომ ეზარება ჰირანს დღესათნით,  
არაფერზე რომ არ ზრუნავს არასოდეს,  
მუდამ რომ წიგნებში აქვს თავი ჩარ-  
გული ან ჰადარაკის დაფას უზის, ან  
ნარდს, — რითი ცხოვრობს ამ ქვეყა-  
ნაზე, საიდან მოაქვს თავის სარჩენი,  
ყანა მას არა აქვს და ბალი, არსად არ  
მუშაობს და არც უმუშავია, განაწყე-  
ნებულია რაღაცაზე და ხელს არ ანძ-  
რებს, სუფთად კი აცვია მაინც, არც  
სამეზობლოში არ გამოჩნება, — ქი-  
რის დღე იქნება ეს, თუ ლხინისა, —  
რატომ? რატომაა სოფელი ასე მოწყ-  
ობილი? ათასნაირი კითხვა მიჩნდებო-  
და. ეს ის ყამია ადამიანის ცხოვრება-  
ში, რაც ყმაწვილის მომწიფებასთანაა  
დაკავშირებული. ესაა — სხეულის გა-  
ზაფხული, გამოღვიძების ყამი, კვირტი  
რომ გასკდება და პირველად დაინახავს  
გარემოს, საიდან ეს ხეები, ეს სახლები,  
ეს ფრინველები, ეს ბაღში მოსიარუ-  
ლე, ნელა მოღვიძნე გლეხი-კაცი, საი-  
დან ეს ყველაფერი; ბუნდოვანია ფიქ-  
რი შენი. დიღეს ნისლითაა მოფარჩუ-  
ლი სანახები, რაღაცა ვინდა, მაგრამ  
მკაფიოდ კი არ იცი, რა! ამ დროს ათა-  
სი ცირა მოგწონს, ათასი თვალი და  
ტუჩი, და ვისზედაც არ უნდა გითხრან,  
— აი, მიხა, შენ, ეს პაწია ცირა, ესაა  
დღეიდან შენი ცოლი, და ერთად იქნე-  
ბითო, — შენ უარის თქმას კი ვერ მო-  
ახერხებ, იმდენად გიყვარს ყველაფე-  
რი, ისე ხარ აღზნებული, ოღონდაც  
კი გაიყო ვინმესთან ეს გრძობა, და  
სულერთია ვისთან, ამას არავითარი  
მნიშვნელობა არა აქვს, შენ ყველაფე-  
რზე თანახმა ხარ, და ზანი შანავე დაუ-  
ფიქრებლად, პირველი ნახვისთანავე მი-  
ჰყვება გუჩი სადანიას, მას უნდა რა-  
ღაც, სწყურია რაღაც, შიშველია უკვე  
და ცალი ფეხი აქვს შედგმული მდინა-  
რის წყალში, ქრქოლის მომგვრელია ის  
წყალი, მაგრამ მაინც მიღიხარ წინ, ვინ-  
და დაიოკო სურვილი მწყველი, აწი უბა-  
ნაოდ არ გამოხვალ შენ იმ მდინარიდან,  
თან შესაძლოა საიდანმე, მოფარებული-  
დან გიყურებდნენ კიდევაც, ჩათრევას

ჩაყოლა სჯობია, და შენ შედიხარ მდინარეში, და იკლავ წყურვილს, მას მერე გამოდიხარ მდინარიდან, მაგრამ უკვე შეჩვეული გაქვს ტანი, ისევე შედიხარ წყალში, გაზაფხულის დღეებია სოფლად, მიდის ეამი, თანდათან იფანტება თვალებში მოწოლილი ნისლი, სინათლიანდება გარემო, უკვე კავკასიონის დათოვლილი მთაგრეხილიც კი ჩანს სინწის ნაპირებიდან, შორს მიდის თვალი შენი, და ფიქრი, ოღონდაც მახვილია ამჟერად ფიქრი, კარგად იცი, რასაც ფიქრობ, და ნანობ უკვე, რომ ასე სულსწრაფი იყავი, ასე ნაჩქარევად გადასწყვეტე ყველაფერი, და ეძიებ სხნას, მიზეზს თავის გასამართლებელს და რაკილა იმას ვერ პოულობ, ვისაც შენთვის ამოსდიოდა მზე, — არავისადმი არა ხარ გულგრილი მეტად, — და ზანი შანავა გაეყრება გუჩი სადანიას. ამგვარი გუნება მეჭმნებოდა ივო ფანასთან საუბრის შემდეგ, ის დამაკავებინებდა ხელში წიგნს, ახლა ეს წაიკითხო, მიხა ბაბაია, ასე მეტყოდა, თვითონ მიეფიცებოდა მინავლებულ ბუხარს (შეშა არასოდეს ჰქონდა საკმარისი, ოღონდაც, მახსოვს, რაც გააჩნდა, სულ სუფთად ჰქონდა დახერხილი და დაპობილი) არ მიდის ოხერი ზამთარი, ამბობდა ის, მე ხელში მეკავა წიგნი და ვკითხულობდი:

„შემოდგომის ქარი, მძლავრი, უნაპირო, ზუნებით მიწეწავს ქალაქს თმა-წვერს...“

ივო ფანია ტიროდა. პაწია დოქით ადესის ღვინო გვედგა მაგიდაზე, ციციქა ღვინის კიჭებში ვასხამდით წვეწს და ვწრუბავდით ნეღა.

„ხშირად, ფიქრების სიბნელიდან თავს გამოპყოფს და შემეკითხება: რად მომკალითო?“ —

ივო ფანია ზღუქუნებდა. არ წაიკითხოო მეტი, მეტყოდა, და სიტყვებს ვერ აბამდა თავს, ვერ ამბობდა, რისი თქმაც სურდა. მე თანდათან უცილობელ მოთხოვნილებად მექცა მეზობელთან სიარული და იქ ჯდომა. დათრობა არ უყვარდა ივოს. ცოტ-ცოტას ვწრუბავდით ადესას და ვკითხულობდით ხმამაღლა

სხვადასხვა წიგნებს, ლექსებს და მოთხრობებს, დიდი რომანების ჩაწყვეტებს, იმნაირი ადგილების ამორჩევა იცოდა ივო ფანია, მაინცდამაინც ტირილი მოგინდებოდა. „შენ დიდი კაცი გახდები და მე დაგვიწყდებაო“, — ამბობდა ივო. მერე ადგა და, მახსოვს, რომელიღაც მწერლის წიგნიდან ასეთი ადგილი წამაკითხა: „მე ყოველ დღით ვდგები და მცირე საუზმის შემდეგ ჩვეულად ვუზივარ ჩემს სამუშაო მაგიდას, ვწერ რაღაცას, ვწერ წიგნს, მაგრამ აგერ მესამე კვირა გადის, ვერ ვპასუხობ ჩემს ალალ ბიძაშვილს, რომელმაც გამაფრთხილა, წერილის მიღებისთანავე დამებრუნებინა მისთვის პასუხი“... ჰადრაკის დაფას გადმოიღებდა ხანდახან წიგნების თაროდან და ვთამაშობდით. მე ვუვებდი, და წყინდა ეს. არკი იმჩნევდა, ოღონდაც, მალავდა ამას; ერთხელ კი იქამდეც მივიდა საქმე, ის ჰადრაკი თან გამომატანა, — წაიღეო, მიხა, ეს ჰადრაკი, შენი იყოსო, ასე თქვა. ხოლო სხვას ვინმეს თუ ვეთამაშებოდი. ერთი სული ჰქონდა, როგორმე მე მომეგო. ერთადერთი თხა ჰყავდა შინ, ნახევარ ლიტრს რომ იწვევლიდა, ან ცოტათი მეტს, ან კიდევ ნაკლებს, და ის თხაც დაეკარგა. ვეძებდით ქაფათის სანახებში იმ თხას, სახელს ეძახდა, შემოგვალამდა კიდევაც, რალაცნაირი, ნალვლიანი გაუხდა ხმა, ტირილი ერეოდა, თავს ძლივს იკავებდა, გულდაწყვეტილი დავბრუნდით შინ, ჩემზე ხომ არ ეკვობო რამეს, უკითხავს ივოსთვის მეზობელ სადანიას, არაო, კაცო, უთქვამს ივოს, ეს რამ გაფიქრებინაო, მას მერე კი თხა არ უძებნია, თითქოსდა ნაპოვნი ჰყოლოდა. მე კი იმ თხის გამო ძალიან მომეწვა მაშინ გული და დავწერე ლექსი, პირველი ლექსი ჩემს ცხოვრებაში.

\*\*\*

ჯანი ხანთურია მსშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისში წაიყვანეს, რათა უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა. ამას შემთხვევით

შევესწარი, — ერთხელ, საღამოთი, თბილისის მიმავალი მატარებელი რომ იყო ჩამომდგარი უქირის სადგურში, მაშინ, — ივო ფანიამ არაყზე გამაგზავნა, სტუმარი ჰყავდა, სადგურში ვნახე ხანთურია და მისი შშობლები, — დედ-მამა, ახლობლები და ნათესაეები — ჯანის უქირიდან მიაცილებდნენ, მე ორი ბოთლი არაყი მჭონდა ამოჩრილი ილიაში და ვიდექი მათ წინ, — ჯანი ხანთურიას დედა ამბობდა, რას შვრებო მინა, შვილო (პოი, რა ნიჭიერი იყოოცის ბავშვი, ეუბნებოდა იქ მყოფთ), სკოლა ვერ დაამთავრეო, ხომ? — ვერამეთქი, დედა, — ვუთხარი მე; ჯანიმ გადაამოცნა და ამრიგად დავშორდით ერთმანეთს. ივო ფანიას სტუმარი უქირელი კაცი აღმოჩნდა, ძველი პედაგოგი და ლიტერატურის კარგი მცოდნე, ქართულს ვინ გასწავლიდაო, შკითხა; მე ვუპასუხე. „რუსულს?“ — ცოტათი შევხანდი ამ შეკითხვაზე და ივო ბიძიამ თქვა: „მგონია, არც კი ახსოვს მიხას რუსულის მასწავლებელი“. სტუმარს შეკითხვა არ გაუმოკრებია და ამითვე მორჩა ყველაფერი. ისინი კი ისევ საუბრობდნენ ქვეყნის ამბებზე, ყველაფერს მაინც ლექსი სჯობიაო, ამბობდა ივო ფანია, და ხელში იღებდა აკაკის ლექსთა კრებულს, აბა, თუ კაცი ხარ, ერთი შენებურად წაიკითხეო, და მეც ვკითხულობდი:

„გამიგონია, თითქოს ლერწამი  
ობლის საფლავეზე ამოსულაყოს“...

ლექსი რომ ჩავათავე, საოცარი სიჩუმე იდგა. მიხასაც მამა არა ჰყავსო, ამბობდა მასპინძელი, და მე უნებურად მეხვეოდა ფიქრი, მახსენდებოდა ჩემი ოჭუმი და მისი შემოგარენი, თხმელაზე ასული ადესა, ჩრდილში დაგებული ჭილოფი, და საღამოს ბინდი, კოწოთუთარია რომ გადადიოდა შინდორზე... მახსოვს, იმ ღამეს სინათლე ჩაქრა, რაზედაც გრძლად შეუეკურთხა ვილაყებს ივო ფანიამ, მერე ლუმელის კარი გამომაღებინა და ახლა იმ სინათლეზე

ვკითხულობდი ახალ ნაწყვეტს რომელიმე წიგნიდან. — ზეპირად რომ გეცოდინება, ბაბა, სინათლეც არ დაგვირდებოა, — ამბობდა სტუმარი. მერე მან შინ დამიბარა, ივო გასწავლის საღვეცხოვრობო, ჩემთან მოდიო. მეორე თუ მესამე დღეს ვეწვიე ბატონ ბესარიონს. მთელი დღე წიგნები მალაგებინა, ახარისხებდა ბიბლიოთეკას, ამდენი წიგნი არასოდეს მენახა ერთად თავმოყრილი, ავიღებდი რომელიმე წიგნს და ვიდრე თავის ალაგას მიმჩენინებდა ბატონი ბესარიონი, — ავტორის გვარს წაეკითხავდი; მაგას მოესწრებო, მაჩქარებდა მასპინძელი, — არავითარი წიგნი კი არ გამომატანა იმ დღეს ბატონმა ბესარიონმა, ივო ფანიამ მითხრა, ასე იცის, ჭერხნობით კარგად არ გიცნობს და ვერ გენდობოა. და კიდევაც მთელმა თვემ გაიარა, ვინემ ბატონი ბესარიონი წიგნს მათხოვებდა. ამისობაში ივო ფანიამ ერთ თავის ნაცნობთან მიმიყვანა, ავტო-სარემონტო კანტორის უფროსად რომ მუშაობდა, სოფელ ჭვარზენში, უქირიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით; იმხანად იქ უნდა ჩაყრილიყო საძირკველი უზარმაზარი მშენებლობისა, რომელსაც შემდგომში ენგურაქსი დაერქმეოდა. მე შოფრის წიგნაკი მჭონდა; კანტორის უფროსმა კარგად მივვილო, „იმუშაოს, ბატონო, საქმე თავზე საყრელია: აქ მგონი, საღამოს სკოლის გახსნასაც აპირებენ. სწორედ ეს გავიცნო, ეუბნებოდა ივო ფანია, შეგაწუხეთო, ამან თან უნდა ისწავლოს, თან უნდა იმუშაოსო, ხელმოკლეც ცხოვრობენ ძალიან, ობოლიაო, თქვენი იმედით ვიქნებიო. რის ვაი-ვაგლახით, ერთ წელიწადში დავამთავრე საღამოს სკოლა და კიდევაც გამოიწვიეს საყოველთაო სამხედრო სამსახურში. საწყალმა დედაჩემმა სამგზის შემომატრიალა მხარმარჯვნივ, ასე დამიბარუნდით, მომალოცა და გაეუყვები გრძელსა და ჩემთვის სრულად უცნობ გზას, შორი რუსეთისაკენ.

### ნუ დამივიწყებ...

ო, რახანია ცრემლით და სისხლით  
მიწას ვალტობ და  
ანგელოზს ვმსახურებ,  
ბალახის ფოთლებზე  
ვაგროვებ მზის სხივს  
და ბავშვებს ხალისით ვასხურებ...  
ხან წიფობელას ოქროს ნისკარტით  
შენი გულისთვის  
ვწერ ნაზ სტრიჟონებს...  
ო, ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარდი!  
ნეტავი ახლა თუღა მიგონებ?  
რომ აღარ ვჩანვარ,  
კი არ დავდლიღვარ,  
გაბრუებული მწვანე მდელოთი,  
უბრალოდ  
ლხინში აღარ დავდივარ,  
მუხლზე ვეცემი საქართველოსთვის!..

### განიხვან, ცაო!

გულისთვის ჩემი შენს იქითა ეჭიებს სადგურს...  
ნ. ბაკათაშვილი

განიხვენ, ცაო, გადმოფანტე ლურჯი იეზი,  
სხვას არაფერს გთხოვ,  
არც არაფერს  
სხვისგან მოველი.  
მარტვი, ვით ბრწყინავს,  
სავსე ურიცხვ ოქროს ჩიტებით,  
ჩემი მთიების  
ვრცელზე ვრცელი თეთრი სოფელი...



ვილაც აქანებს ხშირ ვარსკვლავთა მაღალ ღეროებს,  
და მეჩვენება:  
თითქოს გიჟი ცხენების ეტლით  
ამოჰყავთ ხომლი  
უზარმაზარ წითელ წეროებს  
და ცვივა ნუშის გაშლილ ტოტებს ფერები ნედლი...

განიხვენ, ცაო!  
გამიბრწყინე ვარსკვლავი ბედის,  
დასაბამიდან სულს სწყურია სინათლე მეტი,  
სამშობლო ჩემი  
დედამიწის მწვანე ტოტია  
და მტრები,  
როგორც თხები ვენახს,  
ისე მკორტნიან.

მაგრამ ჩემს წყლულებს კურნავს ფერი ნაზი იების,  
გიყურებ ჩუმაღ  
და მასველებს სხივი ცხოველი.  
შენს ლურჯ ბუდეში ფართქალებენ ოქროს ჩიტები,  
და მესიზმრება ვარსკვლავების თეთრი სოფელი...

## შეხედე, რა მთვარე ამოდის!

შეხედე, შეხედე, შეხედე,  
შეხედე, რა მთვარე ამოდის!  
ცოდვია სიმღერით არ შეხვდე,  
სამგორში ამწვანდა წალკოტი!

სად იცის სალამო ამგვარი,  
რა ლურჯი გამხდარა იორი,  
ვერცხლისფრად შრიალებს ბაღნარი,  
მანანამ დანამა მინდორი.

დანამა, დანამა, დანამა  
მანანამ შორი მთის ორწოხი,  
სამოთხეს ვიხილავთ ამალამ,  
ცეცხლისფრად მოფრინავს ხოხობი.

დაგვათრობს ფოთლების შრიალი,  
ხეები ნაზ ტოტებს დახრიან,  
ბაღებში გადმოვა ჩხრიალით  
იორის ზეირთები არხიდან.

ვის ახსოვს ამგვარი სალამო,  
ცოდვია, სიმღერით არ შეხვდე,  
რა ცეცხლით მოსულა ყაყაო,  
შეხედე, შეხედე, შეხედე!..



## სახსოვარი

ჩემს დას სოფლის

აყვავდნენ ჩვენი კახაბლები და ატმის ხენი,  
წვიმის შხეფებად თითქოს წითელ ფიფქებს ისვრიან...  
ნეტა შემეძლოს ახლა მხრებზე მოგზავიო ხელი,  
გარს რომ მამუტრავს, შენი თეთრი თმების ნისლია...

შენ აქ რა გინდა? იმერეთში ყოფნა გერჩია!  
აწ სამუდამოდ ვერეს ჰალას უნდა უმზირო,  
შენს განშორებას, რა ვქნა, სული ვერ შეეჩვია  
და ყვავილივით გულით დამაქვს სევდა უძირო...

შენ ყოველ დღით ამ ლურჯი ცის ცქერით ტკებობდი,  
რალად გინდოდა ნეტა ჩემი ჩუმი ცრემლები,  
მე ხომ ყოველთვის სიხარულის ლექსს გპირდებოდი!

როგორ დაინგრა ჩვენი ეზოს ხალისის ბუდე,  
შენზე ნალგლობენ ჩემი ნაზი წიფობელებიც  
და თითქოს შენი ცივი ლოდი მე მაწევს გულზე...

\*\*\*

გუშინ ვმღეროდი სულ ჰერი, ჰერი,  
მხარზე მსუბუქი მასხდნენ ჩიტები,  
ხვალ სხვანაირი  
ცას დაჰკრავს ფერი,  
მეც სხვანაირი  
ფერის ვიქნები.

საით მაჩქარებს ნეტავი ეტლი,  
სით მიილტვიან ლუში ცხენები?  
დასაბამიდან ვარ შენი მსხვერპლი,  
მომხვიე შენი თეთრი ხელები...

ხვალ სხვა დაცვივა ტყეებს ფანტელი  
და სხვა იქნება ნაზ ფერთა თოვაც,  
სხვა ამღერდება  
სხვა ერუანტელით,  
სხვა სიხარულის  
წვიმები მოვა...

მინდა დღეს შეესვა უცხო სურნელი  
ახლად გახსნილი სამოთხეების,  
ხვალ სხვა დაბინდავს ცას საბურველი  
აყვავებული ცაცხვის ხეების.

გუშინ ვმღეროდი სულ ჰერი, ჰერი,  
დღეს სხვა მესხმიან თავზე სიზმრები,  
ხვალ სხვანაირი  
ცას დაჰკრავს ფერი,  
შენც სხვანაირი  
ფერის იქნები...

მინდა დღეს ვიგრძნო მზე დამთუთქველი  
და ამ ცხოვრების კორიანტელი,  
ვიყნოსო შენი თმების სურნელი  
და გაჰქრე როგორც თოვლის ფანტელი...

## შ ხ ა მ ი

### მოთხრობა

მამილო ლორმელი, მეტსახელად მიკო,\* ერთი სოკოსავით ჩია, მელოტი კაცი იყო. ქედს არასოდეს იხურავდა და მოტვლებილი თავი მზისგულზე გამოხუნებულ ბებერა-სოკოსავით დაზაფროდა. გაცრეცილი, დაჭორფლილი, ალაგ-ალაგ აჭერცილი ბირისახე და ჩიხაზეით გამრუდებული ყელი კიდევ უფრო აძლიერებდა ამ მსგავსებას. მოშვებული სიარული იცოდა, თითქოს რაღაცას ეპარებო. მიწაზე ფრთხილად დგამდა ფეხს, ხმელ ფოთოლსაც არ გაატყავნებდა და ბალახის ღეროსაც არ დაიტანდა.

ეს დღეც შუაგულ ტყეში გაატარა მოხუცმა. ტანმადალი ხეების გადახლართულ ტოტებში ნიავეც ვერ ატანდა და ტყეს სული ეხუთებოდა. ამ უღრან ადგილებში გველის სუროც ვერ იკიდებდა ფეხს და ბუც არ იდებდა ბინას. მოხუცი ტყეში ხეტიალისას ხის აღნაგობით, ხავსის სიწიროთა და ძნელად შესაცნობი სურნელებებით იკვლევდა გზას. ეამიყამ ჩაიმუხლებდა. ეს ადგილები, სადაც მელიებს, ბოტანიკოსებს ან ბრაკონიერებს თუ გადაეყრები კაცი, მიკოს ადრევე ჰქონდა შეგულებული. კალათას პირთამდე ავსებდა, უკან ბრუნდებოდა, წრეს უვლიდა და ვინ მოთვლის, მერამდენედ ტყეშიდა საკუ-

თარ ნაკვალევს. წიფელი და მუხა ახლა იშვიათად ხედებოდა, ცადაჭრილი ხეების ვერტიკალურ ხაზებს კი პაემანისთვის ზედგამოჭრილი ბუჩქნარის ტებილი ჰორიზონტალური ხაზი ენაცვლებოდა. ერთი-ორჯერ თითქოს და ხანძრისთვის საგულდაგულოდ შემზადებულ განაკაფებსაც გადაეყარა.

უცებ მოხუცი შედგა და მიაყურადა. მარცხნიდან ყრუ ხმაური შემოესმა. ქარის შრიალს არ ჰგავდა, არც კალიას ფაციფუცი უნდა ყოფილიყო და არც დაფეთებული ბიგას თათების ტყაპატყუპი. მიკოს რას გამოაპარებდი? კარგად უწყობდა შეყვარებულთა ვითომდა სიფრთხილის ამბავი. წყვილები მეტწილად მშრალ ადგილებს ეტანებოდნენ. იმას არად დაგიდევდნენ, რომ ხმელი ფიჩხის ერთი გაფაჩუნებაც კი წამსვე ამქლავებდა მათ ადგილსამყოფელს. მიკომ ბუჩქნარი მოათვალიერა და შეყვარებულთა თავშესაფარი დალანდა. ტოტებში სამუშაო ხალათის კიდემ და ხავერდის კაბის კალთამ გაიფრიალა.

— ეიული იქნება... პო, ისაა! — წაიჩურჩულა მოხუცმა — სხვასთანაა...

მერე ერთი კი ჩაიხიბოთითა, მაგრამ უმაღლესი შეიკრა. „ზედ ჩემს ხელთამხალეებთან მოუკალათებიათ“, გაივლო გულში და გზა გააგრძელა, ჭერ იყო და შეყვარებულთა მერორე წყვილს გაერიდა, ცოტა იქით მახეების დამგებს

\* მიკო — შემოკლებული „მიკოლოგიიდან“ (მიკოლოგია — მეცნიერება, რომელიც სოკოებს შესწავლის).

აუტყვია გვერდი, ბოლოს კი კაკლების მოყვარულ ბიჭსაც ჰქონდა თვალი. მოხუცის მზერას არაფერი გამოეპარებოდა, თვითონ კი ყველასთვის უხილავი რჩებოდა. ტყიდან მობრუნებული, ჩვეულებისამებრ, კალათას გზა-გზა აცარიელებდა, მაგრამ თავისი „სანუჯვარი ადგილების“ საიდუმლოს არავის ანდობდა. არც იმაზე ძრავდა კრინტს, ვის ან სად გადაეყარა — სოკოებისა არ იყოს, ესეც ღრმად უნდა შეენახა გულში. ბნელ, დაბურულ ადგილებში მოხელთებული საიდუმლო შეიძლება შხამა-სოკოსავით მომაკვდინებელი არც იყო, მაგრამ აყვია ქალებს მეტიც არ უნდოდათ, წამსვე ჭორის ნიაღვარს გადმოანთხევდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ მოხუცი სოფლის შარავნაზე მიაფრატუნებდა ძაფებგამოგლეჯილ საცვეთებს. ნაბიჯებს ისე მსუბუქად და ფრთხილად ადგამდა, რომ მტერიან ასფალტზე ნაფეხურებსაც არ ტოვებდა. მიდიოდა და არც არაფერზე ფიქრობდა, ჩიჩაბვიან ყელზე პერანგი მოღვლოდა, პრიალა შარვალი კი მუხლებთან გამოებროდა. მზე ზურგს უწვავდა, წინ საკუთარი ჩრდილი მიუძლოდა, უკან კი დაკრეფილი სოკოს სურნელი ადევნებოდა. ქვემოთ, ორიოდ კილომეტრზე, სოფლის სახლები ქანდარაზე შემომჭდარი თეთრგულა ქათმებივით მოყუყუღიყვნენ. მაღლა, ლავარდში, ბუხრის კვამლი იწვერებოდა და ღობეს მიმდგარი ძროხები გამბით ზმულოდნენ. სარეველა ბალახი თბრილებს მოსდებოდა. მიკოს ყურადღება გზისპირას ახარხოლებულმა ცხენის ნაკელმა მიიპყრო.

— რა ჭონება ფუჭდება! ორმოცდაათ სოკოს მაინც ეყოფოდა! — გაიფიქრა მოხუცმა.

სოფლის ზარებმა ეამის წირვა ჩამოპკრეს. ერთი ზარი გაბზარული იყო და ყღრიალი გაუდიოდა. საწვიმარი მილებიდან ყვავები აიზღაზნენ და ბამბის ქულებივით ნაზი, მოწითალო ღრუბლებით მოფენილ ცას მოედვნენ. თითქოსდა დროის შესხენებას ელო-

დაო, მიკომ ფეხს აუჩქარა, ციცაბო დამართი ჩაათავა, რაბის ხიდზე დღეღუზე გადავიდა, და სოფლის მთავარ ქუჩას დაუყვა, გზადაგზა „ზიარების ძმის“, კაფეს პატრონის, ათანასის შემოტევისაც იგერიებდა:

— ეი, შენ, კაცისმკვლელო აქეთ მოდი! ერთ ჰიქას გადაგაყლურწებ!

— ეგ შენი საწამლაგი ჩემსაზე უფრო ჰრის! — შეეპასუხა მიკო, ისე რომ ნაბიჯი არ შეუნელებია.

ოცდაათი მეტრიც არ გაეგლო, რომ ახლა მერის პირველი თანამეგწის ცოლი, ოგუსტინი გადაუდგა წინ თავის ურთიკანად. თეთრეული დაერეცხა და ურთიკას წურწურით გასდიოდა წყალი.

— მამილო მიკო, შუადღისას კურდღელი მოვკალი. ცოტა ბებერა-სოკოც რომ მქონდეს, საწებელად გამომადგებოდა.

მიკო შეჩერდა და საღმის ნიშნად თავი მოიხანა.

— ბებერა-სოკო? — მიუნაცვლა კითხვა ქალს, — ქამა-სოკოს ხომ არ ინებებდით? საბურში მოიკითხეთ.

კალათს თავი მაინც მოხსნა და თან რწმენის გაცხადებას მოჰყვა. მეტსახელიც ხომ სწორედ ამიტომ შეარქვეს!

— სოკოების უბრალო მოყვარული არ გეგონოთ! მიკოლოგი გახლავარ.

— მელისყურა ხომ არ მოგეძებნებათ!

— ჯერ არ შემოსულა. აი, ქამა-სოკო, ესეც შეგჩხა, აგერ კიდევ საჩეჩელა-სოკო.

მამილო ლორმელი „მწვანე სოკოს“ ნაცვლად „შეჩხოსას“ ამბობდა „ირმის რქის“ ნაცვლად „საჩეჩელას“, „თოვლის გუნდას“ კი „ქამა სოკოს“ უნაცვლებდა. ამ ტყისკაცს დაზუთხული ჰქონდა „საფრანგეთის სოკოების მკირე ილუსტრირებული ატლასი“. წიგნი ყველას დასანახად სასადილო ოთახში, დიდ კარადაზე იდო, სამზარეულო წიგნის გვერდით. პოდა, შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, უვიცებთან მეცნიერული ტერმინებით იწონებდა თავს. პირმოხსნილი კალათა ქვაფენილზე იდო და ჭრელა-ჭრულა სოკოები ავ თვალს არ

დაენახეობდა. ოგუსტინა, რომელსაც ორი თუ სამი გამველელი ამოდგომოდა გვერდით, ეკვით აქნევედა თავს:

— მამილო მიკო, ხომ არ ცდებით?

— მე არც არასოდეს ვცდები, — შეეპასუხა მიკო და რადგანაც მსმენელთა დაშინებაც უყვარდა, დაამატა: — სხვათა შორის სოკო რაღაცით ცოდვას ჩამოგავს: თუ გსურს გემო გაუსინჯო, შედეგსაც არ უნდა უფრთხობდე.

ოგუსტინამ რამდენიმე ერთი შეხედვით უვნებელი სოკო შეარჩია და ოთხი დიდი შავჩოხაც დაუმტატა, რომელზედაც ლოკოკინებს თეთრი ღარები გაეფლოთ.

— ცხოველები მუდამ გემრიელს ეტანებიან, — დამრიგებლური ტონით წარმოთქვა მან, — ინსტინქტი შევლით.

მიკომ გზა განაგრძო ისე, რომ ამ საყოველთაო მცდარ შეხედულებაზე ყურადღება არ გაუბარტყუნებია. მაგრამ პირველივე მოსახვევთან შეჩერდა, კალათა გადახსნა, შერე დახურა, ისევ გახსნა და ნადავლი გადააწყო. ეს მოხუცის ყოველდღიური საზეიმო რიტუალი გახლდათ.

— ერთი ეს მითხარით, ამდენ სოკოს სად პოულობთ? — ჩაეძია სოფლის ვეტექნიმი, რომელიც მოცალეობის ეამს თვითონაც ტყე-ტყე დარბოდა, მაგრამ სატრაბახო არასოდეს არაფერი მოუხელთებია.

— აბა რა ვიცი. აჭა-იქ ტყეში!

მიკო ენად გაიკრიფა, ვინ იცის მერამდენედ უხსნიდა ვეტექნიმს, როგორ გამოერჩია ნამდვილი შხამა-სოკო და თავგამოდებით იცავდა მკადა-სოკოს ცრუ ბრალდებისაგან.

— აი, ამბობენ, შხამიანი სოკო თუ გადატყე, რძეს გამოასახამსო. სულ ტყუილია, ლმერთმანი.

მიკო ქადაგებდა და თან მუჰა-მუჰა არიგებდა სოკოებს. მთხოვნელების ყოყმანიც ართობდა და მათი ხეწუნა-მუდარაც სიამოვნებდა. განსაკუთრებით კი ათი წლის მანძილზე მოხვეჭილი ნღობა ეფონებოდა გულს. როგორც სხვა დროს, ახლაც ის იყო კალათა და-

აკარიელა, რომ მეზობლის ქალი — ბერტინა წაეტანა მკლავზე:

— იჩქარეთ, მამილო მიკო, სელესტი სადაცაა კივლით ცას შეძრავს!

მიკოს სიხარულიც და ცბიერებაც ერთბაშად დაუცხრა, მოიკუნტა, თვალები ჩაუქრა და ენაც მუცელში ჩაივლო.

— ხვალ — ... — წაილულულა მან — მე... მოგიტანთ... აი, ნახავთ...

იგი უკვე შინისაკენ მიძუნძულებდა, უკან კი დამცინავი მზერა და ენაპარტალა სოფლელების ლაქლაქი მისდევდა.

— საწყალი მიკო! უენო კაცია! რქიანი!

— ეს ტყეც რომ არ ჰქონდეს...

— ფეხებს გაფშოკავდა! — ბოღმით დაასკვნა ვეტექნიმი... წუთსაც ვერ გაძლებდა! ისე კი, მართალი თუ გნებავთ, საჭმე იცის და არც არასოდეს შეცდებდა.

• • •

მამილო ლორმელი მხოლოდ ერთხელ შეცდა ცხოვრებაში — აი, მაშინ როცა სელესტი იქორწინა. პირველი ცოლის სიკვდილმა, ქალიშვილის გათხოვებამ და რკინიგზის მოხელის პატარა ხელფასმა აიძულა თავისი ბიძაშვილის, ბეშას შეძლებული ქვრივისთვის ეთხოვა ხელი. მიკოზე თხუთმეტი წლით უმცროსი სელესტი თავის ნებაზე ათამაშებდა მეორე ქმარს. ოჯახში პირველივე დღიდან საომარი მდგომარეობა გამეფდა. სანამ ორმოცდაათ წელს შიტანებული ქალს ფერმის მოსამსახურე ბიჭები ეტორღილებოდნენ, მიკოს საწუწუნო არაფერი ჰქონდა. მაგრამ, ავტო უკვე რამდენიმე თვეა სელესტმა ეს ცოდვაც ჩამოირეცხა და ახლა, სხვისი საპატიებელი რომ აღარაფერი ჰქონდა, კიდევ უფრო მეტად გაკაპასდა. არცთუ აქოთებული ძალუმად ქმინავდა და იფიქრებდით, სადაცაა იფეთქებსო. მიკოს ამდენის ატანა აღარ შეეძლო. ამიტომაც იყო, ინათებდა თუ არა, ტყეში გაიძვრებოდა, მაგრამ ახლა ამ უკა-

ნასკნელ სიამტკბილობასაც უნდა შე-  
ლეოდა. ბებრუხანამ, აქაოდა ფულს  
დავზოგავთო, მამილო ლორმელის გან-  
სწავლულობის ექსპლუატაცია გადაწყე-  
ვიტა და გადაჭრით მოთხოვა ამ დილე-  
ტანტს, თითქმის მეცნიერს, სოფლის  
ახლოს, ქვიშის კარიერთან გაშენებულ  
სოკოს სათბურში დაეწყო მუშაობა.

— ვაი სირცხვილო! ამას ისევ შათ-  
ხოვრობა მერჩია, — ანდობდა ხეაში-  
ადს მიკო ახლობლებს. ახლობელი და  
მოკეთე კი, გიყვარდეთ, ბევრი ჰყავდა  
— თითქმის მთელი სოფელი.

ამ საღამოს სელესტმა განსაკუთრე-  
ბით მხურვალე შეხედრა მოუწყო  
ქმარს. მთელ სამეზობლოს ესმოდა მი-  
სი ვაი-უშველებელი: ქალი მხოლოდ  
მაშინ დაშოშმინდა, როცა არაქათი გა-  
მოეცალა და ლანძღვა-გინების გუდაც  
დააპარიელა.

— წვნიანი გაგიცრვდა! ახია შენზე!  
შენი თავის ხეთქვამ, შენ ტყე-ღრე იხე-  
ტიალო, მე კი წვნიანი გიცხელო! ვერ  
მოგართვეს!

ბედს შეგუებული მიკო მაგიდას მი-  
უჯდა და კოვზით შედედებულ ნახარშს  
ამოურია. ცოლი დაფხვნილი აგურით  
გაშმაგებით ხეხავდა ქვაბებს. აგურის  
ხრაშენი ღრძილებს უქავებდა მიკოს.  
მოხუცემა თვალი ცოლისაკენ გააპარა  
და ამრეზით შეთვალერა: „ამასაც  
თმა ჰქვია, რაღა! ეკალბარდივით არ გა-  
ბურძგვინია! ერთი ყურებსაც დამიხედე!  
კუჭუკი ჩაჯდომია და სოკოსავით დაფო-  
რაქებია“.

— რა მოიტანე, ლორმელ? — შეე-  
კითხა მოულოდნელად სელესტი, რო-  
მელსაც ქმრისთვის მიკო არასოდეს  
უწოდებია და მისი ნათლობის სახელიც  
— ვილომენი — დიდი ხანია დავიწყე-  
ბის წყალს გაატანა.

— ბევრი არაფერი, — აღიარა მო-  
ხუცმა, — ოგუსტინმა და ადრეანმა.

— ...ყველაფერი აგაფექენეს, არა?  
შინ მხოლოდ ნარჩენები მოგაქვს. ერ-  
თი დღეც იქნება და ყველას საიჭროს  
გაგვისტუმრებ, მე შენ გეტყვი და სათ-  
ვალავეში დააკლდები ვინმეს. მე კი, ჩე-

მო კარგო, სულაც არ მეპიტნაება შენს  
გვერდით წოლა.

სელესტი აპარბებდა. ჩვეულებრივ,  
თუ სიტყვა მოიტანდა, ქმრის განსწავ-  
ლულობას პატივისცემითაც იხსენიებ-  
და. მაგრამ ახლა სურდა — რაც შეიძ-  
ლება მწარედ დაეგესლა ქმარი.

— მეუო, — წაისისინა ქალმა, —  
ცხოვრება დღითი-დღე ძვირდება. თუ  
კი სხვა არაფრისთვის უქნისხარ ღმერთს,  
ისევ სათბურში მუშაობა გიჯობს.

მიკოს სუნთქვა შეეკრა.

— ერთხელ ხომ ვითხარია?!

— ვიცი, ვიცი. შენ ხომ მი-კო-ლო-გი  
ბრძანდები! ასე იყოს! იმ შენს მიკო-  
ლოგიას უქმე დღეებში მიხედავ. პატ-  
რონსაც მოველაპარაკე — თანახმაა.  
იცოდე, სიტყვას არ გადავალ.

სელესტმა ერთი რომ აიშვა, კიდევ  
თხუთმეტი წუთი მაინც ილაქლაქა. სკა-  
მზე მოკუნტული მიკო პურის ქერქს  
ლოლნიდა და მორჩილად იტანდა ცო-  
ლის ქოთქოტს.

— კარგი, ვნახოთ. — წაილულულა  
ბოლოს.

— ამას ნახვა აღარ უნდა! — იწიფ-  
ლა სელესტმა, — უსაქმურის მოვლის  
თავი აღარა მაქვს! თუ კი ტყე გირჩევ-  
ნია, ვინ გიშლის? იქ ათენე და აღამე.  
სახლში ფეხი არ შემოდგა. ახლა კი ნა-  
ხე, ამ შენს მიკოლოგიას რა ვუყო!

შეშფოთებულმა მიკომ თავის წამო-  
წევა კი გაბედა, მაგრამ რაღა დროს!  
სელესტი „მცირე ილუსტრირებულ ატ-  
ლასს“ და მოწაფის უბრალო რვეულს  
წაეტანა, რომელშიც მიკო გაუწაფავი  
ხელით თავის მეცნიერულ დაკვირვე-  
ლებს იწერდა და ნაყუნებად აქცია.

— სელესტ, ჩემი შრომები!

გაცოფებულმა ქალმა ნიშნისმოგებით  
ჩაიჭირკილა და ქმარს სახეში მიაყარა  
ნაგლეჯები. მოხუცი ფეხზე წამოდგა;  
სახე ერთიანად გადაფითრებოდა. რაღაც  
უცნაური სხივი ჩაუდგა თვალებში, თა-  
ვის ქალას კი ერთბაშად მოწოლილი  
სისხლისაგან სოკო-ეშმაკას ხასხასა წი-  
თელი ფერი გადაეკრა.

— სისხლი არ ჩაგვეცეს! — წიჭი-  
ლიკა სელესტმა.

მიკოს კაცის ფერი არ ედო. მელო-  
ტი თავი თანდათან მწარე სოკოს მომ-  
წვანო-მოყვითალო ფერს იღებდა.

მოხუცი სკამზე დაეშვა, თვალები  
მილულა და ჩაფიქრდა. ბოლოს წელში  
გასწორდა და მკაფიო ხმით, რომელიც  
მის ჩვეულებრივ ბუტბუტს სრულიად  
არ ჰგავდა, მორჩილად წარმოთქვა:

— შენი ნება იყო! ორშაბათიდან  
დავიწყებ!

მერე დაიხარა და სასოებით აკრიფა  
ნაქუწები.

\* \* \*

მეორე დღით, გამთენიისას, მიკო  
ზოზინით გადმოძვრა საწოლიდან, რომ-  
ლის ნახევარზე მეტი ძონძროხა სე-  
ლესტს მიესაკუთრებინა, ძველმანები  
გადაიკვა და მხარზე ჩანთა მოიგდო.

— აბა, შენ იცი! — მთქნარებით მი-  
აძახა ცოლმა, — დრო არ გააცდინო!

— შენც ამას გირჩევ, ჩემო სქელუა!

— უცნაური ხმით შეეპასუხა მოხუცი.

შემოდგომის შხაპუნა წვიმას ტალა-  
ვერზე შაბიამანი გადაერეცხა, თხრი-  
ლებიც წყლით ამოეცსო და მწერებიც  
საღლაც გადაეკრიფა. მიკოს ჩექმების  
ჩაცმა არც უფიქრია, ძველ საცვეთებ-  
ში წაყო ფეხები. სანამ უკაცრიელ  
ტყეში შეაღწევდა, თავით-ფეხებამდე  
გაიწუწა. წვიმის წვეთები ტყაბა-ტყუ-  
პით ეცემოდა ტანაზიდული ხეების ტო-  
ტებიდან და მკვდარ ფოთლებზე წკა-  
რუნი გაუდიოდა. ამჯერად მიკომ ჩვე-  
ულებას უღალატა. ტყეში ხეტიალს  
აღარ მოყოლია. პირდაპირ ადრევე და-  
გულეებული ადგილისკენ გაუხვია. ერთ-  
გან შეუხედავი და უვნებელი ციდამაყ-  
ვანების მთელ ჯარს გადაეყარა, მაგრამ  
ნაბიჯი არც მაშინ შეუწელებია. უბრა-  
ლოდ, თვალი შეავლო. ეს იყო და ეს.  
ოთხ, წითლად აელვარებულ, თეთრ-  
წინწყლებიან ბუზიხოცია სოკოსთან წა-  
მიტ შეყოვნდა, მერე გზა გააგრძელა  
და თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— არ ეყოფა!

ერთი საათის შემდეგ მიკომ წიფლ-  
ნარს მიიღწია. აქედან ტახებინს სამქუ-  
ფეო იწყებოდა. ოფლი ღვარად სდიო-  
და. მუხის დაძარღვეული, სიფრფინა  
ფოთოლი ზედ კინკრიხოზე მიწებებო-  
და. მოხუცმა ხელები წინ გაიშვირა,  
ლიქენით დაფარული ხეების გლუვი და  
სლიპინა ტანი მოსინჯა, რამდენიმე ნა-  
ბიჯი გადადგა, მერე უცებ ჩრდილში  
რაღაც ნათელი წერტილი დალანდა,  
სიამოვნებისაგან დაუსტვინა და იქვე,  
ნეშომპალას გროვაზე ჩამოჯდა. ნეშომ-  
პალამ ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს  
წყლით გაბერილი ღრუბელი გაწურე-  
სო.

— არა, არც ეს ივარგებს...

მიკოს ცხვირწინ ექვსიოდნე ნაპვრე-  
თიანი და ჰრელი თავჭიდილა სოკო  
ჭილქუებს აოცებდა თავისი სურეალის-  
ტური ფორმებით. მანჭკვალას ელა-  
ტინისებური მტევანი ნებივრად ეხვე-  
ოდა დამპალ ფესვს.

— აი, ეს მესმის, აი, ეს რქაა! — წა-  
მოიძახა მოხუცმა და ძაღლივით უკანა-  
ლზე დაყურსულმა წინ წაიწია. ოთხი  
სოკო ხის ძირში მორცხვად შეუფუფ-  
ლიყო. თეთრი ბოლქვიდან ამოზიდული,  
უცნაურად დაგრეხილი ლერწები გა-  
ჭირვებით იკავებდნენ მრგვალ და მოყ-  
ვითალო ქუდებს. მიკომ ხელი გაიწოდა  
და უცებ მთელი ტანით შემოტრიალ-  
და:

— ეს კიდეც რაღაა?

იქვე, ორ ნაბიჯზე ტახი ღრუტუნებ-  
და ბუნავში. მიკო დამშვიდდა, სოკოებს  
წაეტანა, ხის ტანს აავლიჯა და ქურთუ-  
კის ჯიბეში ჩაისრიალა.

— ტუკ-ტუკ-ტუკ-ტუკ! — კაკუნი  
აუტება მერქანს კოდალამ, თითქოს მი-  
კოს ნადავლს უწუნებდნო.

— ჩუმად! მე არასოდეს ვცდები, —  
დაამშვიდა მიკომ და ინსტინქტურად  
შარვალზე შეიწმინდა ხელი.

მერე ერთბაშად წამოხტა, ერთი-ორი  
სოკოც მიასრისა და ტყეში სირბილს  
მოყვა. ჯერ ადრევე გადანახული სო-  
კოებით აავსო კალათა. მერე, თითქოს,  
ტანში ეშმაკი შეუქდაო, სოკოებს ნამ-

დელი ომი აუტეხა. სორობში მიმალული, თავზარდაცემული კურდღლები და ქცინები გაფაციკებით უმზერდნენ ამ საოკრებას. ზრდილი და თავაზიანი მიკო, გუშინ რომ ისეთი მოწიწებით ჰრიდა სოკოს, თითქოს ქალწულს გულისპირს უხსნისო, დღეს არც პატარა ღრუბელა-სოკოს ზოგავდა, არც ერთობ პატივსაცემ ფშუკურას ერიდებოდა და აღარც ეს-ეს არის გამოჩეკილ, პაწაწა მჭადა-სოკოებს იცოდებდა. კვერცხივით ჩამრგვალებული, უგემური მგლის სოკოებიც ვერ გადაურჩნენ მოხუცის რისხვას, ხმაურით სკდებოდნენ მის ფეხქვეშ და შავ მტვერს აბრჩოლებდნენ. შუადღისას მიკო ტყიდან გამოვიდა და სოფლის გზას დაადგა. უკან გავერანებული კორდები, ფფასავით ერთმანეთში არეული, გაპყლტობილი სოკოები, მცენარეულის დახვავებული ნაგავი — ერთ ღროს სათაყვანებელი ტაძრის მწუხარე ნანგრევები მიატოვა. წვიმას გადაელო და ჭარი უბერავდა. მუხის ფოთოლი ისევ ისე უმშვენებდა კინკრისოს. მიკო ქვების გროვებზე ჩამოჯდა, ქურთუკის ჭიბეში გადანახული სოკოები ამოიღო, კანი გადააყალა, მერე ისევ სარჩულში ჩაიჩურთა და შინისაკენ წაეხეტა.

— გელირსა! — წაიდუღუნა ცოლმა და გაოცებული მზერა შეავლო კალათს. — საღამომდე არ მოვა-მეთქი, ვიფიქრე, არც არაფერი მომიმზადებია.

— საქათმეში ორიოდ კვერცხი მგულება, — მშვიდად უპასუხა მიკომ, — მანამდე სოკოს ვაფუცქვნი.

სელესტი, ჩვეულებისამებრ აბუზუნდა, მაგრამ, ქმრის მორჩილებით ნასიამოვნები, საქათმისკენ წავიდა კვერცხების გამოსატანად. მიკომ ჭიბისკენ გააპარა ხელი. როცა ქალი უკან მობრუნდა, მაგიდის მუშაბაზე ლამაზად დახვავებული დარჩეული სოკოები დახვდა.

— სალათასთან ერთად პირდაპირ მისწრება იქნება, — თქვა მიკომ, — ახლავე მოვამზადებ.

სელესტმა გაოცება ვერ დაფარა.

— ხედავ, კაცმა რომ ერთი გვარია, ნად შეგახუროს, ფიანდაზად... გაიშვებ ფეხქვეშ კიდევ კარგად გაქცევი!

ტაფაზე კარაქი აშოშინდა. კატამ სუნი იყნოსა, სამზარეულოში შემოიპარა და გაქუცული ტანით სელესტს გაეხახუნა.

— გაეთრიე, ქეციანო!... ლორმელ, რალას უცდი? სუფრა გაშალე.

მიკომ განსხვავებული თევშები მოიიტანა. ერთი, ლაფონტენის ცნობილი იგავის სცენა რომ ამშვენებდა (პირველი ოჯახის მოგონება გახლდათ), თავისთვის დაიღო და მონჯღრეულ, თივაგაცილ სკამზე დაეშვა. სელესტმა კარგა ხნის დაუბანელი თმა შუბლიდან გადაიწია, კვერცხები დატეხა, კიდემორღვეულ ღრმა თევში ათქვიფა, ერობკვერცხი ტაფაზე გადააბრუნა და ორ არათანაბარ ნაწილად გაპყო, მოზრდილი ნაპერი თავისთვის გადმოიღო, მომცროს კი მიკოს თევშზე მოადენინა ტყაპანი. ესეც რომ მოითავა, ღუმელს მიუბრუნდა, შემწვარი სოკო გადმოიღო და მაგიდაზე შემოდგა.

— გადაიღე, ლორმელ... შენ რა, ციება ხომ არ შეგეყარა?

— წვიმის ბრაღია... — ამოილულულა მიკომ, — მგონი ვაცვივდი.

სელესტი აღარ ჩაძიებია, სოკოს მიადგა და ნახევარზე მეტი გადმოიღო, დანარჩენი კი ქმარს უწილადა. ძონძროხა და გაჭირვებული, მკერდით მაგიდას ჩამოაწვა და ხელიპინით შეუდგა ჭამას.

— ...კარგი რამაა!

— მეც, მანდა ვარ — უპასუხა ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა მიკომ.

— სალათას რატომ არ ჭამ?

— მართალი ვითხრა, არ მინდა... კუჭი მძმარავს.

რაო, კუჭი გტკივა? ისერიგად გაიოცა სელესტმა თითქოსდა ადამიანისათვის ტკივილის მიყენება მხოლოდ მისი პრივილეგია ყოფილიყო. — მუშაობა მოგარჩენს.

ნაშუადღევს სელესტმა ღელეში იბანავა. მიკოს სახლიდან ფეხი არ გაუდ-

გამს, ცოლის არყოფნით ისარგებლა და ნაწილ-ნაწილ შეაწება დაფლეთილი რვეული. ამ გულისგამაწვრილებელ საქმეს ორი საათი, კარგა ბლომად ნერწყვი და ერთი გორგალი წებოვანი ქალაღი შეაღია. მერე, ავად თუ კარად, „მცირე ატლასი“ გაკერა და სამოცდამეტრამეტრე გვერდზე სანიშნი ჩადო. საქმე რომ მოილია, კუთხეში მიგდებულ კატის მუთაქაზე ჩამოჯდა და ლოდინს მოჰყვა. თავს უკეთ გრძნობდა და ბუნებაც გამოუკეთდა.

— ყველა ყველა და შეცდომა კი არასოდეს მომსვლია, — მისდაუნებურად ხმამაღლა წამოიძახა და საკუთარი ხმის გაგონებაზე თვითვე გაოცდა.

სახლში მობრუნებულ ცოლს თვალი რომ შეავლო, მოხუცი დამშვიდდა. ქალი ხუთ საათზე მოვიდა, სახეზე მკვდრის ფერი ედო, მთელი სხეულით ცახცახებდა და ძლივს მოათრევდა თერთრულით სავსე კალათას. თმა შუბლზე ჩამოშლოდა, ქვედა ტუჩი კი უშნოდ გადმობურცვოდა. სკამზე დაეხეთქა და ძლივს წაიღულღულდა:

— ლორმელ... მუცელი არ გტკივა?

— მე? არა... — უპასუხა მიკომ; — ასეც იყო, ტკივილს ვერაფერს გრძნობდა — რატომ მეკითხები?

— ოპ, — ამოიხვნეშა ქალმა, — თუ ასეა, საშიშიც არაფერი ყოფილა.

მერე არყის ბოთლს გადაწვდა, რომლისთვისაც კარადის კუთხეში მიეჩინა მუდმივი ადგილი და კიქა სანახევროდ შეიგისო.

— გირჩევნია, ლოგინში ჩაწვე, ჩემო სქელუა! — ურჩია მიკომ.

სელესტი ბანცალოთ გავიდა თავის ოთახში და საწოლის ზამბარებს კრაქუნნი აუტეხა. მიკო რვეულს მივარდა და ჩაწერა:

„შხამა სოკო საუკეთესო საწამლავი ყოფილა“. მერე, ეტყობა, პროფესიულმა სინდისმა შეაწუხა, ერთი-ორი წუთით მუდმივი კალამი კბილებში გაიჩხირა და ახალი სტრიქონი დაიწყო.

„ამბობენ რომ შხამა სოკო კაცს ჭამიდან ექვსი საათის შემდეგ ჰკლავს,

— ატლასში ისიც კი წერია, ძმარი საწამლავს ხსნის და მის კრქმედებას აჩქარებსო. ასეც უნდა იყოს. სელესტმა სალათას მოულხინა, მე კი პირიც არ დამიკარებია. აკი, ამიტომაც ჯანზე ვარ!“. საკუთარი სიბრძნითა და მართლწერით კმაყოფილი მიკო სკამის სახურვეზე გადაწვა და პირქუში მხიარულობით წაილიღინა:

ფლობოროტი, ყიამყარალი  
საბეიოს მიდის ქალი...

მაგრამ ეს საზეიმო-სამგლოვიარო პიშინი ცოტა ნაადრევად მოუვიდა. ოთახიდან ცოლის მკაფიო ხმა შემოესმა:

— ლორმელ, ღამის ქოთანნი მომიტანე!

„ეშმაკმა დალაზგროს, ნეტავ კი არ არწყვიოს“, — ინატრა მოხუცმა, ჭურჭელს ხელი წამოავლო და ოთახში შეარბენინა. სელესტმა ერთი-ორჯერ ამოისლოკინა და ქოთანი გაავსო. „კარგა ბლომადაა! — გაიფიქრა მიკომ, — მაგრამ ვერც ეს გიშველის. შხამა-სოკომ პატემა არ იცის“. გული მიინც ეთანალრებოდა და ქოთანს თავის მსხვერპლის პირს უმარჯვებდა. ეს სანახაობა სულაც არ ეპიტნავებოდა, მაგრამ საბოლოო შედეგის გარდუვალობის რწმენა მხნეობას მატებდა.

სელესტს დონდლო ხორცი პერანგის სალტეებიდან ამოჩროდა და დუნედ ჩამოკიდებოდა. სიმყარლისაგან მიკოს გული კინაღამ აერია და ფერი დაკარგა.

1. ბარამიძის აზრით, „ქართულ ადრეულ პროზაში „შუშანიკის მარტილობა“ ერთადერთი ძეგლია, რომელშიც სრული დამაჯერებლობითა და მხატვრული მიმზიდველობით არის ასახული მოწამის ღრმა და ფაქიზი დედობრივი გრძნობა“<sup>1</sup>. მკვლევარს მხედველობაში აქვს შემდეგი ეპიზოდი: როდესაც შუშანიკმა გაიგო ვარსკენის განდგომის ამბავი, წაიყვანა ეკლესიაში თავისი ოთხი შვილი და ღმერთს შეავედრა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცივენ ესენი“-ო რ. ბარამიძე თვლის რომ, შუშანიკი არ შთააგონებს შვილებს ქრისტიანობა დაიცივან, რადგან მან იცის, რომ ეს გამოიწვევს ვარსკენის რისხვას და შვილების წამებას. ის ვერ იმეტებს მათ ამ ხვედრისთვის, „მეორე მხრივ, საჩუქუნოების გამოცვლა, ქვეყნის დაღატაკი არა ნაკლებ მძიმე საშიშროებაა,... შუშანიკი რომ მხოლოდ ფანტიკური მორწმუნე ყოფილიყო, ის ჯიუტად მოითხოვდა შვილებისგან საჩუქუნოების დაცვას,... სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა... დედობრივი სიყვარულით დაბრმავებულს დაეხარებინა შვილები და დაემოძღვრა: მოიქეციოთ ისე, როგორც თქვენთვის სასიამოვნო იქნებაო, ენ ხომ საშინლად გააღარიბებდა შუშა-

ნიკის სახეს. დიდი შინაგანი ჭიდილის დროსაც, შუშანიკი ამცლავნებს ვერტიკალურ მხრივ, მაღალ პრინციპულობას და მეორე მხრივ, ნაზ დედობრივ ბუნებას. ამ შინაგან წინააღმდეგობასა და ჭიდილში ვლინდება შუშანიკის მთლიანი, თანმიმდევრული და მეტად რეალისტური ხასიათი. ამ რთულ ფსიქოლოგიურ სიტუაციაში იაკობ ცურტაველი საოცარი ტაქტით პოულობს გამოსავალს, კერძოდ, შუშანიკი ღმერთს ავედრებს შვილებს... დედა და მოწამე ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი... არც შუშანიკის მოწამეობრივ მოღვაწეობას ადგება ჩრდილი, არც დედობრივი გრძნობაა შელახული და გაყალბებული“<sup>2</sup>. ამ მსჯელობაზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა: „შუშანიკის ხასიათში აღნიშნული თვისების გამოკვეთის თვალსაზრისით, იაკობ ცურტაველის თხზულება პირველთაგანია, სადაც ასეთი მაღალი პრინციპულობითა და რეალისტურობით არის წამოყენებული და გადაჭრილი შემდეგში ჩვენს მწერლობაში არა ერთგზის აღძრული კარდინალური საკითხი — ჭიდილი, ერთი მხრივ, მშობლიურ გრძნობასა და, მეორე მხრივ, ქვეყნის წინაშე მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობას შორის“<sup>3</sup>.

მაგრამ ამ ადგილებიდან ასეთი დასკვნების გაკეთება, ჩვენის აზრით, არ შეიძლება. სინამდვილეში შუშანიკმა შვილების ბედი ღმერთს ჩააბარა, „შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცივენ ესენი“-ო, თვითონ კი ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა. ნუ გამოვეყიდე მით იმას, რომ ბავშვების ტანჯვის საშიშროება მნიშვნელოვნად არის გაზვიადებული, რადგან, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, თვით შუშანიკის ტანჯვაც კი საკუთრივ შუშანიკის მოქმედებით უფროა გამოწვეული, ვიდრე ვარსკენის ნებით. განვიხილოთ შუშანიკის მოქმედების ასახსნელად წარმოდგენილი მოტივები. არა თუ ფანტიკოსი, არამედ საერთოდ ყოველი მორწმუნე

1. რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1, 1966, გვ. 15.

2. იქვე, გვ. 15-16.

3. იქვე, გვ. 16-17.

ქრისტიანი დედა ეცდება გადაარჩინოს შვილები ქრისტიანობის უარყოფისგან, რა ტანჯვადაც არ უნდა დაუჭდეთ მათ ეს. საქმე ისაა, რომ რჯულის უარყოფა არათუ ნაკლებ მძიმე საშიშროებაა, ვიდრე ვისიმე რისხვის დამსახურება, არამედ შეუღარებლად უფრო დიდი საშიშროებაა, რადგან ეს არის ერთადერთი, სრული, უმალღესი და სამუდამო სასჯელის — სამუდამოდ ჯოჯობეთში მოხვედრის — საშიშროება. ამ საშიშროებასთან შედარებით ამქვეყნიური ტანჯვა, რაგინდ მძიმე არ უნდა იყოს იგი ყოველი ნამდვილად მორწმუნისთვის, არაფერია. ამრიგად, როგორც მოწმუნე, შუშანიკი აშკარად არასწორად, მართლაც რომ არათანმიმდევრულად და არაპრინციპულად, შეიძლება ითქვას, შვილებისთვის დამღუპველად, მოიქცა. მაგრამ იქნება მისივე დედობრივმა გრძნობამ დასძლია რელიგიურს? არც ასეა, რადგან, როდესაც ვარსკვლავმა ბავშვები მაინც გაამაზღვინა, ალბათ ძალით, მან მთლად მოიძულა ისინი. ასე რომ შვილების მიმართ შუშანიკი არც ერთი თვალსაზრისით არაა სწორი! მაგრამ უთუოდ ღირს ეს უკანასკნელი ამბავი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

მძმასაღამე, შუშანიკმა შეავედრა შვილები ღმერთს, შენი მოცემულნი არიან და შენვე დაიცავიო. ზევით ითქვა, რომ ამითი მან თითქოს პასუხისმგებლობა აიცილა თავიდან. მართლაც, როდესაც მან გაიგო, რომ ისინი მაინც გაამაზღვიანდნენ, მან, თუმცა ტირილითა და მიწაზე თავის ცემით, მაინც თქვა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვენს-ვე არა ჩემნი, არამედ

1 ღმერთისთვის შვილების შევედრება, აქაოდა შენი მოცემულნი არიანო, ვერაფერი გამოსავალია შუშანიკისთვის, რომლისთვისაც ვხედაფერი ღმრთის მოცემულია, თითონაც ღმრთის გაჩენილია. თუ ის ასე მსჯელობდა, მაშინ თითონაც უნდა შევედრებოდა ღმერთს, შენ დამიფარეო. თვითონ კი გულხელდაკრეფილი ემოქმედოდ ყოფილიყო. მაგრამ როდესაც ეს მას შეეხება, იგი თვითონვე რჩებას მოქმედებას ღმერთს გაუწყვეტ.

შენნი მოცემულნი იყვენს, ვითარცა გნებავს, იყვენ ნებაა შენი, უფალო, და მე დამიციე საქმეთაგან მტერისათა“-ო. იმათ რასაც უზამ, შენი ნებაა, რადგან შენივე მოცემულნი არიან, მე კი დამიფარე მტრისაგანო. ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობა უკიდურესი ინდივიდუალიზმის, მეტი რომ არ ვთქვათ, გამოვლინებაა და სხვა არაფერი.

რასაკვირველია, ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ შუშანიკს არ უყვარდა შვილები, თითქოს ისინი მისთვის არაფერს ნიშნავდნენ. ცხადია, როგორც დედას მას შვილები უყვარდა კიდევაც და მათი ბედიც აწუხებდა, მაგრამ როდესაც საქმე მივიდა მისი ცხოვრების მიზნის განხორციელებაზე, მაშინ ყოველგვარი გრძნობები, ცოლისა, ოჯახის, დედობრივი, ამქვეყნიური სიტკბოების, ყველაფერი დაიჩრდილა.

შუშანიკის ინდივიდუალიზმსა და მისწრაფებას საკუთარი პიროვნების განმტკიცებისაკენ ერწყმის მისი უაღრესად აქტიური და ქმედითი ბუნება. იგი არაა ქმრის მორჩილი, თვალეში შემციცინე ცოლი, ან თავდაიწყებით შეყვარებულნი დედა, შვილებზე ზრუნვაში რომ ხედავს თავის არსებობის აზრს, არც ძალაუფლებით, სიმდიდრითა და ფუფუნებით კმაყოფილი ქალი.

შუშანიკი ნამდვილი მეტროქოლია. ოთხი შვილის დედას შესწევს სულიერი ძალა წინაღუდგეს ქმარს, დასთმოს ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე, თვით შვილებიც კი და ბოლომდე მიიყვანოს თავისი განზრახვა, თუმცა ეს გამარჯვება მას ძალზე ძვირად დაუჭდება. თუ რა ასპარეზზე უნდა წარეშარტა შუშანიკს მოქმედება თავისი მიზნის მისაღწევად, ეს განაპირობა მისმა სოციალურმა მდგომარეობამ და პირადმა მიღრეკილებებმა. ქალისთვის, და ისიც გათხოვილისთვის<sup>1</sup> და ოთხი შვილის დედისთვის პოლიტიკური ასპარეზი, ალბათ, მიუღწეველი იქნებოდა. მწერლობა ან ხელოვნება სპეციფიურ ნიქს შოითხოვს, რომელიც საკმაოდ იშვიათია. შედარებით ადვილი უნდა ყოფილიყო მოლ-

ვაწეობა სასულიერო სარბიელზე, მაგალითად, ქველმოქმედება, რაიმე საღმრთო საქმის მფარველობა სავსებით ხელმისაწვდომი იქნებოდა პიტიახის მუდღისათვის. ამავე დროს ასეთი საქმიანობა დიდად ფასდებოდა. რაც მთავარია, ასეთი საქმიანობა მის მიდრეკილებებსაც ემთხვეოდა. იაკობი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შუშანიკი ღვთისმოსვიში იყო „სიყრმითგან თესით“. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ერთი ცნობა შუშანიკის შესახებ, შემონახული ეპისტოლეთა წიგნში<sup>1</sup>. სომხეთის კათალიკოსი აბრაამი თავის პირველ წერილში საყვედურობს კირიონს, რომ იგი ცვლის ცურტავში სომხურ მსახურებას, რომელიც მისი სიტყვით არის „წმიდა შუშანიკისგან დადგენილი“.<sup>2</sup> რომ ცურტავში სომხური მსახურება შუშანიკისგან იყო დადგენილი, ამას აბრაამი იმეორებს თავის ცნობილ საყოველთაო ეპისტოლეშიც.<sup>3</sup> თავის პასუხში კირიონი უარყოფს, რომ მას ასეთი რამ (სომხურად მსახურების მოსპობა) გაეკეთებინოს და ამბობს, რომ მსახურება სომხურ ენაზე გრძელდება.<sup>4</sup> ზუსტად იმავეს წერს კირიონი თავის პასუხში სმბატ ვრკანის მარზპანისადმი.<sup>5</sup> მართალია, კირიონი არ ამბობს, რომ სომხური მსახურება შუშანიკის შემოღებულია, მაგრამ არც უარყოფს ამ ცნობას. მაშასადამე, სომხეთში მიაჩნდათ, რომ ცურტავში სომხური მსახურება შემოღებული იყო შუშანიკის მიერ, ქართლში კი ამას არ უარყოფდნენ. რას ნიშნავს რეალურად ეს ცნობა?

როგორც ცნობილია, ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა. IV ს-ის მეორე

ნახევარში იგი დაუბრუნდა ქართლს, სომხეთში ყოფნისას ამ ტერიტორიაზე ჩანს, გაჩნდა მნიშვნელოვანი რაოდენობით სომხური მოსახლეობა. ქართლში შესვლისას ამ მიწებში ქვემო ქართლის რიგ სხვა ქვეყანასთან ერთად შეადგინა სამთავრო — ქართლის საპიტიახში. საფიქრებელია, რომ სომხებით დასახლებულ მოსახლეობას სომეხი ხუცესები ჰყავდა, ხოლო სამთავროს ცენტრში, ცურტავში, რომელიც საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა, ეტყობა, მღვდელმსახურება ქართულად წარმოებდა. „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების თანახმად შუშანიკს ცურტავში შემოუღია სომხური მღვდელმსახურებაც. ამ სიახლეს, ჩანს, საკმაოდ რთული ორგანიზაციული ღონისძიებებიც მოჰყოლია. სომხური მსახურების შემოღება გულისხმობდა სომხური ენის მცოდნე მღვდელმთავრის ყოლას, საჭირო იქნებოდა სომხური ენის მცოდნე სხვა მსახურებიც. ეტყობა, ამისთვის ცურტავის საეპისკოპოსო კათედრასთან სპეციალური სკოლაც კი გახსნილა, სადაც ასწავლიდნენ სომხურსა და ქართულ მწიგნობრობას. მაგ., მოსე ცურტაველი, ცურტავის ეპისკოპოსი 605-606 წლების ზამთარში სწერს სომხეთის კათალიკოსის ადგილის მპყრობელს ვრთანეს ქერდოლს: „მომიხდა მე სიყრმის დღეებში მივსულიყავ ცურტავის საეპისკოპოსოს, რომლის მოწაფეც ვიყავი იმ ეკლესიის წესისამებრ, სადაც აღვიზარდე და ვისწავლე სომხური და ქართული მწიგნობრობა...“<sup>1</sup> მტკიცება იმისა, რომ სკოლაც შუშანიკის დროსვე დაარსდა, არ შეგვიძლია, მაგრამ, ცხადია, რომ რაღაც სერიოზული საორგანიზაციო მუშაობა უსათუოდ იქნებოდა ჩატარებული. რასაკვირველია, შუშანიკი ამას ვერ გააკეთებდა მას შემდეგ, რაც დაიწყო მისი მოწამეობრიობა. იაკობსაც, რომელიც მისი ცხოვრების ამ პერიოდს აღწერს, ბუნებრივია, არაფერი აქვს ამაზე ნათქვამი

1 ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკლევითა და კომენტარებით გამოცემა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968, გვ. 67.

2 იქვე, გვ. 121.

3 იქვე, გვ. 70.

4 იქვე, გვ. 76.

1 ეპისტოლეთა წიგნი, 1-3.

მი. ცხადია, სომხური მღვდელმსახურების შემოღება შუშანიკმა მოახერხა სანამ ის კარგ ურთიერთობაში იყო ვარსკენთან.


ეურტავის სომხურენოვან მოსახლეობაზე ასეთი ზრუნვა გვიჩვენებს, რომ ქართლში გაბოხების შემდეგაც შუშანიკი არ ივიწყებს თავის თანამეტომეებს, ცდილობს დაეხმაროს მათ შეინარჩუნონ თავისი ეროვნული სახე, როგორც ჩანს, სომხური მოსახლეობისთვის, ამ აქტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონია; ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას სომხური ეკლესიაც. სომხურ-ქართული ეკლესიების განხეთქილების დროს სომხური ეკლესია ძირითადი იყო რამეში სდებდა ბრალს ქართულს: ორბუნიანიობის აღიარებასა და შუშანიკის მიერ შემოღებული სომხური მსახურების მოსაბოძაში.

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სომხური მღვდელმსახურების შემოღებამ შუშანიკს მნიშვნელოვანი ავტორიტეტი შეუქმნა საპატიებაში. მას უთუოდ ექნებოდა საეკლესიო საქმეებში კარგად ჩახედულის, ეკლესიაში გავლენიანი ადამიანისა და საერთოდ საეკლესიო მოღვაწის სახელი. უეჭველია, შუშანიკს კიდევ უფრო განუმტკიცდებოდა თავისი ძალების რწმენა. საფიქრებელია, რომ ყოველივე ეს მეტ ძალას შემატებდა შუშანიკს ვარსკენთან მომავალ კონფლიქტში საბრძოლველად.

ამ დროს იწყება უსიამოვნება შუშანიკსა და ვარსკენს შორის. ეს უსიამოვნება დაწყებულია ვარსკენის ირანში წასვლამდის. როგორც იაკობი გადმოგვცემს, შუშანიკს „უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაჲსა მარადის გულს ეტყუნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვისა-ყოფად მისთვის, რათამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა...“ იაკობის სიტყვებიდან ნათლად არ ჩანს, რა იყო ამ უსიამოვნების მიზეზი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ შუშანიკის ზემოთაღნიშნულ საქმიანობასა და იმას, რომ, უთუოდ,

ვარსკენი ადრეც ამჟღავნებდა მტრულებად თავის არც თუ დიდ დიდგმულებას ქრისტიანობისა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უსიამოვნება სარწმუნეობრივ ნიადაგზე ყოფილა წარმოშობილი. ამაზე ლაპარაკობს ისიც, რომ შუშანიკს, შესაძლებელია აფოცსაც, ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი, წინასწარვე ჰქონიათ ეჭვი, რომ ირანში ვარსკენი სწორედ სარწმუნეობის გამოსაცვლელად ყოფილა წასული. ვარსკენისგან გამოგზავნილ დესპანს შუშანიკი მხოლოდ ერთ რამეს ეკითხებოდა: ხომ არ უარყოფს ვარსკენმა ქრისტიანობა („სულითა ცხოველ არს“, თუ არაო). დაბოლოს, შეიძლება ამასვე გულისხმობს იაკობი, როდესაც ამბობს, რომ შუშანიკს სურდა, რათა ვარსკენი „იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა“.

როგორც ჩანს, კონფლიქტი საქაოლ სერიოზული იყო. შუშანიკი ყველას ევედრებოდა ვარსკენისთვის ელოცათ. ცხადია, მისი ასეთი ქცევა ძალზედ უსიამოვნო იქნებოდა ვარსკენისთვის, რადგან ქვეშევრდომების თვალში სახელს უტეხდა. მაგრამ კონფლიქტი თავის აპოგეს აღწევს მას შემდეგ, რაც ვარსკენი ქრისტიანობას უარყოფს. ვარსკენის ეს ნაბიჯი უკიდურესად ამწვავებს ურთიერთობას მასსა და შუშანიკს შორის და ამ უკანასკნელს ფართო ასპარეზს უშლის მოქმედებისათვის, როდესაც შუშანიკის სარწმუნეობრივ საქმიანობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ სხვა გარემოებებთან, ერთიც. მოცემულ ეპოქაში განსაკუთრებით დიდად არის დაფასებული ქრისტიანობის გამავრცელებელთა და მოწამეთა საქმიანობა, მათთან ერთად ყოველგვარ ანაქორეტთა, მეუღაბნოეთა, განდევნილთა, ამგვეყნიურ ცხოვრებაზე უარისმთქმელთა თავგანწირვა. ყველა ესენი უდიდეს პატივისცემას, მიზამვის სურვილს ბადებენ ქრისტიანულ საზოგადოებაში. შუშანიკის მოქმედებათა განხილვისას აშკარად ჩანს მისი მისწრაფება ჩადგეს ამგვარ მოღვაწეთა რიგში, მოიპოვოს მათი მსგავსი სახელი,



ე. ი. მისი, ასე ვთქვათ, რელიგიური პატივმოყვარეობა.

როგორც ითქვა, კონფლიქტი ახალ საფეხურზე აღის ვარსკენის განდგომის შემდეგ, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედება მოვლენათა მსვლელობაში. თავდაპირველად შუშანიკი თითქოს ძალზედ აღელვებულია, მაგრამ არაა წინააღმდეგი შეთანხმებისა, თითქოს ვარსკენის მობრუნებასაც კი აპირებს. შემდეგში ვითარება სულ უფრო იძაბება, ურთიერთობა სულ უფრო მწვავედება. შუშანიკი სულ უფრო შეურიგებელი ხდება და ბოლოს ყველაფერი სრული განხეთქილებით მთავრდება.

ამ ბრძოლის მიზეზების ახსნას თითქმის ყველა მკვლევარი ცდილობს. ივ. ჭავჭავაძის კონფლიქტის მიზეზად ოჯახური უთანხმოება მიაჩნდა: „თუ მკითხველი იაკობ ზუცესის მოთხრობაში აღწერილს, საქმის მთელს გარემოებას ჩაუყვირდება, ადვილად დაინახავს, რომ ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი დევნის შედეგი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით ქმრის ოჯახითგან, რაც ვარსკენს თავის თავისა და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია“.<sup>1</sup> ი. აბულაძე ფიქრობდა, რომ ვარსკენის გამაზღვანება პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. შუშანიკისთვის, „ცხადია, სასიამოვნო არ იქნებოდა ამით იმ სომეხ დიდ-დიდ აზნაურთათვის ზურგის შექცევა, რომლებიც ირანის მიმართ აშკარად თუ თვალთმაქცურად საწინააღმდეგოდ იყვნენ განწყობილი... ვიმეორებთ, შუშანიკი არ გამხდარა ქმრის ქცევათა და ორიენტაციის გამზიარებელი; გვგონია, რომ უფრო ვარსკენის პოლიტიკური და საზოგადოდ ორიენტაციად აღებული გზა უნდა ყოფილიყო მათ შორის აშლისა და მდგომარეობის გამწვავების მიზეზი, ვიდრე ვარსკენის უარისმყოფლობა ანდა შუშანიკის მიერ ვარსკენის შეურაცხყოფა

და პალატის დატყვევებით...“<sup>2</sup> ე. ი. კონფლიქტის მიზეზად აქ პარსონაჟის მიზნებია წამოყენებული. მამულაძის სწავლანა გაზიარებულია და შემდგომ განვითარებას ლეზულობს. პ. ინგოროყვას სიტყვით იაკობის მოთხრობა „ავგიწერს ოჯახურ დრამას“<sup>3</sup> მაგრამ ამავე დროს „შუშანიკი დედოფლის სახელი ქვეყნის საქმისათვის თავდადებული გმირის შარავანდელით შეიმოსება“.<sup>4</sup> რ. ბარამიძე წერს: შუშანიკი „იბრძვის არა მარტო ეროვნულ-პოლიტიკური იდეალებისათვის, არამედ თავისი პირადი ღირსების დაცვისათვის, თავისი პიროვნული მეობის გამოვლენისათვის. ეს არის ქალი, რომელიც შეზღუდულია გარკვეული სოციალური არტახებით და ცდილობს თავისი უფლებების გამოვლინებასა და დაცვას“.<sup>5</sup> მ. ლორთქიფანიძის სიტყვით „შუშანიკი ქმრის მიერ სარწმუნოების გამოცვლაში, პირველ რიგში, ირანელთა პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობას ხედავდა. ამდენად პიტიახშის ოჯახში მომხდარი კონფლიქტი იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს საერთო სურათის ერთ-ერთი მცირე ნაწილია, ერთი მხრივ, ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლი ქრისტიანობისა და საკუთარი თვითმყოფლობის დამცველი ძალა, ხოლო მეორე მხრივ, ეროსა და სარწმუნოების რენეგატები“.<sup>6</sup> „შუშანიკი გვევლინება, ერთი მხრივ, თავისი ოჯახის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართლში მოქმედი ანტიირანული ძალების მხარ-

1 იაკობ ცურტაველი, მარტვლობა შუშანიკის, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ. 1938. გვ. 049.

2 პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის..., გვ. 164.

3 ი. კეკელიძე, გვ. 166.

4 რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის..., გვ. 18.

5 მ. ლორთქიფანიძე, ადრეუფობა-ღირსების საისტორიო მწერლობა, თბ., 1966, გვ. 24-25.

1 ივ. ჭავჭავაძის ძეგლი ქართული სასულიერო მწერლობა. თფლისი, I, 1921, II, 1945, გვ. 48.

დამკერად". „...კონფლიქტში არც პირადული და ოჯახური მხარეა გამოსათიში".<sup>1</sup> შუშანიკის „გარშემო ანტირანული განწყობილების გარკვეული ჩვეულება შემოკრებილი".<sup>2</sup> „ამგვარად შუშანიკის განდგომა ვარსკენისაგან გარდა ოჯახური, საშინაო კონფლიქტისა (რომლის გამორიცხვა ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად), უშუალოდ ეჭაპვევა V საუკუნის ქართლის საერთო პოლიტიკურ ვითარებას. შუშანიკი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთაოში, სახელდობრ სპარსეთთან ყველაზე ძლიერად დაკავშირებულ და სპარსეთის გავლენაში ყველაზე მეტად მყოფ ქვემო ქართლის საპატიაზოში ანტირანული ჩვეულის იდეური სულისჩამდგმელი და ირანელთა წინააღმდეგ მეზობლობათვის საპატიო მაგალითია".<sup>3</sup> როგორც ვხედავთ, მკვლევარები თანდათან სულ უფრო იკითხვენ იხრებიან, რომ შუშანიკის ბრძოლა პირველ რიგში არის ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლა ირანის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რომ იგი მიმდინარეობს იქ, სადაც ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაა, ქართლის იმ ნაწილში, სადაც ყველაზე მტკიცედ არის ირანის ფეხმოკიდებული. ამიტომაცაა, რომ შუშანიკის ირგვლივ თავს იყრიან ირანის წინააღმდეგ მეზობლნი საზოგადოების ყველა ფენიდან. მათთვის იგი იდეური სულისჩამდგმელი და საპატიო მაგალითია. უარყოფილი არ არის არც ოჯახური მხარე და არც ფსიქოლოგიურ-სოციალური (პიროვნების გამოვლენა).

შუშანიკის მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძველი, ჩვენი აზრით, როგორც უკვე ითქვა, არის მისწრაფება საკუთარი პიროვნების განმტკიცებისაკენ. ეს მხარე პირველად შემჩნეული აქვს რ. ბარამიძეს, თუმცა მას იგი მე-

ორეზარისხოვნად მიაჩნია. ლაპარაკი შუშანიკის საქმიანობის ეროვნულ-პოლიტიკურ მიზნებზე რამდენადაც ეჭაპვევიადებულად გვეჩვენება. ეროვნულ-პოლიტიკური მხარე მის ბრძოლას ჰქონდა ობიექტურად, სუბიექტურად შუშანიკი სხვა მიზნებს ისახავდა, რის ჩვენებასაც ქვემოთ შევეცდებით. რაც შეეხება კონფლიქტის ოჯახურ მიზეზებს, ეს, რა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ ის არ იყო განმსაზღვრელი. იგი ჯავახიშვილი სავსებით მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ვარსკენი შუშანიკს სარწმუნოებისთვის კი არ ღვენიდა, არამედ ოჯახის მიტოვებისთვის. საქმე ისაა, რომ ვარსკენს არ უნდოდა კონფლიქტის სარწმუნოებრივ მხარეზე შეეჩერებინა საზოგადოების ყურადღება და ამიტომ ყველაფერი ოჯახური ურთიერთობის სფეროში გადაჰქონდა. სამაგიეროდ, თვით შუშანიკი ოჯახიდან სწორედ სარწმუნოებრივ ნიადაგზე წავიდა. მის მხრივ კონფლიქტის მთავარი მიზეზი სწორედ რომ სარწმუნოებრივია.

შუშანიკისთვის კონფლიქტის ძირითადი, და შესაძლებელია, ერთადერთი სუბიექტური მიზეზი სარწმუნოებისთვის ბრძოლაა, ეს მტკიცდება „წამების" მთელი ტექსტით. მთელი „წამების" მანძილზე შუშანიკი არსად, არც ერთხელ, კონფლიქტის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიზეზად არ ასახელებს რაიმე სხვა მოტივს, გარდა სარწმუნოებრივისა. არავითარ ეროვნულ ან პოლიტიკურ საკითხებზე არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი. არ არის გამოვლენილი არავითარი, თუნდაც მცირე, ანტირანული ტენდენცია. და ეს შეეხება არა მარტო შუშანიკს, არამედ მის გარშემო მყოფთაც.

პირველი და ერთადერთი, რაც ჰკითხვა შუშანიკმა ვარსკენისგან წინწინ გზავნილ დესპანს, ესაა: უარყო თუ არა ვარსკენმა ქრისტიანობა. რატომ სვამს მაშინვე ამ კითხვას შუშანიკი, ვასაგებია. მან იცის ქმრის განწყობილება და გარკვეული ეჭვები აქვს მისი ირანში

<sup>1</sup> იქვე, გვ. 25-26.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 29.

წისვლის მიზანზე. მაგრამ რატომ მხოლოდ სარწმუნეობრივ მხარეზე ამხეილებს ყურადღებას, თუ მას ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს? განა არ შეიძლება ვარსკენი ქრისტიანი დარჩენილიყო, ქვეყნისთვის კი ელაღატა? განა მახდებიათ ქვეყნის ღალატის ერთადერთი გამოვლენა იყო, ან მეორე მხრივ განა ქრისტიანობიდან განდგომა აუცილებლად ქვეყნის ღალატს ნიშნავდა? რასაკვირვებია, არა! შუშანიკს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ცუდი ქრისტიანი ხშირად კარგი, ნამდვილი პატრიოტი შეიძლება ყოფილიყო. თვით შუშანიკის მამის, ბიძების, თითქმის ყველა ახლობლის, ვარსკენის მამის, არშუშას, შიშვალთი ხომ ამხეილაბარკობდა. მათაც უარყევს ქრისტიანობა, მაგრამ ამხეი დროს თავდადებული პატრიოტებიც იყვნენ და თვით ქრისტიანობასაც ბევრი რამ შესძინეს. როდესაც შუშანიკი გაიგებს ვარსკენის განდგომის ამბავს, იწყებს გლოვას და ასე აფასებს ვარსკენის ამ აქციას: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენი, რამეთუ უფარ-ყო კეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტომანი და შეერთო იგი უღმრთოთა“. როგორც ვხედავთ, ვარსკენის დანაშაული არის ის, რომ ქრისტიანობა უარყო და უღმრთოებს დაუკავშირდა და არა ის, რომ განუდგა თავის ქვეყანას და დაუახლოვდა თავის სამშობლოს მტრებს. ასევე მხოლოდ სარწმუნეობრივი მიზეზით აღნიშნული შუშანიკის პასუხში ვარსკენის შეთვლილზე, რატომ შეურაცხყავი, რატომ მიიტოვე შენი ადგილი და ჩემი ხატი დაამხეო: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მეცა დაემეუ, ხლო მამამან შენმან აღმმართა სამარტკლენი და ეკლესიანი აღმმჩნა და შენ მამისა შენისა საქმენი განპყუნენ და სხუად გარდაქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვსად, ხლო შენ დევნი შემოიხუნენ მან ღმერთი ცათა და ქვეყანისა აღიარა და სრწმენა, ხლო შენ ღმერთი კეშმარიტი უფარ-ყავ და ცეცხლსა თაუფანის-ეც.

და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უფარ-ყავ, ვგრეცა მე შენ შეურაცხყავს თუ მრავალი ტანჯვა მოაწიო ჩემზე და, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“. ნუ გამოვეცილებით შუშანიკის პასუხის ფაქტიურ არასიმართლეს და დემაგოგიურობას (რა თქმა უნდა, შუშანიკი არავითარი უფლება არ ჰქონდა დაეპირისპირებინა ვარსკენისთვის მამამისი, არშუშა; რომელმაც თავის დროზე თვითონაც უარყო ქრისტიანობა, მას უნდა გახსენებოდა საკუთარი მამისა და ბიძების მაგალითიც). ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ შუშანიკი აქაც მხოლოდ სარწმუნეობრივ მიზეზებს ასახელებს, სხვა მიზეზი კი აშკარად შეეძლო წამოეყენებინა. მაგალითად, მას შეეძლო ებასუხა, — არ მინდა შენთან ურთიერთობა, რადგანაც იმით დაუკავშირდი, ვისთანაც ბრძოლაში ამოწყდა მთელი ჩემი ნათესაობა, მამაჩემი და ბიძებიცო, ვისაც შენი და ჩემი სამშობლო აქვს დაპყრობილი და სხვა და სხვ. სათქმელი, რასაკვირველია, საკმარისზე მეტიც იყო. ვარსკენისგან მოციქულად მიგზავნილ აფოცს შუშანიკი ეუბნება: „ვითარ მეტყვ მე დაჭერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უფარ-ყო!“ შემდგომშიც შუშანიკი არც ერთხელ არ წამოაყენებს ვარსკენთან უთანხმოების რაიმე სხვა მიზეზს, გარდა სარწმუნეობრივისა.

შუშანიკის ფსიქოლოგიური განწყობილების გასარკვევად ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგსაც: „წამების“ მიხედვით არ ჩანს შუშანიკის რაიმე განსაკუთრებით ანტიპატიური დამოკიდებულება ირანელების მიმართ. ვარსკენისა და შუშანიკის ოჯახში როგორც ერთ-ერთი უახლოესი და სანდო კაცი ტრიალებს, ვინმე სპარსელი. მართალია, ის უფრო ახლო ვარსკენთან, მაგრამ საკმაოდ ახლო უნდა იყოს შუშანიკთანაც. ჩვენ ვიცით, რომ იგი შევიდა ვარსკენის განდგომით აღელვებულ შუშანიკთან და მიუსამძიმრა. მამასადამე, იგი იმდენად ახლობელი იყო შუშანიკისა, რომ მას მოჰნდა, მიუხედავად მისი სპარსელობისა. შუშა-

ნებს შეეძლო ერწმუნა მისი ერთგულება. იაკობის სიტყვით, „ზრახვეთა იყო იგი ვარსკენისითა და ზაყუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებთა ნეტარისა მისი“. საყურადღებოა, რომ „შუშანიკი მიმხვდარა მის „ზაყუვით“ ზრახვას, მაგრამ ერთადერთი, რაც გააკეთა იყო ის, რომ „მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“. ჩვეულებრივ შუშანიკი მორიდებული არაა, პირდაპირ და საკმაოდ უხეშად ციხის პირში, რასაც ფიქრობს. ამ შემთხვევაში იგი ძალზედ თავშეკავებით იქცევა (ცხადია, ამას ვერ აფხსნით მისი შიშით ირანელების წინაშე).

საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: ციხეში მყოფი შუშანიკი მრავალ კეთილ საქმეს აკეთებს, ეხმარება გაქირვებულებს და კურჩავს ავადმყოფებს. ყველაფერი ეს ძალიან ზოგადად, ორი სიტყვით არის ნათქვამი. ცალკეა გამოყოფილი მხოლოდ ერთი ამბავი ვიღაც სპარსელი ქალისა, რომელსაც შუშანიკი კეთრისგან განკურნებდა დახმარებითა. როგორც ვხედავთ, შუშანიკი კურჩავს სპარსელებსაც.<sup>1</sup> აქ იბადება ეჭვი, იაკობი იმიტომ ხომ არ გამოჰყოფს სპარსელი ქალის ამბავს, რომ ამითი სურს დაგვანახვოს შუშანიკის ლოიალური დამოკიდებულება საკუთრივ სპარსელების მიმართ.

საინტერესოა ამ სპარსელთა დამოკიდებულებაც შუშანიკთან. პირველი, თუმცა კი ვარსკენის მომხრეა, მაგრამ შუშანიკისადმიც სიმპათიითაა განწყობილი და არაერთხელ ექომაგება მას, ირანიდან ჩამოსულ ვარსკენს თუმცა ის

შეატყობინებს შუშანიკის პროტესტის ამბავს, მაგრამ ამავე დროს ვარსკენს ვარსკენს: „ნურას ფრცხელსა სიტყუასა ეტყუ მას, რამეთუ დედათა ბუნება იწრო არს“-ო. შემდეგაც სწორედ ამ სპარსელის თხოვნით ახსნის ვარსკენი საკრველს შუშანიკს: „და ვითარცა დარე-სცხრა გულის წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მკურვალედ ევედრებოდა მას, რათამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდა შუშანიკი, და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განეტევა მისი“. კეთროვანმა მოგვმა სპარსელმა ქალმაც შუშანიკს რომ მიაკითხა შეელისათვის, ალბათ, იმის მანვენებელია, რომ ამ ქალს არავითარი ცნობა არა აქვს შუშანიკის ანტი-სპარსულ განწყობილებებზე. რასაკვირველია, შეიძლება დავუშვათ, რომ შუშანიკი ძალზედ ანტი-სპარსულად ყოფილიყო განწყობილი. მაგრამ გამოჩენისის სახით ერთი დაახლოებული სპარსელი ჰყოლოდა და ერთსაც დახმარებოდა. მაგრამ ზემოთ განვითარებულ მსჯელობა უფრო ბუნებრივია.

მაგრამ იქნებ შუშანიკის პოზიცია იმიტომ არის იაკობის მიერ ასე ნაჩვენები, რომ ეს უკანასკნელი ერიდება პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობას ან თვითონ არ აინტერესებს პოლიტიკური მხარე? ფიქტობთ, ასეთი ახსნა სწორი არ იქნება. იაკობისთვის ყველაზე საშიშია თვით ვარსკენი, მასზე კი იგი სავსებით მოურიდებლად სწერს. სპარსელები მისთვის ბევრად უფრო ნაკლებად საშიშარნი იყვნენ და ამიტომ მათ იგი არ მოერიდებოდა. მეორეს მხრივ, თუმცა იაკობი რამდენადმე გულგრილია პოლიტიკურ საკითხებისადმი (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ), იგი იმდენად სწორად, ზუსტად აღწერს მის თვალწინ გათამამებულ დრამას, რომ საფიქრებელია არც ეს მხარე გამორჩებოდა ისე, რომ მისი კვალიც არ დარჩენილიყო.

ამრიგად, შუშანიკის მამოძრავებელი სტიმული არის უმთავრესად სარწმუნოებრივი ხასიათისა, უფრო ზუსტად,

1. ეს ფაქტი არ გამოდგება იმის დასაბუთებისათვის, თითქოს შუშანიკი არც საკუთრივ მახლანაობის წინააღმდეგ იყოს განწყობილი, თითქოს მას აღუღებს მხოლოდ საკუთარი ქმრის პოლიტიკური რწმუნებობა. ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, ასეთი გაგება ეწინააღმდეგება „წამების“ მოელ ტენდენციას. მეორეც, შუშანიკი სპარსელი მოვეი ქალის განკურნებით ისმავს მიზანდ მის გაქრისტიანებას. ის მიზნად ვერ დაისახავდა სპარსელების გაქრთვებისა და მართლაც, ასე მოხდა. ეს ქალი გაქრისტიანდა. მაგრამ არა გაქრთვებდა.

ასე ვთქვით, რელიგიური პატრიმონი-  
ვარობა. შუშანიკის მიზანია ქრისტიან-  
ობისათვის თავდადებული მოღვაწის  
სახელის მოპოვება. ბრძოლის სიმწვავე-  
ში მისი პოზიცია უფრო რადიკალური  
გახდა. ეხლა ის უკვე მოწამის სახელის-  
თვის იბრძოდა. ეს ბრძოლა სავსებით  
შეგნებული და მიზანდასახული. იყო  
და საბოლოოდ შუშანიკმა მიიღწია კი-  
დევაც თავის მიზანს.

ზევით უკვე ითქვა, რომ შუშანიკსა  
და ვარსკენს შორის კონფლიქტი ვარს-  
კენის გამაზღვანებამდე დაიწყო. ითქვა  
ისიც, რომ შესაძლებელია ეს კონფლი-  
ქტი იმთავითვე სარწმუნოებრივ საფუ-  
ძველზე იყო აღმოცენებული. მივყვით  
ეხლა იაკობის ტექსტს და ვნახოთ, რო-  
გორია კონფლიქტის განვითარება და  
შუშანიკის მოქმედება ვარსკენის განდ-  
გომის შემდეგ.

როდესაც შუშანიკი შეიტყობს ვარს-  
კენის განდგომის ამბავს მისი დესპანი-  
საგან, მის თვალწინ მიწაზე დაეცემა,  
თავის მიწაზე ცემას დაიწყებს და ისე  
გამოსთქვამს თავის გულისწყრომას.  
შემდეგ ის წაიყვანს შვილებს ეკლესი-  
აში და შეევედრება ღმერთს, დაიცვას  
ისინი. სასახლეში შუშანიკი აღარ დაბ-  
რუნდება. ჩანს, ბავშვებს შინ გაუშვებს,  
თითონ კი ერთ პატარა სახლს ნახავს  
ეკლესიის ეზოში და შიგ გაჩერდება.  
ამასთან ერთად ის იწყებს შიმშილობას.  
მასთან სანახავად მისულ იაკობს შუშა-  
ნიკი განუცხადებს, რომ იგი „დიდსა  
ლუაწლსა განშხადებულ“ არს. შემდეგ,  
როდესაც იაკობი აფრთხილებს მას, ვარ-  
სკენს მწარე გონება აქვს, გვემასა და  
დიდ ტანჯვას მოგაყენებსო, შუშანიკი  
კიდევ გაიმეორებს თავის გადაწყვეტი-  
ლებას, თუნდაც სიცოცხლის ფასად წი-  
ნააღმდეგობა გაუწიოს ვარსკენს: „უმ-  
ჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სი-  
კუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ  
და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ“.

საყურადღებოა, რომ შუშანიკმა იმ-  
თავითვე იცის, რომ მისი ღვაწლი შეუ-  
მჩნეველი არ დარჩება, რომ მას თავისი  
მეისტორიე ეყოლება. ამ საუბრის დროს

იაკობი ამცნობს მას, რომ გადაწყვეტი-  
ლი აქვს ყოველივე გაიგოს, *ჩაბთა* აღ-  
წეროს მისი მოღვაწეობის ამბავი: „და ვა-  
რკუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად-რე:  
„ვითარ გეგულების, მითხარ მე, რამთა  
უწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენი“.  
ამაზე შუშანიკი ეკითხება: „რამსა მკით-  
ხავ ამას?“ იაკობი უპასუხებს: „მტკი-  
ცელ სდგაჲ?“ ამრიგად, შუშანიკი ხე-  
დავს, რომ იაკობი უკვე აგროვებს მა-  
სალებს (თვით მის ამდროინდელ სუ-  
ლიერ განწყობილებაზეც კი კითხუ-  
ლობს) მისი მომავალი ბიოგრაფიისთ-  
ვის, რომელიც თითქმის მის თვალწინ  
იწერება. მან იცის, რომ აღწერილი  
იქნება ყოველი მისი გამქდაგებული  
ფიქრი, სიტყვა, მოქმედება. შუშანიკი  
უკვე სცენაზე გამოსული, მისი მაყუ-  
რებელნი კი არა მარტო მისი თანამედ-  
როვენი არიან, არამედ მომავალი თა-  
ობებიც იქნებიან. რასაკვირველია, ამას  
არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა  
შუშანიკზე, მნიშვნელოვანი სტიმული  
არ ყოფილიყო მისთვის.

სამი დღის შემდეგ კურტავში ბრუნ-  
დება ვარსკენი. თავდაპირველად იგი  
ყოველნაირად ცდილობს აიცილოს თა-  
ვიდან სკანდალი. ჭერ ხმასაც არ ამო-  
იღებს იმაზე, რომ შუშანიკი სასახლეში  
არ დახვდება. მოიკითხავს შუშანიკს  
მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეორე დღეს  
მისივე მოწვევით მასთან მისული ხუ-  
ცესები ჩამოუგდებენ ლაპარაკს შუშა-  
ნიკის განდგომაზე. ვარსკენი მიუგზავ-  
ნის შუშანიკს ხუცესებს და მათი პირით  
შეუთვლის, რომ სასახლის მიტოვებით  
მან შეურაცხყო ვარსკენი: „შენ ჩემი  
ხატი დაამკუ. და საგებელსა ჩემსა ნა-  
ცარი გარდაასხ, და შენი აღგილი დაგი-  
ტვევბიეს და სხუად წარსულ ხარ“.  
ამაზე შუშანიკი უპასუხებს: „არა თუ  
მე აღმემართა ხატი იგი და მემცა და-  
ვამკუ, ხოლო მამამან შენმან აღმეარ-  
თნა სამარტულენი და... მან ღმერთი ცა-  
თაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმე-  
ნა, ხოლო შენ ღმერთი კემმარტი უვარ-  
კყავ...“ ზევით უკვე იყო აღნიშნული,  
რომ შუშანიკის პასუხი მოკლებულია

ფაქტიურ სიმართლეს. თავის დროზე ხომ არშეშავ ვადაუდგა ქრისტიანობას, მისივე გავლენით უარპყო ქრისტიანობა თვით შუშანიკის მაჰამ ვარდანმა. მიუხედავად ამისა არშეშავ ბევრი რამ გაუქეთებია ქრისტიანობისათვის. ამრიგად, შუშანიკს არ ჰქონდა უფლება ამ თვალსაზრისით არშეშავ დაეპირისპირებინა ვარსკენისთვის. შუშანიკის პასუხი აშკარად დემაგოგიურია.

ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ უკვე იაკობთან საუბრის დროიდან შუშანიკი ხაზს უსვამს იმას, რომ იგი დიდი ტანჯვისათვის, და თვით სიკვდილისთვისაც კი, ეშვადება.

ამ უშედეგო დებუტაციის შემდეგ ვარსკენი ახალ შუამავლებს, თავის ძმას ჭოჯიკს ცოლითურთ და ეპისკოპოს აფთოკს უგზავნის. ამჯერად უკვე მუქარასაც უთვლის: „ესრეთ არქუთ: აღდებ და მოვედ ადგილსა თუსსა და ნუ ეგვეთათარი გონებაჲ ვიპყრის! უკუეთუ არა, თრევით მოგითარიო“. შუშანიკი უკმაყოფილებასა და გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შუამავლები ბედავენ მასთან ამ საკითხზე ლაპარაკს. აღსანიშნავია, რომ მას, ეტყობა, ჭერ კიდევ აქვს იმედი ვარსკენის დაბრუნებისა ქრისტიანობაში. ამასთან ერთად იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ აღარ აპირებს ვარსკენთან შერიგებას. კიდევ მეტიც. შუამავლებს იგი თხოვს ისიც დაიფიქრონ, რომ იგი საერთოდ იყო ვარსკენის ცოლი. ხოლო ჭოჯიკს ეუბნება, რომ აღარ მიიჩნია იგი მშალად, მისი ცოლი კი დად, რადგანაც ისინი ვარსკენის მომხრეები არიან: „ნუ დაგიჯერებთ, თუმცა მე მისა ცოლად-და ვიყავ. შეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად? ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჭოჯიკ, არღარა ჩემი მშალი ხარ, და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაა ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ“. ჭოჯიკის გაფრთხილებაზე, შეიძლება თრევით წააყვანილოს შენი თავიო, შუშანი-

კი აცხადებს, რომ მისთვის სასურველიც კი არის ვარსკენისგან ტანჯვის მიღება: „უკუეთუ შემტრას და შითრის, მიხარის, რამეთუ შით სახითა იყოს განჩინებაჲ ჩემი მისგან“. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შუშანიკი საბოლოოდ მაინც დაყაბულდა შუამავლებს და გაპყვა მათ სსახლემო. ამავე დროს იგი მიმართავს ღმერთს: „შენ უწყის, ვითარმედ მე გულისთად სიკუდილდ მივალ...“

სასახლემო შუშანიკი მაინც არ დაბრუნდება თავის ოთახში, ნახავს პატარა სენაკს და ამჯერად მასში გაჩერდება. შუშანიკი ლოცულობს, არავენი გამოჩნდა ჩემი მოწყალე, არც მღვდელთაგანი და არც საერო. „ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმერთისასა ვარსკენს“-ო.

ორი დღის შემდეგ სასახლემო დაბრუნდება ვარსკენიც და მოაწყობს სადილს. სადილზე, როგორც ვიცით, არიან აგრეთვე ჭოჯიკი, მისი ცოლი და შუშანიკი. შუშანიკი აქაც უარს ამბობს ჭამაზე, თუმცა „ყოველნი იგი დღენი უზმასა ვარდაევლენს“<sup>1</sup>. როდემდის ჰქონდა განზრახული შუშანიკს შიშშილი, არ ჩანს. როგორც შემდეგი ამბებიდან დავინახავთ, იგი არ აპირებდა თავის მოკვლას, მაშ ამ შიშშილობას რაღა ფუნქცია ენიჭებოდა, რისთვის იყო გამიზნული? საფიქრებელია, იმისთვის რომ საზოგადოების ყურადღება მიექცია. ეკვი არაა, რომ მთელმა სასახლემ იცოდა და მთელს ცურტაეს იყო მოდებული დედოფლის ასეთი მტკიცე პროტესტის ამბავი.

ხუთი დღის ნაშომშილარ შუშანიკს ჭოჯიკის ცოლი ძალას დაატანს ღვინო მაინც დალიოს. განარისხებული შუშანიკი პირში შეაღუწს ჭიქას. თავისი ასეთი

1 სწორედ აქედან ვგებულობთ შუშანიკის შიშშილობის შესახებ. მაგრამ როდისა და შიშშილობს შუშანიკი? ორი დღე, რაც სასახლემო დაბრუნდა, თუ კიდევ სამი დღე, ამ დღიდან რაც სასახლიდან წავიდა. ვფიქრობთ, „ყოველნი იგი დღენი“ სწორედ ამ უკანასკნელ შესაძლებლობას გულისხმობს.

აღლევების მოტივად შუშანიკი ამბობს, როდის ყოფილა აქამდის, რომ კაცსა და ქალს პური ერთად ეკამათო. შუშანიკის ამ საქციელმა ვარსკენი მთლად გააცუცხლა, მან სასტიკად სცემა შუშანიკს. არა მარტო ხელით ურტყა, ფეხებზემაც ამოიდო, ასტამიკ კი დაარტყა. ჭოჭიკმა გაჭირვებით გამოგლიჯა ხელიდან გამძვინვარებულ პიტიახშს შუშანიკი, რომელიც ისე ყოფილა ნაცემი, რომ „ვითარცა მკუდარი იღვა... ქუეყანასა ზედა“. გარდა ამისა ვარსკენმა ბრძანა შეეკრათ იგი და ბორკილიც დაედოთ.

ამრიგად, შუშანიკის პირველი ცემა თვით შუშანიკისვე უგვანო საქციელით იყო გამოწვეული და რამდენადმე ტონიც თვით შუშანიკმა მისცა ვარსკენს. თითონ ხომ სახეში გაარტყა, არა მარტო გაარტყა, კიქა შეაღწეა სრულიად უდანაშაულო ქალს, რომელიც ცდილობდა მისთვის კარგი გაეკეთებინა (ხუთი დღის უკმეღმისთვის საკმელი ეკმია).

როდესაც ვარსკენი ცოტათი დამცხრალა, მისი ახლობელი სპარსელის შუამდგომლობით უბრძანებია აეხსნათ შუშანიკისთვის საკრველები. ვარსკენმა ბრძანა აგრეთვე შუშანიკი ცალკე ოთახში მოეთავსებინათ. ვარსკენს უბრძანებია „კრძალულად დაცემა მისი ერთითა მსახურითა“. ამ მსახურს, ეტყობა, დაევალა შუშანიკის მოვლაცა და მისთვის თვალის დევნებაც. შემდეგში ამ მსახურს იაკობი მცველს უწოდებს. საინტერესოა ერთი დეტალიც: იაკობი მივა შუშანიკის სანახავად. მსახურს, რომელსაც ნაბრძანები აქვს არავინ შეუშვას შუშანიკთან — „არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი“ — არ უნდა იაკობის გატარება, ვაითუ ვარსკენმა გამოგოს და მომკლასო. ამაზე იაკობი ეუბნება: „უბადრუკო, არა მისი გაზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას შენ მისთვის, რაა არს?“ მაშასადამე, ეს მსახური შუშანიკისვე აღზრდილი ყოფილა. იაკობის სიტყვიდან ირკვევა, რომ შუშანიკს მასზე გაწეული ჰქონია იმდენი ამაგი, რომ მცველს მისთვის თავისი სიცოცხ-

ლეც კი არ უნდა დაშურებოდა (მართლაც, მცველმა შეუშვა იაკობი) მაშასადამე, ირკვევა, რომ ვარსკენმა შუშანიკი კი გალახა, მაგრამ თავზე მისივე უახლოესი ადამიანი დააყენა მომვლელად და მცველად.

შუშანიკი მძიმედ არის ნაცემი, „ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ“ აქვს, სახე „დაბძარული და ვანსივებული“, დასისხლიანებულია. შეწუხებულ იაკობს იგი ეუბნება, „ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამე ესე“. იაკობს სურს მობანოს მას სისხლი და თვლებში ჩაცვენილი ნაცარი, დაადოს სალბუნი და წამალი კრილობებზე, მაგრამ შუშანიკი ამის უფლებას არ მისცემს: „ხუცეს, მაგას ნუ იტყვ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთა“.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად შუშანიკის განცხადებისა, რომ ვარსკენის ცოლი აღარა ვარო, იგი მაინც არ კარგავდა შერიგების იმედს. საოცარია, მაგრამ თვით პურის ჭამის ამბის შემდეგაც კი შუშანიკი, ჩანს, იგივე განწყობილებაზეა. თითქოსდა კბილებდა ყებბჩაღეწილი შუშანიკი ყველაზე მეტად ეხლა უნდა იყოს ვარსკენზე გამწარებული. მაგრამ ვნახოთ, რას ეუბნება იგი იაკობს: „ხუცეს, მიუძღუნაო სამკაული ესე მისი?“ ეს სამკაული, ცხადია, ვარსკენის ნაჩუქარია. საფიქრებელია, რომ იგი პიტიახშის მეუღლის ნიშანია და შესაძლებელია პიტიახშების სავგარეულო სამკაულია. როგორც ვხედავთ, ეს სამკაული შუშანიკს აქამდე ჰქონია მიუხედავად იმისა, რომ აგი ვითომც ვარსკენის ცოლობას აღარ აპირებდა. ეხლაც კი შუშანიკი ყოყმანობს, დაუბრუნოს თუ არა იგი ვარსკენს. აშკარაა, მას ეს არ უნდა. რომ სდომებოდა, უკითხავად დაუბრუნებდა. იაკობიც შუშანიკის აზრისაა. მასაც მიიჩნია, რომ შუშანიკსა და ვარსკენს შორის ჭერ კიდევ ყველაფერი ჩატეხილი არაა და ისიც უბასუხებს: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“. შუშანიკს ეს პასუხი აკმაყოფილებს და იგი

იტოვებს სამკაულს. მაგრამ ამჯერად თვით ვარსკენი მოითხოვს და წაიღებს სამკაულს. ამაზე შუშანიკმა ვითომც „განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა“. აშკარაა, ან იაკობი ცდილობს უხერხულ მდგომარეობიდან გამოიყვანოს შუშანიკი, ან ეს უქანასკნელი თვითონ არის არაგულწრფელი.

ჩანს, შუშანიკი პატიმრობაში არ ითვლებოდა. დიდმარხვას იგი ისევ წავიდა სასახლიდან, ეკლესიასთან მონახა პატარა სენაკი და ეხლა იქ გაჩერდა. დამახასიათებელი დეტალი: სენაკს პატარა სარკმელი ჰქონია, რომელიც შუშანიკს დაუხურავს. „და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით“.

თავისი საკუთარის რჩევით მარხვის დროს ვარსკენი არაფერს მოიმოქმედებს, შემდეგ კი მივა ეკლესიაში და ავინებს აფოცს, რად განმავშორებ ჩემ ცოლსო, ე. ი. ვარსკენი მიდის ეკლესიაში შუშანიკის სასახლეში დასაბრუნებლად. როგორც ჩანს, მათ შორის რაღაც ძალიან მწვავე შეტაკება ხდება. ვარსკენმა შუშანიკი „თრევით მოითრია თიკათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკდუარი მიეთრია. და ადგილად-ადგილად ჭუე ძეძვ დაეფინა. და თუთ ფერკნი დაიდგინის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და კორცნი წულღი-წულღილად დაეძმარნეს ძეძუსა მას. და ევრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრვამ მისი და ტყმაჲ“. შუშანიკისთვის სამასი ჯოხი დაურტყამთ, ისე რომ დიდძალი სისხლიც მოსდიოდა. შემდეგ ვარსკენმა ბრძანა კისერზე დაედოთ მისთვის ჯაჭვი, წაეყვანათ იგი „ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა შეყყენონ იგი და მოკედეს“. როგორც ვხედავთ, ამჯერად ვარსკენმა ბევრად უფრო მკაცრად დასაჯა შუშანიკი (თუ იაკობის აღწერა გაზვიადებული არაა. ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეკლესიიდან სასახლემდე ძეძვზე თრევით მიყვანილ შუშანიკს, სამას ჯოხ დარტყმულს, კისერზე ჯაჭვ დადებულს,

შესძლებოდა საკუთარი ფეხით გაეცლო საკმაოდ შორი გზა ციხეში? ჭურჭის კამის დროს მხოლოდ ვარსკენისგან ნაცემი შუშანიკი, რომელსაც ამავე დროს ჭოჯიკი ეხმარებოდა, „ვითარცა მკუდარი იღვა ჭუეყანასა ზედა“); თავდაპირველად მას, ეტყობა, განზრახული ჰქონდა სასახლეში დაებრუნებინა იგი. თუ არა, მაშ რატომ მითარევენენ შუშანიკს სასახლეში? ეტყობა, გზაში თუ სასახლეში მოხდა რაღაც ისეთი, რამაც ისევ გაამძვინვარა ვარსკენი, რომელმაც ჭერ აცემინა შუშანიკი, მერე კი ციხეში გაგზავნა. ცხადია, ვარსკენს თავიდანვე ასეთი განზრახვა რომ ჰქონოდა, ეკლესიიდან იგი პირდაპირ ციხეში წაიყვანდა შუშანიკს და იქვე დასჯიდა. ციხეში, უეჭველია, ამისი გაკეთება იმ მხრივაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, რომ იქ ნაკლები მოწმე ეყოლებოდა.

საინტერესოა, რა მოხდა ისეთი, რისი მოყოლაც იაკობმა არ ისურვა. ფიზიკური ტანჯვის გარდა შუშანიკს მძიმე შეფურაცხყოფაც მიიყენეს. იგი მიჰავდათ „უქამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთავანი“. შუშანიკს გამოეკიდება ხალხი, მისი გულშემატკივარნი. მიმავალი შუშანიკი უქანს მოიხვდავს და ძალას აღმოაჩენს თავის თავში, რათა ესეთი სიტყვით მიმართოს ხალხს: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვათა მომიჯნეთ. და ჩმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერიოვან, რამეთუ არღარა მიზნლოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“. ვაგრაზებული ვარსკენი ცხენდაცხენ გამოეკიდება, მიმოჰფანტავს ხალხს, ხოლო როცა ციხეს მიაღწევენ, შუშანიკს მიაძახებს, გაიმეორებს რა მისივე სიტყვებს: „შენდა ეგდენ უოფად არს ფერკვითა შენითა სლუჲა, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლუად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ“-ო.

როგორც ვნახეთ, აქამდის შუშანიკის წამება გამოიხატა იმაში, რომ პურის კამის დროს მისივე საქციელით გაბოროტებულმა ვარსკენმა იგი გალაბა, და

იმ წამებაში, რომელიც მან განიცადა ეკლესიიდან სასახლემდე მითრევაგმდის. იქ ჯობით ცემასა და ციხეში წაყვანის დროს, ე. ი. ფაქტიურად ორჯერ ცემაა მხოლოდ. ასე რომ, ძირითადი წამება უნდა ეხლა დაიწყოს.

იაკობის სიტყვით, ვარსკენს ნაბრძანები ჰქონდა წაყვანათ შუშანიკი ციხეში, მოეთავსებინათ ბნელ საპყრობილეში, რომ იქ მომკვდარიყო. სინამდვილეში სულ სხვა რამე გაკეთდა: „და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოეთ კერძო, მცირე და ბნელი. და მუნ შეაყენეს წმიდა იგი“. ამგვარად, გამოდის, რომ ციხე აქ იმპარებოდა არა საპატიმროს (Тюрьма-ს) მნიშვნელობით, არამედ ციხე-სიმაგრის (крепость) მნიშვნელობით. ციხე-სიმაგრეში უპოვიათ ერთი პატარა ბნელი სახლი და შუშანიკი შეგ მოუთავსებიათ. მაშასადამე, საპყრობილეზე ლაპარაკიც ტყუილი ყოფილა.

კისერზე დადებული ჯაჭვი კი ვარსკენს თავისი ბეჭდით დაუბეჭდავს, ხოლო მკვლელებისთვის უბრძანებია შიმშილით მოეკლათ და არავინ შეეშვათ მასთან. შუშანიკი ისევ გამოსთქვამს სიხარულს თავის ტანჯვის გამო: „მე ამას მხიარულ ვარ, რამეთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო“.

როგორც ირკვევა, ვარსკენის ბრძანება უფრო გაფიცებული კაცის მუქარაა, ვიდრე ნამდვილი ბრძანება, რომელიც სრულდება. მართლაც, მესამე კვირას ვარსკენი ეკითხება ერთ მკველს: „აქამომდე ცოცხალ-ლა არსა საწყალობელი იგი?“ მკველი უპასუხებს, უფრო მკვდარია, ვიდრე ცოცხალი შიმშილისგან, „რამეთუ არარას მიიღებს საზრდელსა“. მაშასადამე, ვარსკენის ბრძანება შიმშილით მოკვლაზე არა სრულდება (საერთოდ კი იყო ასეთი ბრძანება?). პირიქით, შუშანიკს საკმეღს აღლევენ. მაგრამ იგი თვითონ ამბობს მასზე უარს („არარას მიიღებს საზრდელსა“).

დასაწყისში შუშანიკთან შესვლა, მისი ნახვა ძნელია. იაკობი ამას ქრთამით

მოახერხებს. საკრეველებით შეკრულ შუშანიკს რომ ნახავს, იაკობი ტყუილად ვერ შეიმბავრებს, თვით შუშანიკს ამბობს: „კეთილისა ამისთვის სტირია, ხუცესი?“.

ჯოჯიკის თხოვნით ვარსკენი ბრძანებს ახსნან შუშანიკს საკრეველები. მართლაც, მას მოხსნიან ქედზე დადებულ ჯაჭვს, რაც შეეხება ბორკილს, მას კი თვითონ შუშანიკი არ მოახსნევიან და სიკვდილამდე ატარებს.

ციხეში შუშანიკი „წესიერებითა საღმრთოათა ყუაოდა“. ასრულებდა ყოველგვარ წესს და კითხულობდა წიგნებს მოუწყინებლად, მისი სახელი განითქვა მთელს ქართლში, მის სანახავად მოდიოდნენ კაცებიცა და ქალებიც, ავადმყოფები და გაქირავებულნი. შუშანიკი მათ ეხმარებოდა, კურნავდა, ზოგს ქრისტიანობაშიც კი მოაქცევდა. დადიოდნენ მასთან მისი შვილებიც.

ამრიგად, შუშანიკის ცხოვრება „ციხეში“ ასე გამოიყურება: ცხოვრობდა იგი არა ციხეში, არამედ ცალკე პატარა სახლში. მას აკმევედნენ, მის სანახავად დადიოდნენ მისი შვილები და ყველა, ვისაც სურდა. ქრისტიანობისთვის წამებულ შუშანიკი ქრისტიანობის პროპაგანდას ეწევა „ციხეში“ ისე, რომ თვით მოგვი სპარსელი ქალიც კი მოუქცევია ქრისტიანობაზე. ციხეში შუშანიკს ჰქონია წიგნებიც. როგორც ვხედავთ, პატიმრობის რეჟიმი (თუ კი საერთოდ იყო პატიმრობა) საკმაოდ მსუბუქი ყოფილა.

რაც მთავარია, თვით ეს პატიმრობაც მინივე სურვილს შეესაბამებოდა. ვარსკენი შემდგომში განაგრძობდა ცდას, შერიგებოდა შუშანიკს. „და მერმე მოციქულნი მოავლინნა პატიახშმან და ჰრქუა: „ანუ ნებაა ჩემი ყვ და მოვედ ტაძრად, უკუეთუ არა მოხვდენ შინა, ჩორდ წაგრცე შენ ანუ კარად კარაულითა“. ამ მუქარაზე შუშანიკი უპასუხებს, თუ ჩორს ან კარად გამგზავნი, ვინ იცის, იქნებ ამ ბოროტებას განეშორდნ და იქ „კეთილსა რასმე შევემთხო“-ო. შუშანიკის ეს პასუხი დააფი-

ქრებს ვარსკენს, მართლაც ასე არ მოხდესო. შუშანიკს რომ მართლა უმჯობესად ჩაეთვალა კარს ან ჩორს გაგზავნა, იგი, ალბათ, არც მიახვედრებდა ვარსკენს. მაგრამ მისი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ მას დარჩენა ერჩივნა. რატომ? იმიტომ, რომ მას მოწამის ასპარეზი უფრო იზიდავდა. მართლაც, რაღა ჩორს ან კარს უნდა წასულიყო ბედის საძებნელად, ის რომ ამითი დაინტერესებული ყოფილიყო, ვარსკენი იქვე არ იყო? მას შეურიგდებოდა. არც არის გამორიცხული, რომ სწორედ ამიტომაც ერჩივნა იქვე დარჩენა, იქნებ რაიმე გამოცვლილიყო და შერიგებულიყვნენ.

სხვათაშორის, იაკობიც შუშანიკის პასუხს იმითი ხსნის, რომ შუშანიკს წამების მიღება სურდაო: „ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათს იტყოდა, რამათამცა სათნო ეყო ლმერთსა“-ო.

შუშანიკი ამის შემდეგაც იღებს მოციქულს ვარსკენისგან. ვარსკენის ძუძუსმტე სთხოვს მას: „ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოკრებ სახლსა მას თქუენსა“. შუშანიკის პასუხი ძალზედ ღვარძლიანია. იგი ახსენებს ვარსკენს მის ნათქვამს, ციხიდან ცოცხალი ველარ გამოხვალო (ვარსკენმა კი თვით შუშანიკის სიტყვები გაიმეორა) და უთვლის მას: „აჲ, უკუეთუ შემძლებელ ხარ აღდგინებად, პირველად დედა შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმითრიო“. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი პასუხი კარგი მხრით წარმოგვიდგენდეს შუშანიკს.

შემდეგში შუშანიკი მთლად ფანატიზში ვარდება. თვით მის მოძღვარ იაკობსაც კი, რომელსაც ყოველმხრივ აწყობდა შუშანიკის ღმრთისმოსავობა — როგორც მოძღვარს და როგორც მენისტორიეს, თვით ამ იაკობსაც კი აღარ მოსწონდა მისი ქცევა და გადაამეტებულად მიაჩნდა: „ნუ ჭეჟა, რამეთუ დაუქძიებ ჯორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ეგრ დაგიტომონ და მერმე ვერლარას შე-

მძლებელ იყო ყოფად რაღსმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა, მაგათ ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და ვალობითა“. შუშანიკი მიეცა უკიდურესს, არააღამიანურ თვითგვემას. იაკობის სიტყვით, დიდმარხვის ორმოცდაათი დღის განმავლობაში შუშანიკი არც დღე და არც ღამე არ ჯდებოდა და არ იძინებდა. საქმელს ჰამდა მხოლოდ კვირაობით, ისიც, მხოლოდ ზიარებას და სულ მკირეოდენს მხალის წვეცს, ისიც უბუროდ. პურს საერთოდ არ ჰამდა მთელი მარხვის დროს. და ასე ექვსი წლის განმავლობაში. იაკობის ცნობა გადამეტებული უნდა იყოს. საეკვოა, რომ ადამიანს შეეძლოს აღწერილი ტანჯვის ატანა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იაკობის რეალისტურ ტენდენციებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მის სიტყვებს მეტ-ნაკლებად რეალური საფუძველი აქვთ.

როგორც იაკობი გვამცნობს, იმ ადგილს, სადაც ციხე იყო გაშენებული, მეტისმეტად ცუდი ჰავა ყოფილა. ზაფხულში ძალიან ცხელი, დამწველი ქარებით, ცუდი წყლით, ისე რომ, იქ მცხოვრებნი ავადმყოფები ყოფილან და მოხუცობამდის არავინ აღწევდო. შუშანიკისთვის ეს არა კმაროდა: ქვეშ იგებდა ნაბდის ძველ ნაგლეჯს; სხვათა დასანახავად ქეჩის ნაჭერი ჰქონდა, სინამდვილეში კი თავს დებდა ალიზზე, თაყვანის საცემლად პატარა კილიკის ნაჭერი ჰქონდა. იმ ადგილს დახვეული ყოფილა „გრწყილი და ტილი მოუგონებელი“. ცხადია, მათგან არც იქ მცხოვრები იქნებოდა თავისუფალი. დასანახავად შუშანიკს ანტიოქიური პალეკარტი ეცვა, შიგნიდან კი ძაძო უტარებია. აღწერილ პირობებში შუშანიკს ერთი ხელი ტანისამოსი ვერ ეყოფოდა. თანაც უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ანტიოქიური პალეკარტი მას „გარეგანკაცთა თუალსა“ დასანახად უტარებია. ე. ი. პალეკარტი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ხალხი მოეტყუებინა. მთლად დამონძილი რომ ყოფილიყო,

კონტრასტი გაქრებოდა შუშანიკის გარეგან და შინა ტანისამოსს შორის. მამასიდაძემ, მას საშუალება ჰქონია „ციხეში“ ყოფნისას ანტიოქიური სამოსი ჩაეცვა. ერთი სიტყვით, მთელი გაკირვება, რაც შუშანიკმა გადაიტანა „ციხეში“ თვით მისივე საკუთარი სურვილით იყო გამოწვეული და არა ვისიმე ძალდატანებით. ამრიგად, როგორც იაკობი ამბობს, „არცალა მცირედ სადასცა კორცთა მისთა განსუენებაჲ, და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი“. ასეთი ზანგრძლივი თვითგვემისა და „დაუცხრომელად შრომათა მათ გამო“ შუშანიკს ფეხები დაუწყლულდა და დაუჩირქდა, რაც ყველაზე საშინელია, წყლულებზე მატლიც კი დახვევია. ეტყობა, ეს სიამოვნებას ანიჭებდა შუშანიკს. ჩანს, იგი ამყობდა თავისი ასეთი მდგომარეობით. მატლი მან - „აღილო კელითა თჳსითა და მიჩუენებდა მე და კმადლობდა ღმერთსა. და თქუა: „ხუცეს, ნუ შიძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნი იგი მატლი უდიდესს არს და არა მოკუდების“. ნანახით შეძრწუნებული იაკობი ტირილს იწყებს. შუშანიკმა კი „მრქუა მე რისხვით: ხუცეს, რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეკმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შეკმამა აქავე ამას ცხორებასა“.

ორიოდე სიტყვით ძაძასა და ანტიოქიის პალეკარტზე. როდესაც სასახლეში მცხოვრები დედოფალი ძაძასი ცვაშს თავისი ჩვეულებრივი ძვირფასი ტანისამოსის ქვეშ, ეს გასაგებია. ამ პიროვნებას არ სურს გამოეყოს სხვებს, სურს სხვისგან ფარულად აჩვენოს ღმერთს თავისი ერთგულება. ეს მართლაც რომ ნიშანია მისი მოკრძალებისა. მაგრამ როდესაც ძაძაზე ძვირფასი ტანისამოსს იცვამს ადამიანი, რომელიც ნაბდის ნაგლეჯზე წევს, თევობით არ კამს, არ იძინებს, არ ჯდება, რომელსაც მკბენარი და მატლი აქვს დახვეული, ეს რაღას ნიშნავს? ვფიქრობთ, რომ შუშანიკს ამითი სურს ხაზი გაუსვას თავის მოკრძალებას, გააგებინოს

იგი სხვებსაც. მართალია, იაკობი ამბობს, ჩემს ვარდა არაივნ იცნადნაძეძის შესახებ და შუშანიკი მუდარადაც იმადვე მიზანს ემსახურება). მართლაც, ძაძის ამბავი იმან, იაკობმა იცის, ვინც ეს უნდა ამცნოს სხვებს. იაკობი ხომ შუშანიკის ბიოგრაფოსია.

ვერაფრით ვერ გავიზიარებთ რ. ბარამიძის აზრს, რომ „შუშანიკი საკმომონდომებით ზრუნავს თავისი დედოფლური ღირსების, გარეგნული მომხიბვლელობის გამოსაფლენად. მას სურს, რომ ის „კაცთა თუალის“ დასანახავად მიმზიდველად გამოიყურებოდეს, თუმც შიგნით „ძაძა“ აცვია, როგორც ეს მოწამეს შეფერის, მაგრამ გარედან ძვირფასი სამოსითაა მოსილი, რათა მისი დედოფლური პატივი და ფიზიკური მშვენიერება არ დაიჩრდილოს, არ გაფერმკრთალდეს. კარგად აქვს ავტორს დაკერილი შუშანიკის ეს წმიდა „ქალური სისუსტე“. რა თქმა უნდა, ამ დროს შუშანიკს ასეთი წვრილმანები უკვე აღარ აინტერესებდა. იგი ამაზე მაღლა იდგა. მისი ფსიქოლოგიური განწყობილება და თვით ფიზიკური მდგომარეობა მის მხრივ ასეთ „სისუსტეს“ გამორიბხავს.

ასეთმა უწყალო თვითგვემამ თავისი შედეგი გამოიღო. მეშვიდე წლის დასაწყისში შუშანიკი თავის აღსასრულს მიუახლოვდა. მის სანახავად მისულ ჯოჯიკის მოკითხვაზე შუშანიკი ასე უპასუხებს: „კეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალ“. მკვლევართა შორის არსებობს აზრი, რომ სიკვდილის წინ შუშანიკს თითქოს შეეპარა სინანული უდროოდ დაღუპული ახალგაზრდობისა და ასეთ წამებაში გატარებული ცხოვრების გამო. ასეთი დასკვნა კეთდება შემდეგი ადგილებიდან. შუშანიკი ჯოჯიკსა და მის ცოლს ეუბნება: „ჰყავთ წარმდებალ საქმეს ესე

ეუბნება: „ჰყავთ წარმდებად საქმე ესე ჩემი, რამეთუ არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობად და ტკივილი ჩემთვის, რომელმანმცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა“. ამ ნაწყვეტს ცოტა ქვემოთ განვიხილავთ, აქ კი ვნახოთ მეორე ასეთივე საბუთი. ვარსკენზე შუშანიკი ამბობს: „გავინაჯნეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თჳალღებამა წინაშე მსაჭულისა მის მსაჭულთამა და მეუფისა მის მეუფეთამა, სადა არა არს რჩევამა მამაკაცისა და დედაკაცისამ, სადა მე და მან სწორი სიტყუამა ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა; მიაგოს მას უფალმან ვითარ მან უფამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუფილი ჩემი დაჰკნო, და შეუენიერებამა სიკეთისა ჩემისამ დააბნელა და დიდებამა ჩემი დაამდბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ბოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებამა ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათს მე განსუენებასა მივემთხუო, და უგულისჰკმობისა და უწყალოებისა მისისათს მე წყალობას მოველი იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩემისა“.

მეორე ნაწყვეტზე დაყრდნობით იგ. ჯავახიშვილი წერდა: „...უჯანასკნელ ხანში თვით შუშანიკსაც თავისი უღროვოდ დაღუპული სიცოცხლის გამო ცოტა არ იყოს უკმაყოფილების გრძობა შეჰპარვია“-ო.<sup>1</sup> უფრო რადიკალურ დასკვნას აკეთებს რ. ბარამიძე. მისი სიტყვით, ეს არის „გულწრფელი ვოდება ფიზიკური მშვენიერების დაკარგვის გამო... შუშანიკი ამავე ნაწყვეტში საოცარი დიდი სევდითა და შინაგანი ღრმა ტკივილით დასტირის თავის ფიზიკური მშვენიერების ასე უღროოდ დაკარგვას“.<sup>2</sup> ვფიქრობთ, ამ ნაწყვეტში უფრო სხვა რამ არის დასანახი. სიკვდილის წინ შუ-

შანიკს არაფერი არა აქვს დასანანი, მით უმეტეს ფიზიკური მშვენიერება. მან მიიღწია იმას, რაც მთელი მისი ცხოვრების მიზანი და ოცნება იყო. ამასთან შედარებით სხვა ყველაფერი ძალიან უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო. ფსიქოლოგიურადაც, ვფიქრობთ, არ იქნებოდა მთლად გამართლებული ამდენი ტანჯვის ატანის შემდეგ, სულიერად ესოდენ გაქაყებული, მორალურად გამარჯვებული შუშანიკი რომ სინანულს მისცემოდა. ყოველივე მომხდარი თვით შუშანიკი არჩეულია. როგორც ვნახეთ, ვარსკენის მიერ მიყენებული წამება არაფერია იმასთან, რაც თითონ შუშანიკმა მიაყენა თავის თავს. სიკვდილის წინ სინანული იმის ნიშანი იქნებოდა, რომ შუშანიკი დაეკვდა თავის მოქმედებაში, რაც მისი ფსიქოლოგიური განწყობის მქონე ადამიანისაგან მოსალოდნელი არაა. შუშანიკის ხასიათი ისეთია, რომ რაც უფრო მეტ ტანჯვას განიცდის, კი არ ეკვდება, კი არ ყოყმანობს, არამედ სულ უფრო მტკიცდება და კერპდება. მოყვანილი ნაწყვეტი სულ სხვა რამეს ლაპარაკობს. პირველი: შუშანიკი გაბოროტებულია ვარსკენზე, აღსავესა შურისძიების გრძობით. აქ იგი ხაზს უსვამს იმას, თუ რა ჩაიდინა ვარსკენმა, რისთვის უნდა დაისაჯოს ღმერთისაგან. მეორე: შუშანიკს უნდა ხაზი გაუსვას თავისი მოღვაწეობის მნიშვნელობას, ერთხელ კიდევ დაანახოს ყველას, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღო მან ღმერთისთვის, მამასადამე, რამდენად ჰემარტი მოწამეა.

შუშანიკის მხრივ ასეთმა თვითგანდიდებამ არ უნდა გავგვკვირვოს. ეს მისთვის დამახასიათებელია. შუშანიკი იმთავითვე არწმუნებს მის ირგვლივ მყოფთ, და შესაძლებელია, თითონაც სწამს, რომ ვარსკენთან ბრძოლაში, ე. ი. სარწმუნოებისთვის ბრძოლაში, ის სულ მარტოა, მას არავინ ეხმარება, არავინ იზიარებს მის ტვირთს, თანაგრძობასაც კი არავინ უწყევს მას. თუ არ თვითგანდიდების სურვილით, სხვაფრივ ვე-

1. იგ. ჯავახიშვილი, ჰველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 48.

2. რ. ბარამიძე, ...გვ. 21.

რაფრით ავხსნით შუშანიკის ასეთ სიტყვებს, იმიტომ რომ „წამების“ მიხედვით ყველაფერი სწორედ რომ ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. ზევით უკვე იყო ლაპარაკი იმაზე, რომ იაკობთან პირველსავე შეხვედრის დროს შუშანიკი აცხადებს: „ჩემდა მარტოისა არიან პირნი ესე“, ე. ი. ვარსკენის განდგომა მხოლოდ ჩემთვის იქნება პირიო. რასაკვირველია, ეს მართალი არ არის. ვარსკენის განდგომას შედეგი უნდა გამოეყო ყველა მისი ქვეშევრდომისთვის (გავიხსენოთ ზუცესთა სიტყვები ვარსკენს რომ ეუბნებიან, შენც დაიღუპე და ჩვენც დაგვღუპეო). დიდი ზეწუნის შემდეგ შუშანიკი გაჰყვება სასახლეში ვარსკენისგან მიგზავნილ აფოცს, ჯოჯიკსა და ჯოჯიკის ცოლს. მაგრამ ამასთან იგი ხმამაღლა აცხადებს „უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმიტოპლეს მტერსა ღმრთისასა ვარსკენს“. მაშასადამე, არც ერთი ერისგანი, არც ერთი სასულიერო პირი არ გამოჩნდა, რომ შუშანიკი შებრალებოდა, ყველამ სასიკვდილოდ გასწორა! მართალია ეს? რასაკვირველია, არა! იაკობი, რომელიც იმავე წუთში გაჩნდება შუშანიკთან ვარსკენის განდგომის ამბავს რომ შეიტყობს, რომელიც ამხნევებს მას და ეუბნება „პირი შენი ჩუენი პირი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს“, რომელიც შეატყობინებს, რომ უკვე გადაწყვეტილი აქვს მისი ცხოვრების აღწერა; ზუცესები, რომლებიც საყვედურობენ ვარსკენს ქრისტიანობის დატოვებისათვის; აფოცი, ჯოჯიკი და ჯოჯიკის ცოლი, რომლებიც შუშანიკს სთხოვენ სასახლეში დაბრუნდეს და რომელთა ერთ-ერთი საბუთი ამისა არის ის, რომ ვარსკენმა შეიძლება აწამოს შუშანიკი (თვით შუშანიკიც ეუბნება: „კაცო ბრძენო, თქუენ კეთილად იტყვო“-ო). განა ყველა ამით შუშანიკი არ ებრალებოდათ, არ თანაგრძობდნენ მას, განა ყველა ესენი შუშანიკს

სასიკვდილოდ იმეტებდნენ? სიკვდილს წინ შუშანიკი უსაყვედურობს ჯოჯიკს და მის ცოლს: „ჰყავთ წარმტყმად საქმე ესე ჩემი, რამეთუ არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაჲ და ტყვილი ჩემთვის, რომელსამცა შეაჭერა უღმერთოსა მის საწუთროსა მეუღლესა“. საოცარია, როგორ ეუბნება ამას სწორედ ჯოჯიკსა და მის ცოლს, ჯოჯიკის ცოლს, რომელსაც სახეში შეაღწეა ღვინიანი ჰიჭი; ჯოჯიკს, რომელმაც იმდენი სულგრძელობა გამოიჩინა, რომ ამას უურადლება არ მიაქცია, ჩავარდა ვარსკენსა და შუშანიკს შორის, გამოგლიჯა ვარსკენს შუშანიკი, რისთვისაც თვითონაც გაიღაბა: ჯოჯიკს, რომელიც გაეკიდა ვარსკენს და დაეწია პერეთის საზღვარზე იმისათვის, რომ ეთხოვა ციხეში მყოფი შუშანიკის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. შუშანიკის გამოქომაგებისთვის ერთი ზუცესი ჯობით გაიღაბა ვარსკენისგან, მეორე სირბილით გაექცა პიტიაზმის რისხვას. ეპისკოპოსი სამოელი (შემდგომში ეპისკოპოსთა თავი) და იოვანე, „რომელ-იგი იყვნეს განამტკიცებულ და დიდად დამაშურალ, საზღუელითურთ თანაყოფით იყვნეს მონა, და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა“. ისინი მუდამ ეხმარებოდნენ და ამხნევებდნენ, საქმელსაც კი უგზავნიდნენ შუშანიკს. ციხის გზაზე შეყენებულს უბრალო ხალხი მიაცილებდა ტირილითა და ლოყების კაწრებით. საქმედის მივიდა, რომ ვარსკენი ცხენდაცხენ გამოეკიდა და ისე ცდილობდა მათ გაეფანტვას. შუშანიკს არაერთხელ ექომაგებოდნენ ვარსკენის მსახურებიც (მათ შორის, ერთი სპარსელიც კი). გავიხსენოთ თუნდაც ის, რომელმაც სიცოცხლის საფრთხით შეუშვა იაკობი მასთან. შუშანიკს ჰყოლია ისინიც, „რომელნი იგი გულს-მოდგინებით მონაწილე ყოფილ იყვნეს შრომათა მათ მისთა სანატრელობით...“ დაბოლოს, შუშანიკთან მუდამ იყო, ხშირად საფრთხის ფასადაც, ამხნევებდა და ყოველნაირად ეხმარებოდა მას თვით იაკობი. მარტო ის

რადა ღირს შორალური თვალსაზრისით, რომ შუშანიკმა იცოდა, იაკობი მის ბიოგრაფიას წერდა. ყოველივე ამის შემდეგ იმის თქმა, რომ არავის ჰქონდა „წყალობა და ტკივილი“ (ჩვენ კი ვნახეთ, რომ არა თუ სულიერი, არა ერთმა ფიზიკური ტკივილიც კი განიცადა), რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობაა. ვანა უფრო ბუნებრივი და ადამიანური არ იქნებოდა, სიკვდილის წინ შუშანიკს გაეხსენებინა ყველა ეს ადამიანი, მადლობა გადაეხადა მათთვის, თუნდაც გაზვიადებით, და დაელოცა? მაგრამ შუშანიკი ასეთ განწყობაზე არაა. მას სურს თქვას, რომ იგი მარტომბრძოლია, მარტოსულია, არავინა ჰყავს თანამგზობი, მხარის დამჭერი, რომ ყველაფერი, რაც მან გააკეთა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალებით გააკეთა. მან საკუთარ შეილებაზედაც კი უარი თქვა და მარტოდ-მარტო დაუხვდა განსაცდელს — შუშანიკის ყოველი მოქმედება, სიტყვა, შეგნებულად მიმართულია იმისკენ, რომ განამტკიცოს მასზე აზრი როგორც ღმრთისმოსავ, სარწმუნოებისთვის თავგანწირულ ადამიანზე, დაარწმუნოს ყველანი მის „წმინდანურ“ თვისებებში. შუშანიკის აღსასრულის დროს მასთან შეკრებილნი სთხოვენ მას, „რამთა ბორკილი იგი ფერკთაა ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველთათვის“. შუშანიკი თავმდაბლურად უპასუხებს: „მე რაა ვარ, არაღირსი ესე?“ ჩვენ ველით, რომ შუშანიკი იტყვის, ჩემი ბორკილი რა წმინდა ნივთი უნდა იყოსო. მაგრამ არა! შუშანიკი აგრძელებს: „ხოლო ღმრთის-მოყუარებისა თქუენისათჳს ზუცესმან აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახისათჳს“. მაშასადამე, მისი თავმდაბლობა ის კი არაა, რომ თქვას, ჩემი ბორკილი ნაკურთხად და მფარველად არ გამოდგებაო, არამედ მე რა ღირსი ვარ ვაკურთხო იგი, ზუცესმა აკურთხოსო იგი, ე. ი. პრინციპულად თანაზმაა, რომ მისი ბორკილი ასეთ წმინდა ნაწილად იქნეს დაცოვებული.

მასთან შეკრებილთა წინაშე შუშანი-

კი აფასებს თავის საქმიანობას. იგი ლაპარაკობს, რომ ამ ქვეყნად ასეთი ჰირი და ტანჯვა-წამება გაიარა, რომელმაც მას საუკუნო დიდებასა და პატივის მოუტანს იმ ქვეყნად: „ჰირისა ამის წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიზარული, სატანჯველთა ამით წილ განსუენებად, გუემთა ამით ჩემთა და თრევთა და შეურაცხებათა — მივემთხო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებულსა“.

ძალიან საინტერესოა, როგორ ზრუნავს იგი სიკვდილის შემდეგ საკუთარი სახელის დამკვიდრებაზე ამ ქვეყნად. ქვემოთ ჩვენ დავასაბუთებთ, რომ აფოცი უფრო ნაკლებ თანაგრძობას ავლენს შუშანიკის მიმართ, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო მისი მხრიდან. შუშანიკის სიკვდილის წინ ის არც კი მივა მასთან. შუშანიკი თვითონ მოაყვანიებს მას და მადლობასაც ეტყვის „მოწლებობისასა მისისათჳს“, თუმცა, როგორც ვნახეთ, ასეთ რამეს ძალიან ძვირად აცეთებდა. რაშია საქმე? შუშანიკს ორი სათხოვარი აქვს ეპისკოპოსთან. პირველი „ვითარცა მამასა და მამამთქესა შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლზხაკი ესე“. მეორე: „და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად აღდილსა მას, ვინაჲცა-იგი პირველად გამოითრიეს“. საქმე ისაა, რომ აფოცი, ჩანს, ერთდება შუშანიკისა და ვარსკენის საქმეებში ჩარევას (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ); რადგანაც რამდენადმე ვარსკენსაც თანაუგრძობს, იაკობი კი სავსებით შუშანიკის მხარეზეა. ამის საფუძველზე მათ შორის, ეტყობა, რამდენადმე ცივდება ურთიერთობა. შუშანიკს სურს შეარიგოს (იქნებ ეს უფრო მაგარი გამოთქმაა, ვიდრე საპიროა), ყოველ შემთხვევაში, აღადგინოს ძველებური ურთიერთობა. ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იაკობი ხომ მის ბიოგრაფიას წერს, აფოცს კი, უეჭველია, შეუძლია გარკვეული როლი ითამაშოს ამ საქმეში, დაეხმაროს ან დააბრკოლოს იგი.

ვნახოთ ეხლა რას წარმოადგენდა შუშანიკის მეორე სათხოვარი. შუშანიკი თხოულობს დაასაფლონ იქ, „ვინა-  
ეპი-იგი პირველად გამოითრის“. პირველად შუშანიკი სასახლეში დააბრუნეს ეკლესიასთან მდგომი სახლაკიდან აფო-  
ემა, ჭოჭიკმა და ჭოჭიკის ცოლმა. მაგ-  
რამ ამ დროს არავითარი „თრევა“ არ  
ყოფილა. და ყველაფერი მშვიდობიან-  
ად მიმდინარეობდა. ჩანს, შუშანიკი ამ  
ამბავს არ გულისხმობს. პირველად შუ-  
შანიკი ვარსკენმა ცემა პურის კამის  
დროს სასახლეში. ცხადია, შუშანიკი  
ვერ მოითხოვდა სასახლეში, პურის სა-  
კმელ ოთახში დამასაფლავეთო. შუშა-  
ნიკის მართლაც რომ თრევით წამოყ-  
ვანა მოხდა ეკლესიის მახლობლად  
მდგარი პატარა სენაკიდან: „და ეგრეთ  
წმიდაა შუშანიკ თრევით მოითრია თი-  
კათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით  
ვადრე ტაძრადმდე“. მაშასადამე, შუშა-  
ნიკს უნდა დასაფლავებულ იქნეს ეკლე-  
სიის მახლობლად, სწორედ იმ ადგი-  
ლას, სადაც ვარსკენმა თავისი ხელით  
საჯაროდ ათრია. რატომ მანაცადამანც  
ამ ადგილას? ცხადია, იმიტომ, რომ  
ამითი შუშანიკს სურს მისი მოღვაწე-  
ობა მუდამ ყურადღების ცენტრში  
იყოს. თუ შუშანიკს სურდა დაესაფლა-  
ვებინათ იქ, სადაც ეწამა, მას ციხე უნ-  
და აერჩია. ძირითადი წამება და მოღ-  
ვაწეობა მისი ხომ ციხეში მიმდინარე-  
ობდა. მაგრამ ციხე მოშორებულ ადგი-  
ლას იყო, ეკლესიის ეზოში კი მთელი  
ხალხი იყრიდა თავს, ისე რომ, მისი სა-  
ფლავი მუდამ მლოცველთა თვალწინ  
იქნებოდა. ამასთან აქ ვარსკენმა იგი  
თავისი ხელით ათრია და ეს ხალხის  
თვალწინ მოხდა. მაშასადამე, შუშანიკის  
საფლავი ამავე დროს მუდამ მოაგონე-  
ბდა მნახველებს ვარსკენის ბოროტე-  
ბას. ერთსა და იმავე დროს იგი იქნე-  
ბოდა შუშანიკის ძეგლიცა და საუკუ-  
ნო გმობა ვარსკენისა.

შუშანიკის დახასიათებისას ხშირად  
აღნიშნავენ ხოლმე, რომ მას აქვს ბევ-  
რი აღმინაწერი თვისება. ამას იმაში ხე-  
დავენ ხოლმე, რომ შუშანიკს სიკვდი-

ლის წინ სინანული შეეპარა გაწამებულ  
ცხოვრებისათვის, რომ სინამდვილეში  
იგი ღრმა მწუხარებასაც კი განიცდის  
ცხოვრებისგან მოწყვეტის გამო და სხვ.  
რ. ბარამიძე სწორად შენიშნავს, რომ  
„შუშანიკი არ არის სწორხაზობრივად  
განვითარებული, ცალმხრივად წარმო-  
დგენილი წმინდანის სახე. ის არ არის  
ქრისტიანული იდეალებისათვის თვით-  
მიზნურად მოღვაწე პიროვნება, რომე-  
ლიც რელიგიურ ექსტაზში ივიწყებს ამ-  
ქვეყნიურ ინტერესებს და განეწყობა  
მოწამეობრივი სიკვდილისათვის“.<sup>1</sup> ამ  
სწორ დებულებას შემდგომში რ. ბარა-  
მიძე იმგვარად ავითარებს, რომ ჩვენ  
მას ვეღარ გავიზიარებთ. „მოწამეობ-  
რივი მოღვაწეობა და მასთან დაკავში-  
რებული მრავალი სულიერი და ფიზი-  
კური ტკივილები მას სიხარულს კი არ  
გვრის, როგორც ეს ნიშანდობლივია  
მარტვილოლოგიური ძეგლის პერსონა-  
ჟისათვის და, როგორც ამის წარმოდ-  
გენას ზოგჯერ თვით შუშანიკიც კი  
ცდილობს, პირიქით, მასში მკვეთრად  
არის გამოვლენილი სიციცხლისა  
და მასთან დაკავშირებული სიამოვნე-  
ბის მოტრფიალე ახალგაზრდა ქალის  
ხასიათი“.<sup>2</sup> ზევით ჩვენ ვცდილობდით  
დაგვემტკიცებინა, რომ მოწამებრივი  
მოღვაწეობა სწორედ რომ სიხარულს  
გვრის შუშანიკს, რადგან იგია მისი ას-  
პარეზი, სადაც სრულად ავლენს თავის  
თვისებებს, მისი ცხოვრების მიზანი,  
რომლისკენაც ასეთი თანამიმდევრობით  
მიისწრაფვის და რომელსაც ბოლოს-  
დაბოლოს მიაღწევს კიდევაც. ზოლო  
სულიერი და ფიზიკური ტკივილები, რა  
თქმა უნდა, სიხარულის მომგვრელნი არ  
იქნებოდნენ, მაგრამ შუშანიკი საგსე-  
ბით შეგნებულად იტანდა მათ, რადგან  
ესმოდა, რომ მისი მიზნის მიღწევა მათ  
გარეშე შეუძლებელი იყო. რაც შეეხე-  
ბა იმას, რომ შუშანიკში „არის გამოვ-  
ლენილი სიციცხლისა და მასთან და-  
კავშირებული სიამოვნების მოტრფია-

1 რ. ბარამიძე, გვ. 17-18.

2 რ. ბარამიძე, გვ. 18.

ლე ახალგაზრდა ქალის ხასიათი<sup>1</sup>, უნდა ითქვას, რომ, ჭერ-ერთი, ასეთი რამ ტუქსტით არ დასტურდება და მეორეც, ვფიქრობთ, შუშანიკი ამაზე მაღლა დგას. იგი იდეური მებრძოლია, მისი ინტერესები იდეების სფეროშია და არა სიცოცხლესთან დაკავშირებულ სიამე-ებთან. ასევე ვერ გავიზიარებთ მკვლე-ვარის აზრს, თითქოს, შუშანიკისთვის მისი ხვედრი „უფრო ხელოვნური ცდაა ეკლესიის წინაშე ხარკის გაღებისა, ვიდრე თავისი შინაგანი განცდებისა და მიზნების გამოვლენა“<sup>2</sup>. ჩვენის აზრით, იგი სწორედ რომ შინაგანი განცდებისა და მიზნების გამოვლენაა და არა ეკლესიის წინაშე ხარკის გაღებისა. ან კიდევ: „მთელ ნაწარმოებში აშკარად იგრძნობა, რომ შუშანიკი ნებაყოფლობით, სარწმუნოებრივი შთაგონებით კი არ ეწამება, არამედ ამ ნაბიჯს დგამს იძულებით, მასზე ახდენენ უხეშ ზემოქმედებას და ამავე დროს მას არ ეთმობა ამქვეყნიურობა“<sup>2</sup> ის უხეში ზემოქმედება, რომელსაც ახდენენ შუშანიკზე, მიმართულია სწორედ იმისკენ, რომ შუშანიკი მოწამებობას მოაცილონ. შუშანიკი რომ დაჰყვეს ვარსკენის ნებას, იგი გადაურჩება ყოველგვარ ტანჯვას, დაუბრუნდება თავის ოჯახსა და სიცოცხლეს, სამაგიეროდ დაჰკარგავს მოწამის გვირგვინს, რაც დიდად სწადია ვარსკენს.

შუშანიკისგან სიცოცხლის ტრფილის დამადასტურებელ ფაქტად მკვლე-ვარს მოჰყავს იაკობის სიტყვები: „ტირილით ესრტო იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ““. მკვლევრის მსჯელობა ასეთია: როგორც მოწამეს უნდა უხაროდეს, რომ ის ქრისტიანთ-ვის კვდება და ამბობს კიდევ: „მე გულითად სიკუდილდ მივალ““, მაგრამ ამ შემთხვევაში ის არაა გულწრფელი, მისი უშუალო ბუნება და მისწრაფება ვლინდება ავტორის სიტყვებში: „ტირი-

ლით ესრტო იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ““. მაგრამ მის ნამდვილ განწყობილებას მისი ცრემლები ამჟღავნებენ: ის ტირის და ისე ამბობს, მიხარიაო სიკვდილი. ამ უაღრესად რეალისტურ დეტალში ჩანს მისი უშუალო, ხალასი ბუნება. ის, როგორც სიცოცხლეზე შეეყვარებული ადამიანი, ტირის თავისი უმწეო მდგომარეობის გამო და ამავე დროს ღმერთს მიმართავს, რომ გულით, ე. ი. სიამოვნებით მივიღივარ სასიკვდილოდ...“<sup>1</sup> ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი სხვაგვარად უნდა აიხსნას: სასახლიდან განდევნილ შუშანიკს აფოცი, ჯოჯიკი და ჯოჯიკის ცოლი არწმუნებენ უკან დაბრუნებას. სხვა მრავალ „დასა-ჭერებელ სიტყუასთან“ ერთად ისინი ეუბნებიან იმასაც, და ეს ხაზგასმულია, რომ თუ შუშანიკი არ დაბრუნდება, მას ძალით წაათრევენ, ე. ი. მას მოელის ფიზიკური სასჯელი, ამდენად სასახლეში დაბრუნება შუშანიკს ააცდენს ფიზიკურ ტანჯვას. შუშანიკი მიანიც სასტიკ უარზეა („ვითარ მეტყვ მე დაჭერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უფარ-ყო?!“), მაგრამ ბოლოსდაბოლოს იგი გატეხეს, „და ვითარცა ფრიად აურ-კებდეს მას, აღდგა წმიდაი და ნეტარი შუშანიკ და თანა წაირიტანა ევანგელს თვისი და ტირილით ესრტო იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ““. როგორც ითქვა, სასახლეში დაბრუნება ათავისუფლებდა შუშანიკს ფიზიკური ტანჯვისაგან, ასე რომ, „სიკუდილდ წასვლას“ პირდაპირი აზრით ვერ გავიგებთ. ასე რომ იყოს, გამოვა, თითქოს, აფოცი, ჯოჯიკი და ჯოჯიკის ცოლი შუშანიკს სასახლეში დაბრუნებას იმისთვის ეხვეწებიან, რომ იქ მოაკლევინონ, რაც, ცხადია, არაა სწორი. ასეთ არაადამიანურ ზრახვებს მათ ვერ დავწამებთ. შუშანიკის სიტყვები სიკვდილზე იმას ნიშნავს, რომ თუმცა კი მივიღივარ და იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ იმის-

1 იტყვ.

2 იტყვ, გვ. 18-19.

1 რ. ბარამიძე, გვ. 19.

თვის მივდივარ, რათა ფიზიკური ტანჯვა ავიცილო, მაგრამ სასახლეში დაბრუნება და ვარსკენთან შერიგება ჩემთვის სიკვდილიაო. ცხადია, აქ იგულისხმება სულიერი სიკვდილი, რომელიც მოელის ქრისტიანს ღმრთის უარყოფელთან კავშირის გამო. შუანიკი იმიტომ კი არ ტირის, რომ სასიკვდილოდ მიდის და სიცოცხლე ენანება, იგი ტირის იმის გამო, რომ დაუთმო შუამავლებს, უარი თქვა თავის გადაწყვეტილებაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გულწრფელი არაა, სინამდვილეში მას ჭერ კიდევ აქვს იმედი ვარსკენთან შერიგებისა, საბოლოო განხეთქილება კარგა ხნის შემდეგ მოხდება. ამაზე უკვე იყო ლაპარაკი და სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ. მაგრამ ეს აზრი კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს იმაში, რომ უაღრესად რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე შუანიკს, რომელსაც სხვადასხვა ფარული და ცხადი მოტივები ამოძრავებს, ვერ მივიჩნევთ უშუალო ხალასი ბუნების ადამიანად.

შუანიკის ამქვეყნიურობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ იგი ამქვეყნიურ სიამოვნებათა მოტრფილად ახალგაზრდა ჯანსაღი ქალია (შესაძლებელია, ჯანსაღ ადამიანს სულიერი ინტერესები ამოძრავებდეს და უგულვებელყოფდეს ამქვეყნიურ სიამეთ, მაგრამ ეს ჭერ კიდევ არ იქნება მისი „წმინდანობის“ ნიშანი). შუანიკი ამქვეყნიურია იმიტომ, რომ მისი ინტერესებია ამქვეყნიური. მისი ძირითადი მამოძრავებელი მიზნები სავსებით აქაურია: საკუთარი პიროვნების განმტკიცება, პატივმოყვარული სურვილი სახელის მოხვეჭისა (თუნდაც, სასულიერო სფეროში, ამას რა მნიშვნელობა აქვს? მღვდელმთავრობისთვის მებრძოლსაც ხომ პატივმოყვარეობა ამოძრავებს!), ვარკსენისთვის სამაგიეროს გადახდის უძლიერესი სურვილი. ზევით ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სარწმუნოება, სარწმუნოებრივი ასპარეზი მხოლოდ საშუალებაა შუანიკისთვის მიზნის მისაღწევად. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სი-

ნამდვილეში შუანიკი მორწმუნე არ იყო. პირიქით, მას შემდეგ, რაც მონობა მისი მოღვაწეობის ნაწილი იქცა, მისი რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდა და, როგორც ვნახეთ, თანდათან ფანატიზმშიც კი გადაიზარდა.

ჩვენ ვახსენეთ შურისძიების გრძობა. უეჭველია, გარკვეული დროიდან ისიც შეიქმნა შუანიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. საქმე ისაა, რომ შუანიკის მიზნების განხორციელებას წინ ელოდება ვარსკენი. სწორედ მისი გადალახვით შეიძლება მიაღწიოს შუანიკმა, რასაც ესწრაფვის. უფრო მეტიც, თვით მისი მიზანიც ვარსკენის გადალახვაა, რადგან შუანიკის პიროვნების განმტკიცება ვარსკენის დათრგუნვას, ვარსკენზე გამარჯვებას, მის გადალახვას ნიშნავს; აღარას ვამბობთ იმ მორალურ და ფიზიკურ ტანჯვაზე, რომელიც შუანიკმა განიცადა პირადად ვარსკენისგან და მასთან ბრძოლაში. ამას იგი კიდევ უფრო უნდა გაეზოროტებინა. სწორედ ამიტომაც, რომ შუანიკი ასეთი შურისძიების გრძობითა და შეურიგებლობით არის განწყობილი ვარსკენის მიმართ. ვარსკენთან ბრძოლის განგრძობას იგი იმ ქვეყნადაც აპირებს. სიკვდილის წინაც კი, როდესაც ხშირად აპატიებენ ხოლმე მტრებს ყოველგვარ შეცოდებას, შუანიკი არ მოლბება. იგი მუქარით ამბობს, რომ იგი თავის სიტყვას იტყვის უფლის წინაშე, რათა ვარსკენი დაისაჯოს როგორც ეკუთვნის: „განვისაჯნეთ მე და ვარსკენ პიტიაში მუნ, სადა-იგი არა არს თუალ-ღებაა წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და ღედაკაცისაჲ, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე უფლისა იესუ ქრისტესსა; მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უფამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და...“ როგორც ზევით ითქვა, ეს ნაწყვეტი უფრო შუანიკის მუქარაა, ვიდრე სინანული დაკარგულ ახალგაზრდობაზე.

თავის მძიმე გზაზე მოწამის გვირგვინი

ნისაკენ შუშანიკი მრავალ სხვადასხვაგვარ თვისებას ამჟღავნებს. ერთის მხრივ იგი გვიჩვენებს უდიდეს სულიერ სიმტკიცესა და ნებისყოფას, არაფრად ავლდეს ამქვეყნიურ სიამეთ, დასთმობს ოჯახს, ქმარსა და შვილებს, ფუფუნებას, არ შეუშინდება და არ შეუდრკება არავითარ ფიზიკურ ტანჯვას, ნებაყოფლობით შეიქმნის უმძიმეს, ყოველწუთიერი წამებით აღსავსე ცხოვრებას. ამავე დროს იგი ამჟღავნებს ეგოიზმს, ინდივიდუალიზმს, მიზნის მისაღწევად შეგნებულად მიმართავს დემაგოგიას, ამახინჯებს სინამდვილეს, ცდილობს თავისი საკუთარი თავის წინ წამოწევეს, ყურადღების ცენტრში დაყენებას, განდიდებას.

არაა მოკლებული შუშანიკი პოზასაც, თეატრალურობას. თავისი გრძნობების გამოსახატავად იგი მიწაზე ვარდება, თავს ურტყამს მიწას, პროტესტის ნიშნად საჭაროდ აცხადებს შიმშილობას, ლაპარაკობს მალაღმარდოვან სიტყვებს, რომლებიც, როგორც ვნახეთ, დემაგოგიურ ელემენტებსაც შეიცავენ. შუშანიკს უყვარს მყურებელი და მსმენელი და მისი მოქმედებაც მათზეა გამიზნული. ზევით ჩვენ ვთქვით, რომ შუშანიკი ციხეში ყოფნისას ანტიოქიურ პალეარტს იცვამს. ითქვა ისიც, რომ ამას იგი იმისთვის აკეთებს, რომ ხაზი გაუსვას თავის მოკრძალებულობას (პალეარტმა ვითომ უნდა ძაძა დაუფაროს). გარდა ამისა, შუშანიკი კარგად გრძნობს, რომ დედოფლის უძვირფასეს სამოსში გამოწყობილი მოწამე უფრო შთამბეჭდავია ხალხის თვალში.

შეიძლება ერთი შეხედვით პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში შუშანიკი თავისი ხასიათით უფრო სასტიკია და შეუბრალებელი, ვიდრე ვარსკენი. გავიხსენოთ მის მიერ ჯოჯიკის ცოლის გაღახვა. ფაქტურად ფიზიკური ძალის გამოყენება ხომ შუშანიკმა დაიწყო. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ხასიათის სიმტკიცითა და თანამიმდევრობით შუშანიკი აღემატება ვარსკენს, აშკარა ვა-

ხდება, რომ ვარსკენის ადგილზე იგი, ალბათ, მეტსაც იხამდა. შუშანიკის მოქმედებას განსაკუთრებულ სიმწვავესა და სიცხარეს აძლევს მისი ხასიათის ზოგიერთი სხვა მხარეც: შუშანიკი უადრესად აღზნებდალი, ხოლო აღზნებული სრულიად თავშეუკავებელი და თავის აღელვებას უკიდურეს ფორმებში ავლენს. როდესაც შუშანიკი ვარსკენის დესპანისგან გაიგებს მისი განდგომის ამბავს, იგი მოურიდებლად იმავე მსახურის თვალწინ მიწაზე დაეცემა, დაიწყებს მიწაზე თავის ცემას და მოთქმას. მართალია, ავოგრაფიულ ლიტერატურას საერთოდ ახასიათებს გრძნობების გაზვიადება, მაგრამ იაკობის უადრესად რეალისტური ტენდენციები და აღწერის ნიშანდობლობა გვარწმუნებს, რომ მაინცდამაინც დიდ გაზვიადებასთან არ უნდა გვეჭონდეს საქმე. ამაში გვარწმუნებს ისიც, რომ შუშანიკი ასევე იქცევა, როდესაც გაიგებს შვილების გამაზღვანების ამბავს: „მაშინ იწყო თაყუანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა თვისსა ქუეღამართ სცემდა“. ასეთი აღზნებადობის უკიდურესი გამოვლინებაა სცენა პურის ჭამის დროს; ეს უკვე გვაეჭვებს, ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ აქ ფსიქოფატიური მოვლენები, კერძოდ ისეთი ხასიათისა, რომელსაც ექსპლოზიური ფსიქოპათია ეწოდება. მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, ალბათ, მთელი მისი მოღვაწეობაც როგორც მოწამისა მთლად ჩანსალი ფსიქიკის გამოვლინებად ვერ ჩაითვლება.

შუშანიკის ხასიათზე ლაპარაკისას უნდა გავიხსენოთ შემდეგი ფაქტებიც. როგორც ვიცით, პურის ჭამის დროს თავისი უხეში საქციელი ჯოჯიკის ცოლის მიმართ შუშანიკმა ასე დაასაბუთა: „ჩვენს ყოფილ არს აქამომდე თუშცა მამათა და დედათა ერთად ექვამა პური?“ ამ შემთხვევაში შუშანიკი ძველი ტრადიციების დამცველად გამოდის. მაგრამ ამ სიტუაციაში მის მხრივ ასეთი დაცვა თითქოს გარკვეულ შეზღუდულობაზე ლაპარაკობს. მართ-

ლაც, ჭერ-ერთი, აქ არის უაღრესად ვიწრო და ინტიმური წრე, ორი ძმა თავისი ცოლებით, ერთად პურის მკამელებისა. მეორეც, ყველასათვის გასაგებია, რომ ერთად პურის ჭამა ისახავს მიზნად ვარსკენისა და შუშანიკის შერიგებას. ამდენად, ყველა დანარჩენი, ვინც არაა შუშანიკის მსგავსად აღშფოთებული, უფრო ადამიანურად, უფრო თავისუფლად მოაზროვნედ, გამოიყურება, რადგან მათთვის მომენტის სერიოზულობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტრადიცია.

მაგრამ ასეთი საბოლოო დასკვნის უფლება ჩვენ მაინც არა გვაქვს. შესაძლებელია, რომ შუშანიკი არაა გულწრფელი, უფრო მოსალოდნელი სწორედ ესაა. იგი საერთოდან უკიდურესად გაბრაზებული, როდესაც თავს ვერ შეიკავებს და ჭოჭიკის ცოლს გაატყუამს, გასამართლებლად კი ერთად პურის ჭამას მოიმიზეზებს. შემდგომში შუშანიკი სულ სხვაგვარად მსჯელობს. მას არ მოსწონს, რომ კაცსა და ქალს შორის არაა თანასწორობა. სიკვდილის წინ ის ემუქრება ვარსკენს, ჩვენ იქ განვისჯებითო, სადაც არ არის რჩევა კაცი-სა და ქალისო. კარგად არ ჩანს, მიაჩნია თუ არა მას, რომ თანასწორობა ამჟვეყნიურ ცხოვრებაშიც უნდა განხორციელდეს. ქრისტიანები თუმცა აღიარებდნენ ქრისტეს წინაშე ყველას თანასწორობას, ამავე დროს სრულიადაც არ მიიჩნევდნენ საჭიროდ ამ ჰვეყნად ყველას სოციალურ თანასწორობას. ასე რომ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმული აზრი, თითქოს შუშანიკი კაცისა და ქალის თანასწორობის იდეის მომხრე იყოს, მხოლოდ ამ ადგილით ვერ დადასტურდება.

ზევით ჩვენ უმთავრესად ლაპარაკი გვქონდა შუშანიკის მოქმედების სუბიექტურ მხარეზე, რა მიზნები ჰქონდა მას, რა იყო მისი მოქმედების მოტივე-

ბი. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მისი საქმიანობის ობიექტური მხარეც. ცხადია, ძალზედ საინტერესოა აგრეთვე, როგორ აფასებდნენ მას მისი თანამედროვენი და მომდევნო თაობები.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შუშანიკის თაოსნობით თუ დახმარებით ცურტავეში შემოღებული ყოფილა სომხური მღვდელმსახურება. ცხადია, მღვდელმსახურების შემოღება ზემოდან მოხვეული ამბავი არ იქნებოდა. იგი ალბათ გამოხატავდა ადგილობრივ მცხოვრებ სომხური მოსახლეობის სურვილს. ამდენად, ეს ღონისძიება შუშანიკს, ცხადია, მოუტანდა დიდ პოპულარობას საეკლესიო სომხურ მოსახლეობაში, რომელიც მასში მფარველ თანამეტომეს დაინახავდა. მართალია, სომეხი იყო წარმომობით არშუშას ცოლიც, ვარსკენის დედა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, სომხური მოსახლეობისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა თუ არა იგი. უეჭველია, შუშანიკს ამ საქმეში ვარსკენის თანხმობაც ექნებოდა. თვით ვარსკენს, ალბათ, განსაზღვრულ ზომამდის აწყობდა შუშანიკის ასეთი საქმიანობა (ამის მიზეზებზე ჰვემით მოგვიხდება ლაპარაკი), მაგრამ ქართლის ცენტრალიზებული სახელმწიფოს თვალსაზრისით ასეთი ღონისძიება მოსაწონი არ იქნებოდა. მართლაც, სომხური მღვდელმსახურების შემოღება ხელს უწყობდა ქართლის ერთ-ერთ უდიდეს სამთავროში მის ცენტრიდანულ ტენდენციებს, რადგან საშუალებას აძლევდა სომხურ მოსახლეობას შეენარჩუნებინა თავისი ეროვნულ თვითმყოფობა.

როგორც ჩანს, თავის დროზე ქართლის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერა გააწყო რა ამ სიახლის წინააღმდეგ. შესაძლებელია, მას უკირდა საპიტიაზმოს შინაგან საქმეებში ჩარევა. როგორც ჩანს, ამ ღონისძიების მნიშვნელობა თავიდანვე ვერ იყო ჭეოროვანდ შეფასებული. შემდეგ შუშანიკის საქმიანობა იმდენად სასარგებლო გახდა ცენტრისათვის, რომ მან ალბათ აღარც ჩა-

1 ივ. ჯავახიშვილი, გვ. 49; კ. კამბლიძე, გვ. 117, რ. ბარამიძე, გვ. 108-109. 2. ლორთქიფანიძე, გვ. 32.

თვალა საპიროდ ყურადღების გამახვილება ამ საკითხზე. მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს საკითხი უთუოდ უნდა წამოკრილიყო. მართლაც იგი მთელი სიმწვავით დადგა VII ს. დასაწყისისათვის, როდესაც ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოინდომა მისი საბოლოოდ გადაჭრა ქართლის პოლიტიკური ერთიანობისთვის სასარგებლო თვალსაზრისით.

VII ს. დასაწყისში ქართლმა მისი გამოჩენილი მღვდელმთავრის ინიციატივითა და საერო და სასულიერო ზელმძღვანელთა თანადგომით ახალი პოლიტიკური კურსი აიჩრია. ეს აყო კურსი ბიზანტიაზე. ამ კურსის სიცოცხლეში გატარებისათვის საპირო იყო ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. ამისთვის კირიონი ატარებდა სხვადასხვა ქრისტიანულ აღსარებათა (დიოფიზიტურ, მონოფიზიტურ და ნესტორიანულ) შემარიგებლობის პოლიტიკას.<sup>1</sup> ოღონდ დიოფიზიტობის უპირატესობით. ამიტომაც გარეგნულ გამოხატულებას ამ ახალი პოლიტიკისა წარმოადგენდა ქართლის დიოფიზიტურ აღსარებაზე გადასვლა, რამაც გამოიწვია მონოფიზიტურ სომხეთთან საეკლესიო განხეთქილება.

ამ პერიოდში მონოფიზიტობაზე შემდგარი ქვეყნები ირანული ორიენტაციისა არიან. უნდა ითქვას, რომ ახალი კურსის არჩევა, როგორც ჩანს, ქართლისთვის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ინტერესებით იყო ნაკარნახევი. სხვა არაფრით არ აიხსნება ის პარადოქსალური მდგომარეობა, რომ, როგორც ირკვევა, ახალ კურსს მხარი დაუჭირეს ისეთმა მღვდელმთავრებმაც, რომლებიც თვითონ დიოფიზიტები არ უნდა ყოფილიყვნენ. ზ. ალექსიძის სიტყვით, კირიონ კათალიკოსის რელიგიურ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ და მის გარშემო ჩგუფდებოდნენ ნესტორიანი და

მონოფიზიტი ეპისკოპოსებიც.<sup>2</sup> ერთადერთი კაცი ქართლის სასულიეროდ საერო მესვეურთაგან რომელმაც არ გამოიხიარა კირიონის და მის ირგვლივ დაჯგუფებულ მოღვაწეთა შეხედულებანი, იყო ცურტავის ეპისკოპოსი მოსე, იგი გაიტყა ცურტავიდან სომხეთში. დახმარებისთვის მიმართა სომხეთის საერო და საეკლესიო ზელმძღვანელებს, და ამგვარად ბრძოლა გააჩაღა კირიონთან. არის ნიშნები, რომ მოსე ცურტაველისთვის საკუთრივ სარწმუნოებრივ საკითხებს არც ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ, როგორც იგი ცდილობს წარმოადგინოს, მაგრამ ამჟამად ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ თავის ბრძოლას კირიონისა და მისი პარტიის წინააღმდეგ იგი წარმართავს მონოფიზიტობის დროშით დიოფიზიტობის წინააღმდეგ. მოსესა და სომხური ეკლესიის მესვეურებისთვის ერთადერთი დასაყრდენი ამ ბრძოლაში მთელს ქართლში აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ ცურტავის საეპისკოპოსოს სომხურენოვანი ნაწილი. მხოლოდ ამ ნაწილმა მიიღო თანაგრძობითა და მხარდაჭერით მოსესა და სომხეთის ეკლესიის მეთაურთა წერილები და თვითონაც მოითხოვეს მათგან დახმარება კირიონის წინააღმდეგ. სხვამ ყველამ უარით უპასუხა მოსესა და სომხეთის მღვდელმთავართა, თუ საერო ზელმძღვანელთა წერილებს. ისეთებმაც კი, რომელთა მხარდაჭერაში თვით მოსესაც არ ეპარებოდა ეჭვი (მაგ., პეტრე ეპისკოპოსი),<sup>1</sup> არ ისურვეს კირიონისგან განდგომა. საყურადღებოა, რომ მოსეს არ დაუჭირა მხარი მისივე სამწყოს ქართულენოვანმა ნაწილმაც. ამგვარად, ცურტავის სამწყოს სომხურენოვანი თემის განდგომას აშკარად ეროვნული ელფერი მიეცა.

ამ თემის კონსოლიდაციის, გაერთიანების საქმეში, უეჭველია, მთავარი ფაქტორი იყო ენა. სწორედ ენაა მისი განმასხვავებელი ნიშანი მოსესა და სომხებ

1 ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 220 და შემდ.

2 ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 239.

მღვდელმთავრების თვალსაზრისითაც. ისინი ამ ჭკუფს მხოლოდ „სომხურ-ენოვან სამწყოს“ ანუ „სომხურენოვან თემს“ უწოდებენ. ცხადია, რომ ამ თემის განცალკევების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა სწორედ მუშანიკის მიერ შემოღებულმა სომხურმა მსახურებამ. ამიტომაც არის, რომ სომხეთის არა მარტო სასულიერო, არამედ საერო მეთაურებიც მტკიცედ იბრძვიან იმისათვის, რომ სომხური მსახურება ცურტავში არ მოისპოს.

პირველივე წერილში კირიონისადმი სომხეთის კათალიკოსი აბრაამი წერს: „ამჟამად ცურტავის ეპისკოპოსი დევნილია [იმის გამო], თუ რად ბრძანებო მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსარებას, და სომხური მსახურება, წმიდა მუშანიკისგან დადგენილი, მესმის რომ შეგიცვლიათ. ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნევთ ეგ საქმე“.<sup>1</sup> კარგად არ ჩანს, რა მიიჩნის სიკვდილზე უარესად სომხებმა. მოსეს გაგდება მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსარებისათვის და მუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურების შეცვლა ერთად, თუ მხოლოდ მეორე (გრამატიკულად უფრო მეორე, რადგან „საქმე“ მხოლოდითშია „ეგ საქმე“, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო „საქმენი ეგე“). ასეა თუ ისე, ცხადია, რომ სომხური მსახურების შეცვლას სომეხი მღვდელმთავრები უდიდეს ბოროტებად მიიჩნევდნენ. აღსანიშნავია, რომ უკმაყოფილება სომხური მსახურების შეცვლით გამოთქმულია ერკანის მარზპანის სმბატის წერილშიც, რომლის ადრესატები არიან „კირონ ქართლის კათალიკოსი. სხვა მისი თანამოსაყდრე ეპისკოპოსები და მთავრები მაგ ჭვეყნისა, ატრნერსე და ყველა წარჩინებული“.<sup>2</sup> სმბატი წერს: „...სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში, ხოლო შეცვლით მტრობას აგდებთ [ჩვენ] შორის, მეტად კი ნაკლოვანებას, რომ აქედან შევაფერხოთ ჩვენი, რომ-

მელთაც სურთ მოვიდნენ და თყვანი სცენ მაგ წმინდა ჯვარს და არ შევთვქვით, რომელნიც მოდინან მანდელა წმინდა კათოლიკე ეკლესიაში, და სხვ სამარტვილოში ილოცონ“.<sup>3</sup> მსახურები შეცვლაზე ლაპარაკობს მოსე ცურტაველიც სმბატ მარზპანისადმი მიწერილ წერილში.<sup>4</sup>

დაბოლოს, საყურადღებოა, რომ აბრაამ სომხეთა კათალიკოსი თავის სყოველთაო ეპისტოლეში, რომლითც გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი ქართულ ეკლესიასთან, კირიონის ერთ-ერთ მთავარ დანაშაულად ასახელებს სწორედ მუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურების შეცვლას: „ამისთვის ვალად მივიჩნიე, რომ მიმეწერა... ირონისთვის, რომელიც კათალიკოსდ იწოდება და მისი თანამოსაყდრეებისთვის. რადგან ცურტავის ეკლესიის ეპისკოპოსი, რომელიც მუშამავლოდ ორ ჭვეყანას შორის, მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის დევნადა წმინდა მუშანიკისგან დადგენილი ხმხური მსახურება ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ ამხელდა, შეცვალა, ამისთვის მივწერეთ, რომ მოქცეულიყო ეშმარიტ სარწმუნოებაზე და მტკიცედ მდგარიყო მოციქულთა გარდამოცმხზე, რომელიც მოგვეცა ჩვენი მოძღვრებისაგან“.<sup>5</sup>

კირიონი პასუხს სცემს აბრაამსაც და სმბატს. აბრაამს სწერს: „და რომ წერა... სომხური მსახურება შეცვლილი, ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლა“.<sup>6</sup> სმბატს: „ეკლესიის მსახურებაც არა რიგად შეცვლილია“.<sup>7</sup> აქედან ჩანს, რომ კირიონი არ უარყოფს, რომ სომხური მსახურება მუშანიკისგანაა დადგენილი. შემდეგ წერილში აბრაამისადმი იგი ცურტავის ეპისკოპოსების ჩამოთვლას მუშანიკის დროიდან იწყებს, რაც ზ. ალექსიძის სამართლიანი შენიშნით

1 ი ქ ვ ე, 83- 75.  
 2 ი ქ ვ ე, 83- 78.  
 3 ი ქ ვ ე, 83- 121.  
 4 ი ქ ვ ე, 83- 70.  
 5 ი ქ ვ ე, 83- 78.

1 ზ. ალექსიძე, 83- 66-67.  
 2 ი ქ ვ ე, 83- 72.

მიტომა; ვაკეთებულო, რომ იგულისხმება სწორედ შუშანიკისგან დაწყებულ სოფლური მღვდელმსახურება.<sup>1</sup> ამით კირიონი არაპირდაპირ თანხმდება, რომ სოფლური მსახურება შუშანიკმა შეოილო, მაგრამ პირდაპირ ამას მაინც არ ამბობს. შუშანიკს ასახელებს, როგორც ვნახეთ, მხოლოდ აბრაამი, კირიონ კი ძალიან თავშეკავებით და, შეიძლება ითქვას, ყრუდაც ლაპარაკობს ამ აკითხზე. არც უარია გადაწყვეტით ნათქვამი და შუშანიკის ხსენებასაც აშკარად ერიდება. რითია ეს გამოწვეული?

შრთალია, კირიონი უარყოფს სოფლურ მღვდელმსახურების შეცვლას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სომეხ მესვეურთა მიერ წაყენებული ბრალდებები მთლდ უსაფუძვლო არ უნდა იყოს. ზ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ კირიონის პოლიტიკა მიმართულია „ყოველი ქართლი შემომტყიცებისათვის და მთლიან ორგაიზმად შესაკრავად. მან შეძლო, სომეხ ისტორიკოსის ლეოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „რკინისებური სიმტყიცთ გაეტანა თავისი“ და ყველაზე უფრო კრელი მოსახლეობის მქონე ცურტავის ეპარქიაში ქართული სავალდებულო ენად დაემკვიდრებინა. მართალია გივე ისტორიკოსი, როცა ამბობს: „კირიონმა წარმატებით გაიტანა დაწყებული საქმე და სრული უფლება მიიღო ეწოდოს თავისი ხალხის ერთ-ერთი ღიდი შვილი“. ცურტავის ეპარქიაში ქართული მღვდელმსახურების გაბატონება იყო სრულიად შეგნებული პოლიტიკა, წამოწყებული კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ; პოლიტიკა, რომელსაც შემდეგში გიორგი მერჩულეს სწულალება მისცა ეთქვა: „ქართლად ფრიადი ქუეყანამ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ეამი ზეიწირვის და ლოცვამ ყოველი აღეს-

რულების“.<sup>1</sup> შესაძლებელია, აქ შეტიკატეგორიულობითაა ნათქვამი, მაგრამ, საფიქრებელია, რომ კირიონი, როგორც ითქვა, მართლაც ცდილობს ძველ საპიტიაზმოს ტერიტორიაზე ქართულის გავრცელებასა და მთლიანად გაბატონებას, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს საფუძველი უნდა იყოს. უეჭველია, ამ საქმეში მისთვის ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს სოფლური მსახურების არსებობა. განსაკუთრებით ართულებს მდგომარეობას ის, რომ ამ მსახურების შემოღება დაკავშირებულია შუშანიკის სახელთან. ვფიქრობთ, ამიტომაც ერიდება მის ხსენებას კირიონი. იგი ვერ უარყოფს სოფლური მსახურების არსებობას და მის შემოღებას შუშანიკის მიერ, მაგრამ ცდილობს თავი აარიდოს ამ საქმესთან დაკავშირებით შუშანიკის ხსენებას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შუშანიკის სახელს საუკუნენახევრის შემდეგ მისი სიკვდილიდან იყენებენ ისინი, ვინც ეწინააღმდეგება ქართლის ახალ პოლიტიკურ გეზს (ბიზანტიასთან სიახლოვე, დიოფიზიტობა, ირანთან დაშორება). ამავე დროს შუშანიკის სახელი და ნამოღვაწარი ხელს უშლის ქართლის ერთ მტკიცედ შეკრულ პოლიტიკურ ორგანიზაციად შეკვრას.

ახლა ვნახოთ, რა ობიექტური მნიშვნელობა ჰქონდა შუშანიკის ბრძოლას ვარსკენის წინააღმდეგ და როგორ აფასებდნენ ამ ბრძოლას თანამედროვენი.

ქვემოთ ჩვენ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ ვარსკენის მიზნებსა და პოლიტიკაზე, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს: ვარსკენი იყო ღიდი ფეოდალი, ერთ-ერთი უდიდესი სამთავროს მთავარი. იგი ებრძოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. რისთვის იბრძოდა კონკრეტულად — არ ვიცით. სა-

1 ზ. ალექსიძე, გვ. 158.

1 ზ. ალექსიძე, გვ. 181.

ფიქრებელია, როგორც ფეოდალს სურდა სრული შეუვალობა მიეღო, განემტკიცებინა თავისი უფლება თავის სამთავროზე, ან შესაძლებელია, სურდა საერთოდ გამოეყო თავისი სამთავრო როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეული. გამორიცხული არც ისაა, რომ მას პრეტენზიები თვით ქართლის სამეფო ტახტზეც ჰქონოდა. თავისი მისწრაფებების განხორციელებისთვის იგი ცდილობდა დაახლოებოდა ირანელებს, რისთვისაც მან ქრისტიანობა უარპყო და მაზდეანობა აღიარა. მისი მოწინააღმდეგე შუშანიკი ობიექტურად ყველა ამ ტენდენციების მოწინააღმდეგედ გამოდიოდა, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეეძლოთ დაესახათ. მის პროტესტში, უეჭველია, მრავალი სხვადასხვა ასპექტი ჩანდა, ასე რომ თვით იმის მიხედვით, თუ ვინ იყო და რა ამოძრავებდა მის მოქმედების შემფასებელს, ამ უკა-

ნასკნელს მის მოქმედებაში თავისთვის საინტერესო მხარე შეეძლო დაინახა. იაკობი, შუშანიკის მოძღვარი, და მასთან ერთად, ალბათ, სამღვდლოებისა და დაბალი ფენების ძირითადი ნაწილი, შუშანიკის პროტესტში, უეჭველია, სარწმუნოებისათვის ბრძოლას ხედავდნენ. უკვე ითქვა, რომ არც ერთ სხვა მოტივს თვით იაკობი არ ასახელებდა, თითქოს, არც ხედავდა.

თვით ვარსკენს უთუოდ ესმოდა, რომ შუშანიკის პროტესტი მისი პოლიტიკის უარყოფად გამოიყურებოდა. ამიტომ ვარსკენი ცდილობდა ყველაფერი, მთელი მისი უთანხმოება შუშანიკთან, ოჯახურ უთანხმოებაზე დაეყვანა. შესაძლებელია, თვით ვარსკენისა და შუშანიკის ახლო მდგომთაგან ვინმე იჭერებდა ამას, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ძირითადად ხვდებოდნენ, ეს რომ ასე არ იყო.



გიორგი ბაჩინილაძე

## და არა აქვს მას დასასრული

თუ რატომ უნდა ბერჩია ნოდარ დუმბაძეს თვითგამოსატყვის ფორმად ჰაინცდამაინც მწერლობა — პასუხს ამ კითხვაზე მისივე შემოქმედება იძლევა. ეს არჩევანი კი, ეტყობა, მისი თვითშეგრძნების სამ ხვედრს დამუარებულმა იმ-პულსმა განსაზღვრა:

— ადამიანებთან კომუნიკაბელობის საოცარი უნარი გრძნობის გაზიარების პათოსით.

— გეზი არაბისტოზის საკუთარი ხეჭვით დაუღაბნული ხიკეთისაკენ...

— მხოფლგაგების განუყოფელ თვისებად ქცეული ჭეშომის გამოსატყული აზრის სიხასრუ-ში...

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისა და პიროვნების კონტექსტში თვითეული ეს ფაქტორი აუწინაღობს საგანგებო კონცეფციის ხარისხზე. ისინი აქ ცხოვრების ჰამოქმედულ სამყაროდან ამოვარდნილ ხანძრის კერებად განიცდებიან...

ახლა უკვე თამაშად შეიძლება იმის თქმა, რომ ნოდარ დუმბაძემ შექმნა საკუთარი კანონზომიერების ლოგოს და მორჩილებული სამყარო.

ამ სამყაროში სრულიად მოულოდნელი კუთხეებთან წაღდება ადამიანთა ვნებათაღელვის ხან წამახული, ხანაც თანადრობით მომსუსხველი ფორმები.

რაც შეეხება მათ, ვინც ნოდარ დუმბაძეს პირადად იცნობს, მათთვის საეხებით მოუღებელია. მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ მწერლის უოველი რომანი და მოთხრობა ანგვარ სამყაროსთან წიარების აღმოქმედა.

საქმე ისაა, რომ კლასიკური მოდელი მწერლის ინდივიდუალობასა და მის ორეულს, გნებავთ, ნიღაბს შორის ბზარის ან გაითვისებს შესახებ, მეტასტეტი ძაღდატანებით თუ მოერგება ნოდარ დუმბაძის მიღამ პიროვნულ და შემოქმედებით სხებ. რა სამყაროს მოწიარებდა მისა უოველი რომანისა და მოთხრობის მკითხველი, ამ სამყაროს მოწიარება უოველი, ვინც პირა-

დად იცნობს მას; რადგანაც თავისი შინაგანი იმ-პულსებიდან მომდინარე ჩადონურ ატობხე-რის ნოდარ დუმბაძე მფლანგველი მილიონერი-ვით მფენს თავის გარშემო პიროვნულად...

როგორც ზანს, ეს არის მისი შინაგანი წყო-ბიდან მომდინარე თვისებურება და ხახათი მისი კონსტიტუციის არსისა.

თუ ანგვარი მოვლენების შეფახების გამს ლიტერატორები არაფსიკოლოგიის ერთ-ერთ შეგონებასაც ვავისხენებთ, იმის მტკიცებად შე-იძლება, რომ ნოდარ დუმბაძის ანგვარობაში გადაშევეტო მნიშვნელობა უფრო შინაგან წყო-ბას ენიჭება, ვიდრე ნებულობას.

ის, უბრალოდ ახეთია და სხვაგვარად მას არ ძაღდებს...

და მაინც, მის თანამედროვეებს თითქმის ორი ათეული წელი დახიბდათ იმის ვახაცნობიტრ-ბლად, რაც ოღნავი დაჯვარებით, მოელი ლიტერატურული ცხოვრების ფონზე ამოტევიდა და გაფორმდა გრანდიოზული მეტაფორის სხ-ვით. საქმე ეხება ლიტერატურულ პროცესში გულწრფელობის დეფიციტით გამოწვეულ მო-თხოვნებს. ამ მოთხოვნებს, დროთა ვითარება-ში სიპოლური მნიშვნელობაც აღმოჩნდა და გრადიკული გამოსახულებაც.

ნოდარ დუმბაძის მიმართ უვედაფერა უმარ-ტივესმა ფიზიონომისტურმა ასოციაციამ განა-პირობა ადევილი შესამჩნევი აღმოჩნდა, რომ ნოდარ დუმბაძის ხახე, თავისი კონტრულური მონაზულობით საოცრად მგავს გულის ანატო-მიურ ფორმას...

„მარადისობის კანონის“ უღისთვის შესრულე-ბულ ნოდარ დუმბაძის პორტრეტს მხატვარმა ნ. მალაზონიამ საფუძვლად დაუდო მისი ხახისა და გულის გრადიკული თანაფარდობის ეს პრინ-ციპი.

იყო ეს ლიტერატურული კერპის შესახებ მი-თის დასახში ან იყო ეს ნოდარ დუმბაძის შესა-

ზედ უკვე მომწოდებელი საზოგადოებრივი აზრის მეთაფროსი, თუ სხვა რამ — ფაქტია, — ამერიკიდან მკითხველთა უფროსიონი აუდიტორიისათვის ნოდარ დუმბაძის გულთან დაკვირვებული ასოციაციები აქცა ზელოვანისა და ცხოვრების ურთიერთშემოქმედების დრამატულ სიმბოლოდ. იმისთვის, რომ ეს სიმბოლო ლიტერატურათა წრის მიერ საშუაროდან მკითხველთა აუდიტორიის მიერ საშუაროდან დაძრულიყო, სამდენივე მიზეზი არსებობდა. მთავარი კი ის იყო, რომ ნოდარ დუმბაძემ თავიდანვე მხოლოდ იმის შესახებ დაიწყო წერა, რაც საერთო თვალთ შიშნადა ნანახი, გულთა განცდილი, ბიოგრაფიულად — გადართლილი.

სამწერლო ასპარეზზე 80-იანი წლებს ე. წ. „შვიდობიან ატმოსფეროში“ გამოსულს ნანახი, განცდილი და გადატანილი იმდენი დაუგროვდა, რომ თავისი მშფოთვარე თავდადასვლითი მარჯოს ეპოქის ფაფრეკიან ბოგრაფიებს დაშველებდა.

თითქმის მისი ადამიანური გამძლეობის გამოც და ეწედა, ცხოვრების ბუვრმა უსამართლობამ შიშცადა მისთვის.

და ვიდრე სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს კანონდარ დეპუტატად მოგვევლინებოდა, უკანონოდ, პატიმარიც იყო; საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარისობამდე — ბედის მძივებელი ახალბედაც.

ნანახი, განცდილი და გადატანილი გამო ნოდარ დუმბაძემ გულიანად აცინა და კიდევაც ატირა ხალხი... გულიანად მოხინა თავის ვარშემო სიკეთის სხვი, ჭეშმარი და არც ტყვილეზის ვარშახები შეუნიღბია, რათა ცხოვრებისა და კაცობრიული საზრისის „შინის ღამის“ საიდუმლოდ გაეწოდო თავისი მკითხველებსათვის.

ნოდარ დუმბაძის ბოლო რომანი „მარადისობის კანონი“. ეს არის რომანი „ადამის ძის სულისა და გონების განახლების“ გამო; ამ სიტყვებს რომანში მდებელი იორამი ამბობს მთავარი გმირის, ხანაა რამიშვილის შესახებ.

თუ რა გზა გასასვლელი „ადამის ძის სულისა და გონების განახლების“, როგორც მისი აღორძინების, ზედახდა შიშისა და კათარზისისათვის, მკითხველს კარგად მოეხსენება. ეს არის ქოვნიეფური განსაცდელის, სიკვდილთან ზიარების და მკედრითი აღდგომის გზა.

ნოდარ დუმბაძის რომანება და მოთხრობები განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილების შქრი ადამიანების ხედვრთან ვკავირებენ, მაგრამ თითოეული მათგანის მაკისტრადურ სიუჟეტს განსაზღვრავს ცხოვრების ერთი პირნიციონი მოდელირებული კონცეფცია.

ესაა უცოდველი ადამიანის მიერ საშუაროს ცოდვა — მადლის შეცნობის დრამატული გზა.

ქართულ ენაში რომ „ადამიანის“ ცნება ნიშლიურა ადამის მიხედვით მომდინარეობს, ნოდარ დუმბაძემ პირველმა აქცია თავისი რომანების მეთაფროსულ და სტრუქტურულ სიწყისად.

არსებობს მითი ადამიანის მიერ საშუაროს დაკარგვის შესახებ. ჩვენს ათენიურ ეპოქაში „დაკარგული საშუაროს“ მოტყვევებელი ნანს, პაროდული ელფერაც კი ზიად.

მაგრამ ისევ როგორც ამერიკულ ლიტერატურაში მარც ტვენმა და ჰემინგუემ შექმნეს მითი დაკარგული საშუაროს შესახებ და მკედლები რინის, ტომსიორის და ნიკ ადამის თავდადასვლით გვიჩვენეს, თუ როგორ იქცევა ცხოვრების ქოვნიეფურ გამოცდილებასთან ზიარება ხავშვობის უზრუნველ საშოთხთან განშორების დრამად — ნოდარ დუმბაძემ შექმნა გადღერა ქართული უროს დრამატულ გამოვლინებებთან ზიარებას ემწივრითა ხახუბისა...

და მარადის, ნოდარ დუმბაძის გმირები, მეტწილად, უმწივრები არიან. საგულისხმოა, რომ უცოდველი მათგანი ვზრდება, ცხოვრების და განსაცდელს ბეგებმა უმწივრად, ვეზიათად, დედის ან ბენიანახუას ვარშეშეშეში. მანის ატორიტარისებულ შეგავლენას ისინი მოკლებულენ არიან. ექსტრემალურ სიტუაციებში ისინი მარტონი დგანან, როგორც ქვარცმის მომლოდინე მაცხოვარი...

ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული დებიუტი და ტრადუცი ერთდროულად შედგა.

80-იანი წლების ქართულ მწერლობაში მისმა „მეხეხია, ილიაკო და აღორძინება“ ლიტერატურული მანიფესტის მისია შეასრულა.

თუ მანიფესტებს, ზეუდებრივ, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცნობერების ეპიკენტრში მამდინარე დუდილის, წინააღმდეგობების, საბჭოლოდ ბოპქრობისა და ლოუნგების ბეკედი ანთი, ამგვარი ტრადუციისაგან განსხვავებით, ნოდარ დუმბაძის რომანმა თავისი მისია სოციალ სახმბუქში, თითქმის შეუშინებლად, ლადად, თითქმის აშკარა კონფლიქტებისა და აგიოტების ვარშეშე შეასრულა.

თუ რაგონ მოხდა ასე, ამის მიზეზები მხოლოდ ნ. დუმბაძის სულიერი წყობისა და მსოფლგაგების ორ განმეაიარადებულ თავისებურებაშია საებარი.

პირველი ისაა, რომ ამ რომანით ჩვენს საზოგადოებას ნ. დუმბაძემ კიდევაც შეახსენა და კიდევაც ავრწმობინა, რომ ის „სიცილით ვმშვიდობებოდა წარსულს“.

მეორე კი ის ვახლდა, რომ ეს „დამშვიდობება“ ან გამოთხოვვა წარსულთან ცხოვრებისა და ისტორიის აუცილებლობად უნდა აღქმულიყო.

ამ აუცილებლობას კი ლიტერატურაში საერთო განმასახებრებლები მოჰყავდა. ადამიანის მიღმა არსებული ფახეულობებისა და მათი განმასახებრებელი ფუნქციონერების ბატონობის შემდეგ, თითქმის ვაკანთურული ანტარქტი დასრულდა, ლიტერატურული ცხოვრების სცენაზე ისევ დაკავდა ადგილი ცხოვრების საზრისად ადამიანურობის მატარებელმა ადამიანებმა, სოციალური რილისა და მისის სიმძინა.

ით დატვირთული ფუნქციონერების ხსენები (ხულისა და ხახიათის შესაბამისი ნიშნებით) — შეცვალეს თუნდაც ამ ფუნქციისაღმა ადამიანური და მოკიდებულიების მატარებელმა ადამიანებმა.

როდესაც აღნიშნული და აღნიშნული იმდენად გაეთიშენ ერთმანეთს, რომ საფრთხე აღმინათა კომუნალურებასაც კი დაუდგა — „რავა გაუეთიეთ შეღასარებები“ — შეახსენებს არა მხოლოდ იმ პერსონაჟს, რომელიც გაუეთიეთ შეტყუებულა. ნ. დუმბაძის რომანში, არამედ შეახსენებს კულტურის მოთელ ხისტემას...

სიცილი ხანამდვილესთან მიაბლოცების მცურავად იქცა.

და მართლაც, ნოდარ დუმბაძის გმირები ბერს იყინიან. მათი გულღიანი სიცილი გადამდებია.

მსოფლიო აუდიტორიაში რომ ნოდარ დუმბაძის ერთდროული კოხტვის ფანტასტიკური სენი წარმოვიდგინოთ, და თანაც, ამ კითხვის პროცესში ადამიანთა ბაგეებიდან მომსდარი სიცილის ერთად შეტარებელი ხმა და ენერჯია გავიანგარიშოთ — თავისი აფეთქების ძალით, ეს სიცილი, იტყობა, თერაპიულ აფეთქებებს დაემსგავსებოდა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ვინმეს იფიქრა, რომ ნოდარ დუმბაძის გმირები მხოლოდ ენერჯიას სიჭარბის ან ცხოვრებისეული კეთილდღეობით ტყობის გამო იყინოდნენ, არა, მათი სიცილი, ძალიან ხშირად, სიმწარესთანაა გაზავებული.

ამდენად, სიცილს ნოდარ დუმბაძისათვის

მსოფლმხედველობრივი ფუნქცია აქისრია. სიცილი მისი სტალის განუყოფელი ნაწილია. როგორც სიცილს ის პერსონაჟთა ინდივიდუალური მახასიათებლების გამოაყოფავებს ფუნქციას აქისრებს. ასეთ დროს სიცილი ადამიანის ხულისა და ხახიათის მპაროვოცირებელ მნიშვნელობას იძენს.

არსებობს სხვადასხვა დონის, ხასიათის და დანიშნულების სიცილი: სატკბურული და კეთილგანწყობილი, იქედნური და მითითებელი, ირონიული და სტაქიური... ნოდარ დუმბაძე ვარტუოზა სიცილსა უყვება რეგისტრებში.

ნოდარ დუმბაძე სიცილს მიეხტროა...

მაგრამ ჭუმორის ტემპორიტ დღემსწავლს შეითხველს ნოდარ დუმბაძე უმართავს მაშინ, როდესაც მის სიცილს აქისრია რეალობაში გარკვევის ფუნქცია.

როდესაც გონებაშავილობა გადალახავს კეუვის სტერეოტიპს, როდესაც გონებაშავილობა ანტიტანდარტული გადაწყვეტილებებისა და მოქმედების აღმოჩენის მაშინთ ნათდება, ჭუმორიც მაშინ ხდება ხანამდვილის შეცნობის მოკავშირე და მოწარე, ასეთ დროს ნოდარ დუმბაძის სიცილი ადამიანთა იდეალური მოთხოვნებიდან მიწნებით სპეტაკდება.

აი, რატომაც განიცდება ნ. დუმბაძის რომანებისა და მოთხრობების ცალკეული ასპექტები, როგორც ჩვენი ცხოვრების ჩამუქებული საწყაროდან ამოვარდნილი ხანძრის ჩაუმტრადი კერები...

და არა აქვს მას დახასრული...

ცნობილ მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს რევაზ ჯაფარიძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

## მებრძოლი უმეოქმედი

„მებრძოლს ხინდისი არა აქვს, ხინდისი აქვს მკურნებელს!“

ეს სიტყვები იმ ოლაჰბაიელს ეკუთვნის, რომელიც ილიამ ცაგ და მიუყარებელ მუინჯარს შეაღარა.

იასნაია პოლიანას დიადი მკვიდრი კი ამბობდა:

„როცა შენს ზღბს უტირს, მათინ სულიერი მკურნაობა — არამზადობა“.

ჩვენ ეს ზღბის უფლები ვართ, რომლის ვინაობისადაც გულგრალობა ან გონებრივი ამათია — მითხრებდით დანაშაული იქნებოდა.

ქართულ მწერლობაში ბევრი არ მოღვაწეობს ისე უკომპრომისოდ და ვნებიანად, როგორც რევაზ ჯაფარიძე. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენა, რომელსაც იგი არ გამოხმაურებოდა. ჩვენი მწერლის ტრანსალსტიკა ამ შეხედულებებს ჩინებული მაგალითია. მშობილი ერის აწყუოთი და წარსულით ღრმა დანტერტებება შედგენს რ. ჯაფარიძის ცხოვრებისა და შემოქმედების პათოსს.

იგი არაა მხოლოდ ტრაჟიკი კაცი, მოქმედი და მებრძოლი, მჭრობელი და პათოსანი კუთხის შვილია, იმ კუთხისა, სადაც მარტო ბარაკონის ციხეს კი არ აგებდნენ, არამედ ნიკორწმინდის დიდებულ ტაძარს.

უკლები გულთან მიაქვს. მუდამ ცხოვრების ორიგინალია. ღირსეულს — ღირსეულად

მაგებს ზოლმე, ბრუნდს კი — მარსხანე სიტყვას. მისი პროზის საუკეთესო გმირები მარტო-ოდენ კი არ იყავენ საშობლოს, არამედ თვითონაც დგას თავისი ქვეყნისა და მისი კულტურის პრესტიჟის დასაცავ კონტრებზე.

მას ზნობად დაუმტკიცებია, რომ კუშმარტეზისათვის უნაგაროდ თავდადებული, მომგებიან შედეგებზე არ ფიქრობს.

და შეუღლია ხედნიერად ზათვალის თავი: მას არაფერია დაუარგავს, ზოლო მოიმკო საშურო ქაღდო — თავისი ზღბის სიყვარული და დაუხება.

რ. ჯაფარიძე — რეალისტი ხედუტრისტია.

კუშმარტი პროზის საფუძველი საერთოდ რეალიზმია, მაგრამ ეს მეთოდი ზნობად უკლებ-მართად არის გავებული და მშენებრად თათესებს ნატურალიზმის ცუდ ნიშნებს, უბამობასა და პორნოგრაფიას, უსაშუელოდ უაღბ სიტუაციებს, პერსონაჟთა ავუიობასა და ვულგარობას და ა. შ.

რ. ჯაფარიძე აგრძელებს ქართული კლასიკური პროზის საუკეთესო ტრადიციებს და შემოწამოვლილი ნაკლოვანებათა ზრდილი მას არახოდეს გამაქრებია. ეს თვალება გამოჩნდა მის ადრინდელ ნაწარმოებებშივე (ამიტომაც დაუვიწყარია მისი მოთხრობები „ხმა იდუმალი“ „ღმერთო, გამახსენე“ და სხვ.) და განსაკუთრებით ორტომიან რომანში — „ქარისკაცის ქვრივი“.

„ოთარანი კვრივის“ შემდეგ ქართულ პრო-

ზაში მომძლავრდა სოციალური უკუღმართობით დაჩაგრულ ქალთა სახეობი. ხოლო ჩვენს დროში — შეტწილად უცხოური მოდერნიზმის ზეგავლენით — ერთგულად აღზრუნული ან პროვინციული რეზინაიციით თავმოწონი დიაცთა პარტრეტები.

აღარაფერს ვაშავებ ხელეარული რომანებისთვის შესაფერ ქალბატონებზე, რომელთაც შესახებ „რინდები“ უმშვენიერებ მხარს.

რ. ჭაფარიძის რომანი მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქარისკაცის შილა მინდელის ქვრივის, შათუნას თავგადასავალს — თავისი სამი შვილით, ჭერ მშობლებთან მიხრუნებას, მერე კი ისევ მშუღლის მიტოვებულ კარშიდამოშვი, სოფელ სკაურაში ჩასვლას. რამდენ ქალღრობას, ზნეობრივ სიმტკიცეს და ქვეყნისა და ერისადმი ერთგულებას აერთიანებს თავის თავში ეს გამარჯვ და მომხიბლავი გლეხის ქალი, რომელსაც ხიდუბერეთა ვადატანის შემდეგ მაინც ახარებს, რომ მის სახეზე ნაოკებს ჭერ კიდევ თავისი უძებთან ვერ შეუღლებიათ. და ამ დროსულ დღებს ვერძეოთ უღვაწ უზრობა ვაჟი — ზურია, რომლის სახეც, დედის სახეებთან ერთად, ქართველი მკითხველი არასოდეს დაივიწყებს.

ამ რომანში ცხადყო რ. ჭაფარიძის უნარი ხასილდების ხატვისა, ხლის აზღვებისთანავე მისი პერსონაჟები მკაფიოდ განსხვავებულან ერთმანეთისაგან. თვითმული მათგანისათვის მონახულია ზუსტი სახასიათო შტრიხი, აკვანტებული გამოთქმები. სულიერი მოძრაობის თავდაპირველი ხიბვაც, მკითხველი იხმერს მათი ხლის ტემბრისკაც კი (ზოგჯერ აღოგაფრთხილებების გადმოცემითაც: „წე!“, „ბა!“ „დუტ!“ და მისთ.).

შათუნას მშობლები თუ მისი ხელის მძიმებენი, კორიკანა მიჩოტაძე, თუ პატრიონის მასწავლებელი, რაიკაძე მოღაწენი თუ უხრალო სოფლები, მკვიდელი თუ შერწყმული, ყველანი — ცოცხალი ესტამპები ადამიანებისა, რომელთა გარეგნობა, ჩაქმულობა, მიმოჭერა, საუბარი, ფულმოსვლა, დარბად თუ სისარული — შედმიწველი დამაქრებელი და დასაბნობელია. და ამ გმირთა ურთიერთობა ერთი წამითაც არ წყდება მოქმედების ბრძის (ეწო, ოთახი, ნივთები, ბუნება და კლიმატიც კი — თოვლი და სიცივე და სხვ) და მჭიდროდა დაკავშირებული ხასიათების ძერწვასთან, მათს ადგლითან უოცუცხოვრების გარემოცვაში. ერთი სიტუთი, მწერალი ახსოვდებოდა ფლობს თავის მასალას. გმირთა სოციალურ გარემოს ცოდნას, შერბამ მისი რეალიზმი ამათ არ იფარგლებს. რ. ჭაფარიძე ქმნის ფსიქოლოგიურ ურთიერთობებსა და ბიოგრაფიას, რომლის დროსაც იგი მშობლების ტიპის ტიპის ტიპის დამახასიათებელ ნიუანსთა შემწვენასა და მკითხველის ცნობიერებაში მათი აღბეჭდვის ნიჭს ავლენს. სწორედ ესაა კუმარტი რეალიზმი ანუ მწერლის ის ტალა-

ნტი, რასაც ესთეტიკაში შთაქმდომის (კონცეფციონი) უწოდებენ.

საერთოდ, პროზაში ადამიანის გარემოებების მრავალგვარი სარეაქცია და „ხერხი“ ახსენიობს და ყველა ის გამართლებულია, თუ მათი დასაბამი — ნიჭიერებაა.

რ. ჭაფარიძის ტალანტია ამის მიზეზი, რომ მე მივირს დეარწმუნო ჩემი თავი, რომ ზურია მინდელი მარტოოდენ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. რეალური მოდერის ახსენიობს გარეშე ასეთი ცოცხალი და შთამბეჭდავი სახე მწერლობაში არ აქმნება.

„ქარისკაცის ქვრივის“ შემდეგ რ. ჭაფარიძე აქვეყნებს ისტორიული რომანის „მომე ქვარის“ ოთხ წიგნს.

ისტორიული პროზა განაკუთრებით ჩვენს დროში, საბჭოთა პერიოდში, განვითარდა. მდიდარი ტრადიციები ქართულ მწერლობაში მას არ აქონა.

ისტორიული პროზა სხვადასხვა სტილის შემცველი ენარია, საერთოდ, XI საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში. ამ ენარს აქვს თავისი ისტორია, ფორმალური განსტოებანი, მასალის გამოყენების სხვადასხვა მეთოდი და ა. შ. ჩვენ არ ვაპირებთ ამ საკითხებზე საუბარს და აღწინაშაეთ მოვლედ ირ მომენტს.

რ. ჭაფარიძის პროზა (მოთხრობა, ნოველა თუ რომანი) ნამდვილად მომზდარი ფაქტებით იფარგლება და მასში გამოვლილს სულ არ ეთოზობა ადგილი (ან „გამოვლილი“ რამ ასე თუ ისე ურცუნობს მაინც ყურდნობა), იგი პირბრადიწველია და შეიძლება მას ბიოგრაფიული თუ დოკუმენტური პროზა ეწოდოს, არსებითად იგი XI საუკუნეში აღმოცენდა.

XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში დომინიური ხასიათის ისტორიული რომანი მხოლოდ ნაწილობრივ იყო დოკუმენტური, ხშირად მისი სიუჟეტის კი მწერლის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა. ყველაზე დიდი წარმომადგენელი ამ სტილის ისტორიული პროზისა იყენენ ინგლისელი რომანისტები — ჭერ ვალტერ სკოტ, შემდეგ კი თვითრეი („პროზა ენაში“), დიდ სრულყოფილობას ეს ენარს სტენდალისა და ფლობერის პროზაში აღწევს („პარმის ხავანე“, „სალამბო“), იგაფიურწვედომელ ხილიაღეს კი — დევი ტოლსტოის შემოქმედებაში („ომი და მშვიდობა“), რომელიც ბიოგრაფიულ-დოკუმენტური პროზის გენიალურ ნიმუშსაც („პაი-მურატი“) შეიცავს.

ქართული ისტორიული რომანის შემოქმედთა — რ. ჭაფარიძის უშუალო წინამორბედთა — სახელები კარგად ცნობილია.

რ. ჭაფარიძე არაა ამ ენარის ნოვეტორი. თუ ფართო მასშტაბს ავიღებთ, იგი ვალტერ სკოტის სკოლის ტრადიციების გამგრძელებელია. თვითონ პრინციპი — ისტორიაში ხალხის რო-

ლის ხაზგასმა — ინკლისელი რომანისტიდან მომდინარეობს.

მაგრამ „შიშივე ქვარის“ თავისებურება — მკაცრი ისტორიზმი, შეწვევითი ეპოქისათვის შესაფერვა ზოგჯერ სიტუაციის აღწერასთან და ფანტაზიით წარმოსახული არაისტორიული პერსონაჟების თხრობაში შემოუვანისთან.

თანამედროვე ისტორიული პროზის განვითარების საერთო დონის თვალსაზრისით, ჩვენი ბელეტრისტი შეიძლება ზოგჯერ დამღუპველ ცოცხლებას აწულოდა. ეს ცოცხლებასა: ყალბი არქივსადა, რეალური ხასიათების წაყვანად — არადაშაყრებელი, მუწარადიანი და უწიწარი „გმირები“, მწიგნობრული მეტყველებების იმიტაცია ზოგჯერ სიტუაციის მერყეობის საუბრის გადმოცემისას, სტატიკური, უმორჩაო აღწერების მტკაწეღში კამოკითხული ხასხალეა რეკონსტრუქცია, თეატრალური იმები და ა. შ. X X საუკუნის ქართული ისტორიული პროზა საქმოდ მდიდარია ამგვარი „მარგალიტებით“.

ვერადერ ამის მსგავს „შიშივე ქვარში“ შეიძლება ვერ იპოვოს.

რომ ახსნება ის გარემოება, რომ მიუხედავად მწერლის ტრადიციონალიზმისა და მეთოდის ერთგვარი ძველმოდურობისა, ნაწარმოები ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტია?

რათა შეიძლოს, ან კვაკვაკად, აკ წერითულად, ვა-  
ვა-ფუფუფად, ან კვაკვაკად, გ ტახტზე, მის პატ-  
როტულად, რომანტიკულად და ზალბურ მოტავეებს  
ქველი ქარსტანობიდან კომუნისის დღევანდელ  
ეპოქაშივე მივუვარდო...“ ამ რჩეულ პოეტთა  
რცელში ერთ-ერთი უველაზე სახელგანთქმულ-  
ია მთის პოეტი — ვაია-ფუფუფად... რომლის  
შესანიშნავი ლექსია „არწივი“ შეგიძლიათ წი-  
კითხოთ: „არწივი ვნახე დეკრალი...“ ვაია-ფუ-  
ფუფა თვითონ არის არწივი, რომლის სახელი  
გადმოქვეყნებს უვაჯურანებს შორის, სინამდვილე-  
ში ვაია თავს აფარებდა საუჯრულ შიშში მდებ-  
რად ფორს სოფელს, ამიტომაც პოეტს „მთის  
არწივი“ უწოდებ. ჩვენ ზელო ვაკვებს მთის ცნო-  
ბილი მოთბობების წიგნი „ბუნების მკვსნება“,  
რომელშიც შევიდა პოეტის მოთბობები: „ია“,  
„ფეხები“, „მთანი მალენი“, „მშველი წიფე-  
ლი“, „შედის ნურას ნაპობი“, „ხეცთა ქა-  
რწილი“, „ბუნების მკვსნება“, „მთის წყარო“,  
„დაფრთხილი არწივი“ და სხვ. წიგნი გა-  
მოსცა „განათლებამ“, რომელსაც თან ერთვას  
შესანიშნავი ილუსტრაციები. ამ მოთბობებს  
ორგვარი მზანი აქვს, ერთი ის არის, რომ  
ფრანგულენოვან სამყაროს გაყენოს ვაია-ფუ-  
ფუფას პარსაული ნაწარმოებები, მეორე, რომ სა-  
დაჯარად ქართულებს ქართულიდან ფრანგუ-  
ლად თარგმნის ტექნიკა შესაწავლოს. ამგვარად,  
ჩვენ ზელო ვაკვებს ხალხების დაახლოების შესა-  
ნიშნავი საშუალება, ეს არის ფრანგულ ენაზე  
თარგმნილი ვაია-ფუფუფელის მოთბობები.

1978 წელს მწერალთა კავშირთან არსებულმა  
მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ  
ურთიერთობათა მთავარმა ხარედეკციო კოდეც-  
იამ და გამოცემლობამ „განათლებამ“ ფრანგულ  
ენაზე გამოსცეს სულბან-საბა ორბელიანის „სიბ-  
რძნე სიკრისა“, თარგმანი და შესავალი სარკ-  
ვანე ევთონის გასტონ ბუაჩიბეს, ილუსტრაცი-  
ები საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს ლა-  
დო გუდიაშვილს. წიგნმა დადებითი გამოხმაურ-  
ება პოვა ჩვენსა და საზღვარგარეთის პრესაში.  
ზედგორმა ევროპაში „ბელეო-კრისის მავანმა“  
1979 წლის იანვარის ნომერში მოათავსა მთარგ-  
მნილობა და მხატვრის ფოტოსურათი და მწერალ  
ფორე ბუიონის წერილი: „საბა ორბელიანი“,  
„სიბრძნე სიკრისა“. რომელსაც წამძღვარებულ-  
ად აქვს ზეღბან-საბა ორბელიანის სტრაქირე-  
ბი: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“.

ფორე ბუიონის სპეციალური რეცენზია დაუწე-  
რია კონსტანტინე ვამსახურდიას „დიდოსტატის  
მარკენის“ ფრანგულ თარგმანზე. რეცენზიას  
ეპიკურად წამძღვარებული აქვს ქართული მწე-  
რლის სტრაქირები: „მოკლენათა ფოკუსის მო-  
ცეულთა მკლავის წარკვთის ამხავი. ე. წ. გან-  
წირული პედი დიდი ზელოვანისა ტარსულ სა-  
ხელმწიფოში“. ავტორი წერს: „ფოსტა ზოგჯერ  
საოცარი დამთხვევების მატარებელია. ახლამან  
ამის მოწმე თავად ვახუდი, როცა ფოსტადრონმა  
ერთდროულად . . . ვამსახურდიას „დიდოსტატის

მარკენა“ და კანადელი მწერალი ჯონის პოლინ  
ფეჩის რომანი „ნილოსის ქალბატონი“ გადმოც-  
ეცა. ორივე რომანი მოვეთხოვრბს ზურჩინობდ-  
რისა და დიდგვაროვანი კალწულის ტრაგიკულ სი-  
ყვარულზე, რომელიც იშლება სახალხის კარის  
ინტრიგების ფონზე. განა ტამარ დიორელ ხა-  
მარის ამგებელი და სვეტიცხოვლის ზურჯომოდ-  
ვარის, ორივე უსამართლობის მსხვერპლი არ გა-  
ხდა? უბედურება დაატუდათ თავს ვიარებს: პა-  
ჩეკატუბა და სენ-მურტ, შორენასა და კონსტან-  
ტინე არსაკიძეს (რომელიც ავტორის სახელს იტა-  
რებს). მაგრამ აჭერად მოვეთხოვრბა ნახტომის  
გაქოვება ქველი წელთარბიცვის მე-18 საუკუნი-  
დან ახ. წელთარბიცვის მე-19 საუკუნეში, ნი-  
ლოსის ნახარადან მკვარის ნახარბრე ვადანა-  
ცვლება, ვინაიქან დღეს მინდა შევეხო ქარ-  
თული ლიტერატურის ერთ შედეგთაგანს... სვე-  
ტიცხოვლის ვერს კედელზე, ამშენებლას ვაბო-  
სახლების ვერადიო, შეხედეთ მარკენას ხელის  
მტვანს, რომელსაც ვაწიო უსურია. ეს არის ბე-  
ლი მონა არსაკიძისა, დიდოსტატისა, კეშმარი-  
ტად დიდოსტატისა, ჩამიეთუ ზელოვანთა თვით  
შედეგება. კონსტანტინეს (აქ აჭერად ვეულის-  
მთის თვით მწერალს) მოუბდა დიდი მუშაობა  
მისათვის, რომ „ქვაში ნაქარბილი საიდუმლო  
განცხადებინა სიტყვაში“. აგი მეორე დიდოს-  
ტატია, რომელსაც საქართველოს ფრენა თავი-  
ხი შედეგარი, როგორც ქვაბ, ახვეე სიტყვასაც მე-  
ტა წონა აქვს და უფრო ძლიერია, ვიდრე ნების-  
მიერი მახვილი“.

ფორე ბუიონის 1982 წლის 9 აგვისტოს, ზელ-  
გიელ და ლუქემბურგულ მწერლებთან ერთად,  
კვლავ ეწვია საქართველოს მწერალთა კავშირს.  
ეგი მიიღო ღენწნური პრემიის ღურეიტამა,  
მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ნოდარ დუშ-  
ნაძემ, რომელიც სტუმრებს ესაუბრა ქართული  
მწერლობის განვითარების გზებზე. საუბარში  
აღინიშნა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს  
მთარგმნილობის მოღვაწეობას სხვადასხვა ქვე-  
უნის მწერალთა ურთიერთობისა და მშვიდობის  
განმტკიცების საქმეში და რომ შედეგობში დი-  
დი უსურადლება უნდა მიეცეს თარგმანის საკითხს,  
საფუძვლიანად აქნას განხილული და შერჩეული  
სთარგმნი ნაწარმოებები.

ფორე ბუიონმა აღნიშნა — მოხარული ვარ  
თქვენს ქვეყანაში რომ ჩამოველ და საშუალება  
მიძლევა თქვენს მწერლობას უფრო გაავსორო-  
ბა! მე მიმანია, — თქვა მან, — რომ სახლბა  
ურთიერთდაახლოებისათვის უფადები მნიშვნე-  
ლობა აქვს სწორედ ამგვარ შეხედვრებს, ურთი-  
ერთგანცხობასა და საუბრებს. ხოლო დღეს უვე-  
ლაზე ძვირფასი და საჭირო ზომ სახლბა შორის  
მეგობრობა, სიყვარულია. ძლიერ მოხარული  
ვარ რომ გავეყანი ღენწნური პრემიის ღურეი-  
ტა, ბატონი ნოდარ დუშნაძე, რომლის ხოლო  
რომანი — „მარადისობის კანონი“ პარიზში თა-  
რგმნა და საშუალება მომეცა წამეცოთა, რომანი  
ცდენება თანამედროვეობის მნიშვნელოვან სა-

კომბებს და ჩოდებსაც ბელგიაში დავბრუნდებო, უნათოდ დავწერ ტყვეობას..."

ერტე ბუონმა შეასრულა თავისი დამატება. მან ბელგიური ტურნალის „ბელგიკურსს მგაზინის“ № 1, 1980 წ. ფურცლებზე გამოქვეყნებ ტყვეობაში ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“; აქვე გამოქვეყნებულია ქართული მწერალის ფოტოსურათი. რეცენზენტი წერს: „ჩემს წიგნში — „საქართველო — ოკროს საწმისის ქვეყანა“ — ნოდარ დუმბაძე არ დამეწყევლია, ხედავს იგი ადვინაში მისი თანატოლისა ადამიანებისადმი, მისი რწმენა, რომ ცხოვრების მოთავსი არის საკეთილი.

ნოდარ დუმბაძე დემოკრატია, ჭეშოქსს საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, ამ მოვალეობას რომ ასრულებდა, მან თბილისში მიიღო შარხა, ბელგიელი და ლექსმწერად მწერლებთან ერთად, მიღებას ცხარად აღწერს ჩემი შეგობები — გახტონ ბუაჩიძე და სტარკ თურნავა. ამ მიღებაზე ნოდარ დუმბაძემ დაგვანახა თავისი კეთილშობილება და ოპტიმიზმი. სწორედ ასე წარმოსდგა ზეწის თვალწინ ლენინური პრემიის ღაურები ბატონი ნოდარ დუმბაძე.

ახლან დავამოთვრე მისი საკუთვლითად აღბრუნებული რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილიკონის“ კიბევა.

დიდი ინტერესით წავაკითხე, აგრეთვე. მისი ბოლო რომანის „მარადისობის კანონის“ ფრანგული თარგმანი, რომელიც შეასრულა სვეტლანა დედოქტომა, გამოსცა იგი პარაზნი ტურან ვატილეს გამოცემულმა „კავშირებში“. მკითხველს თავიდანვე თვალში მოხვდება გარკვევის სიმბოლური გაფორმება: წითლად შეფერილი დიდ გულში ჩახატულ სკამოვანზე სხედან მღვდელი და ინტელექტალი. მათ შორის უკან, ცუდ მხარეს, მოსახსნს გუმბათიანი ეკლესია, მეორე მხარეს — წამვალი და ური. როგორც რომანიდან ჩანს, ეს მოულოდნელი ამბავი თითქოს უპირისპირდება ბაღდადის წაწარ. მოგეში „ურსულ მირტეში“ გამოთქმულ მოსაზრებას; რომ „მორწმუნეები და ათეისტები რ სხვადასხვა ინაზე ღამაგაყვებენ და ერთმანეთისა არ ესმით, შეუძლებელია მათ ერთმანეთს გაუგონ“.

აღნიშნულის საპირისპიროდ საქმარისა დავახაზელთი საავადმყოფოს ერთ ოთახში მყოფი. ეს სამი კაცი, ანუ სამი ინფარქტთან ავადმყოფი. ესენია: ათეისტი მწერალი, ქართული გავრცელების მოთავსი რედაქტორი ბაიანა, სახულიერო პირი იორამი და მეტიკმე, ეს უკანასკნელი მარტელ ქანიოლის გზირებს ესხვავება, დანარ. ჩენი ორი, თუ მათ მწიფეობისა შევაშეცხებთ, აღბრუნებული იხილება. მოთავსი ორი ამ რომანისა მოკლედ შეიძლება ასე გამოვხატო:

აქ ერთმანეთს უპირისპირდება პატრონება და უსინდისობა. საბჭოთა საქართველოში, „სხე რეგორც უველა ქვეყანაში, აჩიან ქანონებულნი და დაავადებული ადამიანები, აგრეთვე, ექიმები და არაექიმები, რომლებიც განსხვავებული მეთოდებით იღწვიან ქანონებულობის ადვანისათვის. თითოეული ავადმყოფი, თავის საწოდზე, ფიქრით უბრუნდება განვლილ ცხოვრებას, საუბრობს ხან სერიოზულად და ხანაც ზუმრობს. მეტიკმე გარდაიცვალა, მარტო დატოვა მორწმუნე და ურწმუნო. სამივე უსინდისობის მხებე-რალი გახდა, ინფარქტი დემარტოთ. ეს კი იმაზე მითითებებს, რომ ადამიანები კარგად უნდა გერკენენ არა მარტო საკუთარ საქმეებში, არამედ სხვის საქმეებშიც. გაიგონ ერთმანეთის ავ. კარგი და პატივისცემით მოეპურონ ერთმანეთს“.

შეათხველიანთვის რომანის დედაპირი გახა-გები რომ იესო, ქართველი მწერლის რომანი-დან ავტორის მოყვან ორი მწიფეობისა ნაწ-ვედით და თავის დაქვანს აგებს ბაჩანა ჩამიშ-ვილის მსჯელობაზე მარადისობის კანონის შე-სახებ.

ბელგიელი მწერალი ნოდარ დუმბაძეს მიი-წევს თანამედროვეობის დიდ ჭეშინისტად, რო-მელმაც თავის რომანში რეალიზტურად ასახ-ებოქის საკვირბოროტ პრობლემები.

ე. ბუონი უფურადღებოდ არ ტოვებს ირავ-ლი ამაშიძის პოეზიას. ვრცლად ჩერდება ქარ-თველი პოეტის იმ დამსახურებაზე, რომელიც მას მიუძღვის ქართული საბჭოთა პოეზიის გან-ვითარების საქმეში. ბელგიელი ავტორი აღნიშ-ნავს, რომ ირავლი ამაშიძე თავის ლექსებში უმღერის ქართველი ხალხის დიდებას. ხაილს-ტრაციოდ მოაქვს ქართველი პოეტის ლექსები: „ქართველი თოვლის სიმღერა“, „უვაჯილები ქა-ლაქში“, „სხვებს შორის“, „კაბიტანი ბუხაძე“, „შაშლოვანი“, „რუსთაველის ნაკვადევნი“ და „მადესტინა, მადესტინა“. მისი პოეტი, აღნიშ-ნული ლექსები შედევრება, მთელ საქართვე-ლოში პოპულარული გახდა და ხალხის სიყუა-რული დამსახურაო.

სადეე ბატია მიუძღვნა ბელგიელმა მწერა-ლმა გრ. ამაშიძის შემოქმედებას. მოაქვს რა ქართველი პოეტის მრავალი ლექსი, აღნიშნავს, რომ გრ. ამაშიძე აგრძელებს ქართული ლიტე-რატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

კიდევ შეიძლება ბევრი საინტერესო მხა-ლის მოტანა იმის საიდუმტრაციოდ რომ ჩვენს ხალხს ამ დიდ შეგობას უყვარს ქართული კულტურა, სწავლობს მას დახეიითებით და პო-პულარისაციას უწევს მისი მთელი ატენაზე.



ნათელა ჯავახიშვილი

## ქართული ლექსიკოლოგიური მუშაობის ისტორიიდან

(ივანე ჯავახიშვილის მიმოვარიდან)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, სახელ-  
დობარ უკანასკნელ 20 წელიწადს და მე-20 საუ-  
კუნის დასაწყისს, ჩვენი დედაენის გადაჯაჭრე-  
ბა ცოტაოდნავ შეაჩერა ქართველი საზოგადოე-  
ბის თვითშეგნების გამოვლიცხვამ და საქმემ გა-  
მოკეთებისაკენ ახრუნა პირი. ამ დროს განსა-  
კუთრებული სიმწვავეთ წამოიჭრა ქართული  
ენის გადარჩენა-ადგენისა და მისი სწმინდის  
დაცვის აუცილებლობა.

1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის“  
N 355-ში გამოქვეყნდა წერილი: „ქართული  
ლექსიკონის შესახებ“<sup>1</sup>, რომელსაც ხელს აწე-  
რდნენ, იმ დროს უკვე კარგად ცნობილი ცხრა  
მეტყიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ქავთა-  
შვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე,  
ოსკარ უფშვიტ, სერგო ვორგაძე, ვახტანგ დამ-  
ბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროვა და  
აკაკი შანიძე.

წერილს მოწოდების ხასიათი ჰქონდა, ამავე  
დროს წერილი განმარტავდა რამდენად აუცი-  
ლებელი და სასწრაფო იყო, რა დიდი და შეე-  
რთებული ძალა იყო საქმის, რომ ქართულ  
ენას კვლავ მოეპოვებია სამეცნიერო და სახელ-  
მწიფოებრივი ენის ადგილი და მნიშვნელობა.  
„იმ ვრს, რომელიც თავის საშწერლო ენას შე-  
საფერხისად არ განავითარებს, არც შეუძლიან  
გონებრივ განვითარებას უმაღლეს საფეხურს  
შეღწიოს, რადგან მას ამისათვის აუცილებლად  
საჭირო არაა იმ ახალია: ენა სტიქიურა სუ-  
ლიერი ბუნებისა და ძალის გამოხატულება და  
ერთობლივი შემოქმედების წყარო, მისი გადა-  
ჯარება თვით ვრს სულიერ გადაჯაჭრების  
შინაწვევებელია“<sup>2</sup>, ხოლო ამ მოთვარ იხრად,  
რომელიც ენის განვითარებას და გამოვლიცხვამ

შეუწყობდა ხელს. წერილის ავტორები ვრცელ  
სამეცნიერო ლექსიკონს მოიჩნვედნენ და განმარ-  
ტავდნენ რანაირად უნდა უოფილიყო გამოწუ-  
ლი ლექსიკონი. ავტორებს რამდენიმე პირობა  
ჰქონდათ წამოყენებული. უპირველეს ყოვლისა,  
მათი აზრით, ლექსიკონი იმ დროის საჭიროე-  
ბასა და მოთხოვნილებასთან უნდა უოფილიყო  
შეთანხმებული და ანისდა მოხედვით სამ მოავარ  
მიზანს უნდა მომსახურებოდა: 1. ქართულ სა-  
მეცნიერო გრამატიკასთან ერთად ლექსიკონი  
ქართული დედაენის ბუნების სრული გამოხატ-  
ველი უნდა უოფილიყო, სიტყვათა ურთიერთო-  
ბის დამოკიდებულების შესწავლელი და  
სწორმეტყველების განმარტაცებული; 2. ლექსი-  
კონი ძირითადად ქართველი ვრს მრავალსაუ-  
კუნოვან საუწყეს უნდა დაურთობოდა, რომ ამ  
დროისათვის გაღატებული ენა კვლავ ამაღ-  
დრებულიყო, ყველი სამეცნიერო ტერმინოლო-  
გიის განახლებით და ახლის შექმნით განთო-  
ლებულ ქართველ მეცნიერებს საშწერლობო  
ცოცხალი ენა შეექმნათ, ამავე დროს სამეცნი-  
ერო ტერმინოლოგიას ყველ მწერლობასთან კა-  
ვშირი გაწვევითი არ უნდა ჰქონოდა, რომ  
ქართველ კაცს თავისი წინაპრების სამეცნიერო-  
კულტურული ჩაუწყვრის შეთვისებაც შეძლე-  
ბოდა; 3. მოთვარი, ძირითადად პირობა იყო —  
ლექსიკონი ვასაგები უნდა უოფილიყო ყოვე-  
ლი ქართველისათვის, იმთხითვისაც კი, რომე-  
ლმაც დედაენის გარდა სხვა ენა არ იყო.

პარალელური, ორენოვანი (ქართულ-რუსული,  
ქართულ-გერმანული და ქართულ-ფრანგული)  
ლექსიკონები მხოლოდ მეცნიერისთვისაა წარბა,  
თვის მოიჩნდათ გამოსადეგად, განსაკუთრებით  
— მოარგმნელთათვის, ხოლო თუ იგი საყოვე-

ლოს სახმარებლად იქნება განუთვნილი, ჩვენი გადაგვარების ძარადად იქცევაო.2 იმიტომ, რომ ჰეობელის უცხო ენაზე შეაქვევს აზროვნებას და... იუაღს შეხედულებას ჩაუნერგავს გულში, ადამაინის შეგნებისათვის უცხოების ტერაზია აუცილებლად სპირო იყოსო.2

შემდეგ დაწვრილებით იყო განმარტებული ჩახსიათის უნდა ურფიდაყო მუშაობა და როგორ უნდა ჩაატარებულიყო ეს სამუშაო ამ საქმის განსახორციელებლად. დასაბუღებული იყო ლექსიკონის შემდგენელი კომისიის წევრები და აღნიშნული იყო, რომ ამ საქმეზე უკვე მუშაობდნენ პეტროგრადის ქართული სამეცნიერო წრის წევრები და სხვა უნივერსიტეტის ზოგიერთი სტუდენტები. დადგენილი იყო ვადა და სხვ.

გაუთვინი გამოქვეყნებულ წერილს მოკვა ცადაც წინასკად გამოცემული ზემოხსენებული „მიმართვა-მოწოდება“, რომელსაც დართული ჰქონდა „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის მასალების დასამზადებლად“. „სახელმძღვანელოში“ უკვე მუხლობრივად იყო მოცემული პროგრამა და ის პრინციპი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მასალების შემგროვებლებს და შემდეგ ლექსიკონის შემდგენლებს. მაგრამ ამაზე ხიტყვას ადარ გაავარძილებს, რადგან ჩვენი დღევანდელი საგანი — ამ საქობთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა გიორგი ყაზბეგსა და ივანე ჯავახიშვილს შორის, თავისთავად ეხება და განმარტავს ამ საქობს.

აღნიშნული წერილის გაკო „სახალხო ფურცლებში“ გამოქვეყნებულ იმხანად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის, გიორგი ყაზბეგის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მან ივანე ჯავახიშვილს მიმართა წერილით, სადაც აღიარებდა, რომ აგი არ ეთანხმება მათ პროგრამას და აინტერესებს, როგორც წერა-კითხვის გამხელო საზოგადოების თავმჯდომარებს, საზოგადოების, რომელიც თავის მხრივ უკვე შეუდგა მთელ რიგ პარალელურ (ქ.რ., რ. — ფ.) ლექსიკონებს შედგენას, ხომ არ არის მათი საგაზეთო წერილი „სურას ეუბნებოდნენ, კოცე შენ ახმინეო“. ამასთანავე, გ. ყაზბეგი გამოთქვამდა მტკიცე რწმენას, რომ თავდაპირველად სწორედ პარალელური ლექსიკონების შედგენა იყო სპირო. იგი ევრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ევროპაში და რუსეთში სწორედ ამ ხასიათის ლექსიკონები ეკოდებოდა და განმარტავდა თავისი მოსაზრების უპირატესობას.

ივანე ჯავახიშვილის არქივში, გ. ყაზბეგის ზემოაღსაბუღებულ წერილიდან ერთად, დაცულია ივანე ჯავახიშვილის საპასუხო წერილის შავი დღიანი, რომელიც მოლიანად მოგვყავს, ვინაიდან ეს წერილი ნათლად გვიჩვენებს პირადად ივანე ჯავახიშვილის აზრს ქართული ლექსიკონის დაწმუნების შესახებ, ახვეე როგორც მის პრინციპულ-

ლობას ამ საქობში. ამავე დროს, იგივე წერილი ერთგვარად ისტორიაა, როგორც [ქვემოთ] ჯავახიშვილის მიერ, ახვეე მისი ტელემძღვანელობით ჩატარებული მუშაობისა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე.

წერილი. ივ. ქალი. ფ. № 1495.  
ს. ხოვლე  
1915. VII. 22.

„ღრმად პატივცემული ბ.ნი გიორგი ნიკოლოზის ძვის“

თქვენი წერილი მან ივანის დაწერილი, ტფილისითგან 4 ივლისს გამოგზავნილი, მომივიდა ივლისის 8, თუ 9-ს. ჩაკი თქვენი წერილი ჩვენს საერთო მიმართვას „ქართული ლექსიკონის შესახებ“ ეხებოდა და როგორც თქვენ წერილითგან ხნანს იმ მიმართვას ერთი ადგილი სხეანითგან გავივით, ამიტომ ვდარე საპასუხო წერილს გაახლებდით, სპიროდ მიმართა მომეცადა იმ დრომდე, ხანამ ჩვენი პატარა წინასკი „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად“ დაიხვედბოდა. ამ წინასკი მოთავსებულა ჩვენი ზემოაღნიშნული მიმართვა და თვით ინტერუქცია ჩვენ თანაშორის. ლეხისათვის შედგენილი „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონისათვის მზადების დასამზადებლად“. ამ რამდენიმე დღის წინად ეს წინასკი ტფილისითგან დახვედილი მთვიდ და ამ ჩემ წერილიდან ერთად გახლებს. ბოდიშს ვიბდი, რომ თქვენი წერილის პასუხი დროზე ვერ გააბელით.

სწორედ მოგახსენოთ მე ძალიან გამაკვირა, რომ ჩვენი მოქმედება თქვენ ახე უცნაურად გავივით, ვთომც ჩვენის მოქმედების ჩვენ იდენტული წადილი გვქონდა წ. კ. გ. საზოგადოებისთვის ჩავცერა (сделать делкатным удар по адресу) და ქართული ანდაზის მხევახად ექცეოდით „ძალდა სემდგენ, რაღას ახმინდნენ“-ო.

ძალიან შემეძარა ხრძანდებით უვლად პატივცემული ბ.ნი გიორგი, მე სწრჯო უკან მოქმედების მომხრე არახდროს არ ურფილავარ და თუ სპიროდ დაინახავდი საზოგადოების წინააღმდეგ მემოქმედნა, ამას იცე დავამლადაც და პარალიარ გამოვავადებდი კოდც.

გარწმუნებთ, რომ ჩვენი მოქმედება სრულეზით უანგაროა და მხოლოდ წ. კ. გ. საზოგადოებისხელშე თანაგრძობით იყო ნაკარნახევი. ეს საქმე (ვრცელი ლექსიკონის შედგენის შესახებ ზრუნვა) პეტრეს ქალაქში არის დაწყობილი, როდესაც ქერ ჩვენ წ. კ. საზოგადოების გადაწყვეტილების შესახებ არა ვიცოდით რა დიდი ხანია, რაც მე ქართულ ძველ ტერმინოლოგიას ვაგრკვევს და ხეკოთ და ხეგლისმნიერო მასალა შეგროვილი მაქვს კოდცეც აზრად ჰქონდა ქართულ სამეცნიერო სატერმინოლოგი ლექსიკონისათვის მასალების დაიმუშავებინა და დახმებუდა, ამ 8 წლის წინად ტფილისში

მე საგანგებო კრებას კი მოვიწვიე, რომელშიაც 40-მდე კაცი იღებდა მონაწილეობას და საერთო, უვალდასათვის საჯაროდებულ სამეცნიერო ტრანზილოგიის შემუშავებაზე გვექონდა ბეობა, მაგრამ არა გამოვიდა რა. ამის შემდგომ მუშაობის პარადად განვატარებდით, მაგრამ არასაკერძოდად მხოლოდ ჩემ სპეციალურ დარგში. მეტი არღებდა სამეცნიერო წრებ პეტრეს ქალაქში ჩემის ხელმძღვანელობით ქართული საზოგადოების ბიბლიოგრაფიის შედგენა დაამთავრა (1 ნაწილი იმეპდება სამეცნიერო აკადემიის მიერ და შემოდგომაზე უკვე გამოვა კიდევ გადაწვევებით ორივე (სტრუქტურებისა და ქალაქ) სამეცნიერო წრის წევრების ერთობლივა მუშაობა ამ დღემინიშნულთან საქმის განსაზოკიდებლად მემართინა და საქმე მოეწყო კიდევ: მუშაობა დაწყოილია და ზოგაერთ დარგის მახალები უკვე ჩამატარეს, ამ საგანზე ხაასის დროს ჩემსადროსა მოწოდებოდავანა, ეხლა ჩვენ კათედრაზე დატოვებულმა, აკაკი შანიემ მოხარა: ბარემ რაკი მაკოდენა მახალა შეტარებლი ვაქვო, კარგი იქნება საზოგადო ლექსიკონის გამოცემა რომ მოხერხებულყოიო, მე ვუბახუბე: ეს ამდენად ძნელი და რთული საქმეა და ჩემ სპეციალურ საგანზე დაშორებულა, რომ არასდროს ეს ფიქრად არ მომხვლია. თავის განმორკიდებდა მხოლოდ შეერთებულის ძალით შეაძლება, თუ თქვენ, იოსებ უოფშიძე და სხვები მონაწილეობას მიიღებო, მაშინ იქნებ როგორმე გავხედოო შეთქო. აკაკი შანიემ მოხარა: ითავებო ეს საქმე, მოვილაპარაკოო და ეგების საქმე მოეწყო. ამდენიმე დღის შემდგომ პეტრეს ქალაქზევ კრება გვექონდა და გამოვარკვიეთ ვის შეეძლო და სასურველი და აუცილებელი იყო, რომ ამ საქმის მონაწილე უოფშიძე, მონაწილე უკვლო არ პირინ იყვენ დასხვებულმა, რომელთა ჩვენს. უკვე გამოქვეყნებულს მხარითვას ხელს აწერენ. ამასთანავე გადაწვევებით, რომ ამ ძნელ საქმის დარხებულად განმორკიდებდა მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხერხდებოდა, თუ კი სალექსიკონოდ შესაკრება მახალა მონაწილეთა შორის დარგებისდა მიხედვით იქნება დაყოფილი, და თვითოელა ჩვენთაგანს თავის სპეციალურ კვლევის საგანს აიღებდა, და ამ დარგითგან მოგვაწოდებდა მახალს; მოლაპარაკების შემდგომ გამოირკვა, რომ ამ მხრე საქმე შეიძლებოდა კარგად მოგვეწყო და დამკვირვებლად დროსმეტყველებას, აკოვარაფისა და ლიტურგიას აიღებდა, — მისი სპეტსაგანია და საუკეთესო მცოდნეცა, ი. აბულაძე, როგორც ქართულ-საარსულ პოეზიას მცოდნე ამ დარგითგან მახალს მოწოდებას აკისრებდა, ხ. გორაკაძე — ქართულ ფილოსოფიურ ტექსტების გამოცემებდა, მახალსას საფილოსოფიო მწერლობითგან შევარკვებდა, ჰ. ინგოროვა მის მიერ გამოცემულ და გამოსაცემად დაშვებულ ქველ სასულიერო პოეზიას აიღებდა, ვ. დამბაშიძე — სამეურნელო და სახუნებისმეტყველო

დარგს, იოსებ უოფშიძე, აკ. შანიძე და ვუ. ბერიძე ქართულ ენათმეცნიერების და ქართულ ზმნას, როგორც ურთოდებს მარტო... თქვენი უმარჩილები მონა კასრულობა და ეხლა კისრულობს: მხოლოდ ქველ ქართულ (T-VIII ხ. ს.) სამართლის, ეკონომიურა მეცნიერების, ხელოვნების და ისტორიის და სამხედრო ტრანზილოგიას, აგრეთვე ქართულ-სტრუქტურალობის ენას. ამასთანავე თვითოელ სპეციალისტს გადავცემდი იმ სატრანზილოგო მახალს, რომლის ამოკრებასაც ორი ქართული სამეცნიერო წრის წევრები ჩემის ხელმძღვანელობით XVIII ხ. ქართულ მრავალ სამეცნიერო სახელმძღვანელობითგან შეედგენ... თხილსნი მომხდარმა ამ საქმის მონაწილეთა კრებასაც სალექსიკონო პროგრამა და გეგმა შეიწუშა და დადასტურა. რაკი მოლაპარაკების დროს უკვლანი თანხანი იყვენ რომ მონაწილეთაგან ეს საქმე ჩვენ ვერ ავტოვებოდა და მისი განმორკიდებდა უკველი ჩვენგანის (სამუშაობასაში) მოვალეობა, ამიტომ გადაწვევებით საქმეს შევდგომოდით, თავდასარკველად მე, სწორედ მოვახსენიო, გადაწვევებით საქმედა, რომ ეს საქმე ხანამ განმორკიდებოდა არ გამოხერხებულყო, მაგრამ ჩემსა შევსებებმა ტფილისში დამარწმუნეს, რომ ჩვენ წევობრავი უფლებას არა გვაქვს საზოგადოების ეს გარემოება და ვუშალოო იმითმ, ვ. კ. გ. ს. ამ საქმეზე 1200 მან. დამარწვას აპირებდით და თქვენი ლექსიკონი რომ გამოეწე ვ. კ. გ. ს. გამოცემული აღარ გაიყვებოდა და დიდი ზარალი მოეწყო. ამ ზარალში წევობრავად თქვენ დაგედებით ხრალი იმითმ, რომ ვ. კ. გ. ს. საზოგადოების გამოცემის შეეძლო თავი ვაგმარბლებინა, ჩვენ არაფერაც ვიცოდით რა ამ ლექსიკონის შესახებ და ვერც წარმოვადგენდით, თუ რომ საქმე ასე დარბაილდებოდა. გამოცემის ამგვარი პახუბი სამარ. თლიანაც იქნებოდაო. მოვილაპარაკეთ ამის შესახებ და კრებამ ეს არაი სამართლიანად სცნო. ამის გამო დადგინდა ვარეებით დებებელო წერალი ქართულ-ლექსიკონის შესახებ ეს გადაწვევებითგან განმორკიდებულთა და როგორც ეხლა თქვენ წერალობთან არკვეთა ჩვენი მოქმედება თქვენ არ მოგწონებიაო.

ჩვენის არაით, დრამა პატოცებულთა ხინ ვიარავი, წევობრავი მოვალეობა და პახუბის მგებლობა მოგვეხდია. ეხლა ვ. კ. გ. ს.-ს გამოცემის საქმეა, როგორც მხარდებს, ისე მოქმედებს. მხოლოდ ერთ რამეს მოგახსენებთ: ერთ წელიწადში საშუალო სასწავლებლისათვის უხრალი სახელმძღვანელოს შედგენაც კი ძნელია და როგორ შეიძლება გამოცემა დარწმუნებულყოიოს ვითომც ერთს აღმაიანს, ერთს წელიწად-

1 ფრჩხილებში ჩასმული ნაწილი აქაც და სხვაგანაც ივანე ჯავახიშვილს წერალობა ვადაშლილი აქვს. ჩვენ ვებეძვადით, როგორც გარკვეული ინტერესის მქონე ადგილებს. ნ. ქ.

შე ქართული ლექსიკონის შედგენა ძალუძებენ!  
 როდესაც თქვენა ბრძანებთ, დამინახელეთ ხელ  
 შეუდგენათ ჭერ საკადემიო ლექსიკონი, ბო-  
 ლო შედგამო პრაქტიკულად საშარებელიო, რომ  
 ჩვენ არაფერი მაგის მაგვინ არც გავითქვამს.  
 ჩვენს წერბოში ვარკვევლად არის ნათქვამი,  
 რომ ამგვამდ სრული აკადემიური ლექსიკონის  
 შედგენა ეს არა გვაქვს ვანჯარბული (ამ საქმის  
 მოთავე აკად. ნ. შარია და ზოგიერთი ჩვენგანი  
 მონაწილენ) არამედ ვრცელი სამეცნიერო ლექ-  
 სიკონის (გვ. 6-7). ზოლო ამის მაგალითებს  
 დასაბედება, დამეთანხმებთ, სპირო არცია,  
 რომ უკველს ევროპულს ენაში პრაქტიკულს  
 ლექსიკონს წინ უძღოდა მრავალი ვრცელი სა-  
 მეცნიერო ლექსიკონები, რომელნიც უკვე  
 XVIII-XVIII ს. გამოჩენილ შეცნიერებს შერ  
 იყვენ შედგენილნი. შემდგარი ბრძანდებით  
 ჩემო ხატონო, აგრედვე როდესაც ბრძანებთ, ვი-  
 თომც ჩვენ გამოგვეცხადებინოს, ვრცელ სამე-  
 ცნიერო ლექსიკონისათვის „მასალების შესვა-  
 რიკებლად სამა წელიწადთა ნაჯარბუ-  
 რთვო და ვრთი წელიწადთა კადეზ  
 მასალების შესწავლისა და დასაბედად დასვა-  
 დებისათვის“ (გვ. 8). რაკი სამეცნიერო წრის  
 წევრებთანად ერთად მონაწილეთა რიცხვი უმ-  
 აღემატებო, ამიტომ მასთანადვე იმ სამუშაო წე-  
 დიწადი გვაქვს ბედო.

კვლავ მოვახსენებთ, თუმცა თქვენ ამ აზრს  
 არ ეთანხმებით, რომ პრაქტიკული ლექსიკონის  
 შედგენა ჩვენ მდგომარეობაში, ხანამ ვრცელი  
 სამეცნიერო ლექსიკონი დამთარებელი არ იქ-  
 ნება უკველად შეურღლებლია. მე მაგნი, რომ  
 ეს ახედაც ცხადია. მაგრამ რაკი თქვენ ესც  
 საკამათოდ მიიჩნიეთ, ორიოდე საშუის მოვახ-  
 სენებთ, ჩვენ თანამედროვე ცხოვრებაში ვანსა-  
 კურბებით ხატერბინილოგიო ლექსიკონია სა-  
 კორა. ეს შეადგენს ჩვენ განათლებულ წრეებში  
 საბედის, ვანსაკურბებით „გაუთოს კაცობების“  
 (როგორც ხალხში ეურბანისტებს ეძახიან) აუცი-  
 ლებელ სპირობებს, იჯავე შეადგენს ქართველ  
 მასწავლებლებო, ექიმების და სხვების ოცნებას.  
 მასთანადვე თუ თქვენ ვსურთ პრაქტიკულად გა-  
 სიონადეა რამ შეადგინოს, იქ, ამ თქვენს ლექ-  
 სიკონში სამეცნიერო ტერმინოლოგიას უმთავ-  
 რესი ადვილი უნდა მკონდეს დამოხების, თო-  
 რემ „საუველპრო“ ქართულ ლექსიკონიდაც  
 უკველამ იცის. მერც როგორც უნდა მოე-  
 რაოს ვრთი ადამიანი (თუნდც გე-  
 ნიოსი იუსი, კარგად მოგებხებოდა, რომ დ. კა-  
 რბაშვილს ვენიობისაჟდეს ბებია აკლია). ერ-  
 თი წლის ვანსაველობაში? მას ერთად-ერთი გვა-  
 დარჩენია: აილოს და თხზას ტერმინები, მაგ-  
 რამ ტერმინების შემოხვა ეს ადვილია? მკობებთ  
 ბნ-გ-წ-მალაშვილს, რომელციც ქართველ ექი-  
 მთა ხატერბინილოგო კონსილის თაქმდომარე  
 რუ და ის ვანსობთ ჩამოხდა ტანჯვა და წვა-  
 დება ვანობარეს, რომ ქართულად ვადმოთარ-  
 ჭნით მრავალი ანატომიური და ვანსაკურბებით

ობტოლოგიური ტერმინები და შემდეგ შემდეგ  
 ვერას ვახდენ, იმ დროს, როდესაც ვერცხვი  
 რთული მწერლობათგან ამოკეხილნი ხანსატო-  
 შიო ტერმინებს, რომელიც შე შეერბებო  
 მქონდა და მათ ვადავყო, მრავალი საკამათო  
 საკითხი საბოლოოდ ვამოარკვეა. როგორც ვა-  
 დსთარტმის თქვენი ლექსიკონის შედგენელი  
 მაგ. აგვარ სიტუვებს, როგორც არას  
 несменяемость, иммунитет, квалифиниро-  
 ванное преступление, поранение, восприя-  
 тие, эквивалентность, капитал, опера-  
 ция, хоры, галерея, барабан, пистол  
 და მრავალ სხვას. თუ რომ ძველ ქართულ მწე-  
 რლობათგან ეს ტერმინები შესწავლილი არა  
 აქვს თითრც შემოხვას? მერც რა მსაუველო  
 ექმნება ამგვარ შემოხულ ტერმინებს? არ სა-  
 ნამსაბურს ვაწევებს წ. კ. გ. საზოგადოებას კარ-  
 თველობას ამგვარ შემოხულ ტერმინებს ვა-  
 რცედლებით? თქვენ კარგად მოგებხებოდათ, რა  
 პასუხისმგებლობას აკისრებს წ. კ. გ. საზ. გამ-  
 გეობა, თუ იგი ამგვარ ლექსიკონის ქართული  
 ენის გასუფას ხელს შეუწყობს. ზოლო თუ  
 თქვენი შემდგენელი ამნარს ძნელს ტერმინებს  
 გვერდს აუქცვას და თავის ლექსიკონში არ შე-  
 ცდნს, ვის რაოდ უნდა იგი? ჩვენ ზომ ველუ-  
 რები არა ვართ, რომ უკველი საქმე მუდამ თ-  
 ვითგან დავიწყოთ და წინასართა ნამუშევარს  
 ზურტი შევქციოთ: მდიდარი ძველი სამეცნიერ-  
 რი მწერლობა გვაქვს შენახული, რომელშიაც  
 სამეცნიერო ტერმინების მომეტებული ნაწილი  
 შენახულია და ვანა ჩვენ მხრივ ველურბა არ  
 იქნება და საკულტო მუშაობა უფრო არ გა-  
 ვიძინდებოდათ, თუ რომ წარსულის ძვირბრას  
 შემკვადრებობას არ შევიწყაილით და არ ვაპო-  
 ვიყენებდით და ამის მაგერ სამეცნიერო ტერ-  
 მინების ზეპირად და ზურტედელ შემოხველობას  
 შეივადებით?

თუ რა მასწავლებს მე და არა მონაზრებათ ვა-  
 ნო სრული პირთვერბობით წინდენივე შე-  
 შილია ვთქვა, რომ ბ. დ. კარბაშვილის (დ-  
 უკველი სხვა მაგვარად შედგენილი) ლექსიკო-  
 ნი სრულდებით უფარების და ვაშოუსადეგარი იქ-  
 ნება და 2700 მან. ტყვილად ვაშურბოლი. მე  
 ამას წარბუთებელიად იმიტომ მოვახსენებთ,  
 რომ პირადედაც არ ჩვენის კომისიის უკველს  
 წევრს საზოგადო საქმისადმი გულშემატკიარო-  
 ბის მებრ სხვა არავითარი მონაზრება არ ვვალა-  
 პარბებს და თუნდაც რომ წ. კ. გ. საზოგადო-  
 ბას საერთო ლექსიკონისათვის თავი დაენებე-  
 ბინა და ჩვენთვის მოგმარინა, ჩვენ ვადწვადე-  
 ბო ვაქონდა, რომ ხანამ ლექსიკონი შედგენი-  
 ლი არ იქნება არავისგან არავითარი სახეიდა-  
 ლი არ ავვედო.

კვლავ მოვახსენებთ, ჩვენ ჩვენი მოვადგობა  
 ავანრული და ვანდობით, რომ ამგვარი საქ-  
 მე დაწყობილია და თქვენი ვანჯარბების ვანსო-  
 რცილდება შეურღლებლია. ეხლა, ჩემო ხატო-  
 ნო, თქვენი საქმე, გნებავთ სყადეთ და დარ.

წმუნებულ ვართ, რომ ჩვენი სიტყვა გამართლდება ერთი წლის, წლიწინების შემდეგ თქვენს ლექსიკონს გამოვა, ყველა ნაბჯს და ვაჩვენებ, შენც დახატებულს მოუდგომელ აზრს წაოჯობაში და აქნებ მაშინ მაინც თქვენც დაიწმუნდეთ, რომ ჩვენ არ ვდღვებით და ხი. მართლვე ვადაპარავებ, მაგრამ მაშინ ფრთხილად დახატული ვიქნებით და საქმე კი ისევ გახატობაში დარჩება.

გარწმუნებით ხშირ ვიხატავ, პირადად თქვენ ღრმად პატივს ვცემთ შივ და დარწმუნებულ ვართ ხალქსიკონს კომისიის თვითნებური წევრი, არა მარტო როგორც წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის დარჩეულს თავმჯდომარეს, არამედ აგრეთვე როგორც ოსმელეთის საქართველოს საარქივლოვანი ნაშთების პირველს აღმწერს, წ. კ. გ. საზოგადოებად ყოველს ჩვენგანს ისეთ დარწმუნებულსავე მივანია, რომელსაც თვითნებური ქართველი თვალის მინიჭით უნდა ვაუტოვებოდეს.

ამიტომ ჩვენ ფიქრადაც არ მოგვხდება, რომ წ. კ. გ. საზ. რაინდ ზაინ მიგვეცინოს და დარწმუნებულ ვიყოთ და ესეინა ღრმად დარწმუნებულ ვართ, რომ ჩვენი მხარითი საზოგადო საქმისათვის ხარგებლობის მოტანის მტერ, ჩვენ, არავითარ ვნების მოტანი არ შეგვიძლო.

(წერალი ხელმოწერა).

ივანე ჯავახიშვილის შემოკრულ წერილს მოუვა გიორგი ყაზბეგის პასუხი, რომელშიაც თუმც არ იხიარება ლექსიკონის ამგვარად გამოცემის აზრს, მაინც სთავაზობდა გაერთიანებულად ძალის მოკლად ხელი ამ საქმისათვის და აღუთქვამდა წ. კ. გ. საზ.ის მხრივ უკიდურეს მატერიალურ დახმარებას. ახა სწერდა:

«Наша переписка достаточно выяснила нынешнее положение вопроса и мне представляется необходимым, оставив наши пререкания, не теряя времени, согласовать работы Вашего высокодостойного кружка с целями О. Г. Вединени сила. Наш общий девиз — польза родине... я вызываю Вас, глубокоуважаемый Иван Александрович, не на бой, а на братскую кооперацию. Общ. Грамотности имеет материальные средства — у Вас же — знание и желание работать...»

ლექსიკონის საკითხთან დაკავრებით არ შეძლება ირითვე სიტყვით არ შევებოი წ. კ. გ. საზოგადოების საქმიანობას ამ დარგში<sup>10</sup> ერთ კლდე 1911 წ. IV 21-24-ის საზოგადოების კრებაში მოხმინა გამგეობის მოხსენება ლექსიკონის შედგენა-გამოცემის აუცილებლობის შესახებ, ამ მოტივით, რომ დ. ჩუხინაშვილის ლექსიკონი ამ დროისათვის უკვე ხელმოკრული იყო ათობის წარმოადგენდა, ხოლო სახატული ლექსიკონი მერტად მაინცდა ვადაწავა შეე-

დგინათ ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (1500 გვ. მოცულობის, 2000 რუბლს<sup>11</sup> ტარაჟით). ლექსიკონის შედგენასთან დაკავრებით სხვადასხვა აზრი გამოითქვა. უმრავლესობა მხარს უჭერდა ამ გადაწყვეტილებას.

აქაც წერიტებში საუბრალხში მოხატრება წარმოეწერა. ლექსიკონის შესადგენად, მისი აზრით, პირველ რიგში, შეკრებილი და გამოცემული უნდა ყოფილიყო ზეპირსიტყვაობა და „მდახი ხალხში“ შენახული სხუთა ქართული ენის ნაშთები, რადგან „იქ არის ენის ხალხი“. ხალხს ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც ჩვენ არ ვიცით და კანონტურ სიტყვების ნაცვლად სჯობს შენებრივი ქართული სიტყვები, ხალხში დაცული მოიძებნოს. ამ დონისებებს განხორციელება არ დარჩება სახს. რების უქონლობის გამო. უზნაშვილის შეწყარული 2000 მან. ხაქმარის აა აღმოჩნდა.

1915 წ. დასაწყისში წ. კ. გ. საზ.ის გამგეობის მიერ ლექსიკონის საკითხი კვლავ წამოიჭრა და ეს საქმე დავით კარიჭავილის მიენდო. თუმცა დ. კარიჭავილი დიდი ენერჯიითა და მონდობით შეუდგა დაიარსებულ მოვადრობას, 1915 წ. მაისში იგი მოხსენებით წარსდგა საზოგადოების გამგეობის წინაშე ლექსიკონის შედგენის მიმდინარეობის თაობაზე, სადაც ასახელებდა ამ საქმის განხორციელებასთან დაკავრებით არსებულ ხანძელ-ხირთულებს. ამისდა მიუხედავად, რომ დ. კარიჭავილი ამ დონისებების დაწინაშე ვადაში განხორციელების პარობას იძლეოდა, საქმის სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა<sup>12</sup> და ივანე ჯავახიშვილის წინასწარმეტყველური მსჯერა გამართლდა.

ვერც პეტროპოლის ქართველ მეცნიერთა და ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენელთა პატარა ჯგუფის მიერ წამოყვებულ საქმეს ეღარსა საბოლოო ხორცშესხმა. ეს ამ დრო იყო, როდესაც უკვე რეალურად იდგა საქართველოში უმადლებს განათლების ცერის დაარსების საკითხი და მიტლი ყურადღება და საქმიანობა, განსაკუთრებით თვით ივანე ჯავახიშვილის გულისხური, მილიანად ამ საქმისკენ იყო მიმართული.

ივანე ჯავახიშვილის მრავალტეროვან არქივში დიდი როდენობითაა დაცული სატერმინოლოგიო და ხალქსიკონი მასალები, რომელიც, როგორც აღნიშნული აქვს ივანე ჯავახიშვილს შემოკრულად გ. ყაზბეგისადმი მიმართულ წერილში — წლების მანძელზე იყო შეკრებილი, როგორც თვით ივანე ჯავახიშვილის, ასევე მის ხელმძღვანელობით მომუშავე პირების მიერ.

შედეგში, როდესაც თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა, პირველ რიგში ქართული საეცნიერო ტერმინოლოგიის დაწესებების საკითხი იდგა. 1921 წლიდან დაარსდა სახელმწიფო საეცნიერო სასტო — ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით და სხვადასხვა საეცნიერო დარგების სპეციალისტების მონაწილეობით და-



რომლის მოვარი ამოცანა იყო ქართული ტერმინოლოგიის დამუშავება.

ივანე ჯავახიშვილმა თავისი დირექტორობის დროს „შოთა რუსთაველის მუზეუმის“ თანამშრომლებს დამუშავებინა და ამოკრფინა სხვადასხვა წერტილებითაა შეგუბიდან ხატრმინოლოგიკ მასალა (კონტექსტების დარღვივა), რ. მელიც აქვამად დაცულია აკად. კ. კვავიძის ხა. ხელნაწერია ინსტიტუტში.

ივანე ჯავახიშვილის ლექსიკოლოგიური ნამუშევარიც არის დაცული მის არქივში. ი. ზოგადი განმარტება მას თვითონ მქონია გადაცემა. მელიც განმარტებითი ლექსიკონისთვის. ზოგადი მოვარა აქვამად დამუშავდა ქართულ საზ-

კოთა ენციკლოპედიაში, რაც აღნიშნულია ტომის წინახატუვარაში.

და ბოლოს — ივანე ჯავახიშვილის ქართული ტერმინების ანალიზი ეწყობა.

შარათია, დღეისათვის საკმარისად გაგვიჩინა ქართული, როგორც განმარტებითი, ასევე სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ქართული ენის სიწმინდის საკითხი სადღეისოდაც მტკიცებულა.

ამიტომ, ამ საკითხთან დაკავშირებულ ივანე ჯავახიშვილის სამოკრამო წერტილის გამოკვეთება და მკითხველთათვის ექსკურსია მნიშვნელობის მოკლებული არ უნდა იყოს.

**შენიშვნები:**

1. ხელნ. ინსტ. ივ. ჯ-ლის ფ. № 346. ქართული ლექსიკონის შესახებ. 1915 წ. 8. VI, თბ. ავტორგრაფი. დედანი. ხელნ. აწერს მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი. თავში აწერია „დღეისაჲ“. დაიბეჭდა — 1. სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესახებ. ცალკე წიგნად. 1915 წ., 7 ფ. 2; ივ. ჯავახიშვილის — ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. 1956 წ., თბ. გვ. 156-162.
2. იქვე.
3. გიორგი ყაზბეგი — 1908 წ. 9/III-ს არჩეული იყო წ. კ. გ. ს. თავმჯდომარედ. ყოფილი სამხედრო პირი, რომელიც დათხოვილი იყო სამსახურიდან, როგორც რეაქციის არაერთგულ. განათლებული და განვითარებული პიროვნება, იგი ერთგულად და მუყაითად მუშაობდა წ. კ. გ. საზაზის საკეთილდღეოდ, რაც დაბეჭდო საზაზის საქმიანობას. მის მიერ პირველად იყო აღრიცხული და შესწავლილი საქართველოს თურქეთში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები. იხ. ტ. ხუნდაძე, კ. შ. წ. კ. გ. საზოგადო-

- ება“, თბ., 1960, გვ. 78-88 და გ. ლასხიშვილის მუშაობები, თბ., 1934, გვ. 257.
4. ხელნ. ინსტ. ივ. ჯ-ლის ფ. № 2302. წერილი რუსულ ენაზეა დაწერილი.
5. ხელნ. ინსტ. ივ. ჯ-ლის ფ. № 1495.
6. ხელნ. ინსტ. ივ. ჯ-ლის ფ. №№ 462-471; 472-473; 474, 475, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 488-492; 493-495; 496-497; 498, 499, 500, 501-502; 503, 504-520, 522-544; და სხვა როგორც ივ. ჯავახიშვილის ასევე სხვა პირთა ამოკრფილი.
7. ივანე ჯავახიშვილის არქივში დაცულია რამდენიმე ტელეგრაფი ქართული ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობით. ხელნ. ინსტ. ივ. ჯ-ლის ფ. №№ 2243-2245.
8. გ. გ. მალაშვილი განთქმული ექიმი. ის ქართული მედიცინის ისტორია.
9. ხელნ. ინსტ. ივ. ჯ-ლის ფ. № 2303.
10. ტბუნდაძე — დასაბეჭდებული ნაშრომი, გვ. 130, 131.
11. ხელნ. ინსტ. ივ. ჯ-ლის ფ. №№ 555-572 და სხვ.





## საყურადღებო ნაშრომი ბარსევან ჭავჭავაძეზე

ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, თავის გამაგრებულ ნაშრომში „სტორება გიორგი მეცამეტისა“ გარსევან ჰევეჯაძის მოღვაწეობას ასე ასახიანებს: „დრო და არქივი რუსეთისა გამოაჩენს, რაოდენ მალა იღვა გარსევან გონიერებითა და საქმითა სხვათა ზედა ქართველთა“. მართლაც, საშუაო აღლო და მიგნება ღირდებოდა მენსტორიეს იმ დროს, როცა იმას ამბობდა და ასე კარგად განსჭვრიტა გარსევან ჰევეჯაძის დიდი დამსახურება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საშვილთაშვილო საქმეში.

ამ დიდი ეროვნული მოღვაწის შესახებ საბუნებისმეტყველო ლიტერატურაში თუ ნარატიულ წიგნებში არა ერთი და იგივე მეტ-ნაყლებად უუარადადები ახრია გამოქმუნი ისეთი ავტორიტეტული მკვლევარების მიერ, როგორებიცაა პ. იოსელიანი, მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი, ს. კაციაძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე და სხვანი. მაგრამ საგანგებო ყელევა-ძიების საგანი მისი დიპლომატიური მოღვაწეობის სრული შესწავლა დღემდე არავის არ უღლია. ამიტომაც სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების არავალზე გამოსვლისთანავე მოეცა ისტორიკოს ზურაბ ცუტიშვილის წიგნი „გარსევან ჰევეჯაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა“.

ქართველი და რუსი ხალხის ისტორიული წახსუნის ღრმა მეცნიერული შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათი ურთიერთობა მეტ-ნაყლებად განმართობული იყო ორივე ქვეყნის ინტერესებში. ისტორიის უღმომებელ მსვლელობას, სხვადასხვა ეპოქების მძაფრ პოლიტიკურ კატალიზმებს ორივე ეს ხალხი მჭიდრო კავშირის აუცილებლობამდე მიჰყავდა. სწორედ ამ ისტორიული ურთიერთობის ფონზე, ერთ, მეტად საინტერესო ქრანოლოგიურ ურთიერთობის მონაცემში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — XIX საუკუნის დასაწყისი) უნდა იქნას ვახილული პეტერბურგში 1784-1801 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულფუნქციონირი ელჩის გარსევან რევაზის ძე ჰევეჯაძის შეტად საყურადღებო და შრომატევადი დიპლომატიური მოღვაწეობა.

წიგნის ავტორი აღნიშნული ეპოქის ისტორიულ პირობებშია ფრიად ნაყოფიერი მკვლევარია, რომელსაც არა ერთი ნაშრომი აქვს მიძღვნილი, როგორც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის, ისე მანინდელი ქართლ-კახეთის ეროვნული მოღვაწეებისადმი, (სოლომონ ლიონიძე, დავით კვინიძე, მაქსიმე ქუთათელი, გაიოზ რექტორი და სხვანი), რომლებმაც ღრმა ყვლი დასტოვეს საქართველოს ისტორიაში.

ზ. ცუტიშვილის სარეცენზიო წიგნი გ. ჰევეჯაძის, ამ მეტად ტრაგადული პიროვნების სტორებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის პირველ და იღბლიან ცდას წარმოადგენს. იგი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც მამეე დროს ეპოქის სხვა ისტორიულ მოვლენათა მრავალი საკითხი გაშუქებული და მოკუმულია მათი თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შესახება. წიგნი ძირითადად დაწერილია ჩვენი ქვეყნის სიძველეთაყვებში დატული უამრავი ზეღნაწერი ლექსმენტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. აქ კი საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ავტორის წყაროშეყიდნობის არსენალში დიდი ადგილი უკავია მის მიერვე გამოვლენილ მეცნიერებისათვის დღემდე უცნობ საარქივო მასალას, რომელიც პირველად შემოდის ისტორიული მეცნიერების მიმოქცევაში. ავტორი ასევე ფართოდ იყენებს დასტამბულ ისტორიულ საბუთებს, პერიოდიკას და ნარატიულ მასალებს.

სარეცენზიო წიგნში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ისტორიული წყაროების კრიტიკულ ანალიზს, რომლის საკვირვებასაც ავტორის უყარნახებდა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ისე წყაროებში არსებული წინააღმდეგობები. შესამოწმებელი მასალის, საბუთების, სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნის დონე ავტორის ეხმარება მკაცრი მეცნიერული ინტერპრეტაცია გაუყეთოს ამა თუ იმ მოვლენას ან ფაქტს. წყაროთა ზვევნების ვარჯისთანობის დასადგენად ავტორი მონიანობაში ითვალისწინებს მის შედგენილობის ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ თავისებურებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, რომ მან შეძლო მოეცა XVIII-XIX საუკუნეების ისტორიული მოვლენების და გარსევან ჰევეჯაძის პიროვნების ბევრად უფრო სრულყოფილი სახე, ვიდრე ჩვენ ამას

ვხედებით დღემდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

წიგნი შედგება, შესავლის, სამი თავისა და დანართისგან. აქვს რუსულ ენაზე დანართი სრულყოფილი რეზიუმე და თან ერთვის რამდენიმე საარქივო დოკუმენტი, რაც მისდამი ინტერესს კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის. წიგნის მესამე თავი, რომელიც მისი მოკულოების ორ შესამდეს შეადგენს, მთლიანად 1783-1801 წწ. გარსევან ჰეკუავაძის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას შეეხება. აქ ყურადღასს ისაყობის ისტორიოგრაფია. თავმად შეიძლება ითქვას, რომ ეს არა მარტო გარსევან ჰეკუავაძის, როგორც მოღვაწე პიროვნების დახასიათებაა, არამედ 1783 წლის მეგობრულ მფარველობითი ტრაქტატის — სრულყოფილი ისტორიოგრაფიაც. ავტორი მარჯვედ და კრიტიკულად ეხება ზოგიერთთა თვალსაზრისს გარსევან ჰეკუავაძის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებას სამშობლოსადმი დასაბრუნებლად დასპირისპირო დამაჯერებელი ისტორიული ფაქტების მოშველიებით, საქმის ნამდვილ ვითარებაში ჩაუხედავ მისტორიებს, ბატონიშვილებთან მოკიდებული დღემდე სათანადო მეცნიერული პასუხით უმასპინძლებდა. ავტორის საქმებზე დღემდე უნდა ითქვას, რომ გარსევანი როგორც ისტორიული პიროვნება მას შესწავლის აქვს არა განცალკევებულად, იზოლირებულად, არამედ ეპოქის ძირითად მოვლენებთან ორგანულ კავშირში. ავტორი იძლევა ჰეკუავაძეთა შტოს გენეალოგიურ ნუსხას; შესანიშნავად წარმოგიადგინებს თვით გარსევანისა და მის წინაპართა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე აღზევების თითქმის ეტყუარ და ზუსტ სურათს, დიდალი საბუთების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე აქ წარმოჩენილია გარსევან ჰეკუავაძის, როგორც პრივალისტიკური ერთგული. მოღვაწის, არალი იმპერიონდელ ქართველ-რუსულ პოლიტიკაში, მოღვაწე ერისშვილისა, რომელმაც იყოფა, რომ „საქართველზე დებდა თავისი ქვეყნის მსხვერპლს“, მაგრამ ამასთანავე მან ისიც კარგად იცოდა, რომ ამ კონკრეტულ ვითარებაში მეფის რუსეთის დამპყრობლური მიზნების მოუხედავად, რუსეთ-ევროპის გზით წინსვლას საქართველოსათვის ისტორიულად ობიექტური, დადებითი შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

ავტორის საგანგებოდ ცალ-ცალკე აქვს შესწავლილი გარსევან ჰეკუავაძის ოთხივე ელჩობა რუსეთის საიმპერატორო კარზე (1784-1788, 1793-1796, 1797-1799, 1800-1801 წლებში). პირველი ელჩობის ანალიზისას ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მფარველობითი ტრაქტატის გაფორმება შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ინტერესებს, ამავე დროს ეს ისტორიული აქტი მოასწავებდა რუსეთის სახელმწიფოს დიდ გამაჩქევებს ამიერკავკასიაში, მაგრამ ტრაქტატის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოი-

წერებოდა; ეს იყო იმავდროულად საქართველოს დიდი ისტორიული დამსახურებები, რეგრესიული კასიის ხალხის წინაშე. მაგრამ, გვეუ უნდა შეგვიხსენოთ ისიც, რომ გარსევან ჰეკუავაძისა და სხვა იმდროინდელ პროგრესულ მოღვაწეთა დამუხრამელი ბრძოლის მიუხედავად, შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მეფის რუსეთში ვერ შესძლო საქართველოსადმი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატით აღთქმული დამპყრობის აღმოჩენა, რადგანაც თვითონ მას ამ დროისათვის მრავალი მისაგვარებელი საქმე გამოუჩნდა როგორც ევროპაში, ისე კავკასიაშიც. ამიტომაც საქართველოს საკითხმა ცარიზმის პოლიტიკაში მეორეხარისხოვანი ადგილი დაიკია.

მე-18 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხასიათისა და ძირითადი არსის გასაგებად მკითხველს კარგ წარმოდგენას აძლევს ნაშრომის მეორე თავი, სადაც ვრცელი, მეცნიერული საფუძვლი გაშლილი ქართლ-კახეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ აღნიშნულ პერიოდში. ქვეყნის იმდროინდელი მოახლოებული უწყობის მიზეზს ავტორი, საესებით სამართლიანად, „გლეხი კაცის ამოწყვეტაში“ ზედაქს, რაც თავისთავად მუდმივმოქმედი უარყოფითი საგარეო პოლიტიკური ფაქტორის შედეგი იყო. ამ დროს კი ფეოდალური დაჩიბულობები თავის დაღწევა, ზოჯ-ხანების ახილად გამოქვანა და ევროპული გზით წასვლა სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო. დიდალი ფაქტობრივი მასალა და მისი სარი მეცნიერული ანალიზი აქაც შევლის ავტორის თავისი არკუმენტაციის სისწორეში.

ნაშრომში საარქივო მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზე კარგადაა შესწავლილი 90-იანი წლების პოლიტიკური ვითარებაც. შეუძლებელია დიდი გულისყურის გარეშე წაიკითხოს კაცმა ნაშრომის ის ადგილები, სადაც ლამაზაია ქართველ დიპლომატთა მოღვაწეობაზე რუსეთის საიმპერატორო კარზე. ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართლ-კახეთის დიპლომატიამ რუსეთის სამეფო კარს დროულად მიაწვდინა ხმა და აიძულა იგი ალა მამადა-ხანის საყაბი სავანგებო სტუმრებზე განეხილა და გარკვეული დადგენილება გამოიტანა.

საინტერესოდაა დაწერილი გარსევანის მოღვაწეობისა და ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის შესახებ. ავტორი ერთხელ კიდევ ასაბუთებს, რომ იგი ნამდვილ პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა და ზუსტად ასრულებდა იმ პირობებს, რასაც მას საქართველოს მეფეები აძლევდნენ. რუსეთისა და საქართველოს ისტორიული არქივები ამაზე ერთხმად ლაღებდნენ. ერთი სიტყვით, ზ. ციტიშვილი როგორც მკვლევარი, ისე ისტორიულ-ფაქტობრივი პოზიციებიდან სავსებით მართებულად აფასებს გარსევან ჰეკუავაძის პიროვნებას. მისი აზრით,

გარსევან ჰავევაძე, ისე როგორც ვრეკლე მეორე სწორად აღესაბუნებ შეთვრამტე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციას, ამიერკავკასიის გარემო შებრძოლ სახელმწიფოთა როლსა და მნიშვნელობას საქართველოს მომავალი განვითარებისათვის. გარსევანს სწამდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფო, რომელიც თავისი კულტურითა და წყობილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ირანი და თურქეთი, საქართველოს გაძლიერებას შეუწყობდა ზღვს, დაიკავდა მის საზღვარს დამოუკიდებლობას. ასე ესმოდა მას 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მართალია ტრაქტატმა ქართველ პოლიტიკოსებს იმედი არ გაუშაროლა, მაგრამ ეს მათ არ აღსანიშნავთ როგორც შედეგი რუსეთზე აღებული ორიენტაციისა. ისინი მიიწე რუსეთთან დაპალოების გზას არჩევენდნენ, მიდიოდნენ რა მსხვერპლის გზით, რადგან სხვა უკეთეს გამოსავალს ვერ ზედადნენ.

სარეცენზოო წიგნის მიმართ გვაქვს რამდენიმე არაპრინციპული ხასიათის შენიშვნა: 1) ავტორი წერს, რომ „საქართველოს ისტორიაში ჰავევაძეთა გვარი XVI საუკუნის დასაწყისიდან იხსენიება“ (გვ. 42). აქ ცოტაოდინი სიზუსტეა საჭირო. საისტორიო წყაროებში უძველესი ცნობა ჰავევაძეთა გვარის შესახებ ვეტოენის იმ ხანას, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა ყერ კიდევ არ იყო დარღვეული — აღუქანდრე I დიდის ხანას (XV საუკუნის პირველი ნახევარი) (იხ. მცხეთის სიგელი აღუქანდრე I-ის დროისა, 1438 წ. თ. ვორდანია, ქრონიკები II, 1897, გვ. 244); 2) საჭირო იყო ავტორი შეხებოდარ

იმ კონფლიქტს, რომელიც წარიმართა გარსევან ჰავევაძესა და ს. ლიონიძეს. მონის და აესხნა ამ კონფლიქტის მიზეზებმა. ამ წიგნის ერთი ქვეთავი ავტორს ასე დაუსათაურებია: „გ. ჰავევაძის გადასახლება რუსეთში 1805 წელს და მისი შემდგომი მოღვაწეობა“. ჩვენის აზრით, უფრო მართებული იქნებოდა ავტორის ეს ქვეთავი ასე დაესათაურებინა: „გ. ჰავევაძის გადასახლება რუსეთში 1805 წელს და მისი ცხოვრების უქანსკენელი წლები“, მით უმეტეს, რომ აქ გადასახლების მიზეზების გარკვევის გარდა არავითარ ამოღვაწეო საქმიანობაზე არ არის ლაპარაკი. ჩვენ გვესმის ავტორისა, გ. ჰავევაძის ცხოვრება, მას ერის წინაშე სამსახურის გარეშე ვერ წარმოუდგენია და შეიძლება მისი აზრი ამით გაართლებული იყოს, მაგრამ ფაქტი ხომ ჟიუტი არის და ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს; 4) და ბოლოს, ჩვენი აზრით წიგნის სახელწოდებად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა „გარსევან ჰავევაძის დიპლომატიური მოღვაწეობა“ და არა „სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა“, როგორც მისთვის ავტორის დაურქმევია, რადგან მასში სწორედ ამ მომენტზეა ძირითადად აქცენტი გამახვილებული.

შესანიშნავი ქართული ენით დაწერილი წიგნი, მისი შეცნიერული ღირებულება, ავტორის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული დაუღალავი შრომის ნაყოფია და სასიამოვნოა, რომ იგი ყარგი შედევით დამთარდა.

ბაქონიკა იონაშვილი  
დუბნიშხან ცინცაძე

რედაქციის მხამართი:

თბილისი, რუსთაველის ქრონიკეტი, № 18.

ბაქონიკა იონაშვილი: რედაქციას — 88-88-11,

თ. ავტ. მოადგილე — 88-88-18, პ/შ, მღი-

ნის თ. განყოფილებებს — 88-88-18; 88-88-17, 88-88-20.

საქ. კა ცა-ის გამოცემლობა, 1983.

გადაეცა ასაწყობად 13. 6. 83 წ. ხელმოწერილია დასაბუქლად 14.7. 83 წ. ასაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქალაღის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საალ-საგამომცემლო თამაბი 16,58.

თე 07220. ტირაჟი 32000; შეეც. 1556. საქ. კა ცა-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფანო 80 333.

6-1137

060000  
70128  
საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ